

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ხელნაწერის უფლებით

მანანა ბოჭორიშვილი

სასწავლო პროცესის პრაქტიკის კვლევა დაწყებითი საფეხურის  
კლასკომპლექტებში

განათლების მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

სპეციალობაში: განათლების მეცნიერებები

სამეცნიერო ხელმძღვანელი

ნინო მოდებაძე

პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

თელავი

2023

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, განვმარტავ, რომ წინამდებარე ნაშრომი არის ჩემ მიერ მომზადებული ორიგინალური ნამუშევარი და იგი არ შეიცავს სხვა ავტორების ისეთ მასალებს, რომლებიც არ არის სათანადო წესით დამოწმებული და ციტირებული.

მანანა ბოჭორიშვილი

## მადლობა

მადლობა, ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს იმისათვის, რომ ის მუდმივ თანადგომას იჩენდა და ძალას არ იშურებდა სადოქტორო ნაშრომზე მუშაობის პროცესში; სრული მხარდაჭერა გამომიცხადა განხორციელებული კვლევების სათანადო დონეზე წარმართვაში.

ასევე, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის, „განათლების მეცნიერებები“ მმართველი საბჭოს წევრებს ნაშრომზე მუშაობის პროცესში პრაქტიკული და რაციონალური რეკომენდაციებისთვის. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მეუღლეს და მეგობრებს, რომლებიც თავიანთი დამოკიდებულებით მუდმივად მაძლევდნენ სტიმულს დამესრულებინა ეს ნაშრომი. ჩემი სამსახურის, რედაქციის თანამშრომლებს, საკვლევი თემის და ჩემ მიმართ გამოვლენილი გულმხურვალე მხარდაჭერისთვის.

განსაკუთრებულად მადლიერი ვარ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის კლასკომპლექტის მასწავლებლების, რომლებიც ფოკუსჯგუფებში მონაწილეობაზე და ჩაღრმავებულ ინტერვიუებზე დამთანხმდნენ.

## სარჩევი

ნაშრომის რეზიუმე -----	5
ABSTRACT -----	9
ცხრილების, სურათების და დანართების ჩამონათვალი -----	12
აბრევიატურების ჩამონათვალი -----	14
შესავალი-----	15
<b>თავი პირველი - დიფერენცირებული სწავლების კონცეფცია ჰეტეროგენულ კლასებში-----</b>	<b>23</b>
1.1 კლასკომპლექტის რაობა და სპეციფიკა -----	23
1.2 დიფერენცირებული სწავლება ჰეტეროგენულ კლასებში -----	24
1.3 სისტემების თეორია -----	29
1.4 სწავლის მოდალობები და დიფერენცირებული სწავლება-----	30
1.5 საკლასო მენეჯმენტი დიფერენცირებული სწავლებისთვის -----	38
1.6 ეროვნული სასწავლო გეგმა და კლასკომპლექტები-----	45
1.7 კლასკომპლექტები და მცირეკონტინგენტის სკოლები საქართველოში -----	50
1.8 კლასკომპლექტის მასწავლებელთა პრაქტიკის კვლევის ანალიზი -----	68
1.9 კლასკომპლექტის მასწავლებელთა და ტრენინგების ხელმისაწვდომობა-----	84
1.10 სასკოლო სახელმძღვანელოები და კლასკომპლექტში სწავლების გამოწვევები -----	89
<b>თავი მეორე - კვლევითი ნაწილი-----</b>	<b>101</b>
2.1 კვლევის ზოგადი მიმოხილვა -----	101
2.2 კლასკომპლექტის მასწავლებელთა ფოკუს-ჯგუფები-----	102
2.3 ინტერვიუ. კვლევის ზოგადი აღწერა-----	111
2.4 მონაცემთა ანალიზი და ტრიანგულაცია -----	113
2.5 ინტერვიუს შედეგები კატეგორიების მიხედვით-----	117
2.6 ინტერვიუების დასკვნები-----	127
2.7 ინტერვენცია -----	129
<b>თავი მესამე - შეჯამება დასკვნა რეკომენდაციები -----</b>	<b>145</b>
<b>დანართები -----</b>	<b>150</b>
<b>ბიბლიოგრაფია-----</b>	<b>230</b>

## ნაშრომის რეზიუმე

ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე საქართველოში, ზოგადი განათლების სისტემაში, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. განათლების სფეროს მკვლევრები ზოგადი განათლების რეფორმის მიმდინარეობის სხვადასხვა ასპექტებს სწავლობენ.

საქართველოში კლასკომპლექტებზე კვლევა ამ დრომდე არ ჩატარებულა. მოცემული ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს მცირეკონტინგენტიანი სკოლების დაწყებითი კლასების კლასკომპლექტებში მომუშავე მასწავლებლების გამოწვევებზე და კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარების ბარიერების დაძლევაზე.

**ნაშრომის მიზანი იყო** სასწავლო პროცესის პრაქტიკის კვლევა დაწყებითი საფეხურის კლასკომპლექტებში

დასახული მიზნის შესაბამისად კვლევები წარიმართა შემდეგი თანამიმდევრობით: მოვიპოვეთ მეორადი მონაცემები, კვლევის დაზვერვით ეტაპზე, საქართველოს ექვს რეგიონში, დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა რვა ფოკუსჯგუფი ჩატარდა. ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა - კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევები, კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარების ბარიერები. დაზუსტდა, შესასწავლი დოკუმენტების და საკითხების ნუსხა.

კლასკომპლექტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობის შესწავლის მიზნით, მოვიპოვეთ და გავანალიზეთ ბოლო წლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის და აჭარის განათლების ფონდის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ნუსხა და შინაარსები. გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი არ იყო სერვისები, რაც მასწავლებლებს დაეხმარებოდა გაკვეთილის ჩატარებისას წარმოქმნილი ბარიერების დაძლევაში.

სტატისტიკურ მონაცემებზე და რეგიონების სტრატეგიულ გეგმებზე დაყრდნობით შესწავლილ იქნა ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში

საქართველოს რეგიონის სკოლების, მოსწავლეების და კლასკომპლექტების დინამიკა. კვლევამ კლასკომპლექტების მზარდი ტენდენცია აჩვენა და ამან კვლევის მნიშვნელობა კიდევ უფრო აქტუალური გახადა.

კვლევის ფარგლებში დაწყებითი კლასების სხვადასხვა საგნის გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების სერიით გამოცემული მასწავლებლის წიგნების შესწავლამ ნათლად აჩვენა, რომ მათში თითქმის არ არის გათვალისწინებული კლასკომპლექტის მასწავლებელთა საჭიროებები. ამასთან ერთად, გამოიკვეთა, რომ არც პირველი, არც მეორე და არც მესამე რედაქციის ესგ-ს არ მოჰყოლია არანაირი გზამკვლევი ან მეთოდური რეკომენდაცია კლასკომპლექტებში მუშაობის შესახებ.

კლასკომპლექტის მასწავლებელთა მიერ ჩატარებული პრაქტიკის კვლევის დოკუმენტების შესწავლით კიდევ ერთხელ დადასტურდა ის ბარიერები, რისი დაძლევაც უწევთ დაწყებითი კლასის კლასკომპლექტის მასწავლებლებს.

**ჩატარდა დაწყებითი საფეხურის კლასკომპლექტის მასწავლებლების ჩაღრმავებული ინტერვიუები.** ინტერვიუს შედეგების ანალიზზე დაყრდნობით გამოიკვეთა დაწყებითი კლასის კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევები და გაკვეთილის ჩატარებისას წარმოქმნილი ბარიერები.

საკვლევი კითხვებიდან და კვლევითი ამოცანებიდან გამომდინარე, ჰიპოთეზების შესამოწმებლად შევისწავლეთ: სხვადასხვა დოკუმენტები, მეორადი მონაცემები და გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები (ფოკუსჯგუფები, ჩაღრმავებული ინტერვიუ, ინტერვენციული ფოკუსჯგუფები).

კვლევის დიზაინი აგებულია კვლევის ქრონოლოგიურ პრინციპზე, რომელიც იძლევა ერთი და იმავე ფოკუსჯგუფის შესწავლის საშუალებას დროის სხვადასხვა მონაკვეთში. კვლევა განხორციელდა რამდენიმე წლის მანძილზე. პირველი ეტაპის ფოკუსჯგუფები ჩატარდა კვლევის დაზვერვით ეტაპზე, ხოლო მეორე ეტაპის ფოკუსჯგუფები ჩატარდა ინტერვენციის შემდეგ კვლევის ბოლო ეტაპზე. ამ ეტაპებს შორის დაწყებითი კლასის კლასკომპლექტის მასწავლებლებმა მიიღეს: მათ მიერვე აღწერილი გაკვეთილის ბარიერების დასაძლევად შექმნილი მეთოდური გზამკვლევი; გზამკვლევაში აღწერილი ინსტრუქციების შესრულებისთვის საჭირო რესურსები და გაიარეს კონსულტაციები გზამკვლევის და რესურსების გამოყენების

თაობაზე. რის შემდეგაც მათ ეს ყველაფერი თავიანთ პრაქტიკაში გაკვეთილის ბარიერების დასაძლევად გამოიყენეს.

მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, კლასკომპლექტებში გაკვეთილის ჩატარებისას არსებული ბარიერების დაძლევისთვის მასწავლებელს ჰქონდეს შესაბამისი სასწავლო რესურსებისა და პროფესიული განვითარების სერვისების ხელმისაწვდომობა.

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა დასკვნები: დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელს გაკვეთილის ჩატარებისას ბარიერების დაძლევისთვის სჭირდება მეთოდური გზამკვლევი, გზამკვლევში მოცემული მეთოდური რეკომენდაციის შესრულებისთვის საჭირო სასწავლო რესურსები და კონკრეტული კონსულტაცია ან რაიმე ტიპის პროფესიული მომზადების აქტივობა.

ინტერვენციული ფოკუსჯგუფის მონაწილე მასწავლებლებში: გაიზარდა სასწავლო რესურსების გამოყენების და შექმნის მოტივაცია; გაიზარდა, დიფერენცირებული სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება; დაძლეულ იქნა კლასის მართვის სირთულეები, განსაკუთრებით I-III კლასკომპლექტში; მასწავლებლებმა გარკვეულწილად დაძლიეს გაკვეთილის ორმაგ სასწავლო მიზანთან დაკავშირებული სირთულეები; დაძლეულ იქნა მოსწავლეებზე დაკვირვების, უკუკავშირის და შეფასების კუთხით არსებული ბარიერები.

დისერტაციის შედეგად მომზადდა დაწყებითი საფეხურის კლასკომპლექტის მასწავლებელთათვის გზამკვლევი.

დისერტაციის ბოლოს ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები:

საქართველოს მცირეკონტინგენტის საჯარო სკოლის კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის გაკვეთილის ბარიერების დაძლევაზე ორიენტირებული სწავლებისთვის.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციებისათვის, რათა დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგპროგრამები ორიენტირებული იყოს კლასკომპლექტის მასწავლებელთა საჭიროებებზე.

განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტისათვის, რათა მომზადდეს კლასკომპლექტში გაკვეთილის ბარიერების დაძლევაზე ორიენტირებული გზამკვლევები და სასწავლო რესურსები ესგ-ს საგნობრივი პროგრამების მიხედვით.

**ძირითადი სამიზნო სიტყვები:** კლასკომპლექტი, გაკვეთილის ბარიერები, კლასკომპლექტის მასწავლებელი, ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა, ზოგადი განათლების რეფორმა.

## Abstract

During the last two decades, significant changes have been made in the general education system in Georgia. Researchers in the field of education study various aspects of the general education reform process.

Research on classroom sets has not been conducted in Georgia so far. This paper focuses on the challenges of teachers working in the classrooms of elementary schools with a small contingent and overcoming the barriers to conducting lessons in the classroom.

**The paper** aimed to study the challenges of teachers of classrooms in schools with a small contingent, to develop a guide for overcoming the existing barriers when conducting a lesson in a classroom.

By the set target, the research was conducted in the following order: in the intelligence stage of the research, in six regions of Georgia, eight focus groups of primary school teachers were conducted. After analyzing the results of the focus group, the challenges of classroom teachers, and the barriers to conducting lessons in classrooms were highlighted. The list of documents and issues to be studied was specified.

To study the availability of professional development of classroom teachers, we obtained and analyzed the list and contents of training organized by the National Center for Professional Development of Teachers and the Adjara Education Foundation in recent years. It was revealed that there were no services available to teachers that would help teachers to overcome the barriers that arise when conducting a lesson.

Based on the statistical data and the strategic plans of the regions, the dynamics of schools, students, and classrooms of the Georgian region were studied during the last fifteen years. The study showed an increasing trend of class sets and this made the importance of the study even more urgent.

As part of the research, the study of the teacher's books published in the series of graded school textbooks for different subjects of primary grades clearly showed that they hardly take into account the needs of classroom teachers. Along with that, it was revealed that neither the first, the second, nor the third edition of the National Curriculum did not include any guidelines or methodical recommendations for working in classrooms.

Examining classroom teacher practice research documents once again confirmed the barriers that elementary classroom teachers have to overcome.

**In-depth interviews with primary school classroom teachers were conducted.** Based on the analysis of the results of the interview, the challenges of the primary school classroom teachers and the barriers encountered during the lesson were identified.

Depending on the research questions and research tasks, we studied various documents, and secondary data and used qualitative research methods (focus groups, in-depth interviews) to test the hypotheses.

The research design is based on the chronological principle of research, which allows studying the same focus group in different periods. The research was carried out over several years. The focus groups of the first stage were conducted in the exploratory stage of the research, and the focus groups of the second stage were held after the intervention in the last stage of the research. Resources needed to follow the instructions in the guide and have been consulted on how to use the guide and resources. After that, they used all this in their practice to overcome the barriers of the lesson.

The obtained results showed how important it is for the teacher to have access to appropriate learning resources and professional development services to overcome the existing barriers in classrooms.

Based on the data analysis, the conclusions were drawn: the teacher of primary classes needs a methodical guide to overcome the barriers while conducting the lesson, the teaching resources necessary for the implementation of the methodical recommendation given in the guide, and a specific consultation or some type of professional training activity.

Among teachers participating in the intervention focus group: the motivation to use and create educational resources increased; as Increased use of a variety of differentiated teaching strategies; The difficulties of classroom management were overcome, especially in the 1-3 classrooms; To some extent, the teachers overcame the difficulties related to the dual learning objective of the lesson; Barriers to student observation, feedback, and assessment were overcome.

Recommendations are made at the end of the dissertation:

To implement teaching focused on overcoming the barriers of the lesson for the teachers of the classroom set of the small contingent public school in Georgia.

Organizations implementing teacher professional development programs, so that professional development training programs for primary school teachers are focused on the needs of classroom teachers.

For the Department of National Curriculum of the Ministry of Education, to prepare guides and learning resources focused on overcoming the barriers of the lesson in the classroom according to the subject programs of the National Curriculum.

**Keywords:** classroom, lesson barriers, classroom teacher, access to quality education, general education reform.

## ცხრილების, სურათების და დანართების ჩამონათვალი

სურათი 1. PIP პირამიდა .....	39
სურათი 2. მოსწავლეთა მოსწრების სქემა. ....	76
გრაფიკი 1. მოსწავლეთა რაოდენობა გურიის რეგიონში .....	53
გრაფიკი 2. სკოლების რაოდენობის დინამიკა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში .....	54
გრაფიკი 3. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში .....	55
გრაფიკი 4. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა სამცხე-ჯავახთის რეგიონში .....	56
გრაფიკი 5. სკოლების რაოდენობის დინამიკა სამცხე-ჯავახთის რეგიონში .....	57
გრაფიკი 6. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა კახეთში .....	58
გრაფიკი 7. სკოლების რაოდენობის დინამიკა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში .....	59
გრაფიკი 8. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში .....	60
გრაფიკი 9. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა შიდა ქართლის რეგიონში .....	61
გრაფიკი 10. სკოლების რაოდენობის დინამიკა შიდა ქართლის რეგიონში .....	61
გრაფიკი 11. სკოლების რაოდენობის დინამიკა ქვემო ქართლის რეგიონში .....	62
გრაფიკი 12. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა ქვემო ქართლის რეგიონში .....	63
გრაფიკი 13. სკოლების რაოდენობის დინამიკა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში .....	63
გრაფიკი 14. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში .....	64
გრაფიკი 15. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა იმერეთის რეგიონში .....	65
გრაფიკი 16. სკოლების რაოდენობის დინამიკა იმერეთის რეგიონში .....	65
გრაფიკი 17. კლასში მოსწავლეთა რაოდენობის მონაცემები 2018 წლისთვის .....	67

დანართი 1: ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის გეგმა.....	150
დანართი 2: ფოკუსჯგუფის ანგარიშზე დაყრდნობითა მომზადებული პრობლემების ნუსხა .....	153
დანართი 3: თვისებრივი კვლევის ინტერვიუს პროტოკოლი <b>Error! Bookmark not defined.</b>	
დანართი 4: 1-4 კლასის მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი ტრენინგების ნუსხა .....	157
დანართი 5: 2022 წელს დაწყებითი საფეხურის უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლებისათვის შემუშავებული და შეთავაზებული 15 ტრენინგმოდული.....	159
დანართი 6: 2018-2022 წელს დაწყებითი საფეხურის უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლებისათვის შემუშავებული და შეთავაზებული 55 ტრენინგმოდული - TPDC .....	161
დანართი 7: აჭარის განათლების ფონდის მიერ მოწოდებული მონაცემები წლების მიხედვით:.....	165
დანართი 8: 2018-2019 სასწავლო წლის მდგომარეობით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1-4 კლასების ბაზაზე არსებული კლასკომპლექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით. ....	167
დანართი 9: სწავლება კლასკომპლექტში.გზამკვლევი.....	168
დანართი 10: ინტერვენციული ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის გეგმა .....	230

## აბრევიატურების ჩამონათვალი

ესგ - ეროვნული სასწავლო გეგმა

PISA - The Programme for International Student Assessment - მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა

EU - ევროკავშირი

UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა

TPDC -მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

UNICEF - გაეროს ბავშვთა ფონდი

PIP- პრევენცია, ინტერვენცია, პიროვნული ზრდა

REC- რეტიკულაციური აქტივაციის სისტემის

## შესავალი

საქართველოში მიმდინარე ზოგადი განათლების რეფორმა დინამიკური პროცესია და ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ზოგადი განათლების შინაარსის გარდაქმნაა, რაშიც კურიკულუმის, ანუ ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება მოიაზრება. ეროვნულმა სასწავლო გეგმამ რეფორმის პროცესში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და დღეს მოქმედებს მისი მესამე თაობა. აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება ზოგადი განათლების რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენადაა შეფასებული (ქიტიაშვილი, 2016) მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ადგილობრივ და საერთაშორისო დოკუმენტებს: 1. ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რომელიც აღწერს, თუ როგორი მოქალაქე უნდა აღზარდოს სკოლამ (საქართველოს მთავრობა, 2004); 2. მდგრადი განვითარების მიზნებს, რომელიც აყალიბებს იმ პრინციპებს, რომლებსაც საგანმანათლებლო სისტემები უნდა აკმაყოფილებდნენ; 3. ოცდამეერთე საუკუნის საკვანძო კომპეტენციებს, რომელიც განსაზღვრავს იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ადამიანს თანამედროვე სამყაროში თვითრეალიზებისთვის სჭირდება.

ზოგადი განათლების რეფორმის მიმდინარეობას, კერძოდ კი ზოგადი განათლების შინაარსის გარდაქმნას, მოჰყვა „პედაგოგიკური პარადიგმის“ სერიოზული ცვლილება: სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირება; აქცენტი მოსწავლის მიღწეულ შედეგებზე; ცოდნის კონსტრუირებაზე ორიენტირებული სწავლება; მასწავლებელი-ფასილიტატორის ფუნქციის გააზრება; განმავითარებელი შეფასების პრაქტიკაში დანერგვა; გამჭოლი პრიორიტეტული კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა; ცოდნის კონსტრუირება (ქიტიაშვილი, 2016, გვ. 126).

ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში მიმდინარე ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მასწავლებლებს. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ყველა ტიპის სკოლაში მომუშავე მასწავლებლებისათვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი საქმიანობის განხორციელებას და ამისთვის საჭირო რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობას.

რეფორმას, რომელიც დასაწყისში მხარდაჭერილი იყო მსოფლიო ბანკის მიერ, მოჰყვა სწავლების მიდგომების ცვლილების პროცესი. ზოგადსაგანმანათლებლო რეფორმის ფარგლებში, სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირება გახდა პედაგოგიურ მიდგომებში ცვლილებების მთავარი ორიენტირი (World Bank, 2014).

ეროვნული სასწავლო გეგმის ყოველი ახალი რედაქციის კვალდაკვალ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებისთვის იქმნებოდა და იქმნება საგნობრივი გზამკვლევები, მასწავლებლის წიგნები, მიმდინარეობს მასწავლებელთა გადამზადება, რაც ესგს სასწავლო მიზნების მიღწევის გაიოლებას ისახავს მიზნად.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის შექმნიდან დღემდე საქართველოს განათლების სისტემაში სხვადასხვა რეფორმა გატარდა, საქართველოს ზოგადი განათლების სისტემისათვის ტიპურ მცირეკონტინგენტთან სკოლებში არსებული კლასკომპლექტების თემაზე აკადემიური კვლევები რეალურად არ ჩატარებულა.

მოგეხსენებათ, ყველა ბავშვის კონსტიტუციური უფლებაა ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა მიუხედავად: ასაკის, ეთნიკურობის, საცხოვრებელი ადგილის გეოგრაფიული მდებარეობის, აღმსარებლობის, სოციალური სტატუსის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო), ამიტომ, საინტერესოა, ზოგადი განათლების რეფორმის მიმდინარეობისას რა გამოწვევების წინაშე დადგნენ საქართველოს მცირეკონტინგენტთან სკოლებში დაწყებითი კლასების კლასკომპლექტებში მომუშავე მასწავლებლები. კერძოდ, შინაარსის რეფორმის, ანუ ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებების ფონზე, რამდენად გახდა მათთვის ხელმისაწვდომი სარეკომენდაციო მეთოდური რესურსები და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სერვისები, რაც ესგს ცვლილებიდან გამომდინარე, ახალი გამოწვევების დამლევაში დაეხმარებოდათ და ბავშვებისთვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობას გაზრდიდა.

ჩვენი კვლევის სფეროა - დაწყებითი საფეხურის კლასკომპლექტებში მიმდინარე სასწავლო პროცესის გამოწვევები.

**სადისერტაციო ნაშრომის მიზნებია:** სასწავლო პროცესის პრაქტიკის კვლევა დაწყებითი საფეხურის კლასკომპლექტებში; გავანალიზოთ, რა გამოწვევების წინაშე დადგენ კლასკომპლექტის მასწავლებლები. შევიმუშავოთ ინტერვენციის ინსტრუმენტი რაც შეასუსტებს კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარებისას წარმოქმნილ ბარიერებს.

**კვლევითი კითხვები:**

1. რა გამოწვევებს მოიცავს დაწყებითი საფეხურის კლასკომპლექტის მასწავლებელთა პრაქტიკა?
2. რა ბარიერები აქვთ გადასალახი კლასკომპლექტის მასწავლებლებს გაკვეთილის ჩატარებისას?
3. როგორია, დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის გაკვეთილის ბარიერების დასაძლევად საჭირო სასწავლო რესურსების და პროფესიული განვითარების სერვისების ხელმისაწვდომობა?
4. რა ინტერვენციებია საჭირო გაკვეთილზე წარმოქმნილი ბარიერების დასაძლევად?

**კვლევის საგანია:** დაწყებითი საფეხურის კლასკომპლექტებში მასწავლებლის პრაქტიკის გაუმჯობესება.

**კვლევის ობიექტია** დაწყებითი საფეხურის კლასკომპლექტში სასწავლო პროცესის პრაქტიკის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული გზამკვლევის შემუშავება.

**სწორედ ამის მიხედვით ჩამოვყალიბეთ კვლევის ჰიპოთეზა:** მცირეკონტინგენტიანი სკოლების დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევების და კლასკომპლექტში გაკვეთილის ბარიერების დაძლევა შესაძლებელი გახდება კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარების ბარიერების დაძლევაზე ორიენტირებული მეთოდური გზამკვლევის, გზამკვლევაში მოცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების და მეთოდური კონსულტაციების ხელმისაწვდომობით.

**კვლევის ამოცანები:** კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩამოვყალიბეთ კვლევის ამოცანები:

1. მეორადი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება
2. დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევების შესასწავლად ფოკუსჯგუფების სადისკუსიო კითხვარის მომზადება.
3. საქართველოს 6 რეგიონში დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა ფოკუსჯგუფების ჩატარება.
4. ფოკუსჯგუფების მასალებზე დაყრდნობით დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევების შესწავლა.
5. ფოკუსჯგუფების მასალებზე დაყრდნობით დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევების მიხედვით შესასწავლი დოკუმენტების და საკითხების ნუსხის დადგენა.
6. ნუსხაში შემავალი დოკუმენტების და საკითხების შესწავლა.
7. ესგს სამივე რედაქციის შესწავლა კლასკომპლექტებთან მიმართებაში.
8. საქართველოს რეგიონების დონეზე მცირეკონტინგენტთან სკოლებში დაწყებითი კლასების ბაზაზე კლასკომპლექტების რაოდენობის ტენდენციის შესწავლა.
9. დაწყებითი კლასების გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტების ანალიზი კლასკომპლექტებში მთავარი მეთოდური ორიენტირის - დიფერენცირებული სწავლების და გაკვეთილის ბარიერების დაძლევის კუთხით.
10. დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა მიერ ჩატარებული პრაქტიკის კვლევის და რეფლექსიების ანალიზი კლასკომპლექტში გაკვეთილის ბარიერების დაძლევის კუთხით.
11. 2018-2022 წლებში (მესამე თაობის ესგ) დაწყებითი კლასების მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი ტრენინგების მონაცემთა ანალიზი, რამდენად არის მორგებული კლასკომპლექტის გაკვეთილის ჩატარების ბარიერების დაძლევაზე.
12. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტის შექმნა და პილოტირება.

13. დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლებისგან ინტერვიუების ჩაწერა.

14. ჩაწერილი ინტერვიუების ტრანსკრიპტების გაკეთება, კოდების გამოყოფა და ვალიდაცია.

15. ინტერვენციისთვის კლასკომპლექტის მასწავლებლის გზამკვლევის მომზადება გაკვეთილის ბარიერების დაძლევისთვის.

16. ინტერვენციული ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზი.

17. განხორციელებული კვლევის მონაცემებზე და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით დასკვნების ჩამოყალიბება და რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები:** საკვლევი თემის ფარგლებში, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, კვლევის შედეგების სისტემურ კონტექსტში დისკურსისთვის, განვსაზღვრეთ კვლევის საკმაოდ მრავალფეროვანი მეთოდოლოგია; პრობლემის სიღრმისეულად შესწავლისთვის ლიტერატურის მიმოხილვის კვალდაკვალ მოვიშველიეთ თვისებრივი კვლევები, კერძოდ, რისთვისაც გამოვიყენეთ კვლევის ინსტრუმენტები:

- მეორადი ინფორმაციის დამუშავება - ლიტერატურა და კვლევები
- კლასკომპლექტის მასწავლებელთა ფოკუსჯგუფები; ანალიზი;
- ჩაღრმავებული ინტერვიუები.
- ინტერვენციული ფოკუსჯგუფები

**ნაშრომის თეორიულ ღირებულებას** წარმოადგენს დაწყებითი კლასების კლასკომპლექტებში გაკვეთილის ჩატარებისას წარმოქმნილი ბარიერების დაძლევის თეორიული საფუძვლების განხილვა შემდეგი მიმართულებით:

- კლასის მართვის პრევენციული მოდელის - PIP პირამიდის უკეთ გააზრება კლასკომპლექტებისთვის.
- დიფერენცირებული სწავლების: მოდელების, მიდგომების და მეთოდების თეორია და პრაქტიკა ჰეტეროგენული კლასებისათვის.
- ორი სასწავლო მიზანი და წყვილი აქტივობები დიფერენცირებული სწავლების თეორიის და კლასკომპლექტების ჭრილში.

კვლევის ფარგლებში შექმნილი ინტერვენციის ინსტრუმენტი - მასწავლებლის გზამკვლევი **პრაქტიკულ სარგებელს** მოუტანს როგორც მოქმედ კლასკომპლექტის მასწავლებლებს, ასევე მომავალი პედაგოგების მომზადების პროგრამების ხელმძღვანელებს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების ავტორებს და ტრენერებს - სილაბუსებისა და სასწავლო აქტივობების შემუშავებისას.

ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაციები და დანართში მოცემული გზამკვლევის მასალების გათვალისწინება გააუმჯობესებს დაწყებით კლასებში კლასკომპლექტებში სწავლა-სწავლებას.

ნაშრომის ფარგლებში შემუშავებული - კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრის რეკომენდაციები თავის მოკრძალებულ წვლილს შეიტანს კლასკომპლექტებში ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდაში.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე** - ნაშრომის სიახლე იქნება დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევების შესწავლა და კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარების ბარიერების დაძლევის ინსტრუმენტის - კლასკომპლექტის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევის შემუშავება.

შესაბამისი ლიტერატურის, დოკუმენტების, სტატისტიკური მონაცემების მიმოხილვა, კვლევის ფარგლებში განხორციელებული ანალიზი, დასკვნები, შემუშავებული რეკომენდაციები საინტერესო იქნება განათლების სფეროს მკვლევრებისთვის - რათა მათ გააგრძელონ კლასკომპლექტების თემაზე სიღრმისეული კვლევები.

### **ჩატარებული კვლევები**

1) 2017-2018 წლებში საქართველოს 6 რეგიონში ჩატარდა კლასკომპლექტის მასწავლებელთა ფოკუსჯგუფები. ფოკუსჯგუფებს მკვლევრები ხშირად იყენებენ, როგორც პრობლემის წინასწარი შესწავლის საშუალებას (ზურაბიშვილი, 2006). ამ კვლევის ფარგლებშიც ფოკუსჯგუფები გამოვიყენეთ კვლევის დაზვერვით ეტაპზე. ფოკუსჯგუფების შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მომზადებული ნაშრომი წარვადგინეთ საერთაშორისო კონფერენციაზე და მასალა დაიბეჭდა თეზისების კრებულში (DARE, 2017).

2) ფოკუსჯგუფების ანალიზზე დაყრდნობით გამოიკვეთა შესასწავლი დოკუმენტები და საკითხები. იდენტიფიცირდა კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარებისას არსებული ბარიერები.

3) კლასკომპლექტში გაკვეთილის ბარიერების დასაძლევად შემუშავდა მეთოდური გზამკვლევი.

4) შევისწავლეთ: სამივე რედაქციის ეროვნული სასწავლო გეგმა; კლასკომპლექტის მასწავლებელთათვის მათ საჭიროებაზე მორგებული ტრენინგების ხელმისაწვდომობა; გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტები; კლასკომპლექტის მასწავლებელთა პრაქტიკის კვლევის ნაშრომები; საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში ჩატარებული საერთაშორისო კვლევების სტატისტიკური მონაცემები; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ-ებიდან მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები.

5) კლასკომპლექტის მასწავლებლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები.

6) განვახორციელეთ ინტერვენცია და შემდეგ ჩატარდა ინტერვენციული ფოკუსჯგუფები - შევისწავლეთ კვლევის საფუძველზე შექმნილი მეთოდური გზამკვლევი რამდენად დაეხმარა კლასკომპლექტის მასწავლებლებს გაკვეთილის ბარიერების დაძლევაში.

**ჩატარებულმა კვლევებმა, ინტერვენციის შედეგებმა დაადასტურა კვლევითი საქმიანობის დასაწყისში გამოთქმული კვლევის ჰიპოთეზა. მცირეკონტინგენტის სკოლების დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევები და კლასკომპლექტში გაკვეთილის ბარიერების დაძლევა შესაძლებელია კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარების ბარიერების დაძლევაზე ორიენტირებული მეთოდური გზამკვლევის, გზამკვლევში მოცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების და მეთოდური კონსულტაციების ხელმისაწვდომობით.**

სადისერტაციო ნაშრომი შედგება სამი თავისგან: **შესავალში** მიმოხილულია საკითხის აქტუალურობა, მოცემულია კვლევის მიზნები, წარმოდგენილია საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზა; მოცემულია კვლევის ჩარჩო და ამოცანების თანმიმდევრობა. **პირველ თავში** ლიტერატურის მიმოხილვაა. მასში განხილულია

თეორიები, რასაც ნაშრომი ეფუძნება. დოკუმენტები, სტატისტიკური მონაცემები, მეორადი მონაცემები. მეორე თავი ეძღვნება თვისებრივ კვლევას: დაზვერვითი ეტაპის ფოკუსჯგუფებს, ინტერვიუებს, ინტერვენციას და ინტერვენციულ ფოკუსჯგუფებს. მესამე თავი მოიცავს დისკუსიას, კვლევის შედეგების შეჯამებას, დასკვნებს და რეკომენდაციებს. სადოქტორო ნაშრომს თანდართული აქვს დანართები, მათ შორის კვლევის ფარგლებში შექმნილი მეთოდური გზამკვლევი, ნაშრომს თან ერთვის ბიბლიოგრაფია.

## თავი პირველი - დიფერენციებული სწავლების კონცეფცია ჰეტეროგენულ კლასებში

### 1.1 კლასკომპლექტის რაობა და სპეციფიკა

საქართველოში, ქალაქსა და სოფელს შორის მოსახლეობის არათანაბარი განაწილება ბუნებრივად აისახება სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობეზე. საქართველოში მცირეკონტიგენტური სკოლების რაოდენობა საკმაოდ მრავალცხოვანია. მცირეკონტიგენტური სკოლებში ხშირად გვხვდება კლასკომპლექტები. კლასკომპლექტი, ერთ საკლასო ოთახში სულ მცირე, ორი სხვადასხვა კლასის ბაზაზე იქმნება.

საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის ძველი და ახალი რედაქციის თანახმად, მცირეკონტიგენტური სკოლებში დასაშვებია კლასკომპლექტების შექმნა.

საქართველოში კლასკომპლექტები ძირითადად დემოგრაფიული და ეკონომიკური სპეციფიკიდან გამომდინარე იქმნება. ამიტომ, ამგარი სკოლები ხასიათდება:

მოსწავლეთა მცირე რაოდენობით;

პარალელური კლასების არარსებობით;

ერთი კლასის შიგნით მოსწავლეთა არათანაბარი განაწილებით.

ასეთი ტიპის სკოლებში რომელიმე კლასი შეიძლება საერთოდ არ იყოს სკოლაში. არსებობს კლას-კომპლექტების განსხვავებული კომბინაციები. მეტად გავრცელებული შემდეგი კომბინაციებია:

**პირველი კომბინაცია** - ერთად პირველი და მესამე, მეორე და მეოთხე კლასები; **მეორე კომბინაცია** - პირველი და მეორე, მესამე და მეოთხე კლასები; **მესამე კომბინაცია** - პირველი - მეოთხე; მეორე და მესამე კლასები. ყოველ განსხვავებულ კომბინაციას აქვს თავის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**პირველ კომბინაციას** აქვს შემდეგი ლოგიკა: მესამე კლასს უკვე შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, მაშინ როდესაც პირველ კლასს მეტი ყურადღება სჭირდება პედაგოგის მხრიდან. **მეორე კომბინაციისას** - მიიჩნევა, რომ ერთი წლიანი სხვაობით ბავშვებს მეტი საერთო აქვთ, საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებიც შედარებით მსგავსია და უფრო იოლია ერთ თემაზე გაკვეთილის ჩატარება. თუმცა,

ზოგი მკვლევარი აქ გარკვეულ საფრთხეს ხედავს და მიიჩნევს, ამგვარ კლასებში აწეულია ხოლმე პირველი კლასის მიმართ მოთხოვნები და დაწეულია მეორე კლასის მიმართ. **მესამე კომბინაცია** - წინა ორი ვარიანტის კომბინაციას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა თუ რა მიზეზით არის კლასკომპლექტი ფორმირებული, მნიშვნელოვანია ზრუნვა სწავლის ხარისხზე, რაც სწავლების მეთოდებისა და კლასის ორგანიზების ფორმების სწორი შერჩევით არის შესაძლებელი. ეროვნული სასწავლო გეგმის პირველ, მეორე და მესამე რედაქციაში არსებული ჩანაწერის მიხედვით განსაზღვრულია, რომ კლასკომპლექტებში სწავლების პროცესი დიფერენცირებულ სწავლებას უნდა დაეფუძნოს.

### ***1.2 დიფერენცირებული სწავლება ჰეტეროგენულ კლასებში***

ამ თავში საფუძვლიანად გაანალიზდება დიფერენცირებული სწავლების თეორიული საფუძვლები ჰეტეროგენული კლასებისათვის, რადგან თავისი არსით, კლასკომპლექტი ჰეტეროგენული კლასია.

განათლების სფეროს დინამიკურობის გამო მუდმივად მიმდინარეობს ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო დისკურსის გამდიდრება. აქედან გამომდინარე, საინტერესოა იმ ლიტერატურის მიმოხილვა, რომელიც ჰეტეროგენულ კლასებში დიფერენცირებული სწავლების თეორიულ ჩარჩოს ქმნის.

მსოფლიო ტენდენციით, თანამედროვე საკლასო ოთახები სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება. განათლების სპეციალისტები ეძებენ სწავლებისა და სწავლის სტრატეგიებს, რომლებიც ითვალისწინებს კლასის ჰეტეროგენულობას.

დიფერენცირებული სწავლება სწორედ იმიტომ იქცა ახალ საგანმანათლებლო პარადიგმად, რომ ის გვთავაზობს, გადავხედოთ კლასის სტრუქტურას, კლასის მართვას, მასალის შინაარსს და კლასის ყველა წევრი ჩავრთოთ სასწავლო პროცესში ისე, რომ ყველამ ნახოს სარგებელი.

რამდენიმე ათეული წლის წინ კლასში მოსწავლეთა მრავალფეროვნებამ, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ კლასებში თავი მოყარეს სხვადასხვაენოვანმა, სხვადასხვა კულტურული წარმოშობის, სხვადასხვა ცოდნის დონის მქონე მოსწავლეებმა,

პედაგოგები აიძულა, გადაეხედათ თავიანთი პედაგოგიური პრაქტიკისათვის და სწავლების მეთოდები მოერგოთ კლასის საჭიროებებისთვის. ასე დაიწყო სასწავლო პროცესში ცვლილებების შეტანის პრაქტიკა და საბოლოოდ, საფუძველი ჩაეყარა დიფერენცირებულ სწავლებას. დიფერენცირებული სწავლების მოდელი შეიქმნა, როგორც პასუხი ჰეტეროგენულ კლასებში სწავლა-სწავლების ეფექტიანად წარმართვაზე.

დიფერენცირებული სწავლება აღიარებულია, როგორც დამაჯერებელი და ეფექტიანი საშუალება იმისათვის, რომ მრავალფეროვან კლასში შეექმნათ ბავშვზე ორიენტირებული სასწავლო გარემო. სწავლების დიფერენცირებულ მოდელს აქვს მეცნიერულად დასაბუთებული უპირატესობა ჰეტეროგენულ კლასებში სწავლებისას. კლასკომპლექტები ჰეტეროგენული კლასის ის შემთხვევაა, როდესაც ერთ საკლასო ოთახში ორი სხვადასხვა კლასის მოსწავლეები სხედან და მასწავლებელი ორივე კლასს ერთდროულად ასწავლის. ჰეტეროგენულ კლასებში დიფერენცირებული სწავლების კონცეპტუალურ ჩარჩოდ მკვლევრები აღიარებენ ვიგოტსკის (1896-1934) სოციოკულტურულ თეორიას. სოციოკულტურულმა თეორიამ, რომელიც ეყრდნობა ვიგოტსკის (1962) და მოგვიანებით ვერტმის (1991), შარპის, გალიმორეს ნაშრომებს, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა სწავლებაზე, სკოლასა და განათლებაზე (Tharp, R. G., and Gallimore, R., 1988). ეს თეორია ეფუძნება წინაპირობას, რომ მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ მოსწავლის სოციოკულტურული კონტექსტი, რადგან სოციალური ურთიერთქმედება ფუნდამენტურია შემეცნების განვითარებისთვის. უფრო მეტიც, ვიგოტსკის თეორია განათლებას განიხილავს, როგორც მიმდინარე პროცესს და არა პროდუქტს.

ვიგოტსკის თეორიის ერთ-ერთი ცნება - პროქსიმალური განვითარების ზონა - ამ თეორიის ცენტრალური ცნებაა და ეხება განვითარების დონეს, რომელიც მიღწეულია მაშინ, როდესაც მოსწავლეები ებმებიან სოციალურ ინტერაქციაში.

პროქსიმალური განვითარების ზონას ვიგოტსკი განმარტავს, როგორც მანძილს განვითარების რეალურ და პოტენციურ დონეებს შორის. აქედან გამომდინარე, პროქსიმალური განვითარების ზონა აკავშირებს ცნობილს უცნობთან. როგორც კერსლი (1996) აღნიშნავს, განვითარებისთვის მოსწავლეებმა აქტიურად უნდა

ითანამშრომლონ მასწავლებელთან ან უნარიან თანატოლებთან (Kearsley, 1996). შესაბამისად, მოსწავლემ უკვე იცის ის, რასაც დაეუფლა ამ ინტერაქციით. მასწავლებელი არის ერთგვარი შუამავალი აქტივობებზე მუშაობის დროს. ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მიაღწიოს პროქსიმალური განვითარების ზონას.

ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების თეორია გამოიყენებოდა როგორც დიფერენცირებული სწავლების თეორიული ჩარჩო. ამან სერიოზული გავლენა მოახდინა სწავლებასა და სწავლაზე (Flem, A., Moen, T., and Gudmundsdottir, S., 2000). სოციალური ინტერაქციის სფეროები, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კომუნიკაცია, ფიზიკური სივრცის მოწყობა, აქტივობის ინსტრუქცია, ხარაჩოები, მოსწავლის უნარი და სასწავლო შინაარსი არის სწავლების ელემენტები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ მოსწავლის მიმართ შემუშავებული ინსტრუქციები, რომელსაც შეუძლია მოსწავლე გადაიყვანოს ეკვილიბრიუმის მდგომარეობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ინსტრუქცია-ხარაჩოები, რომლებიც მოსწავლეებს ეხმარება, მიაღწიონ პროქსიმალურ ზონას, აქედან გამომდინარე, დიფერენცირებული სწავლება არის პედაგოგიური ინსტრუმენტი სასწავლო პროცესის გასაადვილებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტრუქცია-ხარაჩოების გამოყენება კლასკომპლექტებში სადაც უფრო მეტი ალბათობაა იმისა, რომ მოსწავლეს დასჭირდეს ასეთი დახმარება, რადგან კლასკომპლექტი ისეთი ჰეტეროგენული კლასია, სადაც მასწავლებელს უწევს ორ სხვადასხვა კლასს სხვადასხვა თემაზე სხვადასხვა აქტივობა ერთდროულად შესთავაზოს და ამ დროს შესაძლოა ყველა მოსწავლემ ვერ მოახერხოს საკითხის გაცნობიერება და დასჭირდეს დამატებითი დახმარება ამ პროცესის პრევენციის საუკეთესო გზა კი მასწავლებლის მიერ შესაბამისი ინსტრუქცია-ხარაჩოების შექმნა-გამოყენებაა.

მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, როგორ უპასუხონ თანამედროვე საკლასო ოთახების მზარდ მრავალფეროვნებას. სასწავლო პროგრამა აღარ აკმაყოფილებს მოსწავლეთა საჭიროებებს და გაკვეთილების ჩატარება სინგულარული ინსტრუქციით უგულებელყოფს სწავლის განსხვავებულ სტილსა და მოსწავლეთა განსხვავებულ ინტერესებს, რომელიც დამახასიათებელია დღეს ყველა კლასისთვის.

მოსწავლეთა განსხვავებებისა და ინტერესების გათვალისწინება, როგორც ჩანს, აძლიერებს მათ მოტივაციას (Tomlinson C. A., 2004b). ამ ფუნდამენტური განსხვავებების იგნორირებამ კი შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი მოსწავლის ჩამორჩენა, დემოტივაცია და წარუმატებლობა (Tomlinson C. A., 1998). მოსწავლეებმა, რომლებიც შეიძლება იყვნენ წარმატებულები და მოტივირებულები, შეიძლება დაკარგონ მოტივაცია, თუ მასწავლებელი ორიენტირებულია პროგრამის გავლაზე. მოსწავლე წარმატებული და მოტივირებულია, როდესაც მასწავლებელი ორიენტირებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე.

ტომლინსონი (2005) დიფერენცირებულ სწავლებას განმარტავს, როგორც ფილოსოფიას, რომლის თანახმადაც, სწავლება დაფუძნებულია იმ წინაპირობაზე, რომ მოსწავლეები საუკეთესოდ სწავლობენ მაშინ, როცა მათმა მასწავლებლებმა კარგად იციან განსხვავებები მათი მზაობის დონეებს შორის, ასევე მათ ინტერესებს შორის. დიფერენცირებული სწავლება არის ყველა მოსწავლის სწავლის უნარის სრულად გამოყენება (Tomlinson C. A., 2000a).

ტომლინსონი ამტკიცებს, რომ დიფერენციაცია არ არის მხოლოდ სასწავლო სტრატეგია და არც სწავლების რეცეპტი, უფრო მეტიც, ეს არის სწავლებისა და სწავლის შესახებ აზროვნების ინოვაციური გზა. დიფერენციაციის თეორია ეფუძნება ასეთ დასკვნას - მოსწავლეები განსხვავდებიან ერთმანეთისგან და ყველა მოსწავლე ინდივიდუალური თავისებურებებით ხასიათდება (Tomlinson C. A., 2000).

ამ დასკვნიდან გამომდინარე თეორია რეკომენდაციას უწევს სტრატეგიებს, რომლებიც მასწავლებლისთვის არის ერთგვარი გზამკვლევი, რათა მან შეძლოს, სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეს შეუქმნას ეფექტიანი სასწავლო გარემო, რისთვისაც მასწავლებელი ინტენსიურად იყენებს სხვადასხვა დავალებებს, განსხვავებულ სასწავლო მასალებს და მოქნილ, ადაპტირებულ სასწავლო პრაქტიკას.

ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნა ყველა საკლასო ოთახისთვის აქტუალურია, თუმცა ისეთი საკლასო ოთახი, სადაც ორ კლასს ერთდროულად უტარდება გაკვეთილი, მართალია, ერთ საგანში, მაგრამ სხვადასხვა თემაზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და მასწავლებლისაგან მოითხოვს დიდ ძალისხმევას, რომ ყველა ბავშვისთვის სასწავლო გარემო იყოს ეფექტიანი.

საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორიის გამოყენებისას მასწავლებელი იყენებს კლასის მართვის და სწავლა-სწავლების ფასილიტაციის იმ პრინციპებს, რომელთა ეფექტიანობა თითოეული მოსწავლის საჭიროებებთან მიმართებაში ეჭვს არ იწვევს. ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ პერმანენტულად იცვლება გაკვეთილზე გამოყენებული აქტივობების შინაარსი, აქტივობის მიმდინარეობის პროცესი, აქტივობისას შექმნილი პროდუქტის ტიპი - მოსწავლეთა მზაობის გათვალისწინებით.

#### **დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკაში გამოყენებისას:**

1. მასწავლებელს დაკონკრეტებული აქვს რა არის გაკვეთილის სასწავლო მიზანი;
2. მასწავლებელმა იცის ჰეტეროგენული კლასის მონაცემები და მოსწავლეების შესაძლებლობის შორის არსებულ განსხვავებებს ეყრდნობა;
3. სწავლების კომპონენტი პირდაპირ კავშირშია შეფასების კომპონენტთან;
4. მასწავლებელი დაკვირვების შედეგების საფუძველზე არეგულირებს სასწავლო შინაარსს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, მიღებულ შედეგებს;
5. სწავლებას აქვს ორმაგი სასწავლო მიზანი: პირველი მდგომარეობს მოსწავლეთა ინდივიდუალური პროგრესის ზრდაში და მეორე კი წარმატების მაქსიმალურ ზრდაში;
6. მასწავლებელმა დიფერენცირებული სწავლებისას: დაგეგმვის, სწავლების და შეფასების ეტაპებზე უნდა გამოიყენოს მოქნილი მიდგომები (Tomlinson C. A., 2000).

იმისათვის, რომ მასწავლებელმა საკლასო ოთახში პრაქტიკულად გამოიყენოს დიფერენციაციის თეორია, მან უნდა მოახდინოს სწავლის კომპონენტების მოდიფიკაცია. მოდიფიკაცია უნდა შეეხოს: 1. იმ სასწავლო გარემოს, სადაც მიმდინარეობს სწავლა-სწავლება; 2. იმ სასწავლო შინაარსს, რაც უნდა ასწავლოს მასწავლებელმა მოსწავლეებს; 3. იმ სასწავლო რესურსებს, რომლითაც უნდა ასწავლოს მასწავლებელმა სამიზნე აუდიტორიას.

**მოდიფიკაციის აუცილებლობას განაპირობებს სამი ძირითადი ასპექტი:** 1. მოსწავლეთა სწავლის განსხვავებული შესაძლებლობები; 2. მოსწავლეთა

განსხვავებები სწავლის მოტივაციაში; 3. სწავლის ეფექტიანობა. ეს ასპექტები პირდაპირ კავშირშია: მოსწავლეთა განსხვავებულ მზაობასთან, მოსწავლეთა განსხვავებულ ინტერესებთან და მოსწავლეთა განსხვავებულ სწავლის სტილთან. (Tomlinson C. , 2001).

### **1.3 სისტემების თეორია**

კლასკომპლექტების არსებობის განმაპირობებელი ფაქტორებისა და კლასკომპლექტებში სწავლა-სწავლების საკითხების კომპლექსურობიდან გამომდინარე, კლასკომპლექტების მასწავლებლების გამოწვევებისა და ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმის საკითხების ანალიზი ძნელია მათი მთლიან კონტექსტში განხილვის გარეშე. ამ ნაშრომში სისტემების თეორია და სისტემების ანალიზი გამოვიყენეთ, როგორც საკითხის შესწავლა-ანალიზის მეთოდოლოგიური მიდგომა.

სისტემების თეორია XX საუკუნის მეორე ნახევარში მკვლევარმა ბიოლოგმა ლუდვიგ ვან ბერტალანფიმ ჩამოაყალიბა. ეს თეორია ეფექტიანი ანალიტიკური ინსტრუმენტია და გამოიყენება კვლევებში განათლების მიმართულებით (Pascoe, 2006; Ackoff, 1971).

სისტემების თეორია განიხილავს: 1) ცოცხალ ორგანიზმებს, პროცესებს, საგნებს, ურთიერთობებს გარკვეული სისტემის ფარგლებში; 2) სისტემების ურთიერთმოქმედებას და ურთიერთდამოკიდებულებას; 3) სისტემების თეორიის კონტექსტში პროცესების და ურთიერთობის გააზრებას, ჰოლისტურ წარმოდგენას გვიქმნის რეალობაზე (Banathy, 1992; Bertalanffy, 1972).

სისტემების თეორიაში იდეები ქმნის ისეთ ლოგიკურ ჩარჩოს, რომლის გამოყენებით იოლია აიხსნას სხვადასხვა სფეროში განსხვავებული თვისებების მქონე სისტემებისა და გარემოს ურთიერთმიმართება, აგრეთვე სისტემებზე მოქმედ ფაქტორთა კომპლექსისა და სისტემაში მიმდინარე ცვლილებების ურთიერთმიმართება (Watson, S.L., W.R. Watson and C.M. Reigeluth, 2008). ეს თავისთავად მოიაზრებს სისტემის ერთიან შეფასებას მაშინაც კი, როდესაც შესწავლის ობიექტი სისტემის რომელიმე კომპონენტია, რადგან:

1. სისტემის ამა თუ იმ მახასიათებლის ცვლილება მისი მართვა ჰოლისტურადაა შესაძლებელი (Watson, S.L., W.R. Watson and C.M. Reigeluth, 2008). 2. ერთიანმა სისტემამ შეიძლება დასახულ მიზანს ვერ მიაღწიოს მაშინაც, თუ სისტემის თითოეული ელემენტი აღწევს მის ქვემიზანს (Ackoff, 1971). 3. სისტემის ამა თუ იმ კომპონენტში არსებითი ცვლილება ვერ მოხდება სხვა ნაწილებში შესაბამისი ცვლილებების გარეშე (Reigeluth, 1994; Avis, 2009).

#### **1.4 სწავლის მოდალობები და დიფერენცირებული სწავლება**

მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. „სტანდარტული“ მოსწავლეები არ არსებობენ და შეუძლებელია ვიპოვოთ იდეალური ხერხი, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს ყველანაირი მოსწავლის პრობლემას ერთნაირად გაუმკლავდეს. დიფერენციაციის თეორია აღიარებს მოსწავლეებს შორის არსებულ განსხვავებებს და მოდალობების გათვალისწინებით სწავლებას განიხილავს, როგორც დიფერენცირებულ მიდგომას. ამაზე დაყრდნობით ნებისმიერი მასწავლისთვის იოლია მიაღწიოს სასწავლო მიზნებს ანუ მასწავლებელს, რომელიც სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებს მოსწავლეებს შორის არსებულ განსხვავებებს, უიოლდება სასწავლო მიზნის შესაბამისი შედეგების მიღწევა (ბოჭორიშვილი, 2014).

აღიარებულია სწავლის შემდეგი მოდალობები: ვიზუალური მოდალობა, სმენითი მოდალობა, კინესთეტიკური მოდალობა, შერეული მოდალობა.

**ვიზუალური მოდალობით შემსწავლელები.** კლასში უმრავლესობა ვიზუალური მოდალობით შემსწავლელია. მათთვის მთავარია „დაინახონ“ შესასწავლი საკითხი, რათა იოლად გაიგონ და გაიაზრონ. ამ მოდალობით შემსწავლელთათვის მასწავლებელმა სწავლებისას უნდა გამოიყენოს ვიზუალური, სასწავლო რესურსები და საშუალებები: სურათები, ინფოგრაფიკები, ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, მულტიმედია რესურსები და საკლასო

ოთახშიც უნდა იყოს ვიზუალიზაციის განხორციელების ხელშემწყობი გარემო და ტექნიკური პირობები (ბოჭორიშვილი, 2014).

ვიზუალურად შემსწავლელებს ტომლინსონი ასე ახასიათებს: სახელების დამახსოვრება მათთვის ცოტა რთულია, მაგრამ ადამიანის სხვა დეტალებს არაჩვეულებრივად აღიქვამენ; ვიზუალურად შემსწავლელები წარმატებით ითვისებენ სასწავლო მასალას, თუ ვიზუალური სახითაა მიწოდებული; ისინი უპირატესობას ანიჭებენ, ტექსტი თვითონ წაიკითხონ; აზრებს უმეტესად ჩანაწერების სახით ალაგებენ; უძნელდებათ მოსმენილი ინსტრუქციების დამახსოვრება; ემოციებს სახის გამომეტყველებით ამჟღავნებენ; უყვართ სახალისო აქტივობები და „ფაზლები“, როდესაც კლასში მასწავლებელს ვიზუალური სტიმული შემოაქვს. ამ მოდალობით შემსწავლელი მოსწავლე იოლადა აღწევს წარმატებას (ბოჭორიშვილი, 2014).

სმენით შემსწავლელები დღეს საკლასო ოთახებში უმცირესობაში არიან. დღევანდელი ტექნოლოგიური ეპოქის და მედიის განვითარების გამოძახილია, რომ ასე შემცირდა იმ მოსწავლეების რიცხვი, რომლებიც სწავლობენ მოსმენით. ისინი ინფორმაციას იღებენ: საუბრის, დიალოგის, ლექციის, დისკუსიის მოსმენით. მაგრამ მათთვის მოსმენასთან ერთად მნიშვნელოვანია ის, რომ მივცეთ საუბრის საშუალებაც (ბოჭორიშვილი, 2014).

სპრენჯერი აღნიშნავს: „როდესაც სმენით შემსწავლელი მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს, ან მაშინაც კი, როდესაც არ კითხულობენ, შეიძლება შენიშნოთ, რომ ისინი ამოდრავებენ ტუჩებს ან ბუტბუტებენ. ზოგადად, ასეთი მოსწავლეებს მიდრეკილება აქვთ ესაუბრონ საკუთარ თავს“ (Sprenger, 2008).

სმენით შემსწავლელები მოსმენილს ზუსტი თანმიმდევრობით ინახავენ მეხსიერებაში და ინფორმაციის აღდგენასაც ასევე ამ თანმიმდევრობით ახორციელებენ. მასწავლებელი თუ სწავლებას მხოლოდ სმენით შემსწავლელთა საჭიროებებს მოარგებს მას სერიოზული პრობლემები შეექმნება სხვა მოდალობის მოსწავლეებთან მიმართებაში.

სმენით შემსწავლელი მოსწავლეები ადამიანთა სახელებს გაცილებით იოლადა იმახსოვრებენ ვიდრე მათ გარეგნულ იერსახეს; არ უყვართ საკლასო ოთახში ერთ

ადგილას დიდხანს ჯდომა; რეაგირებენ ისეთ ფიზიკურ წახალისებაზე, როგორცაა თუნდაც მხარზე ხელის გადასმა (ბოჭორიშვილი, 2014); ურჩევნიათ კონკრეტული თემის შესახებ ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობა, ვიდრე მის შესახებ წაკითხვა. კინესთეტიურად შემსწავლელებს უჭირთ სახეების დამახსოვრება, მაგრამ კარგად იმახსოვრებენ სახელებს.

სმენითი შემსწავლელებისთვის მნიშვნელოვანია, საკლასო ოთახში კომფორტულად იგრძნონ თავი. მათ ხმაურზე იოლად ეფანტებათ ყურადღება. ზეპირსიტყვიერ აქტივობებში ჩართულობას წერითი დავალებები ურჩევნიათ. საკმაოდ კარგად განვითარებული შემოქმედებითი აზროვნება ახასიათებთ.

მკვლევრები კინესთეტიურად შემსწავლელებს ასე ახასიათებენ: მათ უყვართ შექმნაზე ორიენტირებული აქტივობები, იოლად იგებენ შესასწავლ საკითხს და კარგად იმახსოვრებენ, როდესაც კეთებით სწავლობენ; ასეთი სწავლება მათთვის გაცილებით საინტერესოა, ვიდრე უსმინონ მასწავლებელს ან უყურონ, სხვა როგორ ასრულებს დავალებას; პრობლემის გადაჭრის დროს უპირატესობას კინესთეტიურ აქტივობებს ანიჭებენ; მოსწონთ სიმულაციები და არაფორმალურ გარემოში ღია ცის ქვეშ აქტივობები; მათთვის საინტერესოა მოდელირების სავარჯიშოები და აგებენ მოდელებს სხვადასხვა პროექტების თუ აქტივობებისას; ამ მოდალობით შემსწავლელთათვის კომფორტულია ემოციების გამოხატვა „სხეულის ენით“ (Sprengr, 2008).

სპრენჯერი წერს: „ყოველი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს მოძრაობას. აიღეთ ეს მოძრაობა და ხშირად გაიმეორეთ იგი. ბოლოს იგი მუდმივ მეხსიერებად იქცევა“ (Sprengr, 2008). ლექციური გაკვეთილების ჩატარებისას მასწავლებლები გარკვეულ სირთულეებს აწყდებიან ამ მოდალობით შემსწავლელებთან, რადგან ამგვარ მოსწავლეებს მუდმივად სჭირდებათ შეეხონ, გააკეთონ. კინესთეტიურად შემსწავლელებისთვის მნიშვნელოვანია: ჩაერთონ პრაქტიკულ სავარჯიშოში, შეასრულონ კონსტრუქტივისტული აქტივობა. ეს ეხმარება მათ, იოლად გაიაზრონ შესასწავლი საკითხი და სწავლებაში აქტიურად იყონ ჩართულები (ბოჭორიშვილი, 2014).

ყველა ინფორმაცია, რაც კი ადამიანის გონებაში შემოდის, სერიოზულ ფილტრს გაივლის პერცეპტული რეგისტრატორის ან რეტიკულაციური აქტივაციის სისტემის (RAS) საშუალებით. ეს სისტემა უსწრაფესად ახერხებს დაადგინოს, რამდენად ღირს შემოსული ინფორმაციისთვის ყურადღების მიქცევა. თუ სენსორულ მეხსიერებაში შემოსული ინფორმაციული ნაკადი შესაბამის დროში არ იქნება კოდირებული, ის აუცილებლად გაქრება. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა შეძლონ ღირებული ინფორმაციისათვის ყურადღების მიქცევა. მოსწავლეთა გონებაში იმ ინფორმაციის კოდირება ხდება, რასაც აქცევენ ყურადღებას. დიფერენციაციის თეორიის გამოყენება ეხმარება მასწავლებელს, დაგეგმოს აქტივობები სხვადასხვა მოდალობის მოსწავლეებისთვის. მასწავლებელი კლასში ქმნის ეფექტიან სასწავლო გარემოს სხვადასხვა მოდალობით შემსწავლელთათვის და ითვალისწინებს მოსწავლეთა შორის არსებულ განსხვავებებს: ცოდნის, უნარების, მზაობის დონეზე. როდესაც ამა თუ იმ მოსწავლეს მასწავლებელი მიაწოდებს ინფორმაციას ამ მოსწავლისათვის ადეკვატური მოდალობის გათვალისწინებით, მოსწავლე სწრაფად ახერხებს ინფორმაციული ნაკადის კოდირებას და ინფორმაცია არ იკარგება. მთავარია, მასწავლებელმა გამოიყენოს ისეთი სწავლების მეთოდიკა, რომელიც იქნება მრავალფეროვანი, ინტერაქტიური, მოსწავლის საჭიროებებზე და სწავლების მოდალობებზე მორგებული. (ბოჭორიშვილი, 2014).

კლასკომპლექტებში მუშაობისას მასწავლებლის ერთ-ერთი გამოწვევა ისიც არის, რომ როდესაც ის წყვილ აქტივობას გეგმავს და ცდილობს ხშირად ცვალოს აქტივობები მოდალობების გათვალისწინებით მის პრაქტიკაში იქნება ისეთი შემთხვევები, რომ მოსწავლე, რომელიც წერით დავალებას ასრულებს და მეორე კლასში მასწავლებელი ზეპირ აქტივობას წარმართავს თუ ეს მოსწავლე სმენით შემსწავლელია მას ყურადღება მეორე კლასში მიმდინარე აქტივობისაკენ ექნება.

**დიფერენცირებული სწავლების ფორმატები საკლასო ოთახში** საკლასო ოთახში დიფერენციაციის თეორია ორი სხვადასხვა ფორმატით შეიძლება განხორციელდეს (Tomlinson C. A., 2000).

**პირველი ფორმატის მიხედვით,** სასწავლო აქტივობები, სავარჯიშოები, სასწავლო რესურსები, სწავლების მეთოდი ყველა მოდალობით შემსწავლელთათვისაა განკუთვნილი. მეორე ფორმატით მასწავლებელი შესასწავლ თემაზე შექმნილ სავარჯიშოთა ადაპტირებას ახდენს: მოსწავლეთა მზაობის, მოსწავლეთა საჭიროებების, მოდალობების გათვალისწინებით. არის შემთხვევები, როდესაც მოსწავლეთა დაჯგუფებისას გათვალისწინებულია მოდალობები.

პირველი ფორმატი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ მოსწავლეს ყველა მოდალობით შეუძლია სწავლა, მაგრამ ერთი მოდალობა არის დომინანტური. სწავლებაში ამ ფორმატის გამოყენებისას სწავლების ეფექტიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად მოახერხებს მასწავლებელი აქტივობების მიმდინარეობისას დიფერენციაციის თეორიის პრინციპების დაცვას.

მეორე ფორმატი ეფუძნება იმ ლოგიკას, რომ მოსწავლემ მისთვის დომინანტური მოდალობით უნდა ისწავლოს. ამ ფორმატის ეფექტიანობას განსაზღვრავს ორი ფაქტორი:

1. მოსწავლეთა დომინანტური მოდალობის მიხედვით ჯგუფების წარმატებით დაკომპლექტება;
2. კონკრეტული მოდალობის გათვალისწინებით სასწავლო აქტივობის სწორად ადაპტირება.

სასწავლო პრაქტიკაში მეორე ფორმატი შედარებით უფრო პოპულარულია. ამის მიუხედავად, განათლების სფეროს მკვლევრები და სპეციალისტები ხაზს უსვამენ პირველი ფორმატის ეფექტურობასაც. ასაკობრივი განვითარების თეორიები ადასტურებს და პრაქტიკაც აჩვენებს, რომ ასაკის მატებასთან ერთად შერეული მოდალობით სწავლების ხარისხი მზარდია. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დომინანტი მოდალობა ადამიანს სიცოცხლის ბოლომდე უნარჩუნდება. შესაძლებელია, მასწავლებელმა დაგეგმოს გაკვეთილი იმ მოსაზრებაზე დაყრდნობით, რომ მოსწავლე ყველა მოდალობით სწავლობს, მაგრამ აქტივობების დონეზე გამოჩნდეს, თუ რომელი მოსწავლისთვის რა მოდალობაა დომინანტური. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოცემულობას, რომ დიფერენციაციის თეორიის რეალიზება აქტივობების დონეზე ხდება. სწორად დაგეგმილი და

განხორციელებული აქტივობები საშუალებას აძლევს სხვადასხვა მოდალობით მსწავლელ მოსწავლეს მოახდინოს შესასწავლი თემის გააზრება - ანალიზის, სინთეზის და შეფასების დონეზე და მიღებული ცოდნა გახადოს თვისობრივად პროცედურული და ფუნქციური. (Sprenger, 2008).

იმის შემდეგ, რაც მოსწავლე მიიღებს და გადაამუშავებს ახალ ინფორმაციას, გაატარებს გონების ფილტრში, იქმნება ახალი ცოდნის სტრუქტურა. ამ პროცესს განსაზღვრავს ფაქტორები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეს, უკეთესად შეძლოს მასალის გააზრება. ამ პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის მასწავლებელი სხვადასხვა როლს ასრულებს: 1. მასწავლებელი, სასწავლო აღმოჩენებისას ხშირად არის მოსწავლის კოლეგა 2. ხშირად მასწავლებელი ამა თუ იმ მოსწავლისთვის მწვრთნელია. 3. ხშირად მასწავლებელი მოსწავლის წამქეზებელია. 4. ზოგჯერ მასწავლებელი თავის მოსწავლეს წაკითხულის და მოსმენილის შინაარსის გამოტანაში ეხმარება. მასწავლებლის მრავალფეროვანი როლები დიფერენცირებული სწავლების თანმდევი პროცესია და ეს ბუნებრივია, დიფერენციაციის თეორია ხომ თითოეული მოსწავლის უნიკალურობას და მოსწავლეებს შორის არსებულ განსხვავებებს აღიარებს (Sprenger, 2008).

კლასკომპლექტის მასწავლებელი, კლასკომპლექტში მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დიფერენციაციის თეორიის ორივე ფორმატს იყენებს საკლასო ოთახში, რაც მას ეხმარება სასწავლო მიზნების მიღწევაში.

**დიფერენცირებული სწავლების მოდელები** იმისათვის, რომ მასწავლებელი გაუმკლავდეს ჰეტეროგენული კლასის შიგნით არსებულ მრავალფეროვნებას, მან უნდა შეწყვიტოს ჰომოგენურ კლასზე გათვლილი სასწავლო მეთოდების გამოყენება (Darling-Hammond, 2006; Santangelo & Tomlinson, 2009). ამ ყველაფრის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია მასწავლებელი იცნობდეს და იყენებდეს დიფერენცირებული სწავლების მოდელებს.

განათლების ცნობილი მკვლევრები გვთავაზობენ დიფერენცირებული სწავლების მოდელებს: 1. ტომლინსონის მოდელი (2017), 2. ჰოლის მოდელი (2002), 3. ლოურენს-ბრაუნის მოდელი (2004).

1. ტომლინსონის დიფერენცირებული სწავლების მოდელის (2017) ჩარჩო ფოკუსირებულია ნასწავლის გააზრებაზე და მასწავლებლის რწმენაზე, რაც ეყრდნობა იმ იმპლიციტურ შეხედულებას, რომ მასწავლებელმა წარმატებული სწავლებისთვის უნდა მოახდინოს: 1. სწავლების დაკავშირება კონკრეტულ პრაქტიკასთან; 2. კონსტრუქტივისტული სწავლების დანერგვა პრაქტიკაში; 3. მოსწავლეთა სხვადასხვა შესაძლებლობის გათვალისწინება.

ამ მოდელის მიხედვით, მასწავლებლის რწმენა, თავდადება და პედაგოგიური შეუპოვრობა იწვევს მოსწავლის წინსვლას, რადგან ავითარებს მოსწავლის აზროვნებას და იწვევს მოსწავლის წარმატებას. მასწავლებლის რწმენა გავლენას ახდენს სწავლების მიდგომებზე. მასწავლებლის რწმენა ფილტრის ფუნქციას ასრულებს და მასწავლებელი ახდენს სწრაფ ლავირებას - მას შეუძლია შეცვალოს სწავლება და მოარგოს მოსწავლის საჭიროებას. ეს კი ავითარებს ჰეტეროგენული კლასის მოსწავლეებს სოციალურ-ემოციური და კოგნიტური მიმართულებით, რაც აისახება მათი კომპეტენციის ზრდაზე.

ამ მოდელის მიხედვით მასწავლებელმა კარგად უნდა იცოდეს საკუთარი მოსწავლეების მზაობა, ინტერესები და შესაძლებლობები, რომ ამის საფუძველზე მოახდინოს სასწავლო გეგმის ელემენტების დიფერენციაცია შინაარსის, პროცესის ან პროდუქტის დონეზე (Tomlinson C. , 2014; Tomlinson C. , 2005a; Tomlinson C. , 2005).

ტომლინსონმა, ამ მოდელის ფარგლებში, დიფერენცირებული სწავლების დანერგვის გასაადვილებლად შემოგვთავაზა სასწავლო სტრატეგიები: სასწავლო ცენტრები, სასწავლო ხარაჩოები, მცირე ჯგუფებში სწავლა-სწავლება, მრავალდონიანი სასწავლო სავარჯიშოები, ალტერნატიული დავალებები, ცხოვრებისეული კონტექსტის სავარჯიშოები, სავარჯიშოები რეალური სამყაროს აღქმაზე.

2. ჰოლის დიფერენცირებული სწავლების მოდელი (Hall, 2002) უპირატესობას ანიჭებს მოსწავლეთა შეფასებას, როგორც დიფერენცირებული სწავლებისთვის საწყის წერტილს. მნიშვნელოვანია განისაზღვროს მოსწავლის ფონური ცოდნა, უნარები, გაგება-გააზრების შესაძლებლობა, დამოკიდებულებები, ინტერესები და სწავლის სტილი (Tomlinson C. , 2001). მკვლევარი ნათლად განმარტავს, რომ

მოსწავლეთა ცოდნის დონისა და უნარების დასადგენად სასურველია გამოვიყენოთ არა სტანდარტიზებული ტესტები, არამედ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები. ამ ინსტრუმენტებით უნდა დადგინდეს: ა) მოსწავლეთა შორის განსხვავებები სწავლის სტილის, ტემპის, ინტერესებისა და გაგება გააზრების დონის მიხედვით; ბ) როგორ დაიგეგმოს პროცესის, პროდუქტისა და მასალის/შინაარსის დიფერენცირება. ჰოლი უპირატესობას ანიჭებს მრავალდონიანი სავარჯიშოების გამოყენებას და ჰეტეროგენულ კლასში მოსწავლეთა მოქნილ დაჯგუფებას.

3. ლოურენს-ბრაუნის (2004) მოდელი ფოკუსირებულია სასწავლო გეგმის ადაპტირებაზე. მოდელი გვთავაზობს სამდონიან სასწავლო მიზნებს სუსტი, ძლიერი და საშუალო დონის მოსწავლეებისათვის. მაღალი დონის მოსწავლეებისთვის შექმნილი ადაპტირებული გეგმა გულისხმობს, რომ მათ უნდა იმუშაონ გამდიდრებული სასწავლო გეგმით, რომელიც მოიცავს დამატებით გამოწვევებს, როგორცაა, მაგალითად, კოლაბორაციულ ჰეტეროგენულ ჯგუფებში ინდივიდუალური როლების მორგება (Lawrence-Brown, 2004). ინტეგრირებული სასწავლო პროექტები, ჰოლისტიკური აქტივობები. სუსტი მოსწავლეებისთვის ადაპტირებული სასწავლო გეგმა მოიაზრებს მანიპულატივების, მიმანიშნებლების, ხარაჩოების გამოყენებას, რათა მოსწავლეები შესასწავლ საკითხებში დისექვილიბრიუმიდან გადავიდნენ ექვილიბრიუმის მდგომარეობაში. იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს მიღწეული სასწავლო მიზანი, დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტულ დონეს ჰეტეროგენული კლასის მოსწავლეთა განსხვავებული ქვეჯგუფებისათვის.

დიფერენცირებული სწავლების თეორიის ფარგლებში შექმნილი სამივე მოდელი (ტომლინსონის, ჰოლის, ლოურენს-ბრაუნის) თანხმდება დიფერენცირებულ სწავლების წინაპირობებზე და პრინციპებზე. ტომლინსონი აქცენტს აკეთებს შინაარსის, პროცესისა და პროდუქტის ადაპტირებაზე(2017), ჰოლი (2002) გვთავაზობს სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიას, როგორც დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკას. ლოურენს-ბრაუნის (2004) მოდელი ფოკუსირებულია სასწავლო გეგმის ადაპტირებაზე იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს მიღწეული სასწავლო მიზანი. დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკა უნდა შეესაბამებოდეს


სტანდარტულ დონეს ჰეტეროგენული კლასის მოსწავლეთა განსხვავებული ქვეჯგუფებისათვის.

### *1.5 საკლასო მენეჯმენტი დიფერენცირებული სწავლებისთვის*

როგორც კვლევები ადასტურებს, საკლასო მენეჯმენტი არის დიფერენცირებული სწავლების წარმატებით განხორციელების საკვანძო ფაქტორი. მასწავლებლებმა უნდა გააცნობიერონ რუტინა და კლასის მართვის პროცედურები (Tomlinson, C. A., Imbeau, M. B., 2010) რათა მოსწავლეებმა და მოსწავლეთა ჯგუფებმა შეძლონ ერთდროულად იმუშაონ სხვადასხვა დავალებასა და მასალაზე, მონაწილეობა მიიღონ სასწავლო აქტივობებში. ურთიერთპატივისცემის კულტურა აუცილებელია დიფერენცირებული სწავლებისას ჰეტეროგენულ კლასში. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელს კარგად ესმოდეს თანამშრომლობითი სწავლების არსი. ეს საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გაიგონ, რამდენად მნიშვნელოვანია მათი ამა თუ იმ ჯგუფში მუშაობა (Tomlinson, C. A., Imbeau, M. B., 2010). მასწავლებელი მუდმივად უნდა დააკვირდეს დიფერენცირებულ საკლასო ოთახში მომუშავე ჯგუფებს და ამ დაკვირვებაზე დაყრდნობით მის მიერ გამოყენებული უკუკავშირი უნდა იყოს მოქნილი. ჯგუფურ მუშაობას გარკვეული ხმაური ახლავს, რომლის მართვაც აუცილებელია. ხმაურის მართვის სისტემის შემუშავება და გამოყენება დიფერენცირებული სწავლებისას კლასის მართვის მთავარი კომპონენტია (Jensen, 2008).

**PIP პირამიდის გამოყენებით გაკვეთილის ჩატარებაში** იგულისხმება კლასის მართვისას პრობლემების პრევენცია, კლასის მართვისას წარმოქმნილი პრობლემის დროს დროულად და სწორად განხორციელებული ინტერვენცია, რასაც მივყავართ მოსწავლეთა პიროვნულ ზრდამდე (Jensen, 2008). აღსანიშნავია, რომ მოქმედ მასწავლებელთა უმრავლესობა აღნიშნული ფაქტორებიდან მხოლოდ ერთზე ან ორზე ახდენს ფოკუსირებას. ზოგიერთი კი არც ერთ მათგანს არ აქცევს ყურადღებას. რასაც მოჰყვება გარკვეული პრობლემების წარმოქმნა კლასის მართვისას. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კლასის მართვის დროს პირამიდის სამივე კომპონენტს

გავუწიოთ ანგარიში. PIP სამნაწილიანი პირამიდა ასე გამოიყურება. იხილეთ სურათი 1. PIP პირამიდა, წყარო:



სურათი 1. PIP პირამიდა, წყარო: (Jensen, 2008)

**პრევენცია – 60%:** კლასის მართვისას პრევენციულ ღონისძიებებს დროის დიდი ნაწილი უნდა დაეთმოს (60%), შემდეგ თანდათან მოხდეს მისი შემცირება.

განათლების მკვლევრები მასწავლებლებს ურჩევენ, გამოიყენონ პრევენცია შემდეგნაირად: შექმნან სასწავლო გარემო, განავითარონ პროცედურა, მოსწავლეებთან ერთად შეიმუშაონ წესები მოსწავლეების ჩასართავად, მიმართონ უფრო ეფექტიან სწავლებას, პროცესში აქტიურად გამოიყენონ რიტუალები.

ქცევის წესის დარღვევისას, თუ მასწავლებელი თავის მოსწავლეებთან მათთან შეთანხმებული ქცევის წესების გარეშე მოახდენს რეაგირებას, ქაოსი არ ასცდება. კლასის მართვის საკითხებზე მომუშავე მკვლევრები ხშირად აღნიშნავენ, რომ მასწავლებლის მიერ შემუშავებული პრევენციის სისტემა უნდა იყოს “ჰაერგაუმტარი, წყალგაუმტარი და კარგად მოფიქრებული”. მასწავლებლის მიერ შემუშავებული პრევენციის სისტემა უნდა ემთხვეოდეს ამ კლასის მოსწავლეთა ასაკობრივ-ემოციურ-კოგნიტიური განვითარებისთვის დამახასიათებელ მონაცემებს, კლასის მართვის თეორიებს და არ უნდა იყოს წინააღმდეგობაში კლასის მართვის თეორიულ ჩარჩოსთან. პრევენციის სისტემამ ნეგატიური ემოციური კვალი არ უნდა დატოვოს მოსწავლეში. ყველა მასწავლებელი უნდა მოერიდოს კლასში სიმშვიდის დამყარებას იმის ხარჯზე, მოსწავლეს ნეგატიური დამოკიდებულება გაუჩნდეს მასწავლებლის, საგნის, სკოლის მიმართ. კლასის მართვის საკითხების მკვლევრები პრევენციისთვის

გვთავაზობენ ხუთ ძირითად ნაბიჯს: 1. პოზიტიური საკლასო გარემოს შექმნა; 2. პროცედურები; 3. მოსწავლეებთან ერთად ქცევის წესების შექმნა და მათ დაცვაში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა; 4. უფრო გონივრულის სწავლების გამოყენება; 5. რიტუალები (Jensen, 2008).

**ინტერვენცია - 30%:** ინტერვენცია მიმდინარე პროცესია. მისი ძირითადი ნაწილი შეუმჩნევლად უნდა გადნაწილდეს გაკვეთილზე. მკვლევრების მიერ შემოთავაზებული რჩევების მიხედვით, ინტერვენციის მიზანი უნდა იყოს: ამა თუ იმ სასწავლო პროცედურაზე ყურადღების თავიდან კონცენტრირება, სტაბილური სასწავლო გარემოს შენარჩუნება შეთანხმებული წესების დაცვით.

მასწავლებელი მაშინ გადადის პრევენციიდან ინტერვენციაზე, როდესაც კლასის მართვაში აქვს პრობლემა. თუ ინტერვენცია შეუმჩნევლად მიმდინარეობს ის იდეალურია, რადგან მოსწავლეები ბუნებრივად იცლიან ქცევას და გაკვეთილი წარმატებულად გრძელდება. ასეთ დროს მოსწავლეები ვერც კი ხვდებიან, რომ ინტერვენცია მიმდინარეობს. თუმცა არის შემთხვევები, როცა ინტერვენცია აშკარაა და მასზე დისკუსიაც კი იმართება.

ინტერვენციის რამდენიმე ტიპი არსებობს. მათგან სამი არის ძირითადი, ხოლო ორი – სპეციალური. იხილეთ

ცხრილი 1. ინტერვენციის ტიპები, წყარო: :

ინტერვენციის ძირითადი ტიპები	ინტერვენციის სპეციალური ტიპები
1. ჩასმული ინტერვენცია 2. გადამისამართებული სტრატეგიები 3. გარეგნული რეკონცენტრაცია სპეციფიკურ პროცედურებზე	1. შეგუება და ადაპტაცია 2. მკაცრი საუბრები

ცხრილი 1. ინტერვენციის ტიპები, წყარო: (Jensen, 2008)

**ჩასმული ინტერვენციისას** მასწავლებელი: ცვლის დავალების ტიპს და შინაარსს; მოსწავლეებს სთავაზობს განტვირთვის სავარჯიშოებს; საუბრისას ცვლის ინტონაციას; ოთახში ქმნის აქტივობისთვის ახალ სამოდრაო ზონებს; მოსწავლეთა ყურადღება სწრაფად გადააქვს ერთი საკითხიდან მეორეზე; იწყებს დისკუსიის ფასილიტაციას.

ჩასმული ინტერვენციის მიმართულებით, დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის პოპულარულია შემდეგი რეკომენდაცია - მოსწავლე, რომელიც არღვევს წესრიგს შეგვიძლია მარტივი დავალება მივცეთ და ვთხოვთ აიღოს მასწავლებლის მაგიდიდან დიდი წიგნი და მიუტანოს მასწავლებელს საკლასო ოთახის მეორე ბოლოში. მოსწავლეს, რომელსაც ხელში დიდი ზომის წიგნი უჭირავს ყურადღება მასზე გადააქვს და ხდება ერთგვარი განმუხტვა.

**გადამისამართებული სტრატეგიების გამოყენებისას** მართალია მოსწავლეები ხვდებიან, რომ მასწავლებელი რაღაცას აკეთებს მათ დასაწყენებლად, მაგრამ არცერთი ბავშვი არ იგრძნობს თავს სხვა ბავშვებისაგან გამორჩეულად და ბუნებრივად გრძელდება ეს გაკვეთილი.

**კლასის მართვის სპეციალისტები გვთავაზობენ გადამისამართებული სტრატეგიებს, რომლებიც** ეხმარება მოქმედ მასწავლებელს ისე დაარეგულიროს კლასის მართვის საკითხები, რომ არანაირი ნეგატიური აქცენტი არ შესძინოს გაკვეთილს. გადამისამართებული სტრატეგიების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კლასკომპლექტებში მუშაობისას, რადგან ორი კლასის მართვა მაშინ, როდესაც ამ კლასებს სხვადასხვა აქტივობებს სთავაზობს მასწავლებელი განსაკუთრებით საყურადღებოა და აქტუალური ხდება კლასის მართვისას წარმოქმნილი პრობლემების ინტერვენცია, სწორედ გადამისამართებული სტრატეგიებით. ეს სტრატეგია:

1. მასწავლებელს შეუძლია საუბრისას წინადადებაში ჩასვას იმ მოსწავლის ან მოსწავლეების სახელები, რომელთა ქცევაშიც არასათანადო მომენტები შენიშნა.
2. რეკომენდებულია, მასწავლებელი რომელიმე ხელისშემშლელ მოსწავლეს, ოდნავ შეეხოს მხარზე ან მასთან ახლოს მივიდეს.

3. მასწავლებლის მოსწავლესთან ახლოს დგომა იმ მოსწავლეზე ჭრის, რომლის მიზანი მასწავლებელთან კომუნიკაციის შენარჩუნებაა და არა კომუნიკაციის რღვევა, ან ძალაუფლების მოპოვება.

4. ეფექტურია, რომ მასწავლებელმა გამოიყენოს სქემები ქულების ასახვისთვის, რომელშიც კარგად ჩანს, როგორ შეიძლება ავნოს მოსწავლემ საკუთარ ქულებს არასასურველი საქციელით.

5. ეფექტურია მითითება არა მოსწავლეზე, არამედ ხელისშემშლელ საგანსა თუ სიტუაციაზე.

6. რეკომენდებულია მასალის გადაცემა შეცვლილი ხმის ტემბრით მოსწავლეების ყურადღების მისაპყრობად.

7. რეკომენდებულია მასწავლებელმა გამოიყენოს მიდგომა „ცხელი წერტილი“, რომელიც არის ერთგვარი სივრცითი მარკერი. ის საშუალებას აძლევს მასწავლებელს არავერბალური ხერხით მიანიშნოს ხელისშემშლელ მოსწავლეს შეუსაბამო ქცევა. მასწავლებელი მიდის საკლასო ოთახის ერთ-ერთი კუთხისკენ, რაც მიანიშნებს ბავშვებს, რომ მასწავლებელი სერიოზულად განაწყენდა. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა შეინარჩუნოს სიმტკიცე, ზომიერად გამოიყენოს - საკვანძო ფრაზები, ჟესტები და თვალთ კონტაქტი, რადგან მიდგომამ ეფექტი არ დაკარგოს (Jensen, 2008).

წარმატებული კლასის მართვის უზრუნველყოფა ძირითადად პრობლემების პრევენციით ხდება. პრობლემების პრევენცია არის ის მიდგომა, რაც ეხმარება როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს სასწავლო შედეგებზე ფოკუსირებაში.

**პიროვნული ზრდა – 10%.** მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მოქმედი ფაქტორებიდან აღსანიშნავია მოსწავლეთა პასუხისმგებლობის მაღალი დონე. კლასის ეფექტიანად მართვისას, როდესაც ხდება პასუხისმგებლობის მასწავლებლიდან მოსწავლეზე ნაბიჯ-ნაბიჯ გადაცემა და ამ გზით კლასის მართვაში მოსწავლის ჩართულობის გაზრდა, ეს მოსწავლეს უვითარებს თვითმართვის უნარებს, რაც განსაზღვრავს მოსწავლის პასუხისმგებლობას და განსაზღვრავს პიროვნულ ზრდას (Jensen, 2008).

კლასის მართვისას PIP პირამიდის გამოყენება გულისხმობს აქცენტს პრევენციაზე, საჭიროებისას ინტერვენციაზე გადასვლას და კლასის მართვის სტრატეგიების ორიენტირებას მოსწავლეთა პიროვნულ ზრდაზე. კლასკომპლექტის მასწავლებელმა კლასის მართვისას პირამიდის ცალკეული კომპონენტის გათვალისწინების ნაცვლად, ჰოლისტურად უნდა შეხედოს პირამიდის გამოყენებას. PIP პირამიდის სასწავლო პროცესში იმპლემენტაციის მთავარი პარადიგმა პრევენციული მიდგომების ხაზგასმია, რაც პოზიტიური სასწავლო კლიმატის შექმნას განსაზღვრავს. PIP პირამიდა საშუალებას იძლევა, მასწავლებელმა სწორად განახორციელოს ეფექტიანი ინტერვენციები. წარმატებული პრევენციული და ინტერვენციული ჩარევები განსაზღვრავს მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას.

კლასკომპლექტში მუშაობისას PIP პირამიდის გამოყენება აუცილებელია. პრევენცია - კლასკომპლექტში სწავლებისას წყვილი სტრატეგიების სწორად დაგეგმვით მიიღწევა.

საქართველოს გეოგრაფიული მოწყობიდან გამომდინარე კლასკომპლექტები გასული საუკუნის საბჭოთა პერიოდშიც არსებობდა. იმ პერიოდში ქართველი პედაგოგები კლასის მართვაში პრევენციულ მიდგომებს სტრატეგიების დაწყვილებისას ზეპირი და წერიტი დავალებების მონაცვლეობით აღწევდნენ.

II კლასი	IV კლასი
ზეპირი დავალება	წერიტი დავალება
წერიტი დავალება	ზეპირი დავალება
წერიტი დავალება	წერიტი დავალება

I კლასი	III კლასი
ზეპირი დავალება	წერიტი დავალება
წერიტი დავალება	ზეპირი დავალება
წერიტი დავალება	წერიტი დავალება

წყვილი სტრატეგიის სწორად დაგეგმვაში მოიაზრება, რომ კლასკომპლექტში შემავალ ორივე კლასს სასწავლო მიზნის მისაღწევად: სწორად შევურჩიოთ სტრატეგია; მოვიმარაგოთ, ამ სტრატეგიის რეალიზებისთვის საჭირო რესურსები;

გავითვალისწინოთ მოსწავლეთა წინარე ცოდნა და მოსწავლეთა ინტერესები. დღევანდელი მასწავლებელი ფლობს სწავლების მრავალფეროვან ინტერაქტიურ მეთოდებს და ამ ყველაფრის გათვალისწინებით კლასკომპლექტის მასწავლებელს შეუძლია პრევენციული მიდგომის გამოყენებით ეფექტიანად დაგეგმოს გაკვეთილზე წყვილი სტრატეგიები.

**PIP პირამიდის მიხედვით პრევენციისთვის - წყვილი სტრატეგიები  
კლასკომპლექტებში გამოსაყენებლად**

II კლასი	IV კლასი	I კლასი	III კლასი
სასწავლო გაჩერებები	ტექსტზე მუშაობა- მარკირებით	სასწავლო ცენტრები	დისკუსია
სასწავლო ცენტრები	სასწავლო ცენტრები	აპლიკაციის შექმნა	გაჩერებები თ სწავლა
კოგნიტურ სქემაზე მუშაობა	პრეზენტაცია	ჯაჭვური თხრობა	რაფთ მეთოდი
მანიპულაცივები	ლექსების პრეზენტაცია	ნაწარმოების ეპიზოდის სიმულაცია	რეპორტაჟი ს წერა
მრავალდონიანი დავალება	მრავალდონიანი დავალება	შეკითხვები მიმანიშნებელი ნახატებით	ოთხი კუთხე
ღია კითხვებით მასალის გამოკითხვა	მაკეტის შექმნა	გაჩერებები თ სწავლა	ინფორგრაფიკის დამზადება
სასწავლო მენიუ	სასწავლო მენიუ	დიორამები	ნამდვილი და გამონაგონი
ცხელი სკამი	პერსონაჟის რუკა	კომიქსები	ფრეიერის სქემა
ფერადი სტიკერები	მთავარი სიტყვები	გამოტოვებული სიტყვები	ლექსი
ჯაჭვური თხრობა	კომიქსების შექმნა	მაღაზიოზანა	ნამდვილი-გამონაგონი
ეპიზოდის აპლიკაციის შექმნა	აზროვნების 3 სკამი	რაფთ მეთოდი	გონებრივი იერიში

შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ PIP პირამიდის სახით მასწავლებელს ხელთ აქვს ინსტრუმენტი, რომელიც მოსწავლეს პიროვნულ ზრდაში

ეხმარება, ხოლო მასწავლებელს პროფესიულ განვითარებაში. PIP პირამიდის გამოყენება ძალიან ეფექტიანია ჰეტეროგენულ კლასებში, კლასკომპლექტებში.

### *1.6 ეროვნული სასწავლო გეგმა და კლასკომპლექტები*

საქართველოში კლასკომპლექტები ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდისას არსებობდა და კლასკომპლექტის მასწავლებლები პერიოდულად გადამზადების კურსებს გადიოდნენ, მათთვის იმდროინდელი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები ამზადებდნენ მეთოდურ ბროშურებს, რომლებიც მოიცავდა კლასკომპლექტში მუშაობის რეკომენდაციებს. ეს ყველაფერი ცენტრალიზებულად რეგულირდებოდა. საქართველოში კლასკომპლექტებში მუშაობის ტრადიცია და გამოცდილება სწორედ იმ პერიოდიდან იწყება. აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში პედაგოგიურ ინსტიტუტებში პროგრამულად სხვადასხვა დოზით ისწავლებოდა კლასკომპლექტებში მუშაობის თავისებურებები. კლასკომპლექტები, როგორც მაშინ ასევე დღეს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის საშუალებაა. საინტერესოა, გავაანალიზოთ პირველი, მეორე და მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ის ჩანაწერები, რომლებიც კლასკომპლექტების შექმნას და ფუნქციონირებას არეგულირებს.

მოგეხსენებათ, რომ 2004 წლის 18 ოქტომბერს საქართველოს მთავრობამ №84 განკარგულებით დაამტკიცა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი. ის არის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი და მასში აღწერილია ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის სასურველი შედეგი (საქართველოს მთავრობა, 2004). ეროვნული სასწავლო გეგმა სწორედ ამ დოკუმენტს ეფუძნება და მისი ძირითადი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ეროვნული სასწავლო მიზნების მისაღწევისთვის შექმნას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემო და მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები.

„ეროვნული სასწავლო გეგმა არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხურისათვის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ და

მაქსიმალურ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებების აღწერას“ (საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, 2005 წლის 8 აპრილი, მუხლი 2).

პირველი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა 2006 წელს დამტკიცდა და 2006-2010 წლებში ფუნქციონირებდა. მისი რევიზიის შემდეგ შემუშავდა მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის დანერგვის ვადად განისაზღვრა 2011-2016 წლები. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიაზე დაიწყო მუშაობა და მომზადდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის დანერგვის პერიოდად განისაზღვრა 2018-2024 წლები.

სხვადასხვა თაობის ეროვნული სასწავლო გეგმების დამტკიცების ინფოგრაფიკა შემდეგნაირად გამოიყურება

წლები	2006-2010	2011-2016	2018-2024
ინფორმაცია	ესგს პირველი რედაქცია	ესგს მეორე რედაქცია	ესგს მესამე რედაქცია

ქვეყანაში არსებული კონტექსტის შესაბამისად ქრონოლოგიურად განვიხილოთ სხვადასხვა თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ის მუხლები, რომლებიც არეგულირებს საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის მცირეკონტინგენტთან სკოლებში კლასკომპლექტების არსებობას და ფუნქციონირებას.

2005 წელს დაიწყო პირველი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პილოტირების პროცესი და 2006 წელს მას მოჰყვა დანერგვის პროცესი.

პირველი თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში გვხვდება შემდეგი ჩანაწერი: „მცირეკონტინგენტთან სკოლებში ხშირად კეთდება კლასკომპლექტები. ჩვენთან არსებული საგანმანათლებლო ტრადიციის შესაბამისად, კლასკომპლექტების შექმნა მიზანშეწონილია მხოლოდ ორი ასაკობრივი ჯგუფის გაერთიანებით და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივად მოსწავლეთა რაოდენობა არ აჭარბებს 20-ს.

კლასკომპლექტები ძირითადად კეთდება I-III, II-IV კლასების გაერთიანებით. ორზე მეტი კლასის გაერთიანებამ კლასკომპლექტში შესაძლებელია მნიშვნელოვნად აზარალოს სასწავლო პროცესი და გამოიწვიოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიუღწევლობა“ (საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2006).

კლასკომპლექტების ტრადიცია საქართველოში საბჭოთა პერიოდიდან არსებობს, ამას მოსწავლეთა რაოდენობის სიმცირე და გეოგრაფიული აუცილებლობა განაპირობებდა. მცირეკონტინგენტიანი, მცირეზღვრული სკოლები არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსების ოპტიმიზაციას მიმართავენ და მაღალმთიან რეგიონებში მოსწავლეებს განათლების მიღების შესაძლებლობას აძლევენ. ასეთი სკოლები ძირითადად მაღალმთიან რეგიონებში მოწყვლად თემებშია. კლასკომპლექტები სოფელში სკოლის შენარჩუნების საშუალებაა. მაგალითად, თუ გადავხედავთ საქსტატის მონაცემებს 2005-2006 წლებში რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში 72 სკოლაში 5376 მოსწავლე სწავლობდა, ხოლო 2022-2023 სასწავლო წელს 68 სკოლაში - 2883 (საქსტატი, 2023). მოსწავლეთა რაოდენობა თითქმის განახევრდა, მაგრამ სკოლების რაოდენობა სწორედ კლასკომპლექტების ხარჯზე შენარჩუნდა.

პირველი თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებულ ჩანაწერში განსაზღვრულია, რომ კლასკომპლექტში მოსწავლეთა ზედა ზღვარი 20 მოსწავლეს არ უნდა აღემატებოდეს და ასევე განსაზღვრულია დაწყებით კლასებში კლასების დაჯგუფება და ის, რომ არ შეიძლება კლასკომპლექტში ორ კლასზე მეტის გაერთიანება, რადგან ეს გარკვეულ რისკს ქმნის, რომ კლასკომპლექტის მოსწავლეები ვერ მიაღწევენ ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებს.

2010-2011 წლის ეროვნულ სასწავლო გეგმაში, თავში „მოსწავლეთა რაოდენობა“, კლასკომპლექტებზე გვხვდება უფრო ვრცელი ჩანაწერი: „მცირეკონტინგენტიან სკოლებში ხშირად იქმნება კლასკომპლექტები. კლასკომპლექტების შექმნა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუ ერთ კლასკომპლექტში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა არ აღემატება 20-ს.

კლასკომპლექტებში სწავლების მეთოდოლოგია განსხვავებულია ერთი ასაკის მქონე მოსწავლეებთან მუშაობისგან. კლასკომპლექტში მასწავლებელი სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებს განსხვავებული სირთულის მქონე დავალებებს აძლევს. რადგან ეს მასწავლებელს საშუალებას აძლევს, გამოიყენოს სწავლების ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობას, ავითარებს სოციალურ უნარ-ჩვევებს, ასწავლის მოსწავლეებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან ურთიერთობას. მასწავლებელს შეუძლია დაგეგმოს ისეთი აქტივობები, რომელთა შესრულებისას მაღალი კლასის მოსწავლეები დაეხმარებიან დაბალი კლასის მოსწავლეებს“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010).

ეროვნული სასწავლო გეგმის ამ ჩანაწერს, წინა ჩანაწერისგან განსხვავებით, დამატებული აქვს მეორე აბზაცი, რომელიც რეალურად არის განმარტება კლასკომპლექტში სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით და აქცენტი კეთდება სხვადასხვა კლასის მოსწავლეთა კოლაბორაციაზე და მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების მომზადების აუცილებლობაზე.

2011 წლის 11 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ №36/ნ ბრძანებით დამტკიცდა მეორე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის ერთ-ერთ მუხლში (მუხლი 4. მოსწავლის რაოდენობა საჯარო სკოლაში) ოთხ თანმიმდევრულ პუნქტად - 11,12,13,14 - გაწერილი იყო კლასკომპლექტების შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2011).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩანაწერი უცვლელად გადავიდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024) მეჩვიდმეტე მუხლში:

განვიხილოთ 2018-2024 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმის ის პუნქტები, რომლებიც კლასკომპლექტს ეხება.

მერვე პუნქტში არსებული ჩანაწერიდან იკვეთება, რომ იმ კლასებში, სადაც ერთი ან ორი მოსწავლეა, სხვა კლასთან იქმნება კლასკომპლექტი. თუ წინა თაობების ეროვნულ სასწავლო გეგმაში კლასკომპლექტში მოსწავლეთა მაქსიმალურად დასაშვები რაოდენობა იყო 20 მოსწავლე, მეორე და მესამე თაობის ეროვნულ

სასწავლო გეგმაში კლასკომპლექტში მოსწავლეთა მაქსიმალურ რაოდენობად განსაზღვრულია 10 მოსწავლე.

მეცხრე პუნქტში განხილულია, რომელი კლასების გაერთიანებითაა რეკომენდებული კლასკომპლექტების შექმნა და აქ მთავარი რეკომენდაცია ეხება საფეხურის შიგნით კლასების გაერთიანებას. ამავე პუნქტში არის მოცემული სხვადასხვა ვარიაციები დაწყებითი კლასების შემთხვევისათვის და რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ სასურველია კლასკომპლექტში გაერთიანდეს მხოლოდ ორი კლასი. თუმცა ეს პუნქტი შეიცავს დაზუსტებას და განმარტავს, რომ ორ კლასზე მეტის გაერთიანება დასაშვებია სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფების გაკვეთილებზე.

მეათე პუნქტში განმარტებულია, რომ კლასკომპლექტის მოსწავლეს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს ყველა საგნის იმ რაოდენობის გაკვეთილები, რომელიც დადგენილია დამტკიცებული საათობრივი ბადით.

მეთერთმეტე პუნქტში აქცენტი კეთდება იმ მთავარ მეთოდურ მიდგომაზე, რომელიც უნდა გამოიყენოს კლასკომპლექტის მასწავლებელმა სწავლა-სწავლების დროს, ანუ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე. იგივე ჩანაწერი იყო 2011-2016 წლების მოქმედ ეროვნულ სასწავლო გეგმაში და საინტერესო იქნება ამ კონტექსტში იმ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების შესწავლა, რომლითაც ასწავლიან დაწყებითი კლასების მასწავლებლები.

თუ შევაჯამებთ, ესგს სამივე რედაქციაში არის ჩანაწერი, რომლითაც რეგულირდება კლასკომპლექტების ჩამოყალიბების პროცესი. ესგ პირველ რედაქციაში არსებულმა ჩანაწერმა განიცადა ცვლილებები იმ კუთხით, რომ დაზუსტდა, კლასკომპლექტში მოსწავლეთა ჯამური რაოდენობა; მოხდა განმარტება დაწყებით კლასებში კლასკომპლექტში გაერთიანებული კლასების რაოდენობის შესახებ და ამ განმარტებით განისაზღვრა კლასების გაერთიანების სხვადასხვა რაოდენობის შესაძლებლობა სხვადასხვა საგნებში. ამასთან, სამივე რედაქციაში აღნიშნულია კლასკომპლექტში სწავლების მთავარი მეთოდური ორიენტირი - დიფერენცირებული სწავლება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ესგ არცერთი რედაქციის კვალდაკვალ არ შექმნილა რაიმე სახის მეთოდური ხასიათის

გზამკვლევი ან მასალა, რაც დაეხმარებოდა კლასკომპლექტის მასწავლებელს ესგს ახალი რედაქციის გამოწვევების დაძლევაში და სასწავლო მიზნების მიღწევაში. ესგს სამივე რედაქციაში კლასკომპლექტების შექმნაზე ჩანაწერების არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რადგან ამ ჩანაწერებმა საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის მოწყვლად სოფლებში მცხოვრები ბავშვებისათვის ზოგადი განათლება ხელმისაწვდომი გახადა.

### *1.7 კლასკომპლექტები და მცირეკონტინგენტური სკოლები საქართველოში*

დღეს, მთელ ცივილიზებულ სამყაროში სკოლის მოსწავლეთა კლასებად დაჯგუფება მათი ასაკის შესაბამისად ხორციელდება. ეს პროცესი, ანუ სკოლებში მოსწავლეთა კლასებად გადანაწილება დასავლეთის ქვეყნის სკოლებში მე-19 საუკუნიდან იწყება, რაც დაკავშირებულია: ინდუსტრიულ რევოლუციასთან, დიდ დასახლებებში მოსწავლეების რაოდენობის ზრდასთან. სკოლაში მოსწავლეთა კლასებად სეგრეგირება მოსახერხებელი აღმოჩნდა მასწავლებლებისთვის, მათ გაუიოლდათ სწავლა-სწავლება კლასებში ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. თუმცა, დღესაც, ზოგიერთ ქვეყანაში კლასკომპლექტი სწავლების დომინანტური ფორმაა (მაგ.: პერუში არსებული სკოლების 78%-ში კლასკომპლექტში ხორციელდება სწავლება; შრი ლანკაში, კლასკომპლექტებში სწავლება სკოლების 63%-ში მიმდინარეობს) (რევიშვილი, 2014).

კლასკომპლექტებში, ერთ საკლასო ოთახში ორი სხვადასხვა კლასის განსხვავებული: ცოდნის, ასაკის და სხვადასხვა სასწავლო შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები სწავლობენ. კლასკომპლექტების არსებობის ერთ-ერთ მთავარ პირობას რესურსების სიმწირე და გეოგრაფიული თავისებურება განაპირობებს. როდესაც ერთი სკოლის მეორე სკოლასთან გაერთიანება მოუხერხებელია მდებარეობის გამო, იქმნება კლასკომპლექტები. მოსწავლეების სიმცირე განაპირობებს მცირე ბიუჯეტს და ასეთ სკოლებში კადრების და რესურსების ოპტიმიზაცია გარდაუვალია (რევიშვილი, 2014).

საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ზომას განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები: ჩვენი ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ისტორიული მოწყობის თავისებურება, ქვეყნის მოსახლეობის განსახლების გეოგრაფია, სკოლების გეოგრაფიული მდებარეობა; ქვეყნის განათლების არსებული პოლიტიკა. საქართველოში სკოლების ნახევარზე მეტი სოფლებში მდებარეობს, ეს განაპირობებს ქვეყანაში მცირეკონტინგენტიანი სკოლების სიმრავლეს. კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“, ტერმინი მცირეკონტინგენტიანი სკოლა შემდეგნაირადაა განმარტებული: სკოლა, რომელშიც ადგილობრივი პირობების გამო სწავლობს მცირე რაოდენობის მოსწავლე (საქართველოს პარლამენტი, 2005).

საქართველოში სკოლის საშუალო ზომა 237 მოსწავლეა. სკოლის საშუალო ზომა ასეთივე დაბალია პოლონეთში (221) ლატვიაში (295), ესტონეთში (297), ნორვეგიაში (257).

ქვეყანა	საქართველო	პოლონეთი	ლატვია	ესტონეთი	ნორვეგია
მოსწავლეთა რაოდენობა	237	221	2	297	25
			95		7

წყარო: (სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა TALIS 2018, გვ 38)

სისტემაში დიდი რაოდენობით მცირეკონტინგენტიანი სკოლის არსებობა განაპირობებს: 1. ქვეყანაში მოსწავლე/მასწავლებლის დაბალ ურთიერთშეფარდებას; 2. მასწავლებლების ხელფასებზე დიდ დანახარჯებს; 3. მასწავლებლის მომზადება-გადამზადების დიდ დანახარჯს; 4. სისტემაში რესურსების არათანაბარ განაწილებას; 5. მცირე ზომის სკოლებში კლასკომპლექტების არსებობას.

მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთშეფარდება საქართველოში არის 7/1-თან, ესტონეთში - 8/1-თან, ლატვიაში კი - 9/1-თან. თუმცა, ეს ქვეყნები ახერხებენ მასწავლებლების რესურსის საკმარისად განაწილებას.

გეოგრაფიულ დასახლებებში სკოლები საქართველოში შემდეგნაირად ნაწილდება: მცირე სოფლებში არის სკოლების რაოდენობის 31%, სოფლებში - 35%, დაბაში - 5%, პატარა ქალაქში - 9%, ქალაქში - 9%, დიდ ქალაქში - 11%. მოსწავლე-მასწავლებლის შეფარდების მონაცემები კი ასეთია: მცირე სოფელში არსებულ

სკოლებში - 5/1, სოფლის სკოლებში - 7/1, დაბაში - 8/1, პატარა ქალაქში - 8/1, ქალაქში - 10/1, დიდ ქალაქში - 11/1 ხოლო საქართველოსთვის საშუალო შეფარდება არის 7/1. იხილეთ

ცხრილი 2: სკოლების განაწილება საქართველოში.

სკოლის მდებარეობა	დასახლებებში სკოლების % წილი	მოსწავლე/მასწავლებელი შეფარდება	მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა
მცირე სოფელი	31	5/1	71
სოფელი	35	7/1	177
დაბა	5	8/1	350
პატარა ქალაქი	9	8/1	336
ქალაქი	9	10/1	418
დიდი ქალაქი	11	11/1	638
	100 %	7/1	238

ცხრილი 2: სკოლების განაწილება საქართველოში


როგორც ამ სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, საქართველოს სკოლების 66% მდებარეობს სოფლებში და მცირე სოფლებში.

საინტერესოა ამ და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით განვიხილოთ საქართველოს რეგიონებში არსებული მდგომარეობა და მოვახდინოთ შედარებითი ანალიზი - რა ტენდენციები შეინიშნება ბოლო ათი- თხუთმეტი წლის განმავლობაში სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობების დინამიკაში და რას შეიძლება ველოდოთ მცირეკონტინგენტიანი და კლასკომპლექტიანი სკოლების სამომავლო დინამიკაში.

**გურიის რეგიონი.** რეგიონში რთული დემოგრაფიული მდგომარეობაა, რაც განპირობებულია: შიდა და გარე მიგრაციით; არასახარბიელო სოციალური მდგომარეობით; დასაქმების უპერსპექტივობით; ცუდი ინფრასტრუქტურით. გურიის სკოლების უმეტესობა საჭიროებს რეაბილიტაციას. რეგიონის მოსწავ-

ლექსისთვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკურ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემები ნაწილობრივ მოგვარებულია. მაგრამ ჩონატურში და ლანჩხუთში ზოგიერთი სოფლის მოსწავლეს სკოლამდე მისასვლელად ისევ უწევს რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა. საჯარო სკოლის პედაგოგთა კვალიფიკაცია საჭიროებს ამაღლებას - აღნიშნულია გურიის რეგიონის განვითარების სტრატეგიულ გეგმაში (საქართველოს მთავრობა, 2013).

მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა 2005-2022 წლებში ხასიათდება კლების ტენდენციით. 2005 წელს - 19377 მოსწავლე სწავლობდა რეგიონის სკოლებში, 2022 წელს - 14490 მოსწავლე. იხილეთ გრაფიკი 1. მოსწავლეთა რაოდენობა გურიის რეგიონში. წყარო: <https://www.geostat.ge> მოსწავლეთა რაოდენობა 4877-ით შემცირდა.



გრაფიკი 1. მოსწავლეთა რაოდენობა გურიის რეგიონში. წყარო: <https://www.geostat.ge>


2005-2022 წლების სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ გურიის რეგიონში სკოლების რაოდენობის შემცირების ტენდენცია აშკარაა, შეადგენს 10%-ს, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობის სტატისტიკური ანალიზიდან იკვეთება შემცირების ტენდენცია 25,3%-ით, ანუ მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა ერთი მეოთხედით. ამ სტატისტიკიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონში სკოლები

კიდევ უფრო მცირეკონტინგენტიანი გახდა, გაიზარდა კლასკომპლექტების რაოდენობა, სკოლების 10% დაიხურა.

**რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი.** რეგიონში მოსახლეობის რიცხოვნობა 46,7 ათასია. რეგიონის მძიმე დემოგრაფიული ვითარება განპირობებულია: შობადობის დაბალი მაჩვენებლებით; სიკვდილიანობის მაღალი რიცხვით; რეპროდუქციულ ასაკში მყოფი მოსახლეობის სიმცირით; რეპროდუქციულ ასაკში დაუქორწინებელთა დიდი რაოდენობით და მიგრაციის მაღალი ციფრებით.

რეგიონის სოფლებში უმეტესად საბაზო სკოლებია. უფროსკლასელები მუნიციპალურ ცენტრებში ან უახლოეს საჯარო სკოლებში დადიან. მუნიციპალურ ცენტრებთან ახლოს მდებარე სოფლის მკვიდრი მოსწავლეების გარკვეული ნაწილიც მუნიციპალიტეტებში არსებულ სკოლაში დადის, რასაც სკოლების უკეთესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულებებში სიარულის სურვილით ხსნიან.


აღნიშნულია რეგიონის სტრატეგიულ გეგმაში (საქართველოს მთავრობა, 2013).



გრაფიკი 2. სკოლების რაოდენობის დინამიკა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში.

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში სკოლების რაოდენობა ბოლო 12 წლის განმავლობაში არ შეცვლილა. იხილეთ გრაფიკი 2. ხოლო 2005-2010 წლებში მხოლოდ 4 სკოლა დაიხურა რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში.

2005-2023 წლებში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირების სურათი აშკარაა. იხილეთ გრაფიკი 3. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში.




გრაფიკი 3. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში. წყარო: <https://www.geostat.ge>

2005-2023 წლების რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რომ სკოლების რაოდენობის შემცირების ტენდენცია უმნიშვნელოა და შეადგენს 5,5%-ს ხოლო მოსწავლეთა რაოდენობის სტატისტიკური ანალიზიდან იკვეთება შემცირების ტენდენცია - 45,4%, ანუ მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა საგრძნობლად. იხილეთ გრაფიკი 3. ამ სტატისტიკიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რეგიონში სკოლები კიდევ უფრო მცირეკონტინგენტია გახდა, გაიზარდა კლასკომპლექტების რაოდენობა. მოსწავლეთა რაოდენობის ასეთი კლების ფონზე მხოლოდ 4 სკოლა დაიხურა. იხილეთ გრაფიკი 2. როგორც რეგიონის სტრატეგიული გეგმაშია აღწერილი, მოსწავლეთა ნაწილს ემსახურება სასკოლო ავტობუსი, მაგრამ არიან მოსწავლეები, რომელთაც უწევთ კილომეტრების გავლა

ფეხით, რაც მაღალმთიან სოფლებში მკაცრი ზამთრის პირობებში სერიოზულ სირთულეს წარმოადგენს მოზარდისთვის და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა (საქართველოს მთავრობა, 2013).


**სამცხე-ჯავახეთი.** ამ რეგიონში საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 5%-ზე ოდნავ ნაკლები ცხოვრობს, მათი 69% - სოფლებში.

ბოლო წლებში სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ადგილი აქვს მოსწავლეთა რიცხოვნობის კლებას, რასაც სხვადასხვა სოციალური თუ ეკონომიკური მიზეზები აქვს. მოსწავლეთა რაოდენობის შემცირებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა შიდა და გარე მიგრაციულმა პროცესებმა. 2005-2021 წლების განმავლობაში მოსწავლეთა რაოდენობა 25%-ით შემცირდა. იხილეთ გრაფიკი 4 :



გრაფიკი 4. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში  
წყარო: <https://www.geostat.ge>

სკოლა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ყველა სოფელში არ არის სკოლა, 2005-2010 წლებში განათლების რეფორმის მიმდინარეობისას რეგიონში 21 სკოლა დაიხურა. იხილეთ გრაფიკი 5. იმ სოფლებიდან, სადაც სკოლები დაიხურა, სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტირება შესაბამის სკოლებში სახელმწიფოს მიერ უნდა ყოფილიყო ორგანიზებული მაგრამ ეს სერვისი ვერ განხორციელდა, რამაც ამ სოფლებში მცხოვრები მოზარდებისთვის განათლების ხელმისაწვდომობა საფრთხის ქვეშ დააყენა. (საქართველოს მთავრობა, 2013).




გრაფიკი 5. სკოლების რაოდენობის დინამიკა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში  
წყარო: <https://www.geostat.ge>

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, 2005-2021 წლებში სამცხე-ჯავახეთში სკოლების რაოდენობა 7%, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 25%-ით შემცირდა, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლები კიდევ უფრო მცირეკონტინგენტისა და გაიზარდა კლასკომპლექტების რაოდენობის გაზრდის ალბათობა.

**კახეთის რეგიონი.** მოსახლეობის დიდი უმრავლესობა თითქმის 80% ცხოვრობს სოფლებში. კახეთის რეგიონის სოფლებში მოსახლეობის ყველაზე მაღალი სიმჭიდროვეა და ამ მონაცემით 2-ჯერ აღემატება საქართველოს სოფლების მოსახლეობის სიმჭიდროვის საშუალო მაჩვენებელს. გაზრდილია ახალგაზრდების მიგრაცია და დაბერების მაჩვენებელი. რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობა რეგიონის მთლიანი მოსახლეობის 17%-ია.


2006-2022 წლებში რეგიონის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობისათვის კლების ტენდენცია შეინიშნება (იხილეთ გრაფიკი 6). კახეთის რეგიონის სამ მუნიციპალიტეტში: გურჯაანი, ყვარელი, თელავი ეს კლება მკვეთრია. თუმცა ოთხ მუნიციპალიტეტში: ახმეტა, დედოფლისწყარო, საგარეჯო, სიღნაღი მოსწავლეთა რაოდენობის კლება მცირეა და მხოლოდ ორი ასეულის ფარგლებში მერყეობს.



გრაფიკი 6. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა კახეთში. წყარო: <https://www.geostat.ge>


როგორც 2005-2022 წლების კახეთის რეგიონის სტატისტიკური მონაცემების ანალიზიდან ჩანს, რეგიონის სკოლების რიცხვის შემცირება მოხდა 15%-ით, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობის სტატისტიკური ანალიზიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა რიცხოვნობა შემცირდა 8732 მოსწავლით, რაც 16%-ს შეადგენს. აქაც შეინიშნება ტენდენცია, რომ სკოლები უფრო მცირეკონტინგენტისაა გახდა.

**მცხეთა-მთიანეთი.** რეგიონში 2002 წლიდან დღემდე მოსახლეობის რიცხოვნობის კლება მოხდა 24,8%-ით. სტატისტიკური მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ 2010/11 წლებში, 2011/12 წლებთან შედარებით, მოსწავლეთა რაოდენობა 2302 მოსწავლით შემცირდა (იხილეთ გრაფიკი 8), რაც მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის და მაღალი მიგრაციული მაჩვენებლების შედეგია.



გრაფიკი 7. სკოლების რაოდენობის დინამიკა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.  
წყარო: <https://www.geostat.ge>

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში მოღვაწეობს 2141 მასწავლებელი. რეგიონის მაღალმთიან სოფლებში უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ დაწყებითი სკოლები ფუნქციონირებს. უფროსი ასაკის მოსწავლეები მათ საცხოვრებელთან უახლოესი სოფლის/მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში იღებენ განათლებას. მუნიციპალურ ცენტრებთან ახლომდებარე სოფლებში მცხოვრები მოსწავლეების დიდი ნაწილი უპირატესობას მუნიციპალური ცენტრის სკოლაში სწავლას ამჯობინებს, რაც არაფორმალური განათლების (სამხატვრო სკოლა, სამუსიკო სკოლა, სასპორტო სკოლა და ა. შ.) მაღალი ხელმისაწვდომობით აიხსნება. მოსწავლეთა ნაწილს მუნიციპალურ ცენტრებში სკოლაში სწავლისთვის გადასაადგილებლად სასკოლო ავტობუსები კი ემსახურება, მაგრამ არის სოფლები, სადაც ბავშვებს სკოლებამდე ფეხით გადაადგილება მაინც სჭირდებათ. ამ რეგიონებისათვის კვლავაც მნიშვნელოვანია, სკოლა-ინტერნატის/პანსიონის აუცილებლობა (საქართველოს მთავრობა, 2016).




გრაფიკი 8. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში. წყარო: <https://www.geostat.ge>

მცხეთა მთიანეთში 2005-2022 წლებში მოსწავლეთა რიცხვი 3441 მოსწავლით შემცირდა. ხოლო ბოლო 10 წლის განმავლობაში კი სკოლების რაოდენობა არ შეცვლილა. თუმცა 2005-2010 წლებში მცხეთა მთიანეთის რეგიონში 47 სკოლა დაიხურა, ანუ მოსწავლეთა და სკოლების რაოდენობებში არის შემცირების ტენდენცია.


**შიდა ქართლი.** რეგიონში 300,000 მაცხოვრებელია. მათი ნახევარი გორში ცხოვრობს. დანარჩენ სამ მუნიციპალიტეტში მოსახლეობა თანაზომიერად არის განაწილებული. რეგიონი უმეტესად რურალურია, ურბანიზაციის დონე 40%-საც ვერ აღწევს. ეს ციფრი მიუთითებს, რომ შიდა ქართლის რეგიონი არის არაინდუსტრიული და განვითარებადი. წლიურად რეგიონში მიგრაციული ნაკადები რეგიონის მოსახლეობის 0.5%-ს არ აღემატება. გამონაკლისი არის მხოლოდ 2010 წელი. ამ დროს აღირიცხა 10,000-ზე მეტი. რაც სავარაუდოდ რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად ოკუპირებული ცხინვალის ტერიტორიიდან დევნილთა ხარჯზე შეიქმნა (საქართველოს მთავრობა, 2013).

2005 წელს რეგიონში მოსწავლეთა რაოდენობა 48474 ხოლო 2023 წლისთვის 39454 გახდა. მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა 19,7%-ით. იხილეთ გრაფიკი 9.



გრაფიკი 9. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა შიდა ქართლის რეგიონში.  
წყარო: <https://www.geostat.ge>

2005-2023 წლებში კი შიდა ქართლის რეგიონში სკოლების რაოდენობა 24,4%-ით შემცირდა. იხილეთ გრაფიკი 10.




გრაფიკი 10. სკოლების რაოდენობის დინამიკა შიდა ქართლის რეგიონში.  
წყარო: <https://www.geostat.ge>

შიდა ქართლის რეგიონშიც 2005-2022 წლებში მოხდა სკოლების 19,7 % და მოსწავლეთა 24,5% შემცირება. ანუ ორივე სეგმენტში არის შემცირების ტენდენცია.

**ქვემო ქართლი.** რეგიონში არის 347 დასახლება. მათ შორის არის 7 ქალაქი, 6 დაბა და 334 სოფელი. ქვემო ქართლის მოსახლეობის 61% სოფლებში ცხოვრობს. მაღალმთიანი სოფლის სტატუსს ატარებს - დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს


მუნიციპალიტეტების 100 სოფელი. რეგიონი საკმაოდ მრავალეთნიკურია. პროცენტები შემდეგნაირად ნაწილდება: ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის 44,7% -ია; რეგიონში მოსახლეობის 45,1% - აზერბაიჯანელია; ეთნიკურად სომეხია მოსახლეობის 6,4%; ხოლო მოსახლეობის 3,8% შეადგენს: აფხაზი, ოსი, ბერძენი, უკრაინელი, რუსი, და ქურთი. რეგიონში სკოლების ინფრასტრუქტურა, უმეტესად დამაკმაყოფილებელია. მაგრამ არის სკოლები, რომლებიც გადაუდებელ რეაბილიტაციას საჭიროებს. იმ მოსწავლეებს, რომელთა სოფლები 3 კმ-ზე მეტითაა დაშორებული სკოლიდან, ემსახურება მუნიციპალური ტრანსპორტი (საქართველოს მთავრობა, 2013 ).

სკოლების რაოდენობის დინამიკა ქვემო ქართლის რეგიონში 2005-2023 წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება და შემცირება 15,4%-ს შეადგენს. იხილეთ გრაფიკი 11.



გრაფიკი 11. სკოლების რაოდენობის დინამიკა ქვემო ქართლის რეგიონში. წყარო: <https://www.geostat.ge>


მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკაში კი შეინიშნება დადებითი და ადამიკალი ტენდენციები. 2007-2008 სასწავლო წელს, 2010-2011 სასწავლო წელს და 2011-2012 სასწავლო წელს შეინიშნება მოსწავლეთა რიცხოვნობის მკვეთრი ვარდნა. ხოლო 2011-2022 წლებში არის მოსწავლეთა რიცხოვნობის მკვეთრი ზრდა კერძოდ - 11,3%. იხილეთ გრაფიკი 12.



გრაფიკი 12. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა ქვემო ქართლის რეგიონში. წყარო: <https://www.geostat.ge>


**სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი.** რეგიონში 478,2 ათასი მაცხოვრებელია, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში საქართველოს მოსახლეობის 10,66% ცხოვრობს. მხარის მოსახლეობის 59,7% ცხოვრობს სოფლებში. რეგიონში მაღალმთიან დასახლებებს მიეკუთვნება 137 სოფელი. რეგიონში ფუნქციონირებს 260 საჯარო სკოლა. ამ სკოლების უმეტესობა გადაუდებელ და სწრაფ რეაბილიტაციას საჭიროებს. ბოლო წლებში რეგიონში განხორციელდა სკოლების ოპტიმიზაციის პროცესი (საქართველოს მთავრობა, 2016).

2005-2023 წლებში სკოლების რიცხვი შემცირდა - 24,2%-ით. იხილეთ გრაფიკი 13.




გრაფიკი 13. სკოლების რაოდენობის დინამიკა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. წყარო: <https://www.geostat.ge>

მოსწავლეთა რაოდენობა 2005-2023 წლებში საგრძნობლად შემცირდა და უარყოფითმა დინამიკამ მიაღწია 19,5%-ს. იხილეთ გრაფიკი 14.



გრაფიკი 14. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში. წყარო: <https://www.geostat.ge>

**იმერეთი.** რეგიონის მოსახლეობის 52% ცხოვრობს სოფლად. რაოდენობრივად იმერეთის რეგიონში ყველაზე მეტი მოსწავლე სწავლობს. ბოლო წლებში იმერეთის რეგიონის სკოლის მოსწავლეთა დინამიკაში კლების ტენდენცია შეიმჩნევა. 2005-2015 წლამდე პერიოდში მოსწავლეთა რიცხვი შემცირდა 21000 ხოლო 2015-2023 წლებში მოსწავლეთა დადებითი დინამიკა შეინიშნება. ამ პერიოდში მოსწავლეთა რიცხვი გაიზარდა 9861 მოსწავლით. იხილეთ გრაფიკი 15.




გრაფიკი 15. მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა იმერეთის რეგიონში. წყარო:

<https://www.geostat.ge>

იმერეთის რეგიონის სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეებს, სასკოლო ავტობუსი ემსახურებათ მუნიციპალურ ცენტრებში გადასაადგილებლად. მაგრამ მაინც არის ისეთი სასოფლო დასახლებები სადაც მცხოვრები მოსწავლეებისთვის ასეთი სერვისი ხელმისაწვდომი არ არის და სკოლამდე ფეხით დადიან (საქართველოს მთავრობა, 2016).

2005-2023 წლებში სკოლების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა. სკოლების ოპტიმიზაციის ხარჯზე დაიხურა სკოლების 15,7%. იხილეთ გრაფიკი 16.



გრაფიკი 16. სკოლების რაოდენობის დინამიკა იმერეთის რეგიონში. წყარო:

<https://www.geostat.ge>

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ 2005-2023 წლებში იმერეთის რეგიონში კლების ტენდენცია შეინიშნება, როგორც მოსწავლეების, ასევე სკოლების რაოდენობაში. კერძოდ მოსწავლეთა რიცხოვნობის შემცირება მოხდა 15 115 მოსწავლით, ხოლო ამავე პერიოდში დაიხურა 73 სკოლა.

აჭარის მუნიციპალიტეტებში - ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო, ქობულეთი - მოსწავლეთა რიცხოვნობის დინამიკა ბოლო 10 წლის განმავლობაში სხვადასხვაა. ყველგან შეინიშნება მოსწავლეთა რიცხოვნობის კლება, თუმცა მუნიციპალიტეტების დონეზე ეს დინამიკა სხვადასხვაა:

შუახვევი	ხულო	ხელვაჩაური	ქედა
54%	46%	37,7%	28,4%

როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტად კლების ტენდენცია შეინიშნება შუახვევის მუნიციპალიტეტში - 54%, შემდეგ მოდის ხულოს მუნიციპალიტეტი, სადაც 2010-2022 წლებში მოსწავლეთა კლების ტენდენციამ შეადგინა - 46%. ხელვაჩაურში მოსწავლეთა რიცხოვნობის კლებამ შეადგინა 37,7%, ქედაში - 28,4%, ხოლო ქობულეთში - მხოლოდ 7%. მოსწავლეთა რიცხოვნობის კლების შედეგია ის, რომ აჭარის რეგიონში 1100 კლასკომპლექტია.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს 1-10 ბავშვიანი სკოლების არსებობა. ეს არის სკოლები, სადაც სწავლება სრულად კლას-კომპლექტებში მიმდინარეობს. მონაცემთა საინფორმაციო სისტემის მონაცემებით, საქართველოში არის ისეთი 38 სკოლა, რომელშიც 10-ზე ნაკლები მოსწავლეა (ARIS.GE - განათლება, 2016).


ყველაზე მეტი ასეთი სკოლაა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში - 7. ცაგერის მუნიციპალიტეტში - 6, დუშეთში და ვანში - 3-3, თიანეთში და წალენჯიხაში - 2-2. თითო-თითო ასეთი სკოლაა: ონის, ქედას, ყაზბეგის, შუახვევის, წყალტუბოს, ჭიათურის, ახალქალაქის, ზესტაფონის, ნინოწმინდის, მარტვილის, კასპის, მესტიის, მარნეულის მუნიციპალიტეტებში.

**სულ ამ 38 სკოლაში 184 მოსწავლე სწავლობს. 307 მასწავლებლიდან მხოლოდ 31 არის სერტიფიცირებული. მათ შორის 10,09 % გამოცდაჩაბარებული მასწავლებელია. მოსწავლე მასწავლებლის შეფარდება ამ სკოლებისთვის არის 1/1,7.**

1-10 ბავშვიანი სკოლების რაოდენობა	ამ სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობა	გამოცდაჩაბარებული მასწავლებლების %	მოსწავლეთა ჯამური რაოდენობა	მოსწავლე მასწავლებლის შეფარდება ამ
-----------------------------------	-------------------------------------	------------------------------------	-----------------------------	------------------------------------

				სკოლების ვის
<b>36</b>	<b>307</b>	<b>10,09%</b>	<b>184</b>	<b>1/1,</b> <b>7</b>

2012 წელს კლასში 5 მოსწავლემდე იყო საქართველოს სკოლების 8%-ში, 2018 წლისთვის ეს პროცენტი გაიზარდა 12%-მდე. იხილეთ გრაფიკი 17.



გრაფიკი 17. კლასში მოსწავლეთა რაოდენობის მონაცემები 2018 წლისთვის.  
წყარო: (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2020)

თუ ჩვენ მიერ განხილული რეგიონების მონაცემების შედარებით ანალიზს გავაკეთებთ, დავინახავთ შემდეგ კანონზომიერებას: იმ რეგიონებში/ მუნიციპალიტეტში, რომლებშიც მოსწავლეთა დინამიკის კლების პროცენტი მაღალია, კლასკომპლექტების რიცხვი მზარდია. ამ თვალსაზრისით ლიდერობს რეგიონები: აჭარა, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. აჭარის რეგიონში ყველაზე მაღალი მოსწავლეთა რიცხოვნობის კლების სტატისტიკა ბოლო 10 წელში შეინიშნება შუახევის (54%), ხულოს (46%) მუნიციპალიტეტებში და ამ მონაცემების ფონზე გასაკვირი არ არის, ის რომ აჭარაში კლასკომპლექტების რაოდენობამ 1100-ს მიაღწია. რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონს, უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა რიცხოვნობის კლების პროცენტი აქაც მაღალია და შეადგენს 46%-ს. ამ მონაცემმა გავლენა მოახდინა იმაზე, რომ ამ რეგიონშია თავმოყრილი 1-10 ბავშვიანი

სკოლების უმეტესობა. კერძოდ, სულ საქართველოში 38 ასეთი სკოლაა და აქედან 14 ამ რეგიონშია, ანუ ასეთი სკოლების 38% თავმოყრილია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში. მოსწავლეთა რაოდენობების შემცირება, განაპირობებს მცირეკონტინგენტიანი სკოლების რიცხოვნობის ზრდის ტენდენციას, რაც პოტენციურად კლასკომპლექტების ზრდას ნიშნავს. 2018-2019 სასწავლო წელს კლასკომპლექტის მონაცემები რეგიონების მიხედვით ასეთი იყო: აფხაზეთი-9, აჭარა-416, გურია-90, იმერეთი-270, კახეთი-119, მცხეთა-მთიანეთი-71, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი-94, სამეგრელო ზემო სვანეთი-242, სამცხე-ჯავახეთი-115, ქვემო ქართლი-217, შიდა ქართლი-114. სულ 1862. 2022-2023 სასწავლო წელს კი კლასკომპლექტების ჯამური რიცხვი 2384 გახდა. კლასკომპლექტები 500 მდე სკოლაშია.

### ***1.8 კლასკომპლექტის მასწავლებელთა პრაქტიკის კვლევის ანალიზი***

ტერმინი „პრაქტიკის კვლევა“ ამერიკელ სოციოფსიქოლოგს, კურტ ლევინს ეკუთვნის. მეოცე საუკუნის ორმოციან წლებში მან საფუძველი ჩაუყარა პრაქტიკის კვლევას, როგორც კვლევის მეთოდს.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა თავისი არსით გამოყენებითი კვლევების რიცხვს მიეკუთვნება. პრაქტიკის კვლევა არის მასწავლებლის მიერ სასწავლო-სამუშაო სიტუაციების ჰოლისტური კვლევა, რომელსაც მოქმედი მასწავლებლები ატარებენ იმისთვის, რომ ერთი მხრივ, გააუმჯობესონ სასწავლო პროცესი და მეორე მხრივ, აიმაღლონ და სრულყოფონ საკუთარი კომპეტენცია.

პრაქტიკის კვლევა რეალურად არსებული პრობლემის გადაწყვეტაზეა ორიენტირებული. ამ დროს ფაქტობრივად იქმნება ახალი ცოდნა. პრაქტიკის კვლევის ვალიდურობა განისაზღვრება მიღწეული შედეგებით - ანუ, რამდენად ეფექტური აღმოჩნდა პრაქტიკის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციები პრობლემის გადაწყვეტის კუთხით (Greenwood & Levin, 2001).

აღნიშნული კვლევა არის კოლაბორაციული პროცესი. პრაქტიკის კვლევის ჩატარება სკოლის ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია, მასწავლებელმა კვლევა სკოლაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით უნდა დაგეგმოს და

განხორციელოს. პრაქტიკის კვლევის უპირატესობაა ის, რომ უშუალოდ პრობლემის ეპიცენტრში ხორციელდება. მკვლევარი-მასწავლებელი ჰოლისტურად უდგება პრობლემას. პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაში პარალელურად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული აქტივობები და რეფლექსიები. ასეთი საქმიანობა მასწავლებელს მუდმივად წააქეზებს მასწავლებელს დააკვირდეს მის მიერ განხორციელებულ სწავლებას და შეიმუშაოს საჭირო ინტერვენციები.

პრაქტიკის კვლევის განხორციელება მასწავლებელს ხდის უფრო თავდაჯერებულს, იძენს ახალ ცოდნას და ივითარებს ახალ უნარებს, რადგან ნათლად და უშუალოდ ხედავს სიახლეების/ინტერვენციების დადებით მხარეებს და უქრება სიახლეების დანერგვის შიში. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკის კვლევა ინტენსიურად გამოიყენება ინოვაციური მიდგომების, ახალი იდეების სასწავლო პროცესში გამოსაცდელად (აბულაძე, დოლიძე, & კობოძე, 2018).

2015 წლიდან მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურება და კარიერული წინსვლა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის საშუალებით რეგულირდება. სქემით განსაზღვრულია მასწავლებლის შემდეგი სტატუსები: პრაქტიკოსი, უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებელი.

სქემის მიხედვით, წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად უფროს მასწავლებელს გარკვეული კრედიტულები სხვადასხვა აქტივობებით უნდა მოეპოვებინა და ერთ-ერთი ასეთი აქტივობა პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა იყო. მასწავლებლები ვალდებული იყვნენ, გამოექვეყნებინათ კვლევის დოკუმენტები და რეფლექსიები (საქართველოს მთავრობა, 2015). ამ ვალდებულების გამო განხორციელებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დოკუმენტები საძიებო სისტემის გამოყენებით იძებნება ინტერნეტსივრცეში, რამაც საშუალება მომცა, შემესწავლა კლასკომპლექტის მასწავლებელთა პრაქტიკის კვლევის გამოქვეყნებული ნაშრომები. სადოქტორო ნაშრომის საკვლევი თემიდან გამომდინარე, დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა მიერ ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკის კვლევები გავაანალიზე შემდეგი მიმართულებით: რა პრობლემებზე, რა გამოწვევებზე აკეთებდნენ აქცენტს; რა

კვლევითი კითხვები დასვეს; რა ინტერვენციები განხორციელეს და რა დასკვნები გააკეთეს. ასევე საინტერესო იყო იმ სკოლის მონაცემების გათვალისწინებაც, სადაც ეს კვლევები ჩატარდა. მონაცემთა დამუშავებისას გამოყენებული იქნა შემდეგი მეთოდები: თემატური ბლოკების გამოყოფა; ტიპოლოგიზაცია - ანალიზისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა და მათ შორის კავშირების დადგენა; შედეგების შეჯერება - მიღებული ინფორმაციის დაკავშირება სადოქტორო ნაშრომის კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან და ძირითადი მიგნებების იდენტიფიცირება.

სამიეზო სისტემების გამოყენებით მოვიძიე კლასკომპლექტის მასწავლებლის 5 კვლევა. აქედან 4 კვლევა კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში არის განხორციელებული. ეს კვლევები და მათი რეფლექსიები ხელმისაწვდომია, ხოლო მეხუთე კვლევის შესახებ ინფორმაცია მოვიპოვე გაზეთ „ახალი განათლების“ სტატიიდან და იმით არის საინტერესო, რომ მსგავსი პრობლემების ინტერვენციების შედარებითი ანალიზი კლასკომპლექტისა და ჩვეულებრივ საკლასო ოთახში მომუშავე მასწავლებლის კოლაბორაციით არის შესრულებული (ჯელაძე, 2022).

საწყის ეტაპზე შევისწავლეთ, რა პრობლემებზე გააკეთეს აქცენტი მკვლევარმა მასწავლებლებმა პრაქტიკის კვლევისას, რომელი კლასის კლასკომპლექტები იყო მათი სამიზნე, სკოლების გეოგრაფია, სკოლებისა და კლასკომპლექტების სტატისტიკა. ამ ინფორმაციის თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის მონაცემების ორგანიზება მოვახდინეთ ცხრილის სახით.

პრაქტიკის კვლევის ავტორი	ნაშრომის სათაური	სკოლა, სადაც განხორციელდა პრაქტიკის კვლევა	სამიზნე კლასკომპლექტები
მ. ყამბარაშვილი	საგაკვეთილო დროის ორგანიზება კლასკომპლექტებში	სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კაჭრეთის საჯარო	I-III

თ. მეგრელი	მცირეკონტინგენტია ნი სკოლის მოსწავლეთა შორის, თანამშრომლობითი უნარის განვითარება სასწავლო პროცესში	სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტ ის სოფელ ორხვის საჯარო სკოლა	1-2-3-7-8-9 კლ 6 მოსწავლე
მ.კეკელიძ ის	კითხვის უნარ- ჩვევის განვითარება ქართული ენის გაკვეთილზე მესამე- მეოთხე კლასში (კლას-კომპლექტში)	სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტ ის სოფელ კარაპეტის საჯარო სკოლა	III-IV
ნ. ფუტყარაძ ე	კითხვის უნარ- ჩვევის განვითარება ქართული ენის გაკვეთილზე მესამე და მეოთხე კლასკომპლექტში	აჭარა	II-IV

როგორც ცხრილიდან ჩანს, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა განახორციელეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლების კლასკომპლექტის მასწავლებლებმა. მათი სკოლები მდებარეობს: კახეთში, აჭარაში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, შიდა ქართლის რეგიონში.

ერთ-ერთი კვლევა განახორციელა სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორხვის საჯარო სკოლაში, სადაც 6 კლასში 6 მოსწავლეა. მათ კლასკომპლექტებში უწყვეტ სწავლა და მასწავლებლის მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევაა - „მცირეკონტინგენტია ნი სკოლის მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი უნარის განვითარება სასწავლო პროცესში“.

მეორე კვლევა განახორციელა კაჭრეთის სკოლის მასწავლებელმა სკოლაში, რომელსაც ოპტიმიზაცია შეეხო. ის ადრე სოფელ ნანიანში არსებული მცირეკონტინგენტის სკოლის მასწავლებელი იყო ხოლო 2006 წლიდან სოფელ კაჭრეთის სკოლას შეუერთდა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2006). მასწავლებლის მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევაა - „საგაკვეთილო დროის ორგანიზება კლასკომპლექტებში“.

მესამე კვლევა განახორციელა აჭარის სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ კარაპეტის საჯარო სკოლის მასწავლებელმა. მისი კვლევა შეეხო მე-3-მე-4 კლასების კლასკომპლექტს და მასწავლებლის მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევაა - „კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება ქართული ენის გაკვეთილზე მესამე, მეოთხე კლასში (კლასკომპლექტში)“.

მასწავლებლებმა საკუთარი პრაქტიკის კვლევისას დასვეს შემდეგი მთავარი კვლევითი კითხვები:

კვლევა-1	როგორ შევძლოთ საგაკვეთილო დროის ეფექტიანად მართვა?
პრაქტიკის კვლევა -2	როგორ უზრუნველვყოთ სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობითი სწავლის უნარის განვითარება?
პრაქტიკის კვლევა -3	როგორ შევუწყო ხელი მესამე, მეოთხე კლასის მოსწავლეებში კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას?
პრაქტიკის კვლევა -4	როგორ შევუწყო ხელი მეორე, მეოთხე კლასის მოსწავლეებში კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებას?
კვლევა-5	კითხვის უნარების გაუმჯობესების შედარებითი ანალიზი ჩვეულებრივ კლასებში და კლასკომპლექტებში

იმისათვის, რომ მოხდეს პრაქტიკის კვლევის ეტაპების გაანალიზება, ამის რამდენიმე გზა არის ცნობილი. ერთ-ერთი ასეთი ხერხის მიხედვით, პრაქტიკის კვლევის პროცესი ორ შედარებით მარტივ ეტაპად კატეგორიზდება. პირველი ეტაპის დროს ხდება - პრობლემის გაანალიზება, პრობლემის იდენტიფიცირება, ჰიპოთეზის ჩამოყალიბება, მას დიაგნოსტიკის ეტაპს უწოდებენ; მეორე ეტაპისას,

უკვე გაცნობიერებულად მიმართული ჩარევის ან ექსპერიმენტის მეშვეობით, ადგილზევე ამოწმებენ ჰიპოთეზებს და ეს უკვე თერაპიული ეტაპია (გოგლიჩიძე, ნ. ჭანტურია, თ. და ჯინჭარაძე, ნ., 2016).

კლასკომპლექტის მასწავლებელთა პრაქტიკის კვლევის დოკუმენტების ანალიზი განვახორციელეთ შემდეგი კომპონენტების მიხედვით:

1. პრაქტიკის კვლევის დასახელება;
2. ნაშრომებში აღწერილი პრობლემები;
3. დასახელებული პრობლემის გამომწვევი მიზეზების ნუსხა;
4. დაგეგმილი ინტერვენციები.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის დოკუმენტებში მკვლევარმა კლასკომპლექტის მასწავლებლებმა გამოყვეს სხვადასხვა ტიპის პრობლემები, რომლებიც შეიძლება რამდენიმე ბლოკში გადანაწილდეს. ეს ბლოკებია: 1. მოსწავლეთა მოტივაცია; 2. კომუნიკაციური უნარები; 3. კლასის მართვა; 4. სწავლების მეთოდები; 5. მშობელთა ჩართულობა; 6. უნარების დეფიციტი; 7. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. უფრო ნათელი ილუსტრაციისათვის გთავაზობთ პრაქტიკის კვლევის დოკუმენტებში მკვლევარი პედაგოგების მიერ ჩამოთვლილ პრობლემებს, რომელიც თემატურად გადავანაწილეთ ამ 7 ბლოკში, რათა პრობლემების ანალიზიც ამ დიზაინით განვახორციელოთ.

მოტივაცია	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მოტივაციის დაბალი დონე კითხვის მიმართ;</li> <li>2. მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები.</li> </ol>
კომუნიკაცია	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მოსწავლეებს შორის შეიმჩნევა ინტერაქტიური კომუნიკაციის დეფიციტი;</li> <li>2. მოსწავლეებს უძნელდებათ დაამყარონ ურთიერთობა და გარშემომყოფებთან;</li> <li>3. უძნელდებათ მოსწავლეებს საკუთარი გრძნობების გამოხატვა, სხვათა თანაგრძნობა და სათანადოდ რეაგირება;</li> </ol>

	3. მოსწავლეებს აქვთ წარუმატებლობის შიში და თავს არიდებენ კომუნიკაციას.
კლასის მართვა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კლასის ორგანიზების ფორმების შერჩევა;</li> <li>2. გაკვეთილის ჩატარება ერთდროულად ორ კლასთან.</li> </ol>
სწავლების მეთოდები	<ol style="list-style-type: none"> <li>1. საგაკვეთილო პროცესში კითხვის უნარ-ჩვევების გასავითარებელი აქტივობის სიმცირე;</li> <li>2. მასწავლებლები იშვიათად იყენებენ კოლაბორაციულ სწავლების სტრატეგიებს;</li> <li>3. მასწავლებლებს და მოსწავლეებს აქვთ მწირი ინფორმაცია თანამშრომლობითი სტრატეგიების გამოყენების შედეგების შესახებ;</li> <li>4. მასწავლებლებმა ნაწილობრივ იციან თანამშრომლობითი სწავლის სხვადასხვა მეთოდის შესახებ;</li> <li>5. მეთოდებისა და სტრატეგიების მორგება ორივე კლასისთვის;</li> </ol>
მშობელთა ჩართულობა	სასწავლო პროცესში მშობლების ნაკლები ჩართულობა.
უნარების დეფიციტი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. გაწაფული (მოქნილი) კითხვის პრობლემა;</li> <li>2. მწირი ლექსიკური მარაგი;</li> <li>3. წიგნიერების დაბალი დონე სამიზნე კლასის მოსწავლეებში;</li> <li>4. მოსწავლეებში შეიმჩნევა ემპათიის დეფიციტი და უჭირთ მოვლენები დაინახონ სხვა მოსწავლეების თვალთახედვიდან, თანაუგრძნონ სხვა მოსწავლეებს;</li> </ol>

<p>მასწავლებლების პასიურობა პროფესიული განვითარება</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. პედაგოგები აქტიურად არ არიან ჩართული პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობებში;</li> <li>2. პედაგოგები არ ეცნობიან ლიტერატურას და ერთმანეთს არ უზიარებენ ინფორმაციას იმ მეთოდების შესახებ, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სოციალური და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას;</li> <li>3. პედაგოგებს შორის სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების აქტივობების და გამოცდილების გაზიარების დეფიციტია;</li> </ol>
<p>ორი კლასი ერთად</p>	<p>პედაგოგებს ნაკლებად აქვთ გათვითცნობიერებული მცირეკონტინგენტთან სკოლაში სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს შორის თანამშრომლობაზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა რამდენად მნიშვნელოვანია მათი როლი ამაში.</p>

ცხრილი 3. ცხრილი: პრობლემების ნუსხა პრაქტიკის კვლევის ნაშრომების მიხედვით

1. მოსწავლეთა მოტივაცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რაც მოქმედებს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე. ზოგადად, მოსწავლის მოტივაცია და კომპეტენცია განსაზღვრავს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას. მოსწავლის აკადემიური მოსწრება = მოსწავლის კომპეტენცია × მოსწავლის მოტივაციაზე. იხილეთ სურათი 2. მოსწავლეთა მოსწრების სქემა.

<b>მოსწავლეთა მოსწრების სქემა</b> (მოტივაცია x კომპეტენცია)		<b>კომპეტენცია</b> (მარტივი მოდელის მიხედვით: ზოგადენობრივი გაგება X დეკოდირება)		
		დაბალი	საშუალო	მაღალი
<b>მოტივაცია</b> (დამოკიდებულება, თვითაღქმა, ღირებულება, გარემო, რესურსები)	მაღალი			
	საშუალო			
	დაბალი			

სურათი 2. მოსწავლეთა მოსწრების სქემა.

კლასკომპლექტში სწავლებისას მნიშვნელოვანია, სწორად შეირჩეს მოტივატორები (დამოკიდებულება, თვითაღქმა, ღირებულებები, გარემო, რესურსები), რაც მოსწავლის მოტივაციას გამოიწვევს და დადებითად აისახება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.

2. კომუნიკაციური უნარები არის მნიშვნელოვანი ოცდამეერთე საუკუნის ადამიანისთვის, ამიტომ მათი შექმნა და განვითარება არსებითია მოსწავლის ასაკობრივი განვითარების კვალდაკვალ სასწავლო პროცესში. ამისათვის კი აუცილებელია მასწავლებელმა შექმნას ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც დაეხმარება მოზარდებს, დაძლიონ ის ბარიერები, რაც ხელს უშლით შესაბამისი კომუნიკაციური უნარების განვითარებაში.

3. კლასის მართვა ერთ-ერთი არსებითი სეგმენტია წარმატებული გაკვეთილისთვის. მოწყვლად კლასებში და კლასკომპლექტებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა ათამდეა, ვერ ხერხდება კლასის ორგანიზების სხვადასხვა ფორმის გამოყენება. ამასთან ერთად, თუ ჩვეულებრივ საკლასო ოთახში კლასის მართვისას მნიშვნელოვანია, თუ როგორ ახერხებს მასწავლებელი აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლას, კლასკომპლექტში მასწავლებელს უწევს წყვილი აქტივობიდან წყვილ აქტივობაზე გადასვლა.

4. სწავლების მეთოდები ერთ-ერთი სტრატეგიული სემინტია სასწავლო მიზნების მისაღწევ გზაზე. კლასკომპლექტის ფორმატიდან გამომდინარე, თუ მასწავლებელი სწავლებას არ დააფუძნებს კონსტრუქტივისტული და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე, ეფექტურ სასწავლო გარემოს ვერ შექმნის. ამიტომ, სწორად შერჩეული სწავლების მეთოდიკა ორმაგად მნიშვნელოვანია კლასკომპლექტებში სწავლებისას.

5. მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში საქართველოს რეალობაში ერთ-ერთი აქტუალური თემაა. განსაკუთრებით სენსიტიურია მცირეკონტინგენტიანი სკოლის მცირერიცხოვანი კლასის მოსწავლეებისთვის, რომელთაც განსაკუთრებულად სჭირდებათ მხარდაჭერა. გარდა ამისა, ბავშვის განვითარების ბიოეკოლოგიური მოდელის მიხედვით, რაც უფრო დიდია ინტერაქცია მიკროსისტემის, მეზოსისტემის, ეგზოსისტემის, მაკროსისტემის ელემენტებს შორის, მით უფრო ინტენსიურად ხდება მოზარდის განვითარება. ური ბრონფენბრენერმა (1917 - 2005), რომელიც არის ამერიკელი განათლების მკვლევარი, შემოიტანა ცნება - განვითარების ეკოლოგია (კობალაძე, 2021). ის თავის ნაშრომებში განიხილავს ბავშვის განვითარების ბიოეკოლოგიურ მოდელს და ასაბუთებს, რომ ბავშვის განვითარება ჰარმონიულია, როდესაც მიკროსისტემებს შორის არსებობს ინტერაქცია და ამით მდიდრდება მოზარდის მხარდამჭერი კავშირების სპექტრი. მაგალითად, ნებისმიერი ბავშვის აკადემიურ წარმატებაზე გავლენას ახდენს მშობლის აქტიური მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში. ბრონფენბრენერის ბიოეკოლოგიური მოდელი საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, გარემოფაქტორთა სხვადასხვა კომპონენტი როგორ ქსოვს ერთგვარ ბადეს. კონკრეტული მოზარდისთვის ეს ბადე განვითარებისთვის საჭირო კონტექსტია. ეს მოდელი აჩენს არაჩვეულებრივ შესაძლებლობას მოზარდის განვითარებისთვის - დაიგეგმოს და განხორციელდეს ეფექტიანი ჩარევები.

6. უნარების დეფიციტი: მესამე თაობის ესგ აქცენტს აკეთებს ცოდნაზე, უნარებსა და დამოკიდებულებებზე. სწავლებისას არსებითია იმ გამჭოლი უნარების განვითარებაზე ზრუნვა, რომლებიც ესგს ზოგად ნაწილშია აღწერილი და აუცილებელია ოცდამეერთე საუკუნეში ცხოვრებისათვის.

7. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება: ეფექტიანია ისეთი ტრენინგები, რომლის დიზაინი საგაკვეთილო ფორმატის შესაბამის სიმულაციაზეა აგებული, რაც თავისთავად ხელს უწყობს მასწავლებლის დაოსტატებას და ზრდის ტრენინგზე ნასწავლის საკლასო ოთახში დანერგვის ხარისხს(ნოზაძე, 2014).

მნიშვნელოვანია, რომ კლასკომპლექტის მასწავლებლებმა გაიარონ მიზნობრივი ზოგადი (რადგან მეორე და მესამე თაობის ესგში პირდაპირ არის ჩაწერილი, რომ კლასკომპლექტის მასწავლებელთა მუშაობა უნდა დაეფუძნოს დიფერენცირებულ სწავლებას, ლოგიკურია, რომ მასწავლებელთა გადამზადება ამ კუთხით მოხდეს) და საგნობრივი ტრენინგები, რომელთა დიზაინი მეტ-ნაკლებად საგაკვეთილო გარემოს იმეორებს (ორ კლასთან ერთდროულად პარალელური აქტივობების წარმართვა). ჩვეულებრივ, საკლასო ოთახებში მომუშავე მასწავლებლების ტრენინგებისას მეტ-ნაკლებად ხდება საგაკვეთილო სიტუაციების სიმულაცია, რაც ამაღლებს მასწავლებელთა მომზადება-წვრთნის ხარისხს.

საინტერესოა ის ინტერვენციები, რაც მცირეკონტინგენტთან სკოლებში მკვლევარმა კლასკომპლექტის მასწავლებლებმა განახორციელეს. კლასკომპლექტის მასწავლებელთა ფოკუსჯგუფების დროს, მათ მიერ ჩამოთვლილი პრობლემების ანალიზისას ეს პრობლემები დავყავით სამ ჯგუფად: 1. პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა შესაძლოა მოხდეს მასწავლებლის დონეზე. 2. პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა შესაძლოა მოხდეს სკოლის დონეზე; 3. გლობალური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა სკოლის დონეზე არ მოხდება.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ავტორი კლასკომპლექტის მკვლევარი მასწავლებლის ინტერვენციებში, რა თქმა უნდა, პირველი და მეორე ჯგუფის პრობლემების გადასაჭრელად გამიზნული ინტერვენციები იყო შერჩეული. უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის გთავაზობთ სქემის სახით.

სკოლის დონეზე	მასწავლებლის დონეზე
---------------	---------------------

<p>1. სწავლების პროცესში მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფა;</p> <p>2. მასწავლებელთა შეხვედრა - ლიტერატურის დამუშავება თანამშრომლობით სწავლებაზე</p> <p>3. მასწავლებელთა შეხვედრა - კოლაბორაციული სწავლების მეთოდების განხილვა</p> <p>4. მასწავლებელთა შეხვედრა - გამოყენებული მეთოდების რეფლექსია</p>	<p>5. სახალისო დავალებებისა და ახალი რესურსების მოძიება/შექმნა;</p> <p>6. თვითრეგულირებადი ქცევების ფორმირება კლასკომპლექტის მოსწავლეებში;</p> <p>7. საკუთარი კომპეტენციის შეგრძნების ჩამოყალიბება კლასკომპლექტის მოსწავლეებში;</p> <p>8. დაწყვილებული აქტივობების გამოყენების გეგმის შემუშავება და გამოყენება;</p> <p>9. კითხვის ეფექტური მეთოდების გამოყენება - მკითხველთა თეატრი, სიტყვის სკივრი, ინტონაციაზე მუშაობა, მნიშვნელოვანი სიტყვები, დიდი წიგნების ერთობლივად კითხვა.</p>
--	--

ცხრილი 4. პრაქტიკის კვლევის ინტერვენციები

**სახალისო დავალებებისა და ახალი რესურსების მოძიება/შექმნა** - მკვლევარი მასწავლებელი თავნთი პრაქტიკაზე დაყრდნობით აღწერენ როგორ შექმნეს იაფი, მარტივი, სახალისო, მრავალჯერადი გამოყენების სასწავლო რესურსები. მაგალითად, რესურსი მოიცავს ცხრაუჯრიან ცხრილს სადაც ვერტიკალური და ჰორიზონტალური ურების რაოდენობაა 3/3 სულ 9 ცხრილის უჯრაა და თითოეულში მათემატიკის მაგალითია ჩაწერილი. მოსწავლე ხსნის თითოეულს სამუშაო რვეულში და მიღებულ პასუხს ამოწმებს ამ ცხრილის თანდართულ 9 ბარათებს შორის, რომელიც არის ფაზლი და ციფრთან ერთად მასზე არის ნახატის ფრაგმენტიც. მოსწავლე თანდათან ხსნის მაგალითებს. პასუხებიან ბარათებს ალაგებს ცხრილის უჯრებს ზემოდან და თუ პასუხები სწორია ფაზლიც სწორად აიწყობა.

### **თვითრეგულირებადი ქცევების ფორმირება კლასკომპლექტის მოსწავლეებში**

- მკვლევარი კლასკომპლექტის მეორე-მეოთხე კლასის მასწავლებელი საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით აღწერს, რომ ყოველი კვირის დასაწყისში კლასკომპლექტში შემავალ მეოთხე კლასს სთავაზობს მიმდინარე კვირის თემიდან თავსატეხ ამოცანას მათემატიკაში ასევე სთავაზობს ამ კლასკომპლექტის მეორე კლასს სასწავლო თემის შესაბამის ამოცანა-თავსატეხს. მოსწავლეების მიზანია, რომ ეს ამოცანა-თავსატეხი ამოხსნან და ამისთვის განსაზღვრული აქვთ ერთი კვირა. მოსწავლეები მუშაობენ ამ თავსატეხზე და ქმნიან პასუხის საკუთარ ვერსიას და ათავსებენ ლეპბუკის (მარტივი, ხელნაკეთი, ჯიბეებიანი ფურცელი/ საქაღალდე) სპეციალურ ჯიბაკში. ამის შემდეგ მოსწავლეები იგივე თავსატეხს სთავაზობენ ამოსახსნელად ოჯახის წევრს ან მასზე უფროს ახლობელ ადამიანს და მათ ამონახსნსაც ათავსებენ ლეპბუკის მეორე ჯიბაკში. კვირის ბოლოს კი მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს ამ ამოცანა-თავსატეხის პასუხებს და თავსატეხის ამოხსნის გზებს. ამ გზით შესაძლებელია მოსწავლის თვითრეგულაციის უნარის გაუმჯობესება. რადგან ამ დროს მოხდა მოსწავლის მიერ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება, რაც პირდაპირ კავშირშია მოსწავლის მიღწევების გაუმჯობესებასთან. ეს არის დასახული სასწავლო მიზნის მიღწევის მონიტორინგის კარგი მექანიზმი.

**საკუთარი კომპეტენციის შეგრძნების ჩამოყალიბება კლასკომპლექტის მოსწავლეებში** - შექმნაზე ორიენტირებული აქტივობების გამოყენება ყველაზე ეფექტიანი აღმოჩნდა მათ პრაქტიკაში. მაგალითად, როდესაც მოსწავლეებმა შეისწავლეს ჰორიზონტის ძირითადი და შუალედური მხარეები ამ ცოდნის გამოყენებით ისინი სიამოვნებით ასრულებენ მასწავლებლის ინსტრუქციას და საქართველოს კუთხეების კონტურული რუკისგან ქმნიან საქართველოს კუთხეების რუკას - ფერადს და შესაბამისი წარწერებით. ამ დავალების შესრულებით მიღებული საბოლოო პროდუქტი კი მათში აჩენს საკუთარი კომპეტენციის შეგრძნებას რაც თანმდევია შექმნაზე ორიენტირებული სავარჯიშოების შესრულებით, რადგან ეს არის სწორედ პროცესზე ორიენტირებული სწავლება.

დაწვევილებული აქტივობების გამოყენების გეგმის შემუშავება და გამოყენება - როგორც კლასკომპლექტის მკვლევარი მასწავლებლები თავიანთი პრაქტიკის კვლევებში აღწერენ გაკვეთილის ეფექტიანი ჩატარების ყველაზე კარგი მიდგომა, როდესაც მათ კარგად აქვთ დაგეგმილი კლასკომპლექტში ჩასატარებელი აქტივობების წყვილები და კარგად აქვთ გააზრებული აქტივობის ერთი წყვილიდან მეორე წყვილზე გადასვლა. მაგალითად:

მეორე კლასი	მეოთხე კლასი
აქტივობა -1 ტექსტის წაკითხვა და უცხო სიტყვების მარკირება	აქტივობა -1 პერსონაჟის რუკაზე მუშაობა
აქტივობა-2 ფრეიერის სქემაზე მუშაობა	
აქტივობა-3 ნაწარმოების ამა თუ იმ ეპიზოდის (მოსწავლე ირჩევს) ილუსტრირება	აქტივობა-2 პერსონაჟის რუკების პრეზენტაციები
აქტივობა-4 ილუსტრირებული ეპიზოდების წარდგინება და თვითშეფასება.	აქტივობა- 3 გასასვლელ ბარათებზე მუშაობა

კითხვის ეფექტური მეთოდების გამოყენება - მკითხველთა თეატრი, სიტყვის სკივრი, ინტონაციაზე მუშაობა, მნიშვნელოვანი სიტყვები, დიდი წიგნების ერთობლივად კითხვა.

მკვლევარი მასწავლებლების მიერ კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი მკვლევრის ინტერვენციები რეალურად სკოლის მასწავლებელთა ქოუჩინგის გზით განხორციელდა. მან სკოლაში ორი ტიპის ქოუჩინგი განახორციელა: 1. ინფორმაციული ხასიათის (ლიტერატურის გაცნობა, მეთოდების გაცნობა) და 2. რეფლექსიური ხასიათის ქოუჩინგი, რომლის დროსაც მასწავლებლებმა ერთმანეთს გაუზიარეს, რა შედეგები მოჰყვა სოციალური უნარების განვითარებაზე ორიენტირებული მეთოდების სასწავლო პრაქტიკაში გამოყენებას.

მეორე მკვლევარი მასწავლებელი ინტერვენციებს კითხვის სხვადასხვა მეთოდების დანერგვასა და დანერგვის შემდგომ რეფლექსიაზე აკეთებს და იმ მიდგომაზე, თუ როგორ უზიარებს ამ შედეგებს თავის კოლეგებს.

მესამე მკვლევარი მასწავლებელი, რომელიც ისეთ მნიშვნელოვან ინტერვენციებს ახორციელებს, როგორებიცაა დღისა და კვირის გეგმების შედგენა-დანერგვა, რათა კლასის მართვა და დროის ეფექტურად მართვა გააუმჯობესოს, გვიზიარებს თავის შედეგებს და აღნიშნავს, რომ მასწავლებლებთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობა კიდევ უფრო ეფექტური იქნებოდა.

მკვლევარი #1 წერს: მოსწავლეთა შედეგები უკეთესობისაკენ შეიცვალა, საგრძნობლად გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია, გაუმჯობესდა კლასში კითხვის დონე. უკეთესად კითხულობენ, ვიდრე ადრე, კვლევის დასაწყისში. მაღალია მათი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში.

მკვლევარი #2 კვლევითი ნაშრომის შეჯამებისას წერს: ჩემს მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევის ფარგლებში მოვახერხე საკვლევ საკითხთან დაკავშირებით თანამედროვე ლიტერატურის გაცნობა და როგორც ჩემი პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესება ასევე სკოლის მასწავლებლებისათვის ცოდნის გაზიარება და ჩვენი მცირეკონტინგენტიანი სკოლის ყველა მასწავლებლის ჩართვა ინტერვენციებში. ამას მოყვა ის, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი გაუმჯობესდა, მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებაში მივიღეთ დადებითი დინამიკა.

მკვლევარი #3 პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის რეფლექსიაში აღნიშნავს: I-III კლასკომპლექტში ჩემ მიერ შესწავლილი პრობლემის (საგაკვეთილო დროის დეფიციტი) გამომწვევი მიზეზები აღმოჩნდა:

- კლასკომპლექტის მოსწავლეების არასაკმარისი და არათანაბარი სასკოლო მზაობა;
- ასაკობრივი განვითარების თავისებურებები;
- მეტყველებაში არსებული ხარვეზები;
- სირთულეები სხვადასხვა ემოციის, ინტელექტისა და აქტიურობის მქონე მოსწავლეთა მართვაში;

- დაგეგმილი გაკვეთილების სასწავლო პროცესად რეალიზების სირთულეები;
- სასწავლო, დამხმარე რესურსების არარსებობა;
- სამუშაო რვეულების არარსებობა.

პრობლემების მოსაგვარებლად დაგეგმილი ინტერვენციები ეტაპობრივად განხორციელდა. პირველ ეტაპზე, შევქმენი სასწავლო რესურსები და ამის გათვალისწინებით დავგეგმე გაკვეთილები. შემდეგ ეტაპზე თავი მოვუყარე მეტყველების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ სავარჯიშოებს და მათი გამოყენება გეგმაზომიერად გადავანაწილე დროში. ინტერვენციების ეტაპზე ინტენსიურად გამოვიყენე მოსწავლეებში თვითმართვის უნარის განვითარებაზე ორიენტირებული სავარჯიშოები და შედეგებიც საინტერესო მივიღე. წარმოებული კვლევის მასალების გამოყენება შეუძლია ყველას, ვისაც აქვს იგივე ტიპის პრობლემა კლასკომპლექტში და გამომწვევი მიზეზებიც იდენტური აქვს“

**დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ,** რომ კლასკომპლექტის მასწავლებელთა მიერ განხორციელებული პრაქტიკის კვლევათა რაოდენობა არ არის მრავალრიცხოვანი და ამ კვლევების ფარგლებში განხორციელებული ინტერვენციები, შედეგები, უფრო მეტი განზოგადების საშუალებას არ იძლევა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მკვლევარი კლასკომპლექტის მასწავლებლების მიერ დასახელებული გადასაჭრელი პრობლემები ძირითადად გაკვეთილის ბარიერებს ეხება და ტიპურია მცირეკონტინგენტთან სკოლებში არსებული კლასკომპლექტებისათვის. კარგი იქნება, თუ სახელმწიფოს მხრიდან უფრო მეტი ყურადღება მიექცევა იმ ზოგად, სისტემურ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც სკოლასა და მასწავლებელს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ უფრო მეტად იყოს წახალისებული ასეთი ტიპის სკოლებში კლასკომპლექტში მომუშავე მასწავლებელთა მიერ კვლევების ჩატარება, რაც ხელს შეუწყობს სკოლისა და კლასის დონეზე არსებული სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად სკოლის შიდა რესურსების (ადამიანური და მატერიალური) მაქსიმალურ მობილიზებას და იმ ინტერვენციების განსახორციელებლად, რაც პრობლემის გადასაჭრელადაა დაგეგმილი.

### **1.9 კლასკომპლექტის მასწავლებელთა და ტრენინგების ხელმისაწვდომობა**

ამ ნაწილში შევხებით ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილების შესაბამისი გამოწვევების კვალდაკვალ კლასკომპლექტის მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობას და არსებულ რეალობას.

ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის აუცილებელი წინაპირობა, მასწავლებლის უწყვეტი ზრუნვაა საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. მოთხოვნები მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე ასახულია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში.

მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული მეთოდები: სემინარი, ტრენინგი, კონფერენცია და სხვა, ნაკლებად დემოკრატიულ მიდგომად ითვლება, რადგან სწავლების ზემოდან-ქვემოთ პრინციპებს ეყრდნობა. ბოლო წლებში განათლების მკვლევრები თვლიან, რომ არადემოკრატიული პროფესიული განვითარების სტრატეგიები არასაკმარისია სხვადასხვა გარემოში მომუშავე მასწავლებელთა კომპეტენციების გასავითარებლად (ჯანელიძე, 2019).

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელთა მოკლევადიანი ტრენინგ-სემინარები ორიენტირებული იყოს მასწავლებლის კომპეტენციების ზრდაზე.

რეფორმის მიმდინარეობისას ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებებმა განსაზღვრა მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების აუცილებლობა. მასწავლებელთა გადამზადების მიმდინარეობის სხვადასხვა ეტაპზე ჩართული იყვნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - ები (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი), არასამთავრობო ორგანიზაციები, სახელმწიფოს მიერ დაქირავებული პროვაიდერი ორგანიზაციები, კერძო სექტორის წარმომადგენლები. ამ პროცესს დეტალურად არ განვიხილავთ, რადგან სცდება ჩვენი კვლევის მიზანს. თუმცა, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ მსოფლიო ბანკის შეფასება, რომელშიც 2014 წლამდე საქართველოში ჩატარებული მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ტრენინგების უმეტესობა

მოხსენიებულია, მოკლევადიანი და ძირითადად, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის მოსამზადებელი (The World Bank, 2014) .

2019 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობების ეფექტიანობის აუდიტი. აუდიტმა შეისწავლა სქემით გათვალისწინებული მასწავლებლის კვალიფიკაციის ამალგებისა და კარიერული წინსვლისთვის ჩატარებული ტრენინგების ეფექტიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

**აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებულ ანგარიშში აღნიშნულია:** „მასწავლებელთა 49% თვლის, რომ TPDC-ის ტრენინგები მათ საჭიროებებზე ნაწილობრივია მორგებული“. „2019 წელს სისტემაში არსებულ მასწავლებელთა 29%-ს (17,390 მასწავლებელი) ბოლო 3 წლის განმავლობაში გადამზადების კურსი არცერთი მიმართულებით არ გაუვლია“ (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2021) .

2020 წლიდან მასწავლებლებისთვის სავალდებულო გახდა ტრენინგების გავლა. ამჟამად მოქმედი სქემის რედაქციით, მასწავლებლებს, საერთაშორისო პრაქტიკის მსგავსად, ევალებათ: უფროსმა მასწავლებელმა ერთი წლის განმავლობაში გაიაროს, მინიმუმ, 20 საათიანი გადამზადება; წამყვანმა მასწავლებელმა – 12 საათიანი; ხოლო მენტორმა მასწავლებელმა – 6 საათიანი ტრენინგი.

განათლების ყველა საფეხურზე ხარისხიან განათლებასთან დაკავშირებული გამოწვევების ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებად ითვლება: სწავლების ხარისხი და მასწავლებელთა კომპეტენცია. დოკუმენტში - „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022-2032“ - აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა დიდი ნაწილს არ აქვს საკმარისი კომპეტენცია, უპასუხოს მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებს, დაგეგმოს და განახორციელოს დიფერენცირებული სასწავლო პროცესი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2021).

ნაშრომის საკვლევ საკითხთან მიმართებაში გავანალიზეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან, აჭარის განათლების ფონდიდან (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მიღებული სტატისტიკური მონაცემები.

რა შინაარსისა და დასახელების ტრენინგები იყო ხელმისაწვდომი 2018-2022 წლებში დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის. ოფიციალურად, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, გამოვითხოვეთ ინფორმაცია, როგორც აჭარის განათლების ფონდიდან (ბათუმის მასწავლებლის სახლი), ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან (თბილისის მასწავლებლის სახლი) შემდეგ მონაცემებზე:

1. დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი მოდულების ნუსხა 2018-2022 წლებში; 2. 2018-2022 წლებში კლასკომპლექტის მასწავლებლებისათვის შეთავაზებული მოდულების ნუსხა; 3. 2018-2022 წლებში გადამზადებული კლასკომპლექტის მასწავლებლების სტატისტიკა.

ანალიზისას ფოკუსი გავაკეთეთ იმ მთავარ ჩანაწერზე, რაც არის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის (2018-2024) მეჩვიდმეტე მუხლის 8, 9, 10, 11 პუნქტებში. კერძოდ კი მე-17 მუხლის მე-11 პუნქტში აღნიშნულია: „კლასკომპლექტებში სწავლა-სწავლების პროცესი მთლიანად უნდა დაეფუძნოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს“. ამ ჩანაწერის კვალდაკვალ გავაანალიზეთ ის მონაცემები, რაც დაწყებითი კლასის კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის შეთავაზებული და გავლილი ტრენინგების შესახებ მივიღეთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრიდან და ბათუმის მასწავლებლის სახლიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018-2022 წლებში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა I-IV და I-IV კლასის მასწავლებლებისთვის ჯამში 56 ტრენინგმოდული (იხილეთ დანართი.... ) მოამზადა და შესთავაზა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს, მათ შორის - 19 ზოგადი და 37 საგნობრივი ტრენინგი.

**ზოგადი მოდულები შემდეგ მიმართულებებზე ნაწილდება:**

1. მდგრადი განვითარება;
2. ზოგადპროფესიული უნარები;
3. Teams;

4. ციფრული მოქალაქეობა;
5. დისტანციური სწავლება;
6. კრიტიკული აზროვნება;
7. პროექტული სწავლება.

საათობრივი თვალსაზრისით მრავალფეროვნებაა და სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ გააკეთონ არჩევანი. განსაკუთრებით დიდი არჩევანი აქვთ საგნობრივ ბლოკში ბუნებისმეტყველების სწავლების მიმართულებით.

6-8 საათიანი მოდული	12 საათიანი მოდული	12-16- 18 საათიანი მოდული	20 საათიანი მოდული
10	20	14	12

ამ მოდულებს შორისაა ერთი 12 საათიანი ტრენინგმოდული „კლასკომპლექტში სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები“, რომელიც 2019 წელს „ასწავლე საქართველოს“ პროგრამის ფარგლებში მომზადდა და ამ პროგრამის მონაწილე 134-მა მასწავლებელმა გაიარა. თუმცა მათგან მხოლოდ 12 მონაწილე ასწავლიდა კლასკომპლექტში. პროგრამის მონაწილე კონსულტანტ-მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ ფუნქციებში შედის ადგილზე მასწავლებელთა საჭიროებებზე მორგებული კონსულტაციების გაცემა და ტრენინგის მასალები მათ გადასცეს იმ მასწავლებლებს, რომლებიც ასწავლიან კლასკომპლექტში.

აჭარის განათლების ფონდმა 2018-2022 წლებში დაწყებითი კლასების მასწავლებელთათვის მოამზადა 23 ტრენინგმოდული. წლების მიხედვით ეს ასე გამოიყურება:

2018	2019	2020	2021	2022
4	5	1	9	5

ხოლო მასწავლებლებისათვის ასარჩევი ტრენინგმოდულების სტატისტიკა წლების მიხედვით ასეთია:

2018	2019	2020	2021	2022
4	9	10	19	24

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს აჭარის განათლების ფონდმა დაწყებითი კლასების მასწავლებლებს შესთავაზა ტრენინგ-კურსი „კლასკომპლექტში მუშაობის სპეციფიკა და სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა“. ტრენინგმოდული მოიცავს 20 საკონტაქტო და 10 არასაკონტაქტო საათს (ოთხი სატრენინგო დღე, დღეში 5 სთ.) გადამზადდა - 187 მსმენელი

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და აჭარის განათლების ფონდის მიერ მოწოდებული მასალები მოიცავდა არა მარტო ტრენინგების ნუსხას, არამედ ანოტაციებსაც, რამაც საშუალება მოგვცა, შეგვესწავლა ყველა საგნობრივი ტრენინგის ანოტაცია, რათა გაგვეანალიზებინა რამდენად იყო აქცენტი გაკეთებული ამა თუ იმ საგნის სწავლებაში დიფერენცირებულ მიდგომებზე და დიფერენცირებული სწავლების მეთოდებზე. ჩვენ მიერ შესწავლილი 89 ტრენინგმოდულის ანოტაციის ანალიზმა აჩვენა, რომ მხოლოდ 5 საგნობრივი ტრენინგის ანოტაციაშია სხვადასხვა კონტექსტში ნახსენები დიფერენცირებული სწავლება და დიფერენცირებული სწავლების აქტივობები.

მოწოდებული ოფიციალური სტატისტიკიდან ჩანს, რომ 2018-2022 წლებში დაწყებითი კლასის მასწავლებლებისათვის მომზადდა 89 ტრენინგპროგრამა. მათგან მხოლოდ ორი მოდულია კლასკომპლექტის მასწავლებლებისათვის, რომლის ფარგლებშიც აჭარაში გადამზადდა 187 მასწავლებელი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ ფარგლებში გადამზადდა 134 პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებელი.

ჩვენ მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის პასუხად მოსულ მონაცემებში, კერძოდ, იმ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მოდულების ჩამონათვალში, რომელიც საგნობრივ და ზოგადი ხასიათის ტრენინგებს მოიცავდა, არ არის არც ერთი მოდული არც დიფერენცირებულ სწავლებაზე, არც კლასის მართვაზე - რაც კლასკომპლექტის მასწავლებელთა მიერ დასახელებულ პრობლემათა ნუსხაში პირველ ადგილს იკავებს და ეროვნული სასწავლო გეგმის მე-17 პუნქტის მე-11

მუხლის ჩანაწერის შესრულებისთვისაა საჭირო (დიფერენცირებული სწავლების მიდგომები).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კლასკომპლექტის მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი არ არის პროფესიული განვითარების სერვისები, რაც მათ დაეხმარებოდათ: ესგს მთავარი მეთოდოლოგიური რეკომენდაციის შესრულებაში, რაც დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკაში დანერგვას მოიცავს; კლასის მართვასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში; წყვილი აქტივობების შერჩევის სტრატეგიების დაუფლებაში. კარგი იქნება თუ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სერვისების მომწოდებლები გაითვალისწინებენ კლასკომპლექტის მასწავლებელთა საჭიროებებს განსაკუთრებით კი იმ რეალობის გათვალისწინებით რომ კლასკომპლექტის მასწავლებელთა რიცხვი მზარდია.

### *1.10 სასკოლო სახელმძღვანელოები და კლასკომპლექტში სწავლების გამოწვევები*

საქართველოში, ისევე როგორც ბევრ განვითარებად ქვეყანაში, სასკოლო სახელმძღვანელო ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ძირითადი ინსტრუმენტია, ანუ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელო არის ის მთავარი რესურსი, რომლის გამოყენებითაც მოსწავლეებში ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ფორმირება მიმდინარეობს.

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიებმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სასკოლო სისტემაში წამყვანი ადგილი დაიკავა, სასკოლო სახელმძღვანელო მაინც მთავარი სასწავლო რესურსია როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლისთვის (UNESCO, 2016). ციფრული ტექნოლოგიებს, როგორც „განათლების მომავალს“, პოზიტიური გავლენა აქვს ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობაზე, აღსანიშნავია, რომ არცერთი ქვეყანა სრულად არ გადასულა ციფრულ ტექნოლოგიებზე. განვითარებული ქვეყნის განათლების სისტემები ერთდროულად იყენებენ ელექტრონულ სასწავლო რესურსებს და ბეჭდურ

სახელმძღვანელოებს. ციფრული სასწავლო რესურსები არის სახელმძღვანელოების დამხმარე და არა შემცვლელი.

კვლევებით დასტურდება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მასწავლებლის სასკოლო სახელმძღვანელოებზე მაღალი მიჯაჭვულობაა, დაბალია სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ამ ქვეყნებში მასწავლებლები სასწავლო პროცესის დაგეგმვაში, რეალურად, არ მონაწილეობდნენ და ცენტრალიზებულად იყენებენ დეტალურად გაწერილ სილაბუსებს (UNESCO, Global education monitoring report summary , 2016).

განვითარებულ ქვეყნებში სასკოლო სახელმძღვანელო დამხმარე სასწავლო რესურსია. ის არ მოიაზრება, როგორც უალტერნატივო და ერთადერთი სასწავლო რესურსი (Miao, Fengchun, Sanjaya Mishra, and Rory McGreal, 2016). ამ შემთხვევაში მასწავლებლისათვის მნიშვნელოვანი სასწავლო გეგმაა და არა სასკოლო სახელმძღვანელო.

სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე, ხარისხიანი განათლების მნიშვნელოვან რესურსად ითვლება სასწავლო კურიკულუმთან და კვალიფიციურ პედაგოგთან ერთად (Smart, 2018).

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ განვითარებად ქვეყნებში სასკოლო სახელმძღვანელო აბალანსებს იმ ხარვეზებს, რაც მოქმედ მასწავლებლებს კვალიფიკაციასთან დაკავშირებით გააჩნიათ. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებში ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებლის წიგნი, რომელსაც პირდაპირი გავლენა აქვს სწავლის ხარისხზე (Oates, 2014).

სამი მთავარი კომპონენტი - 1. სასწავლო გეგმა, 2. სასკოლო სახელმძღვანელო, 3. შეფასება - ხარისხიანი განათლების სამკუთხედს ქმნის. სასკოლო სახელმძღვანელო კი არის შუა რგოლი ეროვნულ სასწავლო გეგმასა და შეფასებას შორის. ამიტომ სახელმძღვანელოების როლი სისტემის გაუმჯობესებაში დიდია.

საქართველოში ეროვნული სასწავლო გეგმის სასწავლო მიზნების მიღწევა დიდწილადაა დამოკიდებული სახელმძღვანელოზე, რომლებსაც, თავის მხრივ, არსებითი გავლენა აქვს შეფასების სისტემაზე.

კვლევები ადასტურებს კორელაციის არსებობას - საკლასო პედაგოგიკას, სახელმძღვანელოების დამტკიცების პოლიტიკას და სწავლის შედეგებს შორის. ეს მნიშვნელოვანი ინფორმაციაა, რადგან სასკოლო სახელმძღვანელო, მასწავლებლის მთავარ სასწავლო რესურსს წარმოადგენს (Wilkens, 2011).

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, სასკოლო სახელმძღვანელოს თემატური შინაარსები, სახელმძღვანელოს ენა და სწავლების მეთოდის საკითხები შესაბამისობაში უნდა იყოს მოსწავლეთა საჭიროებებთან.

საინტერესოა ესტონეთის მაგალითი. ესტონეთში განათლების რეფორმა 2014 წელს დაიწყო. რეფორმის ჯგუფმა შეიმუშავა „მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის უზრუნველყოფის სტრატეგია 2020“. ესტონეთის განათლების სამინისტრომ პასუხისმგებლობა აიღო: გრძელვადიანი მიზნების მიღწევაზე; რეფორმის ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებაზე; სხვადასხვა საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმების მომზადებაზე. სკოლები თავისუფლები არიან აირჩიონ სახელმძღვანელოები და სასწავლო მასალები: მოსწავლის სამუშაო რვეულები; სხვადასხვა ტიპის გზამკვლევები; ციფრული წიგნები; მულტიმედია სასწავლო რესურსები და სხვა. ესტონეთის შემთხვევაში მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია სასკოლო სახელმძღვანელოს ალტერნატივები. სასკოლო სახელმძღვანელოები და რესურსები მოსწავლეებისთვის არის უფასო. სასწავლო პროგრამების შედეგებზე გასასვლელად სკოლებმა უნდა დააკმაყოფილონ მინიმალური სტანდარტი. მოსწავლეები და მასწავლებლები სასკოლო სახელმძღვანელოებთან მიმართებაში ყველაზე დიდ მნიშვნელობას ტექსტების სიმარტივეს და შინაარსს ანიჭებენ (Rodríguez Rodríguez, 2019).

საქართველოში 2006 წელს პირველი ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცებამ განაპირობა ახალი სახელმძღვანელოების შემუშავების აუცილებლობა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 11 მაისის №428 ბრძანების საფუძველზე დამტკიცდა გრიფის მინიჭების წესი, რომელიც ორ გზას - კონკურსს, ან პილოტირებას ითვალისწინებდა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2006).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 18 მარტის №138 ბრძანებით გაუქმდა პილოტირების გზით სახელმძღვანელოსათვის გრიფის მინიჭების წესი და პირობითი გრიფირების შესაძლებლობაც (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2009).

2017 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების ახალი წესი დამტკიცდა, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობდა გრიფირების კონკურსი 2018-2019 წლებში (სამინისტრო, 2017).

გრიფირების 2006-2011 წლების პროცედურისგან განსხვავებით, 2017 წლის წესის შესაბამისად განსაზღვრულია სახელმძღვანელოს გადამუშავებისა და განახლების წესი. მე-16 მუხლის მიხედვით, ნაცვლად 6 წლისა, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის გრიფის მოქმედების ვადა განისაზღვრება შესაბამისი საგნობრივი სასწავლო გეგმის მოქმედების პერიოდით. „ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2017).

გრიფირების წესში არსებითი ცვლილებები არ შესულა და ის ითვალისწინებს სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტების შემდეგი კატეგორიებით შეფასებას:

1. სასწავლო შინაარსის ორგანიზება;
2. ესგსთან შესაბამისობა,
3. სტრუქტურა
4. ტექნიკური გამართულობა.

წინა თავში ჩვენ გავეცანით, რა შინაარსის ჩანაწერები იყო კლასკომპლექტებზე პირველი, მეორე და მესამე თაობის ეროვნულ-სასწავლო გეგმებში. მნიშვნელოვანია, რომ 2018 წელს დაწყებითი კლასების გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები განვიხილოთ ესგს მე-17 მუხლის მე-11 პუნქტთან მიმართებაში, რომელიც შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „კლასკომპლექტებში სწავლა-სწავლების პროცესი მთლიანად უნდა დაეფუძნოს დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო,

2018). ნაშრომის ფარგლებში კონტენტანალიზის მეთოდის გამოყენებით შევისწავლეთ I-IV კლასების ქართულის, მათემატიკის, ბუნების გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტები. ამ მეთოდის საშუალებით შევისწავლეთ, რამდენად იკითხება სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსების კონცეფციაში დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. რამდენად აძლევს სახელმძღვანელოს კომპლექტები კლასკომპლექტის მოსწავლესა და მასწავლებელს იმის შესაძლებლობას, რომ მასწავლებელმა ასწავლოს და მოსწავლემ ისწავლოს კლასკომპლექტებში.

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ფარგლებში დაწყებითი კლასების საგნებში გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების სერიების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

**2018 წელს გრიფინიჭებული I-IV კლასების სასკოლო სახელმძღვანელოები/სერიები**

	მასწავლებლის წიგნი	მოსწავლის წიგნი	მოსწავლის რვეული	ჯამი
ქართული	21	21	21	63
მათემატიკა	20	20	10	50
ბუნება	16	16	8	40
ჯამი	57	57	39	153

დაწყებითი კლასების გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზისთვის რამდენიმე თანმიმდევრული ქმედება განვახორციელეთ:

1. შევკმენით დაწყებითი კლასების გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტების საგნობრივი ნუსხა;
2. დავიწყეთ თანმიმდევრულად საგნების მიხედვით მასწავლებლის წიგნების შესწავლა მესამე თაობის ესგს მე-17 მუხლის მე-11 პუნქტთან მიმართებაში;
3. მასწავლებლის წიგნში მოვნიშნეთ ყველა ის რეკომენდაცია, აქტივობა და ა.შ., რაც დიფერენცირებულ სწავლებას ეხებოდა.

4. მასწავლებლის წიგნში ნაპოვნი ყველა მინიმუმბა დიფერენცირებულ სწავლებაზე გადავამოწმეთ მოსწავლის წიგნსა და მოსწავლის რვეულში.

2018 წელს გრიფმინიჭებულია სასკოლო სახელმძღვანელოს სერიები ისეთ საგნებში, როგორებიცაა ქართული, მათემატიკა, ბუნება პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებისთვის. თითოეული საგნის ამა თუ იმ კლასის კომპლექტში შედიოდა: მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი და მოსწავლის რვეული. მათემატიკისა და ბუნების მესამე და მეოთხე კლასის კომპლექტებს, გრიფირების მოთხოვნის შესაბამისად, არ ახლავს მოსწავლის რვეული.

ქართულში შევისწავლეთ 21 მასწავლებლის წიგნი, 21 მოსწავლის წიგნი და 21 მოსწავლის რვეული. მასწავლებლის წიგნების შესწავლისას ჩვენი მთავარი მიზანი იყო, აღმოგვეჩინა ყველა ტიპის რჩევა ან რეკომენდაცია, რომელიც თუნდაც შენიშვნის ან კომენტარის სახით იქნებოდა განკუთვნილი კლასკომპლექტის მასწავლებლისათვის. მაშინ, როდესაც მასწავლებლის წიგნებში გაკვეთილის სცენარები დეტალიზებულია ჩვეულებრივ საკლასო ოთახებში მომუშავე მასწავლებლებისთვის.

ქართულის I-IV კლასების მასწავლებლის წიგნების სარჩევების ანალიზიდან ირკვევა, რომ ყველა მათგანი მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგნობრივი პროგრამა ქართულში; წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები; სტანდარტის შედეგის მიღწევისა და სახელმძღვანელოს შინაარსის ურთიერთკავშირის მატრიცა; პედაგოგისთვის განკუთვნილი ზოგადი ხასიათის მეთოდური მითითებები; გაკვეთილების სცენარები. I-IV კლასის ქართულის მასწავლებლის წიგნში დეტალურადაა აღწერილი პირველი თავის ყველა გაკვეთილი და დანარჩენი თავების ყველა მნიშვნელოვანი გაკვეთილი.

როგორც კვლევამ აჩვენა, ქართულის I-IV კლასების მასწავლებლის წიგნებში არის აუცილებელი თავები, რაც ყველა გრიფმინიჭებული სერიის მასწავლებლის წიგნის სტრუქტურული ერთეულია და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა კომპლექტებში სხვადასხვა შინაარსისაა მასალა - „პედაგოგისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია და მეთოდური მითითებები“. ჩვენ მიერ განხილული

ქართულის მასწავლებლის წიგნებში არცერთ ავტორს არ აქვს არანაირი რეკომენდაცია კლასკომპლექტის მასწავლებლისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დიფერენცირებული სწავლებისთვის განკუთვნილი მზა სავარჯიშოები, რომელთა გამოყენება შეუძლიათ კლასკომპლექტის მასწავლებლებს, არის შემდეგ სერიებში:

	I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი
შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“	-	0	0	0
შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“	+			
შპს „გამომცემლობა დიოგენე“				+
შპს „აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი“		+		
შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“			+	
შპს „გამომცემლობა მერიდიანი“			+	

მაგალითად, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ ქართულის პირველი კლასის მასწავლებლის წიგნი 273-გვერდიანია და მოიცავს როგორც მეთოდურ მასალას, ასევე გაკვეთილის სცენარებს. წიგნში გვხვდება დანართი 4. ეს არის მასალა დიფერენცირებული სწავლებისთვის ანბანის შემდგომ პერიოდში. ამ თავში მოცემულია სარეკომენდაციო მასალა – დამატებითი თემები და ტექსტები. პედაგოგს შეუძლია, გააკეთოს ამ ტექსტების ასლები და ინდივიდუალური დავალებები მისცეს მოსწავლეებს. ეს არის სარეკომენდაციო მასალა და არ ახლავს დიფერენცირებული სწავლების ფორმების, ტიპების ან ეტაპების აღწერა და არც რამე ტიპის რეკომენდაცია კლასკომპლექტში მუშაობის თავისებურებების გათვალისწინებით. რა თქმა უნდა, გრიფირების წესი და მოთხოვნები არ ავალდებულებს სახელმძღვანელოს ავტორს ამ ტიპის რეკომენდაციების შეთავაზებას. კლასკომპლექტის მასწავლებელს არ გაუვლია მიზნობრივი ტრენინგი და გაუჭირდება ამ მასალების მარტივად ადაპტირება თავისი

საჭიროების შესაბამისად. აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: სოფლის მცირეკონტინგენტიანი სკოლების დიდ უმრავლესობას არ ექნება ამ მასალის ამობეჭდვის ან ასლის გადაღებისთვის საჭირო აღჭურვილობა.

შპს „გამომცემლობა დიოგენეს“ მიერ მომზადებული მეოთხე კლასის ქართულის, შპს „აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრის“ მეორე კლასის, შპს „გაზეთი საქართველოს მაცნეს“ მესამე კლასის, შპს „გამომცემლობა მერიდიანის“ მესამე კლასის მასწავლებლის წიგნებში მოცემული რეკომენდაციების მცირე ნაწილი დიფერენცირებულ სწავლებას შეეხება, რაც კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის შედარებით უფრო საჭირო მასალაა.

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ მიერ განხილული ამ გრიფირებული სერიების მასწავლებლის წიგნები არ შეიცავს რამე ტიპის რეკომენდაციას, რჩევას და ა. შ., გამიზნულს კლასკომპლექტში მომუშავე მასწავლებლისათვის. გვხვდება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ერთეული ეპიზოდები დიფერენცირებულ სწავლებაზე.

**მათემატიკაში** შევისწავლეთ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოს კომპლექტებიდან 20 მასწავლებლის წიგნი, 20 მოსწავლის წიგნი და 10 მოსწავლის რვეული. მასწავლებლის წიგნების შესწავლისას ჩვენი მიზანი იყო, მოგვენიშნა ყველა ტიპის რჩევა, რეკომენდაცია, შენიშვნა ან კომენტარი, განკუთვნილი კლას-კომპლექტის მასწავლებლისათვის. მაშინ, როდესაც მასწავლებლის წიგნებში არის გაკვეთილის სცენარები ჩვეულებრივ საკლასო ოთახებში მომუშავე მასწავლებლებისთვის.

**I-IV კლასების მათემატიკის სახელმძღვანელოების მასწავლებლის წიგნების სარჩევების ანალიზიდან ირკვევა, რომ ყველა მათგანი მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს:** ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მათემატიკის წლიური პროგრამა; სასწავლო წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები; მიზნების რუკას, რომელშიც წიგნის ავტორები გვთავაზობენ საკუთარი სახელმძღვანელოების სარჩევებში მოცემულ შინაარსებსა და სასწავლო პროგრამას შორის არსებულ კავშირს; მათემატიკის სწავლების საკითხებზე მეთოდური რჩევები; მათემატიკის სწავლებაში მეთოდური მითითებები;

გაკვეთილების სცენარები. I-IV კლასების მასწავლებლის წიგნებში დეტალურადაა აღწერილი პირველი თავის ყველა გაკვეთილი და დანარჩენი თავების ყველა მნიშვნელოვანი გაკვეთილი.

მათემატიკის მასწავლებლის წიგნების შესწავლისას ყურადღება გავამახვილეთ, სტანდარტული გრიფირების წესის მოთხოვნების გარდა რა თემებზე და საკითხებზე აქვთ ავტორებს ყურადღება გამახვილებული. თავი მოვუყარეთ ამ დანართების შინაარსებს და მივიღეთ შემდეგი თემატიკა: ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები (პიაჟეს განვითარების თეორიის მოკლე მიმოხილვა); ამოცანები მათემატიკის მოყვარულთათვის; ელექტრონული რესურსები; თვალსაჩინოების როლი მათემატიკის სწავლებისას; მათემატიკური თამაშები და აქტივობები; ზეპირი ანგარიშის სტრატეგიები; ტექსტიანი ამოცანებით სწავლება; საპროექტო დავალებები. ამის გარდა, გულდასმით შევისწავლეთ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტის მასწავლებლის წიგნებში რამე ხომ არ არის დიფერენცირებულ სწავლებაზე- დიფერენცირებული სწავლების მოდელებზე, მიდგომებზე, მეთოდებზე. ამ მიმოხილვის შედეგები ჩანს ცხრილში:

	I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი
შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა"		+		
შპს „ინტელექტი“				
ავთანდილ საგინაშვილი				
შპს "პედაგოგიკა"				
შპს "აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი"				

**შეჯამების სახით** შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ მიერ განხილული I-IV კლასების მათემატიკის გრიფირებული სერიების მასწავლებლის წიგნები არ შეიცავს რამე

ტიპის რეკომენდაციას/რჩევას, გამიზნულს კლასკომპლექტში მომუშავე მასწავლებლისათვის. გვხვდება მხოლოდ ზემოთაღნიშნული ერთეული ეპიზოდები დიფერენცირებულ სწავლებაზე.

**ბუნებაში** შევისწავლეთ 16 მასწავლებლის წიგნი, 16 მოსწავლის წიგნი და 8 მოსწავლის რვეული. მასწავლებლის წიგნების შესწავლისას ჩვენი მთავარი მიზანი იყო, აღმოგვეჩინა ყველა ტიპის რჩევა ან რეკომენდაცია, რომელიც თუნდაც შენიშვნის ან კომენტარის სახით იქნებოდა განკუთვნილი კლასკომპლექტის მასწავლებლისათვის ან რაიმე ტიპის რეკომენდაცია თემაზე - დიფერენცირებული სწავლება. მაშინ, როდესაც მასწავლებლის წიგნებში გაკვეთილის სცენარები დეტალიზებულია ჩვეულებრივ საკლასო ოთახებში მომუშავე მასწავლებლებისთვის.

მიმოვიხილეთ გრიფირებული ბუნების სასკოლო სახელმძღვანელოების მასწავლებლის წიგნები.

	I კლასი	II კლასი	III კლასი	IV კლასი
შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“			+	
შპს „გაზეთი საქართველოს მაცნე“				
შპს „შემეცნება“				
შპს „ინტელექტი“				+

სარჩევების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა - ისევე, როგორც სხვა საგნობრივ სერიებში ბუნების წიგნებიც მოიცავს; წლიურ პროგრამას; სასწავლო მიზნების შესაბამის შედეგებს და ინდიკატორებს; მატრიცას, რომელიც აჩვენებს იმ ურთიერთმიმართებას, რაც არსებობს სახელმძღვანელოს შინაარსსა და პროგრამას შორის. ასევე გვხვდება საგნის სწავლების მეთოდუკასთან დაკავშირებული საკითხები და სავალდებულო რაოდენობის გაკვეთილის სცენარები.

გრიფირებული ბუნების წიგნის მასწავლებლის წიგნში დანართების სახით სახელმძღვანელოს ავტორები, საკუთარი შეხედულებებით, მასწავლებლებს,

რომლებიც მათი წიგნებით ასწავლიან, სთავაზობენ რეკომენდაციებს შემდეგი მიმართულებით: მცირე ჯგუფებში და წყვილებში მუშაობა; როგორ შევაფასოთ მოსწავლე; სარეკომენდაციო მასალების ჩამონათვალი, სადაც ძირითადად მითითებულია მეთოდური სტატიების ნუსხა საიტიდან <http://mastsavlebeli.ge/>

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის 2022 წლის ანგარიშში „სასკოლო საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა ეფექტიანი სწავლა-სწავლების უზრუნველყოფის პროცესში“ (საქართველოს პარლამენტი, 2022) აღნიშნულია, რომ „ნაკლებია ინტერესი სასწავლო რესურსების ხარისხის კვლევებთან დაკავშირებით, რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა სასწავლო რესურსების განვითარებაში“. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ სასურველია აკადემიური სფეროს წარმომადგენლები დაინტერესდნენ და გამოიკვლიონ სახელმძღვანელოების მეთოდოლოგიური ასპექტები, ასევე, კონკრეტული სახელმძღვანელოსა თუ ციფრული რესურსის ეფექტიანობა“.

ქვეყანაში, სახელმძღვანელოების კვლევები მწირია. არც გამომცემლობები და არც კვლევითი დაწესებულებები, არ არიან ჩართული სახელმძღვანელოების მეთოდოლოგიური ასპექტების კვლევაში.

საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის 2022 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „უკიდურესად პასიურია სახელმძღვანელოების კვლევის თვალსაზრისით საუნივერსიტეტო სექტორი. ბოლო 5 წლის განმავლობაში ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში ჩაატარეს სულ 6 კვლევა, რომელიც ირიბად ეხება სახელმძღვანელოებს და მოიცავს როგორც პროფესორების მიერ ჩატარებულ კვლევებს, ასევე, სადოქტორო დისერტაციებს“ (საქართველოს პარლამენტი, 2022).

**შეჯამებისას შეიძლება ითქვას -** როგორც 1-4 კლასების გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტების ანალიზმა აჩვენა, გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები მართლაც არ შეიცავს არანაირ კონკრეტულ რეკომენდაციას კლასკომპლექტის მასწავლებლისათვის, მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ კლასებში მომუშავე მასწავლებლებისთვის განკუთვნილი

გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების მასწავლებლის წიგნებში დაწვრილებითაა დაგეგმილი გაკვეთილები. ყველა გრიფირებულ წიგნს ახლავს ელექტრონული რესურსები, რომელთა გამოყენების მეთოდიკას კლასკომპლექტის მასწავლებლები არ იცნობენ და მათ უმრავლესობას არ აქვთ ინტერნეტთან წვდომა.

გარდა ამისა, მესამე და მეოთხე კლასის გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტებში არ შედის სამუშაო რვეულები, რაც კლასკომპლექტის მასწავლებლისთვის დამატებითი პრობლემაა, რადგან ამ კლასებში მასწავლებლებს უწევთ, თვითონ შექმნან დავალებები, რომლებზეც ამუშავენ მოსწავლეს მაშინ, როდესაც კლასკომპლექტის მეორე კლასს ან უხსნის ახალ გაკვეთილს, ან მოსწავლე ჰყვება გაკვეთილს.

კარგი იქნება თუ სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებს მიეწოდებათ ინფორმაცია კლასკომპლექტების შესახებ და დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოს ავტორები, გარკვეულ რეკომენდაციებს ჩადებენ თუნდაც დიფერენცირებული სწავლების მოდელებზე, მიდგომებზე ფორმებზე და სტრატეგიებზე.

## კვლევითი ნაწილი

### თავი მეორე - თვისებრივი კვლევა

#### 2.1 კვლევის ზოგადი მიმოხილვა

კვლევის მიზანია, დაწყებითი საფეხურის კლასკომპლექტებში სასწავლო პროცესის პრაქტიკის კვლევა. კერძოდ, იმის შესწავლა თუ რა გამოწვევებს მოიცავს დაწყებითი საფეხურის კლასკომპლექტის მასწავლებელთა პრაქტიკა; რა ბარიერები აქვთ გადასალახი კლასკომპლექტის მასწავლებლებს გაკვეთილის ჩატარებისას; როგორია, დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის გაკვეთილის ბარიერების დასაძლევად საჭირო სასწავლო რესურსების და პროფესიული განვითარების სერვისების ხელმისაწვდომობა; რა ინტერვენციებია საჭირო გაკვეთილზე წარმოქმნილი ბარიერების დასაძლევად.

კვლევითი ჰიპოთეზა - მცირეკონტინგენტის სკოლების დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევების და კლასკომპლექტში გაკვეთილის ბარიერების დაძლევა შესაძლებელი გახდება კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარების ბარიერების დაძლევაზე ორიენტირებული მეთოდური გზამკვლევის, გზამკვლევაში მოცემული რეკომენდაციების შესრულებისთვის საჭირო სასწავლო რესურსების და მეთოდური კონსულტაციების ხელმისაწვდომობით.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩამოვყალიბეთ კვლევის ამოცანები:

1. მეორადი ინფორმაციის მოძიება და დამუშავება.
2. დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევების შესასწავლად ფოკუსჯგუფების სადისკუსიო კითხვარის მომზადება.
3. საქართველოს 6 რეგიონში დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა 8 ფოკუსჯგუფების ჩატარება.
4. ფოკუსჯგუფების მასალებზე დაყრდნობით დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევების შესწავლა.
5. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტის შექმნა და პილოტირება.

6. დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის 7 მასწავლებლებისგან ინტერვიუების ჩაწერა.

7. ჩაწერილი ინტერვიუების ტრანსკრიპტების გაკეთება, კოდების გამოყოფა და ვალიდაცია.

8. ინტერვენციისთვის კლასკომპლექტის მასწავლებლის გზამკვლევის მომზადება გაკვეთილის ბარიერების დაძლევისთვის.

9. ინტერვენცია (პირველადი ფოკუსჯგუფის 14 მასწავლებელს, ჩაუტარდეს კონსულტაცია, გადაეცეს გზამკვლევი და მასალები სასწავლო პროცესის ბარიერების დასაძლევად).

10. ინტერვენციული ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზი.

11. განხორციელებული კვლევის მონაცემებზე და შედეგების ანალიზზე დაყრდნობით დასკვნების ჩამოყალიბება და რეკომენდაციების შემუშავება.

საკვლევი კითხვებიდან და კვლევითი ამოცანებიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ გამოთქმული ჰიპოთეზების შესამოწმებლად, გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდები: პრეფოკუსჯგუფები, ჩალრმავებული ინტევიუები, ინტერვენცია, ინტერვენციული ფოკუსჯგუფები.

ჩვენს კვლევაში, სინთეზირდა და ერთმანეთს დაუკავშირდა სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის, სხვადასხვა გამოცდილების, სხვადასხვა სტატუსის მქონე დაწყებითი საფეხურის კლასკომპლექტის მასწავლებლების კვლევებით მოპოვებული მონაცემები. ინტერვენციამდელი ფოკუსჯგუფების, ინტერვიუების და ინტერვენციისშემდგომი ფოკუსჯგუფების მონაცემთა ანალიზი ადასტურებს კვლევის საწყის ეტაპზე ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზას. სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები (იხ. თავი მესამე) ეფუძნება ჩვენ მიერ შერჩეული მეთოდებით შეგროვილ მონაცემებს, მათ ანალიზსა და ინტერპრეტირებას.

## ***2.2 კლასკომპლექტის მასწავლებელთა ფოკუს-ჯგუფები***

ამ ნაწილში წარმოდგენილია საქართველოს ექვსი რეგიონის რვა ფოკუსჯგუფის ანალიზი, რომლითაც განხორციელდა კლასკომპლექტის

მასწავლებლების გამოწვევების იდენტიფიცირება და შეფასება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის კლასკომპლექტის მასწავლებელთა მიერ.

სადოქტორო ნაშრომის ფარგლებში განხორციელებული კვლევის დაზვერვით ეტაპზე 2017-2018 წლებში ჩატარებული იქნა ფოკუსჯგუფები საქართველოს შემდეგ რეგიონებში: რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო, იმერეთი, კახეთი, აჭარა, მცხეთა-მთიანეთი. ფოკუსჯგუფები შედგებოდა სხვადასხვა გამოცდილების მქონე კლასკომპლექტის მასწავლებლებისგან.

ფოკუსჯგუფის მთავარი მიზანი იყო კლასკომპლექტის მასწავლებელთა წარმომადგენლების მიერ დასახელებული პრობლემებისა და იმ გამოწვევების შესწავლა, რომელსაც ისინი აწყდებიან ესგს ცვლილების კვალდაკვალ განსახორციელებელი სწავლების დანერგვის ეტაპზე; ასევე ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზების შესწავლა. ფოკუსჯგუფები წარიმართა წინასწარ შედგენილი სადისკუსიო გეგმის მიხედვით. იხილეთ დანართი 1.

ანგარიში ეყრდნობა შემდეგი ფოკუსჯგუფების მასალებს. იხილეთ ცხრილი 5.

რეგიონის დასახელება	ფოკუსჯგუფში მონაწილეთა რიცხვი	1-5 წლამდე კლასკომპლექტში მუშაობს	1- 10 წლამდე კლასკომპლექტში მუშაობს	10 წელზე მეტია კლასკომპლექტში მუშაობს
რაჭა-ლეჩხუმი -1	7	1	5	1
რაჭა-ლეჩხუმი-2	8	1	6	1
სამეგრელო	6	2	3	1
იმერეთი	7	1	3	3
კახეთი	6	1	3	3
მცხეთა-მთიანეთი	7	1	1	5
აჭარა -1	8	2	2	4
აჭარა -2	8	2	4	2
სულ:	57	11	27	20

1. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებები და გამოწვევები.

ფოკუსჯგუფის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ესგ ცვლილებები მათთვის მოულოდნელი არ არის.

„ოცდამეერთე საუკუნე, ახალ მოთხოვნებს აყენებს და ამიტომ ბუნებრივია ესგ უნდა შეცვალოს, დაიხვეწოს და გათანამედროვდეს ეს ფაქტია.“ (რაჭა)

„ესგ ცვლილებები ბუნებრივია, რადგან ყველაფერი ვითარდება“ (აჭარა)

„სასწავლო გეგმის ცვლილების მოლოდინი სულ გვაქვს, მაგრამ რამდენად გვამზადებენ ამისთვის ეს არის საყურადღებო“ (სამეგრელო)

„პროგრამები იცვლება, მაგრამ მასში ჩანაწერი არ იცვლება კლასკომპლექტებზე“ (კახეთი)

„ესგ იცვლება და წიგნებიც იცვლება მაგრამ ჩვენი პრობლემები არ იცვლება“ (იმერეთი)

ფოკუსჯგუფის წარმომადგენლები ღიად საუბრობენ იმ გამოწვევებზე და პრობლემებზე, რაც ესგ ცვლილებით ექმნებათ ორ კლასთან მუშაობისას.

„ესგ ცვლილებები ჩვენთვის ორმაგი გამოწვევაა, რადგან ორ კლასს ერთდროულად ვასწავლით. ანუ ჩემი გაკვეთილის სასწავლო მიზანი ორმაგია“ (კახეთი).

„ესგ მოთხოვნაა კონსტრუქტივისტული გაკვეთილი. ის, რომ ორ კლასს ერთდროულად მისცე ინტერაქტიური სავარჯიშო ძალიან ძნელია. ამას ბევრი რესურსი და კლასის ორგანიზების დახვეწა სჭირდება“ (რაჭა).

„ნებისმიერი ცვლილება, რაც ჩვენს სფეროში ხდება, ჩვენთვის ორმაგი საფიქრალია. დაწყებული ინტერაქტიური მიდგომებით და დამთავრებული განმავითარებელი შეფასებით“ (რაჭა).

„ჩვეულებრივ საკლასო ოთახში მომუშავე მასწავლებლებისთვის მასწავლებლის წიგნში ყველა გაკვეთილია გაწერილი და ჩვენთვის ერთი პატარა გზამკვლევიც კი არ შეუქმნიათ დღემდე“ (იმერეთი).

„ეროვნულ სასწავლო გეგმაში პირდაპირ წერია, რომ კლასკომპლექტში სწავლება დიფერენცირებულ მიდგომებს უნდა ეფუძნებოდეს. მაგრამ ამის ერთი ნიმუშიც კი არსადაა. არც გზამკვლევი არსებობს და არც ტრენინგი ამ თემაზე“ (აჭარა)

„ცვლილებები პროგრამაში ყოველთვის საინტერესოა, მაგრამ ჩვენსაირ, ღარიბ სკოლებს უჭირთ ინტერაქტიური სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა. ჩვენ ხომ ორი კლასს ერთდროულად ვასწავლით, თუ ერთ კლასში რაიმე თვალსაჩინოება ან რესურსი შევიტანე მეორე კლასი იმაზეა ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამაზეც კი ვიფიქროთ“ (სამეგრელო).

„ცვლილებები, სიახლეები და გამართული სასწავლო პროცესი ჩვენც გვინდა, მაგრამ ამ ყველაფერს რესურსები სჭირდება. რაიმე რესურსის დამზადება ჩვენ რომ მოვინდომოთ, ათეული კილომეტრი უნდა გავიაროთ, რომ საკანცელარიო მალაზიამდე მივიდეთ და ეს კიდევ უფრო დიდ თავსატეხს გვიჩენს“ (მცხეთა - მთიანეთი).

## **2. გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოები.**

მასწავლებლები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ სასკოლო სახელმძღვანელოების როლს სწავლა სწავლებაში და საუბრობენ - რა გამოწვევების წინაშე დადგნენ ახალი, გრიფირებული სახელმძღვანელოების კვალდაკვალ.

„სასკოლო სახელმძღვანელოები კი იცვლება, მაგრამ მასწავლებლის წიგნებში კვლავ არაფერი წერია კლასკომპლექტებში სწავლებაზე. არ ითვალისწინებს ჩვენს მდგომარეობას“ (რაჭა).

„გრიფირებული სახელმძღვანელოების მასწავლებლის წიგნებში მწირი მასალაა დიფერენცირებულ სწავლებაზე“ (იმერეთი).

„გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მწირი მასალაა დიფერენცირებული სწავლებისას კლასის მართვის სტრატეგიებზე“ (აჭარა).

„ზოგიერთ კლასში გრიფირებულ სერიას არ აქვს სამუშაო რვეული, რაც კლასკომპლექტში მუშაობისას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“ (სამეგრელო).

„სახელმძღვანელოები უფასოა მოსწავლეებისთვის და ეს კარგია. ზოგიერთ კლასში სამუშაო რვეული არ არის და ისედაც რესურსების სიმცირეს განვიცდით და ეს ძალიან გვაბრკოლებს. მასწავლებლის წიგნებს ამ ბოლო დროს აღარც ვიძენ, იქ ჩვენთვის არაფერია“ (მცხეთა - მთიანეთი).

„წიგნები ყოველთვის გვებმარებოდა სწავლებაში. როდესაც რვეული ახლავს წიგნს, ჩვენთვის კარგია, რადგან თუ კლასკომპლექტის ერთ კლასს გაკვეთილი უნდა

მოვაცოლო, მეორე კლასს სამუშაო რვეულში სამუშაოს ვაძლევ და სწავლება მიიღობა“ (კახეთი).

### **3.სასწავლო პროცესის ბარიერები**

კლასკომპლექტის მასწავლებლები გულწრფელად საუბრობენ იმ მრავალფეროვან ბარიერებზე, რაც მათ კლასკომპლექტში სწავლა-სწავლების დროს ექმნებათ.

„დაწყებით კლასებში სწავლებისას, მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვალსაჩინოების გამოყენება. ჩემი სკოლა უსაზღვროდ ღარიბია რესურსების მხრივ“ (რაჭა).

„ხანდახან თვალსაჩინოების ან დამატებითი სასწავლო რესურსის გამოყენების გარეშე უბრალოდ გაკვეთილს ვერ ჩაატარებ და გვიწევს, თვითონ შევექმნათ ეს რესურსები. ამისთვის კილომეტრები უნდა გავიაროთ, რომ წიგნის მაღაზიამდე მივალწიოთ“ (რაჭა).

„შესაძლოა, ვინმეს გაუკვირდეს 5-6 ბავშვი როდესაცაა კლასში, რა პრობლემა უნდა იყოს კლასის მართვა, მაგრამ აქ სულ სხვა რეალობაა, ეს 5-6 ბავშვი ორ სხვადასხვა კლასშია გადანაწილებული და მათ სჭირდებათ სხვადასხვა დავალება, სხვადასხვა წიგნი, სხვადასხვა უკუკავშირი“ (იმერეთი).

„როდესაც კლასკომპლექტში ასწავლი, აზრი არ აქვს ცალკე გამოყო ამა თუ იმ კლასისთვის მოფიქრებული სავარჯიშო. აქ მთავარია, იმ სავარჯიშოებს როგორ დააწყვილებ, რასაც ერთდროულად აძლევ სხვადასხვა კლასს. წყვილი აქტივობების პარალელურად დაგეგმვა-წარმართვა არის ერთ-ერთი ბარიერთაგანი, რომლის გადალახვაც გვიწევს და ეს ხან გამოგვდის და ხან არ გამოგვდის“ (აჭარა).

„ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი გამოწვევა ერთ გაკვეთილზე ორი სასწავლო მიზნის არსებობასთან დაკავშირებული სირთულეებია“ (სამეგრელო).

„გასაგებია, რომ ესგს ჩანაწერი ვაძლევს მთავარ მეთოდურ მიმართულებას, მაგრამ რთულია დიფერენცირებული სწავლების განხორციელება რესურსების არარსებობისას“ (მცხეთა -მთიანეთი).

„სკოლაში სასწავლო რესურსების სიმწირე და ციფრული რესურსების დაბალი ხელმისაწვდომობის დაძლევა ჩვენი ძალებით შეუძლებელია“ (კახეთი).

#### **4. პრობლემების ეკოლოგია**

კლასკომპლექტის მასწავლებლები საუბრობენ იმ გარემოზე და რეალობაზე, რაც პირდაპირ თუ ირიბად გავლენას ახდენს მათ მუშაობაზე.

„დაწყებით კლასებში ვიდრე წერა-კითხვას ისწავლის მოზარდი და დამოუკიდებლად დასწავლის უნარი განუვითარდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მშობლის მხარდაჭერა, რაც ხშირად აკლიათ მაღალმთიანი სოფლის ბავშვებს“ (მცხეთა - მთიანეთი).

„ყველა სოფელში არ ფუნქციონირებს ბაღები და ხშირად სკოლაში შემოსულ ბავშვებს დაბალი სასკოლო მზაობა აქვთ. ეს განსაკუთრებით მტკივნეულია კლასკომპლექტებში, რადგან დრო ისედაც ცოტაა ორ კლასში გაკვეთილის ჩატარებისთვის და დაბალი სასკოლო მზაობის მოსწავლეს კიდევ განსხვავებული მიდგომა სჭირდება“ (იმერეთი).

„მთიან რეგიონებში სიღარიბის დონე ყოველთვის მაღალია. სიღარიბე თრგუნავს ადამიანს. მოზარდზე ძალიან მოქმედებს ოჯახის სიღარიბეც და სოფლის სიღარიბეც. ამასწინათ, სატელევიზიო გადაცემას ვუსმენდი და ჩამრჩა გონებაში, მოწვეული სტუმარი ამბობდა - სიღარიბე იწვევს უიმედობას, თრგუნავს მოზარდს და მოქმედებს მის განწყობაზე“ (აჭარა).

„ბავშვის წარმატებას ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს, ერთი მათგანი ბიბლიოთეკაა. ჩვენ არ გვაქვს არც საკლასო, არც სასკოლო და არც სოფლის ბიბლიოთეკა. ჩვენი მოსწავლეები საოჯახო ბიბლიოთეკების მხრივაც არ არიან განებივრებული. ადრე სკოლაც მრავალრიცხოვანი იყო და ბიბლიოთეკაც კარგი გვექონდა“ (სამეგრელო).

„სოფელი დაიცალა, ადრე ეს სკოლები ბავშვებით იყო სავსე, მერე ნელ-ნელა შემცირდა მოსწავლეთა რიცხვი და კლასკომპლექტები გაჩნდა. მარტო ჩვენს სოფელში არ არის ასე, გარშემო ასეთი სურათია და ბავშვებიც ძალიან დათრგუნული და მოწყენილები არიან“ (რაჭა).

#### **5. პროფესიული განვითარება**

კლასკომპლექტის მასწავლებლები საუბრობენ პროფესიული განვითარების სხვადასხვა ფორმებზე, მათ საჭიროებაზე, ხელმისაწვდომობაზე. განსაკუთრებით განიცდიან, რომ არ აქვთ პროფესიული განვითარების ხელმისაწვდომობა და გამოცდილების გაზიარების საშუალება.

„ჩვენი პროფესიული განვითარების კუთხით სხვა პედაგოგებთან შედარებით ცუდ მდგომარეობაში ვართ, რადგან ის ტრენინგები, რაც ჩვენთვის ხელმისაწვდომია, ჩვენს საჭიროებებზე არ არის მორგებული, რადგან ჩვეულებრივ საკლასო ოთახში მუშაობას განიხილავს, სადაც მხოლოდ ერთი კლასის მოსწავლეები სხედან“ (რაჭა).

„რომ იყოს სპეციალური ლიტერატურა კლასკომპლექტებში სწავლებაზე, სკოლაში დავამუშავებდით და ესეც დაგვეხმარებოდა, მაგრამ მსგავსი რამ არ არსებობს. ჩვენ არ გავგიგია, რომ არის ასეთი გამოცემა“ (იმერეთი).

„მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში საკმაოდ ბევრი მასწავლებელია, ვინც კლასკომპლექტებში ასწავლის, სპეციალურად კლასკომპლექტებში მუშაობის თემატიკაზე ტრენინგი არ ტარდება“ (აჭარა).

„იმის საშუალება მაინც იყოს, რომ ჩვენს ქვეყანაში ვინც კლასკომპლექტებში ვმუშაობთ, ერთმანეთს გამოცდილება გავუზიაროთ, ესეც საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა. ხშირად ისეთ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, რაც ძალიან უჩვეულოა და ამის შესახებ არსად არც გვისწავლია და არც წაგვიკითხავს“ (სამეგრელო).

„ისიც კი არ ვიცით, სხვა ქვეყანაში თუ არის კლასკომპლექტები და იქ როგორ უმკლავდებიან გამოწვევებს. სიამოვნებით გავეცნობოდი“ (მცხეთა - მთიანეთი).

„უფრო მეტი რომ ვიცოდეთ ჩვენს ქვეყანაში და სხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკის შესახებ“ (კახეთი).

## **6. კლასკომპლექტში მუშაობის პრაქტიკის შესწავლა**

ისინი აღნიშნავენ, რომ გარდა პრობლემებისა და გამოწვევებისა დაუგროვდათ საკმაოდ უნიკალური გამოცდილება, რაც დაფუძნებულია მათ პრაქტიკაზე და გამოთქვამენ წუხილს იმის თაობაზე, რომ სათანადოდ არ ხდება მათი პრაქტიკის აღიარება, შესწავლა და ვერ იღებენ უკუკავშირს.

„გვექონია შემთხვევა, რომ გაკვეთილზე მესწრებოდნენ. მაგალითად „გარე დაკვირვებისას“ და დამსწრე შემითანხმდა, რომ ერთ კლასს დავაკვირდები. რაც ვფიქრობთ კლასკომპლექტში მუშაობის სპეციფიკის იგნორირებაა.(რაჭა)

„ძალიან საწყენია, რომ ჩვენი გამოცდილების, პრობლემების გადაჭრის ჩვენეული გზების და მიღწეული წარმატებების შესახებ არსად არაფერი იწერება.“ (იმერეთი)

„ ე დიდი ხანი არ არის, რაც კლასკომპლექტში ვასწავლი. ჩვენს სკოლაში მუშაობდა არაჩვეულებრივი მასწავლებელი, ვისგანაც ბევრი რამ ვისწავლე და მისგან მსმენია, რომ ადრეულ წლებში, წელიწადში ერთხელ, დაწყებითი კლასების მასწავლებლები სასწავლო წლის დაწყებამდე ხვდებოდნენ განათლების განყოფილებაში. მათ აცნობდნენ სიახლეებს და ურიგებდნენ პატარა ბროშურებს. მან გადმომცა ორი ბროშურა კლასკომპლექტებში მუშაობის თავისებურებებზე. ისინი წინა საუკუნეშია გამოცემული, მაგრამ მე მაინც გამომადგა“ (რაჭა).

„არასოდეს არ ინტერესდება არავინ, როგორ ვახერხებთ და ორ კლასს ერთდროულად ვუტარებთ გაკვეთილს“ (სამეგრელო).

„ჩვენი პრაქტიკის შესახებ, ჩვენც ვერ ვბედავთ, რომ დავწეროთ და ასე მივაწვდინოთ ხმა იმ მასწავლებლებს, რომლებიც ჩვენსავით კლასკომპლექტებში ასწავლიან“(მცხეთა -მთიანეთი).

5 ივნისი 2018წელი

კვლევის დაზვერვით ეტაპზე, საქართველოს ექვს რეგიონში ჩატარებული რვა ფოკუსჯგუფის ანგარიშის შემდეგ ნათლად გამოიკვეთა იმ დოკუმენტების , მასალების და საკითხების ნუსხა, რაც სამაგიდე კვლევისას უნდა შეგვესწავლა. კერძოდ: ესგს ყველა რედაქცია; დაწყებითი კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების კომპლექტები; დაწყებითი კლასის მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომი ტრენინგები; რეგიონების მიხედვით სკოლების და მოსწავლეთა რაოდენობების დინამიკა რეგიონის სტრატეგიულ გეგმებთან მიმართებაში; კლასკომპლექტის მასწავლებელთა მიერ მომზადებული და გამოქვეყნებული მასალები.

კვლევის დაზვერვით ეტაპზე ჩატარებული ფოკუსჯგუფების ანალიზის დროს მასწავლებელთა მოსაზრებებისა და შეხედულებების მიხედვით გამოიკვეთა დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლების გამოწვევების ექვსი კატეგორია (დანართი 2)

### **1.ეროვნული სასწავლო გეგმის კლასკომპლექტებში დანერგვისთვის მეთოდური მასალის არარსებობა.**

გზამკვლევები;

რეკომენდაციების კრებული;

შესაბამისი ჩანაწერები მასწავლებლის წიგნში;

### **2.გრიფირებული სახელმძღვანელოები.**

სასკოლო სახელმძღვანელოს მასწავლებლის წიგნები არ ითვალისწინებს კლასკომპლექტებში სწავლებას;

გრიფირებული სახელმძღვანელოების მასწავლებლის წიგნებში მწირი მასალაა დიფერენცირებულ სწავლებაზე;

გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მწირი მასალაა დიფერენცირებული სწავლებისას კლასის მართვის სტრატეგიებზე;

ზოგიერთ კლასში გრიფირებულ სერიას არ აქვს სამუშაო რვეული რაც კლასკომპლექტში მუშაობისას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია;

### **3. გაკვეთილის ჩატარების ბარიერები.**

რთულია კლასის მართვა კლასკომპლექტებში;

- რთულია წყვილი აქტივობების პარალელურად დაგეგმვა-წარმართვა;
- რთულია ორი სასწავლო მიზნის მიღწევა ერთ გაკვეთილზე;
- რთულია დიფერენცირებული სწავლების განხორციელება რესურსების არარსებობისას.
- სკოლაში, სასწავლო რესურსების მწირია/არ არის;
- ციფრული რესურსების დაბალი ხელმისაწვდომობაა;
- თვალსაჩინოებების სიმცირე/არარსებობა;
- თვალსაჩინოებების შექმნისათვის რესურსების სიმცირე/არარსებობა;

### **4.პრობლემების ეკოლოგია**

- მშობლების ნაკლები ჩართულობა;
- მოსწავლეთა დაბალი სასკოლო მზაობა;
- ღარიბი თემი;
- სასკოლო ბიბლიოთეკებისა და ოჯახებში ბიბლიოთეკების არარსებობა;
- კლასკომპლექტების მზარდი ტენდენცია.

### 5. პროფესიული განვითარება

- პროფესიული განვითარების კუთხით სხვა პედაგოგებთან შედარებით არათანაბარი ხელმისაწვდომობა;
- მეთოდური ლიტერატურის არარსებობა;
- მიზნობრივი ტრენინგების არარსებობა;
- კლასკომპლექტებში მომუშავე სხვა სკოლის მასწავლებლებთან თანამშრომლობის დეფიციტი;
- ინფორმაციის დეფიციტი სხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკის შესახებ.

### 6. დაწყებითი კლასის კლასკომპლექტის მასწავლებლების პრაქტიკის შესწავლა

- გაკვეთილზე დასწრებისას ხდება კლასკომპლექტის ერთი კლასის დაკვირვება;
- დამსწრეთაგან კლასკომპლექტში მუშაობის სპეციფიკის იგნორირება.
- კლასკომპლექტებში მუშაობის გამოცდილების, გამოწვევების, პრობლემების, მიღწეული წარმატებების შესახებ მწირი ინფორმაცია;

ამ მონაცემებზე დაყრდნობით შემუშავდა შესასწავლი დოკუმენტების და საკითხების ნუსხა. ასევე გამოვყავით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კატეგორია - გაკვეთილის ჩატარების ბარიერები, რომლის გათვალისწინებითაც შევიმუშავეთ ამ ბარიერების დაძლევის ინსტრუმენტი - დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი.

#### *2.3 ინტერვიუ. კვლევის ზოგადი აღწერა*

როგორც აღინიშნა, სამაგიდე კვლევის განხორციელების დროს კვლევის თვისებრივ ვარიანტს მივანიჭეთ უპირატესობა. სუბიექტურობა რომ თავიდან

აგვერიდებინა, კლასკომპლექტის მასწავლებლებთან დავგეგმეთ ჩაღრმავებული ინტერვიუები, რადგან იმ მასწავლებლების ნააზრევი, რომლებიც რეფორმის პირობებში კლასკომპლექტში სწავლების პროცესის უშუალო მონაწილენი და განმახორციელებლები არიან, კვლევის შედეგებს უფრო ლეგიტიმურს გახდის.

**კვლევის დიზაინი და მეთოდი.** კვლევის განსახორციელებლად გამოვიყენეთ ჩაღრმავებული ინტერვიუები. რესპონდენტებად სპეციალურად შევარჩიეთ კლასკომპლექტის მასწავლებლები: 1. რომლებსაც აქვთ კლასკომპლექტებში მუშაობის ხუთ წელზე მეტი ხნის გამოცდილება, 2. რომლებიც, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მცირეკონტინგენტთან სკოლაში მუშაობენ, 3. რომლებიც, არიან სხვადასხვა სტატუსის მქონე მასწავლებლები, 4. რომლებიც, სხვადასხვა ზომის სკოლებში (მათ შორის 1-10 ბავშვიანი მცირე ზომის სკოლიდანაც) მუშაობენ და კლასკომპლექტებში ასწავლიან.

რეგიონის დასახელება	სტატუსი	5 წელი კლასკომპლექტში მუშაობს	5- 10 წლამდე კლასკომპლექტში მუშაობა	10 წელზე მეტი კლასკომპლექტში მუშაობს გამოცდილება
რაჭა-ლეჩხუმი	წამყვანი	+		
სამეგრელო	უფროსი			+
იმერეთი	უფროსი		+	
კახეთი	უფროსი	+		
მცხეთა-მთიანეთი	წამყვანი		+	
აჭარა -1	წამყვანი		+	
აჭარა -2	უფროსი		+	

რამდენიმე მათგანის ვინაობას, მათივე თხოვნით, არ ვასახელებთ.

ინტერვიუსთვის შევიმუშავეთ სადისკუსიო გეგმა (იხილეთ დანართი). გეგმით გათვალისწინებული იყო პრეინტერვიუ, რომლის დროსაც რესპონდენტებად შერჩეულ კლასკომპლექტის მასწავლებლებმა მიიღეს განმარტებები ინტერვიუს მიზანთან დაკავშირებით.

ინტერვიუსას რესპონდენტებისთვის საკვლევი თემის გარშემო დასმული იყო ღია ტიპის კითხვები. კითხვები ავაგეთ სამაგიდე კვლევაში მოცემული პარაგრაფების მიხედვით.

ინტერვიუები განხორციელდა 2021-2022 სასწავლო წელს.

#### **2.4 მონაცემთა ანალიზი და ტრიანგულაცია**

ანალიზისას გამოვიყენეთ მონაცემების სპირალისებური მიდგომით დამუშავების მეთოდოლოგია (Creswell, 2013). კრესველი ადასტურებს, რომ ყველა მკვლევარი ინდივიდუალურად ახორციელებს თვისებრივ მონაცემთა ანალიზებს, თუმცა მონაცემთა ანალიზის სქემა ნებისმიერ შემთხვევაში სპირალს ჰგავს.

სპირალის პირველი მარყუჟი შეესაბამება ტრანსკრიპტების მომზადებას, რომელიც მოიცავს მონაცემთა მენეჯმენტს, რომლის დროსაც განვახორციელეთ ინტერვიუების გაშიფვრა სიტყვა-სიტყვით და მათი განთავსება სპეციალურ ელექტრონულ საქაღალდეში.

მეორე მარყუჟი შეესაბამება კოდირებას. ამ დროს ხდება ინტერვიუს წაკითხვა, მასში გამოთქმული მოსაზრებების გაცნობა და მათზე მცირე ჩანაწერების გაკეთება კომენტარების სახით. ეს ჩანაწერები არის ის იდეები, ცნებები და ფრაზები, რაც მკვლევარს წაკითხვის დროს ებადება. (Creswell, 2013). ამავე ეტაპზე ხდება არსებული ტექსტური მონაცემების მცირე თემატურ კატეგორიებად დაყოფა და მათთვის სახელების დარქმევა ანუ კოდირება. ჩვენს შემთხვევაში ხუთი კოდი გამოვყავით.

ინტერვიუებიდან მიღებული მონაცემთა ინტერპრეტაციის ვალიდურობისათვის განვახორციელეთ მონაცემთა ტრიანგულაცია.

კოენი და მანიონი განმარტავენ, რომ ტრიანგულაცია არის მცდელობა, კომპლექსური საკითხი შევისწავლოთ სხვადასხვა პერსპექტივიდან (Cohen, 2000).

რობერტ სტეიკი აღწერს ოთხი ტიპის ტრიანგულაციას. ესენია: თეორიული ტრიანგულაცია, მონაცემთა წყაროს ტრიანგულაცია, მკვლევართა ტრიანგულაცია და მეთოდოლოგიური ტრიანგულაცია. ჩვენ, რეალურად, გამოვიყენეთ 1.

მეთოდოლოგიური ტრიანგულაცია, 2. მონაცემთა წყაროს ტრიანგულაცია და 3. მკვლევრის ტრიანგულაცია (Stake, 1995).

**მეთოდოლოგიური ტრიანგულაცია:** კვლევის დაზვერვით ეტაპზე ფოკუსჯგუფების მონაცემების ანალიზის შემდეგ კვლევის დამაჯერებლობის გასაზრდელად შევადგინეთ შესაბამისი დოკუმენტაციის, კვლევების, მონაცემთა წყაროების ნუსხა და შემდეგ გავაანალიზეთ.

**მონაცემთა წყაროს ტრიანგულაცია:** შევაჯერეთ სამაგიდე კვლევისა და კლასკომპლექტის მასწავლებელთა ინტერვიუებით მოწოდებული ინფორმაცია.

**მკვლევრის ტრიანგულაცია:** კლასკომპლექტის მასწავლებელთა ტრანსკრიპტებზე ორმა მკვლევარმა ცალ-ცალკე გამოვყავით კოდები და შემდეგ შედეგები შევაჯერეთ.

**თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიური შეზღუდვები.** აუცილებელია განვიხილოთ ის მეთოდოლოგიური შეზღუდვები, რაც ახლავს კვლევის ჩატარებას და კვლევის ანალიზის პროცესებს. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თვისებრივი კვლევა მეთოდოლოგიური თვალსაზრისით არ საჭიროებს მონაცემების პროცენტულად თუ რაოდენობრივად წარმოდგენას. თუ მოხდება რაოდენობრივი მონაცემების დათვლა მას არანაირი სტატისტიკური სანდოობა არ ექნება იმ მიზეზის გამო, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა რიცხვი არ გვამლევს იმის შესაძლებლობას, რომ შედეგი მთლიან პოპულაციაზე განზოგადდეს.

თვისებრივი კვლევისას მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა შევისწავლოთ: გამოკვეთილი ტენდენციები; რესპონდენტების მოსაზრებები; სამიზნე ჯგუფების გამოწვევები. მოვისმინოთ შერჩეული რესპონდენტების დასაბუთება, არგუმენტები, მოტივაცია საკვლევ საკითხთან მიმართებაში. ანუ, მივიღოთ თვისობრივად მდიდარი ინფორმაცია იმასთან შედარებით, რის საშუალებასაც იძლევა რაოდენობრივი კვლევა.

**ინტერვიუს კითხვარის ვალიდაცია.** საპილოტე ინტერვიუ შედგა იგივე გამოცდილების მქონე კლასკომპლექტის მასწავლებელთან, როგორც გამოცდილების მქონე მასწავლებლებიც შეირჩა ინტერვიუსთვის. საპილოტე ინტერვიუს ჩატარების

შემდეგ მოხდა: ინტერვიუსთვის საჭირო დროის დაზუსტება, დამაზუსტებელი კითხვების რედაქტირება-ჩასწორება. იხილეთ დანართი 3

საპილოტე ინტერვიუ და კვლევის ყველა ინტერვიუ ჩატარდა ნაშრომის ავტორის მიერ. მასალებზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იმუშავა სადისერტაციო ნაშრომის ავტორმა და ამ საქმიანობისათვის სპეციალურად მოწვეულმა განათლების სპეციალისტმა. ტრანსკრიპტები დამუშავდა ეტაპობრივად ქვემოთ აღწერილი პრინციპებით:

**პირველი ნაბიჯი** - შერჩეულ კლასკომპლექტის მასწავლებლისაგან ინტერვიუს ჩაწერა; პირველადი კოდების აღრიცხვა.

**მეორე ნაბიჯი** - შემდეგი მასწავლებლისგან ინტერვიუს ჩაწერა და მისგანაც პირველადი კოდების აღრიცხვა.

**მესამე ნაბიჯი** - პირველი ინტერვიუს და მეორე ინტერვიუს კოდების შედარება განსხვავებული კოდების აღმოჩენისთვის.

**მეოთხე ნაბიჯი** - ახალ-ახალი ინტერვიუების აღება და პირველადი კოდების აღრიცხვა ინფორმაციის გაჯერებამდე.

**მეხუთე ნაბიჯი** - აღებული და ჩაწერილის ინტერვიუებისაგან ტრანსკრიპტების მომზადება.

**მეექვსე ნაბიჯი** - ორი მკვლევრის მიერ ცალ-ცალკე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხორციელდა ტრანსკრიპტების დამუშავება და კოდების მინიჭება.

**მეშვიდე ნაბიჯი** - დამოუკიდებელმა მკვლევრებმა განახორციელეს კოდების შეჯერება და მსგავსება-განსხვავებაზე დაყრდნობით მოხდა კოდების საბოლოო ჩამოყალიბება.

**კვლევის ინსტრუმენტის სანდოობა.** კვლევის ინსტრუმენტის სანდოობას განსაზღვრავს ის ფაქტორი, რომ ინტერვიუების დროს მასწავლებლების მიერ თითოეული შეკითხვა ერთნაირად გაიგეს. ამის მტკიცებულება არის მათგან მიღებული პასუხები.

**კოდების შემუშავებაზე** ორმა დამოუკიდებელმა მკვლევარმა იმუშავა. პირველადი დამუშავებიდან ერთი კვირის შემდგომ კოდები ხელახლა გაანალიზდა,

რათა მათი იდენტურად გაგება შემოწმებულიყო და ამ გზით კვლევის შედეგების სანდოობის დადასტურება მომხდარიყო.

კლასკომპლექტის მასწავლებელთა ნაწილის ანონიმურობის მოთხოვნის გამო, თავს ვიკავებთ ვინაობის დასახელებისაგან და ინტერვიუს შედეგების ანალიზისთვის გამოვიყენებთ ანბანის ასოების მიხედვით გამოგონილ სახელებს.

იმის საილუსტრაციოდ, რამდენად დაბალანსებულად წარიმართა ინტერვიუ გთავაზობთ ინტერვიუების ქრონომეტრაჟის მონაცემების ცხრილს. მასში აღნიშნულია სიტყვების რაოდენობრივი მონაცემები, ინტერვიუს ტრანსკრიპტებში რესპონდენტთა შესაბამისად. იხილეთ ცხრილი 6.

	ინტერვიუს ხანგრძლივობა წთ	ინტერვიუების სიტყვების რაოდენობა	რესპონდენტის სიტყვების რაოდენობა	ინტერვიუების სიტყვების რაოდენობის წილი (%) მთლიან ინტერვიუში
ანა	40	250	1320	16,1
ბაია	38	180	1214	12,9
გურანდა	32	172	1178	12,7
დეა	30	178	1220	13,9
ელა	34	185	1280	12,6
ვერა	36	180	1294	12,2
ზიზი	40	265	1356	16,3

მოხდა ტრანსკრიპტების ანალიზი და ამის საფუძველზე ორმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა განახორციელა კოდირება და კოდების შეჯერება. გამოიკვეთა კატეგორიები მოხდა მათი ოპტიმიზირება და მივიღეთ შემდეგი ხუთი კატეგორია:

1. **პროფესიული განვითარება** - უფრო მეტი ისწავლოს (უწყვეტი ტრენინგების როლი კლასკომპლექტის მასწავლებელთა ცოდნის გაღრმავებაში და პროფესიული უნარების განვითარება, სამომავლო გეგმა კარიერულ წინსვლაში);
2. **საკლასო პრაქტიკა** - (დაწყვილებული აქტივობების ერთდროულად გამოყენების პრაქტიკა, კლასკომპლექტში დიფერენცირებულ სწავლებაზე დაფუძნებული აქტივობები, მოტივაციის შექმნა კლასკომპლექტის მოსწავლეებისათვის);
3. **სასწავლო რესურსები** - სასწავლო რესურსების არსებობა, ხელმისაწვდომობა, ადაპტაცია, შექმნა.
4. **აღიარება და დაფასება** - ორ კლასში ერთდროულად სწავლების გამოცდილების წარმოჩენა და გაზიარება პედაგოგიურ სფეროში. პროფესიული სფეროს წარმომადგენელთა მიერ მათი საქმიანობის აღიარება და დაფასება;
5. **სწავლებაში ახალი შესაძლებლობები** - კლასკომპლექტში ეფექტიანი სწავლებისთვის აუცილებელია მთელი რიგი სისტემური ცვლილებების განხორციელება.

## **2.5 ინტერვიუს შედეგები კატეგორიების მიხედვით**

შედეგების წარმოსაჩენად გთავაზობთ თითოეული კატეგორიის აღწერას.

**1. პროფესიული განვითარება:** კლასკომპლექტის მასწავლებლები საუბრობენ პროფესიულ განვითარებაზე. დაწვრილებით აღწერენ კლასკომპლექტში მუშაობის პირველ ნაბიჯებს, გამოცდილებას. ისინი საუბრობენ იმ შედეგებზე, რასაც დიდი შრომის შედეგად მიაღწიეს:

ბაია: „რაც კლასკომპლექტში ვასწავლი [...] ბევრს ვმუშაობ საკუთარ თავზე. დასაწყისში ყოველდღე ვიჯექი და ვქმნიდი რესურსებს და სავარჯიშოებს.“

ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ სპეციალურად კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის განკუთვნილი ტრენინგები არ გაუვლიათ. არ გაუვლიათ არც ზოგადი ტრენინგი დიფერენცირებულ სწავლებაზე.

ანნა: „სპეციალურად კლასკომპლექტის მასწავლებლებისათვის განკუთვნილი ტრენინგი არ გამივლია [...] არც დიფერენცირებულ სწავლებაზე ორიენტირებული ტრენინგი, თუმცა საგნობრივ ტრენინგებზე არის ხოლმე დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებზე საუბარი.“

პროფესიული განვითარების ტრენინგებს მასწავლებლები აფასებენ რამდენიმე მიმართულებით: არის თუ არა ტრენინგი მათ საჭიროებაზე მორგებული; აქვთ თუ არა ტრენინგზე ნასწავლის საკლასო ოთახში დანერგვისათვის საჭირო რესურსები. მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ის ტრენინგები/სემინარები, რომელზეც მიიღეს პრაქტიკული რჩევები, რეკომენდაციები და მათი მოსწავლეების საჭიროებაზე მორგებული სასწავლო რესურსები.

დეა: „სპეციალურად კლასკომპლექტის მასწავლებლებისათვის განკუთვნილი ტრენინგი არა, მაგრამ იყო ჩემს ინტერესებზე და საჭიროებაზე მორგებული ტრენინგი, განსაკუთრებით საგნობრივი [...] ტრენინგზე ელექტრონულად გადმოგვცეს მეთოდური მასალები.“

საუბრობენ, რომ ტრენინგები იშვიათად არის მორგებული მათ საჭიროებას და მუდმივად უწყვეტ თვითონ გაუკეთონ სიტუაციებს ადაპტაცია.

ზიზი: „შეუძლებელია ისეთი ტრენინგი გავიაროთ, სადაც იმაზე ისაუბრებენ, როგორ ვასწავლოთ ორ კლასს ერთდროულად. ამიტომ მუდმივად გვიწევს საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით მოვახდინოთ რესურსების, მასალების, მეთოდების და მიდგომების ადაპტირება.“

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ტრენინგების დროს, როდესაც ისინი აღწერენ საკუთარ გამოცდილებას, ეს ტრენინგის დანარჩენ მონაწილეებში გაკვირვებას იწვევს.

გურანდა: „არ ვიცი (მე არ მსმენია) არსებობს თუ არა ტრენინგმოდული, რომელიც ზუსტად შეესაბამება კლასკომპლექტის სპეციფიკას და განიხილავს შესაბამის მეთოდებსა თუ სტრატეგიებს. პირიქით, როცა სხვა ტრენინგებზე ვამბობ,

რომ კლასკომპლექტში ვასწავლი, ბევრი გაცეხულია და ვერ წარმოუდგენიათ ორ კლასში ერთდროულად გაკვეთილის ჩატარება“.

მასწავლებლები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ისეთ ტრენინგებზე, სადაც მსმენელები იღებენ ეფექტურ უკუკავშირს და ეს მასწავლებლისთვის არის პროფესიული განვითარების საშუალება. მათი აზრით, უკუკავშირის გარეშე ტრენინგის ეფექტიანობა დაბალია. მათი სურვილია ყველა ტრენინგზე ხდებოდეს ეფექტიანი უკუკავშირი, რადგან ეს აორმაგებს შედეგს რადგან ტრენინგის განმარტებითი უკუკავშირი ეხმარებათ ტრენინგზე განხილული სიახლე მათ ორკლასიან საკლასო ოთახებში მყოფ კლასკომპლექტებში დანერგონ.

დეა: „კონკრეტულად კლასკომპლექტების პედაგოგების პროფესიული განვითარებისათვის არ არსებობს სპეციალური ტრენინგპროგრამები, მაგრამ თუ გაგვიმართლა და ტრენინგზე დისკუსიისას ჩვენ მიერ დასმულ პრობლემას ტრენინგის ეფექტიან უკუკავშირს უკეთებს - ეს ჩემთვის ღირებულია.“

კლასკომპლექტის მასწავლებლები პოზიტიურად აფასებენ ტრენინგებს/სემინარებს, სადაც გათვალისწინებულია მასწავლებლების ურთიერთთანამშრომლობა. ისინი თვლიან, რომ ტრენინგის დროს დავალებებზე მუშაობას კოლაბორაციული მიდგომა უფრო სასარგებლოს ხდის.

ვერა: „მართალია კლასკომპლექტის მასწავლებლებისათვის ტრენინგები არ არის, მაგრამ როდესაც ტრენინგის მიმდინარეობისას ჯგუფში მუშაობის დროს არის კოლაბორაციის საშუალება, ეს ყოველთვის სასარგებლოა ჩემთვის და ჩემს კოლეგასთან ერთად მოფიქრებული პრობლემის გადაჭრის გზას ხშირად ვიყენებ პრაქტიკაში.“

იმის მიუხედავად, რომ ინტერვიუსთვის შერჩეულ კლასკომპლექტის მასწავლებლებს აქვთ გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება, იციან კლასკომპლექტებში მუშაობის სპეციფიკა. ისინი პასუხისმგებლობით უდგებიან უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას. განსაკუთრებით სურთ ტექნოლოგიების ათვისება, ახალი პლატფორმების გაცნობა და ამ კუთხით დახელოვნება.

ელა: „შესაძლოა ჩემი რეალობიდან გამომდინარე, უახლოეს წლებში ტექნოლოგიების გამოყენებით გაკვეთილი ვერ ჩავატარო, მაგრამ როგორც მასწავლებელს, მსურს ამ კუთხით პროფესიული განვითარება და გასულ წელს ამიტომ ავირჩიე ამ ტიპის ტრენინგ-მოდული.“

**2. საკლასო პრაქტიკა:** მასწავლებლები აღწერენ, მათ მიერ კლასკომპლექტში ჩატარებულ გაკვეთილებს. მათი ნაამბობში იკვეთება, რომ თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი სწავლების სტილი და მიგნება - როგორ გაუმკლავდნენ გაკვეთილის ბარიერებს. მათი გაკვეთილები ძირითადად დაფუძნებულია დიფერენცირებულ სწავლებაზე.

ანნი: „სიტუაციიდან გამომდინარე გაკვეთილის ჩატარებისთვის გამოვიმუშავე ერთ კლასთან აქტიური, მეორე კლასთან პასიური პარალელური აქტივობების დაწყვილება [...] ჩემი სწავლება ჩვეულებრივ კლასში მიმდინარე დიფერენცირებული სწავლების მიდგომას მოვარგე.“

ბაია: „მათემატიკის გაკვეთილებისთვის დამხმარე, ინტერაქტიური სასწავლო რეპერტუარი შევქმენი, რაც მოიცავს: ფაზლებს, ბარათებს, მანიპულატივებს, ლოტოს და ა. შ.“

გურანდა: „ბუნებისმეტყველების საინფორმაციო ტექსტებზე მუშაობისთვის კოგნიტური სქემების პაკეტი შევქმენი იმ კლასებისთვის, რომლებშიც სამუშაო რვეულები არ არის.“

დეა: „უფრო მეტი სტიმულისათვის, მაშინ, როდესაც მეორე კლასს მსურს წავაკითხო ტექსტი, მეოთხე კლასის მოსწავლეებს ვთხოვ დასამუშავებელ ტექსტზე დაყრდნობით შექმნან, მაგალითად, სატელევიზიო გადაცემისთვის წამყვანის წასაკითხი ტექსტი.“

მასწავლებლები განსაკუთრებით მონდომებით აღწერენ იმ გაკვეთილებს, რომლის ჩატარებისასაც მიიღეს ისეთი ტიპის გადაწყვეტილებები, რომლის მსგავსიც არ არის აღწერილი არც მასწავლებლის წიგნებში, არც სამინისტროს საიტებზე გამოქვეყნებულ მეთოდურ გზამკვლევებში. მათ ეს გადაწყვეტილებები მიიღეს საკუთარ პრაქტიკაზე დაყრდნობით.

ელა: „იმისათვის, რომ პირველკლასელ მოსწავლეს ყურადღება არ გაეფანტოს

მესამეკლასელების საუბრისკენ, ამ დროს მათ ვთხოვ: შექმნან თემატური ნახატები ან გააფერადონ კონტურული ნახატი, ან შეაერთონ წერტილები, ან შექმნან წიგნის ყდის ილუსტრაცია.“

ვერა: „როდესაც მეორეკლასელ მოსწავლეს დაფასთან მათემატიკის მაგალითებს ვახსენებ. მეოთხეკლასელ მოსწავლეებს ვთხოვ, ჯერ ამოხსნან ტექსტიანი ამოცანა და მერე შეადგინონ მსგავსი ამოცანა თვითონ.“

გურანდა: „როდესაც მეკითხებიან, მომიყევი, როგორ ასწავლიო, უნდა მოვყვე, ორ კლასს ერთდროულად როგორ ვასწავლი - ჩემი პრაქტიკის მთავარი სირთულეც და მიგნებაც ამაში მდგომარეობს. ძნელია, ორივე კლასს ერთდროულად ინტერაქტიური სავარჯიშო მისცე, მაგრამ შესაძლებელია, მაგალითად როდესაც გაჩერებებით სწავლას ვიყენებ კლასში კენტ გაჩერებაზე მეორე კლასელების დავალებებია და ლუწ გაჩერებებზე მეოთხე კლასის. ხან კი ფერებით გამოვყოფ და ლურჯ გაჩერებაზე მეორე კლასის დავალებაა და წითელ გაჩერებაზე მეოთხე კლასის დავალებებია “

„ქართულში, როდესაც მეოთხე კლასში ვმუშაობ ტექსტზე „სალამურას თავგადასავალი“, ხოლო მეორე კლასში მოთხრობაზე „მათემატიკოსი ძაღლი“, ამ დროს კარგად მუშაობს ტექსტის გააზრებაზე ორიენტირებული მეთოდების დაწყვილება. მეოთხეკლასელებს ვამუშავებ „წიგნის საათის“ გამოყენებით, ხოლო მეორეკლასელებს ვთხოვ კომიქსების შექმნას. ამ ყველაფრის ორგანიზებაში მეხმარება დაფა, რომელზეც მოცემულია აქტივობების განრიგი. იხილეთ ცხრილი 7:

მეოთხე კლასს	მეორე კლასს
პირველი აქტივობა (25 წთ) - ტექსტის მიხედვით შექმნილი წიგნის საათის პრეზენტაცია.	პირველი აქტივობა (10 წთ) - ტექსტში მონიშნეთ აბზაცები და დაასათაურეთ.
	მეორე აქტივობა (15 წთ) - შექმნათ კომიქსები.
მეორე აქტივობა(15) - ერთმანეთის ნამუშევარზე რეცენზიების	მესამე აქტივობა(15) - კომიქსების პრეზენტაცია.

მომზადება.	
------------	--

მასწავლებლები აღწერენ, როგორ გამოიყენეს ტრენინგებზე მიღებული ცოდნა გარდაქმნეს, მოახდინეს მისი ადაპტაცია, რადგან ტრენინგებზე განხილული მაგალითები ყოველთვის მოიცავს ერთ კლასთან გაკვეთილის ჩატარებას და არა ორ კლასთან.

ბაია: „წიგნში რაოდენ საინტერესო აქტივობაც არ უნდა იყოს მოცემული, ჩემთვის მნიშვნელოვანია ამ აქტივობასთან ერთად რა აქტივობას დავაწყვილებ და ვიწყებ ამ აქტივობის პარალელური აქტივობის მოფიქრებას.“

აღნიშნავენ, რომ ორ კლასთან ერთდროულად გაკვეთილის ჩატარებისთვის თავად შექმნეს ახალი, სწავლების არასტანდარტული მოდელები:

გურანდა: „თუ მეორე კლასში ტექსტი უნდა დავამუშაოთ და მეოთხე კლასში მასალა გამოვიკითხო, მეოთხეკლასელებს წინასწარ მომზადებულ „ლექსუკებს“ ვურიგებ და ვთხოვ, რომ ლექსუკის თითოეულ უჯრაში მოძებნონ წერილი და იმოქმედონ. ხოლო მეორე კლასში ვიწყებთ ტექსტზე მუშაობას. მეოთხეკლასელები კონცენტრირდებიან ლექსუკის უჯრებში წერილ-ინსტრუქციებზე (აღწერეთ ნაწარმოების ყველაზე ემოციური ეპიზოდი, რა მხატვრული ხერხებია გამოყენებული, შეადგინე პერსონაჟის რუკა და ა.შ.) და ასრულებენ.“

ბოლო წლებში მასწავლებლის კომპეტენციის გარშემო არსებული დისკურსი უფრო მეტად გაფართოვდა. საკმაოდ აქტიურად გამოიყენება დამატებითი შეფასების კრიტერიუმი, მასწავლებლის ე.წ. გადაწყვეტილების მიღების კაპიტალს (ანდლულაძე, 2016).

„მასწავლებლის ე.წ. გადაწყვეტილების მიღების კაპიტალის“ შემოტანა ჰარგრივსა და ფულანს უკავშირდება. ეს არის „კაპიტალი, რომელსაც პროფესიონალები აგროვებენ გამოცდილების, პრაქტიკული საქმიანობის და რეფლექსიის შემდეგ - კაპიტალი, რომელიც მათ ისეთ ვითარებაში მიაღებინებს გადაწყვეტილებებს რაზეც არ არსებობს მკაფიო მტკიცებულებები

და წესები” (Hargreaves, Andy; Fullan, Michael, 2012).

გადაწყვეტილების მიღების კაპიტალის დაგროვებაში ჰარგრივსი და ფულანი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ გამოცდილებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღების კაპიტალის დაგროვება ხდება იმ შემთხვევაში, თუ გამოცდილების მიღების პროცესის განუყოფელი ნაწილი და თანმდევი რეფლექსია - რეფლექსია ამა თუ იმ აქტივობისას და რეფლექსია აქტივობის შემდეგ (Hargreaves, Andy; Fullan, Michael, 2012).

მასწავლებლებთან ინტერვიუში ჩანს მათი მიგნებების სხვისთვის გაზიარების სურვილი შესაბამის ფორმატებში, სადაც მათი გამოცდილებით დაინტერესდებიან.

საკუთარ გამოცდილებაზე საუბრისას თითქმის მასწავლებელი ამბობდა, რომ დიფერენცირებული მიდგომებით სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰეტეროგენულ კლასებში სასწავლო მიზნების მიღწევისათვის გარკვეულ შემთხვევებში სწორედ ეს პედაგოგიური მიგნებები წარმოადგენს მოსწავლეთა მოტივაციის წყაროს.

ზიზი: „სწავლებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ, რომ ის წყვილი აქტივობას, რომელსაც ერთდროულად ვიყენებ მეორე - მეოთხე თუ პირველი - მესამე კლასკომპლექტებისთვის, ორიენტირებული იყოს მოსწავლის შინაგან მოტივაციაზე.“

ზაია: „როდესაც მოსწავლე მოტივირებულია და ისე ქმნის ესეს, პლაკატს, რუკას, ნახაზს, სქემას, ის კონცენტრირებულია ამ სავარჯიშოზე და ნაკლებად ეფანტება ყურადღება კლასკომპლექტის მეორე კლასის აქტივობაზე.“

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კლასკომპლექტში მუშაობისას მნიშვნელოვანია ნდობა და მასზე დაფუძნებული ეფექტიანი კომუნიკაცია მასწავლებელსა და ორივე კლასის მოსწავლეებს შორის. ამასთან ერთად კლასკომპლექტის მასწავლებლები რეგულარულად ახორციელებენ რეფლექსიას ორ კლასთან ერთდროულად სწავლების პრაქტიკაზე. ამ გზით მუდმივად აფასებენ თავიანთ გაკვეთილებს, აფიქსირებენ წარმატებებს, ამ წარმატების მიზეზებს და ყურადღების მიღმა არ რჩებათ ორ კლასთან ერთდროულად მუშაობისთვის გასაუმჯობესებელი კომპონენტები.

ანა: „კლასკომპლექტში გაკვეთილის მიმდინარეობისას მოსწავლეთა თვითშეფასების, ურთიერთშეფასების აქტივობებთან ერთად აუცილებელია განმავითარებელი შეფასებებისა და ხარაჩოების გამოყენებით დავეხმაროთ მოსწავლეს, დაძლიოს გამოწვევები. თუმცა გულდასაწყვეტია, რომ მოსწავლეთა სიმცირის გამო ხშირად ურთიერთშეფასებასაც ვერ ვახორციელებთ.“

თავიანთი საკლასო პრაქტიკაზე საუბრისას ხაზს უსვამენ იმ ფაქტს რომ დიდ ძალისხმევას დებენ გაკვეთილის ბარიერების დაძლიებაში. დანაშებით აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა სიმცირის გამო ვერ იყენებენ წყვილებში და ჯგუფებში მუშაობას, ანუ კლასის ორგანიზების სხვადასხვა მიდგომებს, რადგან ხშირად კლასკომპლექტის ამა თუ იმ კლასში ერთეული მოსწავლეა.

**3. სასწავლო რესურსები:** მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ სასწავლო რესურსების გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სწავლების დაწყებით საფეხურზე და მით უმეტეს, თუ ეს სოფლის სკოლის მოსწავლეებს ეხება, რადგან სოფლის სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობას ოჯახებშიც არ მიუწვდება ხელი სასწავლო რესურსებზე.

ელა: „სასწავლო რესურსებისა და თვალსაჩინოების გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაწყებით კლასებში. ჩემს სკოლაში ასეთი თვალსაჩინოებები არ მოგვეპოვება, თუ არ ჩავთვლით ჩემ მიერ შექმნილ სასწავლო რესურსებს/“

მასწავლებლები მიიჩნევენ, რომ კლასკომპლექტში სწავლებისათვის ორმაგად მნიშვნელოვანია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები, რაც მათ ორი აქტივობის ერთდროულად წარმართვაში ეხმარება და ხელს უწყობს კლასკომპლექტში შემავალი კლასების კოორდინირებულ მუშაობას.

ბაია: „სასწავლო რესურსების არსებობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კლასკომპლექტებისათვის, რადგან ის იძლევა მოსწავლეთა ყურადღების კონცენტრირების, მოტივაციის საშუალებას.“

გურანდა: „როდესაც მასწავლებლის და მოსწავლის ერთადერთი სასწავლო რესურსი წიგნია, ძნელია მუშაობა. ახალი გრიფირების წესის მიხედვით, ზოგიერთ კლასში კომპლექტებს მოსწავლის რველი არ აქვს და ეს ორმაგად დრამატულია კლასკომპლექტებისათვის.“

მასწავლებლები საუბრობენ, სასწავლო რესურსების არათანაბარ განაწილებაზე, არათანაბარ ხელმისაწვდომობაზე და ამ თვალსაზრისით ქალაქისა სოფლის სკოლებს შორის არსებულ განსხვავებაზე. ქალაქის სკოლის მოსწავლეებს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები აქვთ სკოლაშიც და ოჯახშიც. მაშინ, როდესაც სოფლად მდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეებს არ მიუწვდება ხელი ანალოგიურ რესურსებზე.

**დეა:** „სკოლა მნიშვნელოვანი ინსტიტუციაა ნახევრად დაცლილი სოფლებისთვის. სკოლებში ძალიან მცირეა თვალსაჩინოებები და სასწავლო მასალები. რაც არის, ისიც მოძველებულია.“

**4. აღიარება და დაფასება:** კლასკომპლექტის მასწავლებლისთვის საკმაოდ მტკივნეული საკითხი აღმოჩნდა პედაგოგიურ საზოგადოებაში მათი უნიკალური გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობის საკითხები.

**ვერა:** „ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ შევძლოთ პროფესიულ საზოგადოებაში ჩვენს საქმიანობაზე საუბრები. იქნება ეს მასწავლებელთა კონფერენციები, ტრენინგები თუ ვორკშოპები.“

აღნიშვნის ღირსია, რომ საკუთარ ანაზღაურებასთან დაკავშირებით არ გამოთქვამენ უკმაყოფილებას, მიუხედავად იმისა, რომ რეალურად მათ ორმაგი სამუშაოს შესრულება უწევთ.

**ზიზი:** „რეალურად ორ კლასთან ორი გაკვეთილს ერთდროულად ვატარებთ, ორ სასწავლო მიზანს ვაღწევთ.“

**5. სწავლებაში ახალი შესაძლებლობები:** მასწავლებლები მსჯელობენ და გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს სწავლების პერსპექტივებსა და სისტემურ ცვლილებებთან დაკავშირებით. ეს ორი საკითხი გადაჯაჭვულია.

**ანნა:** „მნიშვნელოვანია, გატარდეს სისტემურ ცვლილებები და ესგში გაკეთებული ჩანაწერის კვალდაკვალ მომზადდეს მეთოდური გზამკვლევი, რაც კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის იქნება ახალი პერსპექტივა ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით.“

**დეა:** „თუ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტების მასწავლებლის წიგნებში არ იქნება ჩვენთვის, კლასკომპლექტის

მასწავლებლებისათვის, რეკომენდაციები, იქნებ მეთოდური გზამკვლევი მაინც მოამზადონ, თუნდაც ჩვენი გამოცდილების გათვალისწინებით.“

ზიზი: „ჩვენს რეგიონში სულ უფრო მეტი და მეტი სკოლა ხდება ისეთი, სადაც კლასკომპლექტები ჩნდება და მაღალმთიან რეგიონებში ყველგან ასეთი ტენდენცია იქნება, ამიტომ მნიშვნელოვანია, იზრუნონ ჩვენს გადამზადებაზე, ჩვენთვის გზამკვლევის მომზადებაზე და სასწავლო რესურსების მოწოდებაზე, რომ ჩვენ შევძლოთ ორ კლასს ერთდროულად ვასწავლოთ.“

მასწავლებლები გამოთქვამენ მოსაზრებებს და აქცენტს აკეთებენ იმაზე თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კლასკომპლექტში სწავლებისას შესაბამისი სასწავლო რესურსები და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ვერა: „აჭარაში კლასკომპლექტების რიცხვი საოცრად იზრდება, ამიტომ მნიშვნელოვანია იზრუნონ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე, ჩვენთვის ისეთი სასწავლო რესურსების მოწოდებაზე, რომლის გამოყენებითაც ჩვენ შევძლოთ ორ კლასს ერთდროულად ვასწავლოთ.“

მასწავლებლები პრობლემის გადაჭრის გზებზეც საუბრობენ და ფიქრობენ, რომ მათ და მოსწავლეებსაც აქვთ უფლება, ინოვაციური მეთოდებით სწავლა-სწავლების განხორციელების.

დეა: „გვაქვს სურვილი, მოსწავლეების იდეები გარდაიქმნას პროექტებად და ეს მიმართულება გავაძლიეროთ“.

ვერა: „ოცდამეერთე საუკუნეა და მსურს არც მე ჩამოვრჩე და არც ჩემი მოსწავლე ამ საუკუნის გამოწვევებს, ამაში კი ინოვაციური სწავლების როლი მნიშვნელოვანია.“

მასწავლებლები სრულად არიან ინფორმირებული იმ პროცესებზე, რომლებიც განათლების რეფორმის კვალდაკვალ ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში ხდება. ისინი ხედავენ, როგორც დადებით ძვრებს, ასევე მსჯელობენ პრობლემურ თემებზე, არსებულ გამოწვევებზე და ცდილობენ მოძებნონ გამოსავალი.

ევა: „სქემით რეგულირდება მასწავლებელთა კარიერული წინსვლა, მაგრამ ჩვენთვის ეს საკმაოდ რთული პროცესია. გამოცდა რომც ჩავაბაროთ, პორტფოლიოს მომზადება ჩვენი რეალობის გათვალისწინებით, პრობლემატურია. თუ განსაკუთრებული წესით სტატუსის ამაღლებაზე ვიფიქრებთ, აქაც პორტფოლიოს

მომზადებაა საჭირო. ჩვენ კი გაკვეთილებზე ვერც ტექნოლოგიებს ვიყენებთ, სასწავლო რესურსებიც მწირი გვაქვს და ჩვენი პორტფოლიოები ძალიან მოკრძალებული გამოვა.“

**შეჯამება:** ინტერვიუების დროს რესპონდენტების პასუხების ანალიზზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ - დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევები და პრობლემები ბევრ მნიშვნელოვან ასპექტს მოიცავს. ამ ასპექტების ჰოლისტურად თუ სათითაოდ ანალიზისას ცალსახად იკვეთება რომ მნიშვნელოვანია მათი მხარდაჭერა რათა მათ დაძლიონ ის ბარიერები რაც კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარებისას ჩნდება და მნიშვნელოვანია შეიქმნას კლასკომპლექტში გაკვეთილის ბარიერების დაძლევაზე ორიენტირებული ინსტრუმენტი. სამომავლოდ სასურველია გათვალისწინებული იყოს ყველა დეტალი და კლასკომპლექტის მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის გაიზარდოს უკეთესი შედეგის ალბათობა.

## **2.6 ინტერვიუების დასკვნები**

რესპონდენტთა პასუხების ანალიზის და შეჯამებისას მნიშვნელოვანია აქცენტი გავაკეთოთ იმ ძირითად ტენდენციებზე რაც გამოიკვეთა და ნათლად ცხადყოფს დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა წინაშე არსებული გამოწვევების მნიშვნელოვან ასპექტებს.

**პროფესიული განვითარება:** მასწავლებელთა ინტერვიუების ანალიზს თუ მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების იმ მოდელთან მიმართებაში განვახორციელებთ, რომელიც გულისხმობს მასწავლებლის განვითარების ოთხ დონეს (Bolte, Claus, Jack Holbrook, and Franz Rauch, eds., 2012; Blonder, R., M. Kipnis, et al., 2008; Loucks-Horsley, S., Stiles, K. E., Mundry, S., Love, N., & Hewson, P. W., 2010; Hofstein, A., Katevich, D., Mamlok-Naaman, R., Rauch, F. & Namsone, D., 2012): I მასწავლებელი, რომელიც აქტიურად სწავლობს და ეუფლება სიახლეს; II მასწავლებელი, რომელიც პრაქტიკაში ნერგავს იმას რაც ისწავლა, როგორც შემსწავლელმა; III მასწავლებელი, რომელიც სიახლის დანერგვის შემდეგ აკეთებს

რეფლექსიას; IV მასწავლებელი, რომელმაც ისწავლა, დანერგა და შეაჯამა დანერგვის შედეგები და თავს გრძნობს, როგორც გარკვეული იდეების მესაკუთრედ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების შესაძლებლობა მწირია. პედაგოგებისთვის არ არის მათ საჭიროებაზე მორგებული ტრენინგები ხელმისაწვდომი, რომლებიც მათ დაეხმარებოდათ დაემლიათ გაკვეთილის ჩატარებისას წარმოქმნილი ბარიერები, რათა მათ შეძლონ, მიაღწიონ ამა თუ იმ მიმართულებით სიახლეების/ინოვაციის გათავისების დონეს და ისევ დაბრუნდნენ საწყის პოზიციაზე და ინოვაციის/სიახლის ათვისების პროცესში თავიდან გაიარონ ოთხივე ეტაპი.

**შესამუშავებელია** მექანიზმები, რათა გაიზარდოს საჭირო ტრენინგების რაოდენობა და ამ ტრენინგების როლი კლასკომპლექტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით და პროფესიული განვითარების დაგეგმვის თვალსაზრისით - მნიშვნელოვანია ტრენინგები იყოს პრაქტიკული ხასიათის და დაეხმაროს მასწავლებელს გაკვეთილის ბარიერების დაძლევაში.

**საკლასო პრაქტიკა:** მასწავლებელთა ინტერვიუებიდან ნათლად იკვეთება, რომ კლასკომპლექტის სპეციფიკის გათვალისწინებით და თვითონ კლასკომპლექტის მასწავლებელთა უნიკალური გამოცდილებით (რასაც მათი გადაწყვეტილების მიღების კაპიტალი განსაზღვრავს), **შესამუშავებელია** სარეკომენდაციო ხასიათის გზამკვლევი კლასკომპლექტის მასწავლებლებისათვის, რათა მათ დაძლიონ გაკვეთილის ის ბარიერები, რაზეც ისინი საუბრობდნენ როგორც ამ ინტერვიუებში ასევე ფოკუსჯგუფებში. ეფექტიანი გახდეს: დაწყვილებული/პარალელური აქტივობების სხვადასხვა კლასში ერთდროულად გამოყენების პრაქტიკა; კლასკომპლექტში დიფერენცირებულ სწავლებაზე დაფუძნებული აქტივობები; მოტივაციის შექმნა კლასკომპლექტის მოსწავლეებისათვის; კლასის მართვა; მოსწავლეებზე დაკვირვებისა და უკუკავშირის სტრატეგიების გამოყენება.

**სასწავლო რესურსები:** კლასკომპლექტის მასწავლებელთა ინტერვიუებიდან კარგად ჩანს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სასწავლო მიზნების მიღწევისთვის, გაკვეთილის ბარიერების დაძლევისთვის მათ ისევე სჭირდებათ მეთოდური გზამკვლევები და სასწავლო რესურსები, როგორც ჩვეულებრივ საკლასო

ოთახში მომუშავე მასწავლებლებს. მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს სტრატეგია, რომელიც ყველა სკოლისთვის სასწავლო რესურსების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე იქნება ორიენტირებული.

**სწავლებაში ახალი შესაძლებლობები:** განსაკუთრებული აღნიშვნის და ყურადღების ღირსია ორ კლასთან ერთდროულად მომუშავე მასწავლებელთა საქმიანობა. მასწავლებელთა ინტერვიუებიდან იკვეთება მათი ლეგიტიმური სურვილი, რომ მოხდეს მათი შრომის, გამოცდილების წარმოჩენა პროფესიულ საზოგადოებაში. კარგი იქნება, თუ ქართველი მკვლევრები დაინტერესდებიან მათი სწავლების მეთოდის თავისებურებით და ამ კუთხით განხორციელებულ კვლევებზე დაყრდნობით მოხდება მათი აღიარება და რეკომენდაციების შემუშავება როგორც სისტემური ცვლილებებისთვის, ასევე მეთოდური დახმარებისთვის, რაც გაზრდის კლასკომპლექტის მასწავლებლებისა და მოსწავლეების პერსპექტივებს.

როგორც კლასკომპლექტის მასწავლებელთა პასუხებიდან გამოიკვეთა, ინტერვიუს პასუხების ანალიზის შედეგები, რეალურად, სრულ შესაბამისობაშია ფოკუსჯგუფების და თეორიული კვლევის ძირითად ტენდენციებთან და დასკვნებთან.

## **2.7 ინტერვენცია**

2017-2018 წლებში საქართველოს 6 რეგიონის 8 კლასკომპლექტის მასწავლებელთა ფოკუსჯგუფის 57 მონაწილიდან ნებაყოფლობით შეირჩა 14 მონახლისე მასწავლებელი, მათ პრაქტიკაში გამოიყენეს სასწავლო რესურსების პაკეტი, რომელიც სპეციალურად შეიქმნა პირველადი ფოკუსჯგუფების ანალიზზე დაყრდნობით. კერძოდ, ფოკუსჯგუფების ანალიზისას გამოიკვეთა მასწავლებლების მიერ დასახელებული პრობლემური საკითხები, რომელიც გავაერთიანეთ კატეგორიაში - კლასკომპლექტებში გაკვეთილის ჩატარებისას წარმოქმნილი ბარიერები. 2017-2018 წლებში ჩატარებულ ფოკუსჯგუფში მასწავლებლების მიერ დასახელდა ხუთი ბარიერი, რომელიც კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარებისას ხვდებათ მასწავლებლებს. ესენია: 1. სასწავლო

რესურსების დეფიციტი; 2. კლასის მართვა; 3. ორ კლასზე ერთდროულად დაკვირვების და შეფასების სირთულე; 4. გაკვეთილის ორმაგი სასწავლო მიზანი და წყვილი აქტივობები; 5. დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები. კლასკომპლექტის მასწავლებლებთან დამატებითი კომუნიკაციის შემდეგ კიდევ ერთხელ დაზუსტდა აღნიშნული ბარიერები და მომზადდა გზამკვლევის ტიპის მეთოდური მასალა, ასევე მომზადდა ამ გზამკვლევში აღწერილი ინტერვენციების დანერგვისთვის საჭირო რესურსების პაკეტი, რომელიც ხუთივე ზემოთ დასახელებული ბარიერის დაძლევის მიზნით შემუშავდა. შემუშავებული გზამკვლევის ელექტრონული ვერსიები და დაბეჭდილი მასალები გადავეცით კლასკომპლექტის შერჩეულ მასწავლებლებს.

ინტერვენცია გულისხმობდა: ინტერვენციაში მონაწილე მასწავლებლებთან საინფორმაციო შეხვედრებს, თანამშრომლობას ისეთი აქტივობების განხორციელებაში, როგორცაა: გზამკვლევში მოცემული სასწავლო რესურსების გამოყენების შესახებ ინსტრუქციის მიღება; რესურსების გამოყენებას გაკვეთილზე - შესაბამისი ბარიერის დასაძლევადა; გამოყენების შემდეგ მცირე რეფლექსიების ჩანიშვნას; ერთი სემესტრის შემდეგ ონლაინ ფოკუსჯგუფში მონაწილეობას; გთავაზობთ გზამკვლევში შემავალი სასწავლო რესურსების მოკლე მიმოხილვას:

1. სასწავლო რესურსები - იან ამოს კომენსკიმ (1592–1670) თავის ნაშრომში „დიდი დიდაქტიკა“ დიდაქტიკის ერთ–ერთ პრინციპს გაუკეთა ფორმულირება – თვალსაჩინოების პრინციპი: „ოქროს კანონად უნდა იქცეს პირობა: მოსწავლეებს უნდა მიეცეთ უფლება, შეიგრძნონ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია შეიგრძნონ შეგრძნებების დონეზე: ხილვადი – მხედველობით, ხმა – სმენით, სუნი – ყნოსვით, გემო – გემოთი, შესახები – შეხებით“. კლასკომპლექტებში ორმაგად მნიშვნელოვანია სასწავლო თვალსაჩინოების გამოყენება. ჩვენ მიერ მომზადებული გზამკვლევის ამ ნაწილში აღვწერეთ რამდენიმე საგაკვეთილო შემთხვევა და თან დავურთეთ მზა თვალსაჩინოება ან კონკრეტული მასალა - ინსტრუქციით რაც უნდა დახმარებოდა მასწავლებელს საჭიროების შესაბამისად და ამის დახმარებით დაედგინა სწავლებაში თვალსაჩინოების დეფიციტით გამოწვეული ბარიერი. ამავე ბლოკში მოხვდა სხვადასხვა მარტივი მანიპულატივის დამზადების

ფოტონსტრუქციებიც (იხილეთ დანართი 9, 168-227გვ). გზამკვლევის თანდართული რესურსების პაკეტში კი ჩავდეთ გზამკვლევაში აღწერილი ინტერვენციების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, კლასკომპლექტში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი.

2. კლასის მართვა - ტრადიციულად, წლების განმავლობაში კლასკომპლექტში მომუშავე მასწავლებლები კლასის მართვაში პრევენციას ზეპირი და წერიტი დავალებების მონაცვლეობით აღწევდნენ და ამ დავალებების მონაცვლეობის კომბინაცია შესაძლოა ასეთიც ყოფილიყო.

2კლ	4კლ	1კლ	3კლ
ზეპირი დავალება	წერიტი დავალება	ზეპირი დავალება	წერიტი დავალება
წერიტი დავალება	ზეპირი დავალება	წერიტი დავალება	ზეპირი დავალება
წერიტი დავალება	წერიტი დავალება	წერიტი დავალება	წერიტი დავალება

კლასის ეფექტიანად მართვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პრევენციულ ღონისძიებებს, რაც კლასის ეფექტიანად მართვას 60%-ით უზრუნველყოფს. კლასკომპლექტის შემთხვევაში პრევენციული მიდგომა მდგომარეობს წყვილი აქტივობების სწორად დაგეგმვა-შერჩევაში: სასწავლო თემის; სამიზნე კლასის; არსებული რესურსების; მოსწავლეთა თავისებურებების და ინტერესების გათვალისწინებით. კლასკომპლექტის მასწავლებელთა უმრავლესობა ფლობს სწავლების მრავალფეროვან ინტერაქტიურ მეთოდებს და შეუძლია პრევენციული მიდგომის გამოყენებით დაგეგმოს გაკვეთილზე წყვილი სტრატეგიები. გზამკვლევი მოიცავს სარეკომენდაციო წყვილი აქტივობების ვარიანტებს 2-4 და 1-3 კლასკომპლექტებისთვის მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

PIP პირამიდის მიხედვით შექმნილი სქემა - წყვილი სტრატეგიები კლასკომპლექტებში გამოსაყენებლად

2	4	1	3
ცხელი სკამი	პერსონაჟის რუკა	კომიქსები	ფრეიერის სქემა
სასწავლო გაჩერებები	ტექსტზე მუშაობა- მარკირებით	სასწავლო ცენტრები	დისკუსია
სასწავლო ცენტრები	სასწავლო ცენტრები	აპლიკაციის შექმნა	გაჩერებებით სწავლა
კოგნიტურ სქემაზე მუშაობა	პრეზენტაცია	ჯაჭვური თხრობა	რაფთ მეთოდი
მანიპულატივები	ლეპზუკის პრეზენტაცია	ნაწარმოების ეპიზოდის	რეპორტაჟის წერა
მრავალდონიანი დავალება	მრავალდონია ნი დავალება	შეკითხვები მიმანიშნებელი	ოთხი კუთხე

მასალა სრულად წარმოდგენილია გზამკვლევში (იხილეთ დანართი 9, 168-227გვ). გზამკვლევის თანდართული რესურსების პაკეტში კი ჩავდეთ გზამკვლევში აღწერილი ინტერვენციების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები, კლასკომპლექტში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი.

**3. დაკვირვება, შეფასება** - კლასკომპლექტში, სადაც ორი წყვილი აქტივობა პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს და დრო ისედაც დეფიციტურია. კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოიყენოს მოქნილი ინსტრუმენტები როგორც დაკვირვებისთვის, ასევე უკუკავშირისა და შეფასებისთვის. გზამკვლევში ერთი თავი ამ საკითხს ეხება და მასში მოცემულია მზა დაკვირვების სქემები და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის სქემები კლასკომპლექტის მასწავლებლისათვის. სქემები ისეა შექმნილი, რომ მასწავლებლებს საშუალებას აძლევს მოინიშნოს მოსწავლის აქტიურობაც და ცოდნის დონეც, რაც მასწავლებელს გაუიოლებს როგორც თითოეული მოსწავლის

და კლასის პროგრესის აღრიცხვას, ასევე საშუალებას მისცემს, საკუთარი სწავლების შედეგებიც დაინახოს. მასალა სრულად წარმოდგენილია გზამკვლევში (იხილეთ დანართი 9, 168-227გვ)

გზამკვლევის თანდართული რესურსების პაკეტში კი ჩავდეთ გზამკვლევში აღწერილი ინტერვენციების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები კლასკომპლექტში მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი.

**კლასკომპლექტზე დაკვირვების ფორმა**

საგანი -----  
 სასწავლო წელი -----  
 სემესტრი -----  
 კლასი -----

	მოსწავლის სახელი და გვარი								
1									
2									
3									
4									

კლასი -----

	მოსწავლის სახელი და გვარი								

- 1-პრესტრუქტურული,
- 2-უნისტრუქტურული
- 3-მულტისტრუქტურული
- 4-მიმართებითი
- 5-გაფართოებული

#### 4.ორი სასწავლო მიზანი და წყვილი აქტივობები

გზამკვლევაში განვმარტეთ ორი სასწავლო მიზნის სპეციფიკურობა და საილუსტრაციოდ მასწავლებლებს შევთავაზეთ რამდენიმე მაგალითი. მასწავლებლებთან საკონსულტაციო შეხვედრის დროს, კიდევ ერთხელ გავუსვით ხაზი გაკვეთილზე წარმოქმნილ ამ ხუთ ბარიერს შორის არსებულ მიზეზშედეგობრივ კავშირს, რაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კონკრეტული ბარიერის დაძლევის სწორად გააზრებას. გზამკვლევაში თვალნათლივ გამოვყავით, რომ:

1.წყვილი აქტივობების წარმართვისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო მიზნის გაცნობა მოსწავლეებისთვის;

2.მნიშვნელოვანია სასწავლო პროცედურის გაცნობა კლასკომპლექტის მოსწავლეებისთვის;

3.აუცილებელია მასწავლებლის მიერ კლასკომპლექტის მოსწავლეთა მხარდაჭერა აქტივობისას;

4.მნიშვნელოვანია ნამუშევრების შეფასება.

სრულად მასალა მოცემულია გზამკვლევაში (იხილეთ დანართი 9, 168-227გვ).

**5.დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები** - დიფერენცირებული სწავლება არის პედაგოგიური ინსტრუმენტი სასწავლო პროცესის გასაადვილებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინსტრუქცია-ხარაჩოების გამოყენება კლასკომპლექტებში, სადაც უფრო მეტი ალბათობაა, მოსწავლეს დასჭირდეს ასეთი დახმარება, რადგან კლასკომპლექტი ისეთი ჰეტეროგენული კლასია, სადაც მასწავლებელს უწევს ორ სხვადასხვა კლასს სხვადასხვა თემაზე სხვადასხვა აქტივობა ერთდროულად შესთავაზოს და ამ დროს შესაძლოა, ყველა მოსწავლემ ვერ მოახერხოს საკითხის გაცნობიერება და დასჭირდეს დამატებითი დახმარება. ამ პროცესის პრევენციის საუკეთესო გზა კი მასწავლებლის მიერ შესაბამისი ინსტრუქცია-ხარაჩოების შექმნა-გამოყენებაა. გზამკვლევი მოიცავს დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტებს: გაჩერებებით სწავლა, სასწავლო მენიუ, სასწავლო ცენტრები, ლეკბუკი, ინფოგრაფიკა, მულტისენსორული

აქტივობები, მანიპულაციები, წერიტი აქტივობა რაფთ. გზამკვლევის თანდართულ რესურსების პაკეტში კი ჩავდეთ გზამკვლევში აღწერილი ინტერვენციების განხორციელებისთვის საჭირო რესურსები კლასკომპლექტში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესაბამისი. სასწავლო პროცესის ბარიერების განხილვა პრე და პოსტფოკუსჯგუფებში.

კლასკომპლექტის მასწავლებლებმა 2018 წელს, საქართველოს 6 რეგიონში ჩატარებულ 8 ფოკუსჯგუფში ისაუბრეს იმ ბარიერებზე, რაც მათ კლასკომპლექტში გაკვეთილზე სწავლა-სწავლების დროს ექმნებათ. საინტერესოა, მოვახდინოთ ინტერვენციების შემდეგ პოსტფოკუსჯგუფებში და ინტერვენციამდე პრეფოკუსჯგუფებში გამოთქმული მოსაზრებების შედარებითი ანალიზი კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარებისას წარმოქმნილ ბარიერებთან დაკავშირებით.

ეს ბარიერებია: 1.სასწავლო რესურსები; 2.კლასის მართვა; 3.დაკვირვება-შეფასება; 4.ორი სასწავლო მიზანი და წყვილი აქტივობები; 5. დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები.

### **სასწავლო რესურსები**

პრეფოკუსჯგუფი: „დაწყებით კლასებში სწავლებისას, მოზარდის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თვალსაჩინოების გამოყენება. ჩემი სკოლა უსაზღვროდ ღარიბია რესურსების მხრივ.“

პრეფოკუსჯგუფი: „ხანდახან, თვალსაჩინოების ან დამატებითი სასწავლო რესურსის გამოყენების გარეშე, უბრალოდ გაკვეთილს ვერ ჩაატარებ და გვიწევს, თვითონ შევქმნათ ეს რესურსები. ამისთვის კილომეტრები უნდა გავიაროთ, რომ წიგნის მაღაზიამდე მივალწიოთ.“

პოსტფოკუსჯგუფი: „გზამკვლევის პაკეტში მოცემული კონტურული მასალები და სქემები, რომელსაც თან ახლდა ნათელი ინსტრუქცია, კარგი საშუალება აღმოჩნდა კონკრეტულ თემაზე მოსწავლეებს აქტივობისას მასზე ემუშავათ და აქტივობის დასრულების შემდეგ, რეალურად ერთგვარ თვალსაჩინო

მასალას ვიღებდით, რომელიც, გარკვეული პერიოდი, საკლასო ოთახის კედლებს ამშვენებდა, როგორც თვალსაჩინოება.“

პოსტფოკუსჯგუფი: „გზამკვლევაში მოცემული მასალები იმდენი იყო, რომ ჩემს კოლეგებსაც გავუზიარე და მათაც წარმატებით გამოიყენეს. ძალიან სასიამოვნო იყო მოსწავლეებისთვის მათზე მუშაობის პროცესი, რადგან ბოლოს თვალსაჩინოებას ვიღებდით.“

პოსტფოკუსჯგუფი: „გზამკვლევაში მოცემული ის მასალები, რომლებიც კონტურული სახით იყო მოცემული და მოსწავლეს მასზე რიცხვები, აღნიშვნები თუ სიტყვები უნდა დაეტანა, ფაქტობრივად, სამივე საგანში თანაბრად გამოვიყენე. სულ სხვაგვარად შევხედე სასწავლო რესურსების და თვალსაჩინოების თემას.“

პოსტფოკუსჯგუფი: „სიამოვნებით გამოვიყენე, რადგან გამიიოლა მუშაობა, დრო დავზოგე, მოსწავლეებს მოსწონდათ მათ მიერ შექმნილი ნიმუშები და მეც დავამზადე რამდენიმე მსგავსი რესურსი. ძალიან მოეწონათ ჩემს მეორეკლასელებს მათ მიერ გაფერადებული თანხმობები, რომელთა კონტურებიც მივაწოდე.“

პოსტფოკუსჯგუფი: „განსაკუთრებით მინდა გამოვყო ის სასწავლო რესურსები, რომელიც იდო პაკეტში ქართულის ტექსტებზე სამუშაოდ. ამ რესურსებმა ძალიან გამიიოლა ქართულში გაკვეთილის დაგეგმვაც და წარმართვაც, რადგან ეს მასალები ჟანრობრივად მრავალფეროვანი იყო.“

პოსტფოკუსჯგუფი: „პაკეტში იდო ქართულის ტექსტებზე მრავალფეროვანი სქემები, რაც ძალიან ოსტატურად გამოვიყენე იმის საკომპენსაციოდ, რომ სამუშაო რვეულები არ ახლავს ამ კლასში წიგნს.“

პოსტფოკუსჯგუფი: „გზამკვლევის ინსტრუქციები ორმაგად ძვირფასი იყო, რადგან ამ ინსტრუქციის შესრულებისთვის საჭირო რესურსი თან ახლდა გზამკვლევს რესურსების პაკეტის სახით.“

პოსტფოკუსჯგუფი: „როდესაც პირველ საკონსულტაციო შეხვედრაზე გაგვაცანით პროცესი, ცოტა სკეპტიკურად განვეწყვე. პაკეტი რომ მივიღე, უბრალოდ არ მჯეროდა. თქვენ ძალიან გამოაცოცხლეთ მთელი სკოლა. ჩვენი საკლასო ოთახის კედლებიც კი გალამაზდა. მადლობა.“

პოსტფოკუსჯგუფი: „როდესაც სასწავლო რესურსები გაქვს უკეთესად გეგმავ, კლასსაც კარგად მართავ, არც დაკვირვება გიჭირს და არც უკუკავშირი. ძალიან დიდი მადლობა ქართულის რესურსებისთვის. ეს ჩემთვის ფასდაუდებელი იყო.“

პოსტფოკუსჯგუფი: „კოლეგებმა კი თქვეს ქართულის პაკეტზე და მეც მინდა აღვნიშნო, განსაკუთრებით დამეხმარა გზამკვლევის ფოტოინსტრუქციები და თვალსაჩინოებებიც. ბევრი გავაკეთეთ, სულ შეიცვალა ჩვენი კლასის ფიზიკური გარემო.“

პოსტფოკუსჯგუფში: მონაწილეთა მოსაზრებებიდან იკვეთება, რომ გზამკვლევის პაკეტში შემავალმა კონტურულმა მასალებმა და სქემებმა კარგად იმუშავა როგორც აქტივობებმა და მათზე მუშაობის შედეგად მოსწავლეებმა თვითონ შექმნეს თვალსაჩინოებები. კარგია, რომ ერთ-ერთი მასწავლებლისთვის ეს გარკვეული სტიმული აღმოჩნდა და ასეთივე კონტურული მასალა მოამზადა გაკვეთილისთვის და გადაწყვიტა, რომ II-IV კლასკომპლექტის სამი მეორეკლასელი ერთად, ჯგუფურად იმუშავებდა კონტურზე და შექმნიდა თანხმონების ფერად თვალსაჩინოებას.

### **კლასის მართვა**

პრეფოკუსჯგუფი: „შესაძლოა ვინმეს გაუკვირდეს, 5-6 ბავშვი როდესაცაა კლასში, რა პრობლემა უნდა იყოს კლასის მართვა, მაგრამ აქ სულ სხვა რეალობაა, ეს 5-6 ბავშვი ორ სხვადასხვა კლასშია გადანაწილებული და მათ სჭირდებათ სხვადასხვა დავალება, სხვადასხვა წიგნი, სხვადასხვა უკუკავშირი.“

პოსტფოკუსჯგუფი: „ნათელი ინსტრუქცია და გამართული სახალისო სავარჯიშოები ძალიან დაგვეხმარა კლასის ეფექტიან მართვაში. ამ რესურსების მრავალჯერადი გამოყენების ეფექტი ის იყო, რომ მოსწავლეებს ქცევის თვითმართვის უნარები გაუმჯობესდათ და იოლად ასრულებდნენ შეთანხმებულ წესებს.“

პოსტფოკუსჯგუფი: „ორი აქტივობიდან თუ ორივე ამ გზამკვლევიდანაა, იოლია კლასის მართვა. თუ ერთ-ერთი მაინც ამ გზამკვლევიდანაა ან ამ კონცეფციით გვაქვს შექმნილი, რომ მოსწავლისთვის დამატებით სტიმულს შეიცავს, ესეც გვეხმარება მართვაში.“

პოსტფოკუსჯგუფი: „ყველაზე კარგი, რაშიც ამ გზამკვლევის მასალები დამეხმარა, იყო აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის პროცესი. მეც მომიწია ამ გზამკვლევში მოცემული სავარჯიშოს მსგავსი სავარჯიშოები შემექმნა. უბრალოდ, სკოლაში ასლგადამღები არ არის და ამიტომ მე რასაც ვქმნი, ჯგუფური მუშაობისათვის ვიყენებ.“

პოსტფოკუსჯგუფი: „თუ გაკვეთილი კარგად დაიგეგმა და მაქვს საჭირო რესურსები, იოლდება ორი კლასის მართვა. უბრალოდ, ძალიან ბევრი დამატებითი რესურსია საჭირო. გზამკვლევიც და მასალებიც ძალიან გამომადგა, მაგრამ ყველაფერი მაინც მასწავლებლის მიერ გაკვეთილის კარგად ორგანიზებაზეა დამოკიდებული. მე I-III კლასკომპლექტი მყავს და სულ პრობლემა მქონდა I კლასი ადრე რომ ამთავრებს გაკვეთილს, ის 10 წუთი როგორ გამეჩერებინა, რომ თან არ ეხმაურათ და თან მათთვისაც საინტერესო ყოფილიყო ეს დრო. ძალიან დამეხმარა თქვენი მოწოდებული მასალები, რომელიც სპეციალურად პირველკლასელებისთვის იყო განკუთვნილი. მადლობა ამისთვის.“

### **დაკვირვება და შეფასება**

პრეფოკუსჯგუფი: „ყველაზე რთული კლასკომპლექტში არის: დაკვირვება, შეფასება და უკუკავშირი. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ერთ-ერთი დროის დეფიციტია“ პოსტფოკუსჯგუფი „განსაკუთრებით გამიიოლდა მუშაობა, წელს ისე მოხდა, რომ I-III კლასი მყავს და მესამეკლასელები სულ უკუკავშირის მოლოდინში არიან. ამ მხრივ, თვითშეფასების სავარჯიშოებმა ძალიან გამიიოლა მუშაობა.“

პოსტფოკუსჯგუფი: „გზამკვლევის ამ ნაწილში მოცემული დაკვირვების ფორმების იდეა ჩვენმა სკოლამ აიტაცა და ყველა მასწავლებელი იყენებს. ძალიან მოქნილია და ინფორმატიული. მე და ჩემი კოლეგა ასეთი სახით ვიყენებთ კლასკომპლექტში, ხოლო დანარჩენმა პედაგოგებმა ერთი ცხრილი დახაზეს ასეთი და იმას იყენებენ. ასევე კარგად ვიყენებ რუბრიკასაც და შემაჯამებლის ფორმებს.“

პოსტფოკუსჯგუფი: „ყველა ფორმა, რომელიც გზამკვლევის ამ ნაწილშია, გამომადგა. გამიიოლა როგორც ყოველდღიური მუშაობა, ასევე შემაჯამებლების შედეგების ორგანიზება და ანალიზი.“

პოსტფოკუსჯგუფი: „ერთი სიტყვით ვიტყვი – შესანიშნავად გამოვიყენე. მადლობა.“

პოსტფოკუსჯგუფი: „ასე სწრაფად თუ შეიძლებოდა, რაღაც რთული დამეძლია, ვერ წარმომედგინა. დაკვირვება და შეფასება ყველაზე დიდ სირთულედ მიმაჩნდა. ძალიან დამეხმარეთ. მადლობა.“

პოსტფოკუსჯგუფი: „მადლობა მთელი სკოლის სახელით. ძალიან დაგვეხმარა დაკვირვების და შეფასების ფორმები. ჩვენს მეზობელ სოფლის სკოლებშიც გავავრცელეთ. კარგი მიგნებაა.“

ორი სასწავლო მიზანი და წყვილი აქტივობა

პრეფოკუსჯგუფი: „ვისთვის როგორ, მაგრამ ჩემთვის ყველაზე დიდი გამოწვევა ერთ გაკვეთილზე ორი სასწავლო მიზნის არსებობასთან დაკავშირებული სირთულებია“ (სამეგრელო).

პრეფოკუსჯგუფი: „როდესაც კლასკომპლექტში ასწავლი, აზრი არ აქვს ცალკე გამოყო ამა თუ იმ კლასისთვის მოფიქრებული სავარჯიშო. აქ მთავარია, იმ სავარჯიშოებს როგორ დააწყვილებ, რასაც ერთდროულად აძლევ სხვადასხვა კლასს. წყვილი აქტივობების პარალელურად დაგეგმვა-წარმართვა არის ერთ-ერთი ბარიერთაგანი, რომლის გადალახვაც გვიწევს და ეს ხან გამოგვდის და ხან არა“ (აჭარა).

პოსტფოკუსჯგუფი: „ერთ გაკვეთილზე ორი სასწავლო მიზნის მიღწევას მეტ-ნაკლებად გვიოლებდა მზა რესურსები და დაწყვილებული აქტივობების მონაცემებიც. ხან ზუსტად ისე ვიყენებდი, ხან ახალ კომბინაციებს ვქმნიდი“

პოსტფოკუსჯგუფი: „ერთ გაკვეთილზე ორი სასწავლო მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ გაკვეთილი კარგად გაქვს დაგეგმილი. გზამკვლევის მასალებმა არაერთხელ მიზიძგა, კარგად დამეგეგმა გაკვეთილი იმ რესურსების გამოყენებით, რაც გზამკვლევიშია.“

პოსტფოკუსჯგუფი: „ნამდვილად დამეხმარა გზამკვლევის მასალები, მაგრამ რაოდენობრივად ეს მასალები მცირე იყო და რადგან სკოლაში ასლგადამღები არ გვაქვს, მარაგი მალე ამოგვეწურა.“

პოსტფოკუსჯგუფი: „ადრე ძალიან უიმედოდ ვიყავი და ვწუხდი რესურსების სიმცირის გამო. გზამკვლევის მასალები დამეხმარა გაკვეთილის დაგეგმვის ეტაპზე, განხორციელების ეტაპზე და საკლასო ოთახის კედლებიც გაგვილამაზა.“

### **დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები**

პრეფოკუსჯგუფი: „გასაგებია, რომ ესგს ჩანაწერი გვამძლევს მთავარ მეთოდურ მიმართულებას, მაგრამ რთულია დიფერენცირებული სწავლების განხორციელება რესურსების არარსებობისას“(მცხეთა -მთიანეთი).

პოსტფოკუსჯგუფი: „გზამკვლევში მოცემული მასალები, პირველ რიგში, დამეხმარა, დამენახა დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიების საჭიროება. განსაკუთრებით გამოვყოფ სასწავლო გაჩერებების გამოყენებას. განსაკუთრებით კარგად მუშაობს, როდესაც კენტი და ლუწი გაჩერებები სხვადასხვა კლასზეა გათვლილი, ძალიან ორგანიზებული გახდა ჩემი გაკვეთილები. ახალი იდეებიც გამიჩნდა და შემიძლია სტატიაც კი მოვამზადო და სხვას გავუზიარო ამ გამოცდილების შესახებ.“

პოსტფოკუსჯგუფი: „გზამკვლევის ეს ნაწილი ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა. ჩემ შემთხვევაში გამოვიყენე ყველა სტრატეგია სხვადასხვა კომბინაციით და ყველამ კარგად იმუშავა. ბავშვები უფრო ორგანიზებული გახდნენ. მიეჩვივნენ დაგეგმვას და ნაბიჯ-ნაბიჯ სასწავლო ამოცანების განხორციელებას.“

პოსტფოკუსჯგუფი: „განსაკუთრებით მინდა გამოვყო ინფოგრაფიკებზე მუშაობა. ერთნაირად წარმატებით ვიყენებ ქართულშიც, მათემატიკაშიც და ბუნებაშიც. თავიდან ცოტა დრო დამჭირდა, ვიდრე მიეჩვეოდნენ მოსწავლეები. მე მესამე-მეოთხე კლასს ვასწავლი და ჩვენს საკლასო ოთახში ერთ კედელზე ინფოგრაფიკებია გამოფენილი. მოსწონთ მოსწავლეებს და მთელი მონდომებით მუშაობენ.“

პოსტფოკუსჯგუფი: „მადლობა, გზამკვლევის ეს ნაწილი ჩემთვის ნამდვილად მაშველი რგოლი იყო.“

### **კვლევის მიგნებები**

ინტერვენციის შედეგების მიხედვით ფოკუსჯგუფების ანალიზით გამოვლინდა პრობლემები, რომელთა მოგვარებაც შესაძლებელია სასწავლო პროცესში შესაბამისი ინტერვენციით. განხორციელებულმა ინტერვენციამ ხელი შეუწყო კვლევაში მოხალისედ ჩართული კლასკომპლექტის მასწავლებლების ისეთი მახასიათებლების გაძლიერებასაც, როგორცაა: თანამშრომლობა, ენთუზიაზმი, რესურსების შექმნაზე ზრუნვა, მოტივაცია.

როგორც პოსტფოკუსჯგუფების ანალიზიდან ჩანს, კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა მიერ გზამკვლევის მასალების პრაქტიკაში დანერგვით, მათ მეტ-ნაკლებად დაძლიეს გაკვეთილის ბარიერები და გაკვეთილებზე სასწავლო გარემო გახადეს ეფექტიან სწავლებაზე ფოკუსირებული, რასაც მოწმობს შემდეგი ფაქტორები: კვლევაში მონაწილე მასწავლებლები გახდნენ: ენთუზიასტები, მადლიერები, აკეთებენ თვითშეფასებას მათ მიერ განხორციელებულ სწავლებაზე, გახდნენ კოლეგებზე მზრუნველები და გაუჩნდათ პოზიტიური მოლოდინები.

მათივე კომენტარებიდან იკვეთება, რომ მოსწავლეებმა დაიწყეს მიზნების დასახვა და ნაბიჯ-ნაბიჯ ამ მიზნებისკენ სვლა, გაიზარდა მოსწავლეთა მეტაკოგნიცია.

ასევე იკვეთება, რომ გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია. რასაც მოწმობს ის ფაქტები, რომ საკლასო კლიმატი შეიცვალა - მოსწავლეები იღებენ სასწავლო გამოწვევებს, სწრაფად ხდება შესასრულებელი დავალების პირობის გაგება, მოსწავლეებს შედარებით უფრო გაუიოლდათ წარმატების მიღწევა. მასწავლებელთა შეფასებით გზამკვლევის მასალების დანერგვით მათ გაუიოლდათ გაკვეთილის მიმდინარეობისას ორივე კლასზე ფოკუსირება, გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და შედარებით ინტენსიური გახდა მათი უკუკავშირი.

საბოლოო ჯამში პოსტფოკუსჯგუფებში გამოიკვეთა:

ინტერვენციის შედეგად, კლასკომპლექტის მასწავლებლებმა, გარკვეულწილად, წარმატებით დაძლიეს გაკვეთილზე სასწავლო რესურსების სიმწირით გამოწვეული ბარიერი, რაშიც მათ დაეხმარა, როგორც ამ მიმართულებით ჩატარებული ონლაინ კონსულტაციები, ასევე გზამკვლევის ინსტრუქციები და მიწოდებული ერთჯერადი და მრავალჯერადი გამოყენების

სასწავლო რესურსები, თუმცა გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები, რაც განპირობებული იყო მიწოდებული რესურსების სიმცირით და ინტერვენციული ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა ვერ შეძლეს, ეს მასალები გაეყოთ მათივე სკოლის სხვა დაწყებითი კლასების მასწავლებლებისათვის, ასევე აღნიშნავენ, რომ მიწოდებული მასალები ვერ ფარავდა ყველა საგანს და ყველა სასწავლო თემას.

**კლასის მართვა** - როგორც იკვეთება, გზამკვლევის ინსტრუქციებით, ონლაინშეხვედრებით, რესურსებით და პრევენციული მიდგომების გამოყენებით მასწავლებლებმა მოახერხეს გაკვეთილების ჩატარებისას კლასის უფრო ეფექტიანად მართვა. I-III კლასკომპლექტის მასწავლებლებმა განსაკუთრებით აღნიშნეს გზამკვლევის ინსტრუქციები და სასწავლო რესურსები, რომლებიც პირველკლასელი მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი, რომელთაც 35 წუთიანი გაკვეთილები უტარდებათ, მათ ყოველ გაკვეთილზე აქვთ არასაგაკვეთილო 10 წუთი და მასწავლებელს მოსაფიქრებელი აქვს, რა გააკეთონ პირველკლასელებისთვის.

**დაკვირვების ფორმები და შეფასება** - როგორც იკვეთება, გზამკვლევაში მოცემული კლასკომპლექტის გაკვეთილზე დაკვირვების ფორმები ინტენსიურად გამოიყენეს მასწავლებლებმა და გაუზიარეს სკოლის დანარჩენ მასწავლებლებსაც. ასევე გამოიყენეს განმავითარებელი შეფასების ის ინსტრუმენტები, რომელთაც ბარათების სახე აქვს და განთავსებულია რესურსების პაკეტში. ასევე ყველა მასწავლებელმა გამოიყენა თვითშეფასების სავარჯიშო „სად ვარ მე“.

**გაკვეთილის ორმაგი სასწავლო მიზანი** - მასწავლებლების საუბრიდან იკვეთება, რომ მთელმა ამ პროცესმა (კონსულტაციები, გზამკვლევი, დამატებითი რესურსები) გააადვილა, სხვა კუთხით შეხედონ კლასკომპლექტში გაკვეთილის დაგეგმვა-ჩატარების ამ მნიშვნელოვან გამოწვევას და სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით მეტ-ნაკლებად შემცირდა ეს გამოწვევა. ორმაგი სასწავლო მიზნის შესაბამისი სასწავლო აქტივობების შერჩევისას უპირატესობას ანიჭებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს და თან ითვალისწინებენ იმ ტრადიციას, რაც ათეული წლების მანძილზე დააგროვეს ქართველმა კლასკომპლექტის მასწავლებლებმა.

დიფერენცირებული სწავლების აქტივობები - მასწავლებლები ცალსახად აღნიშნავენ, რომ კონსულტაციები და გზამკვლევი მოცემული თეორიული და პრაქტიკული მასალა დაეხმარა მათ, გონივრულად დაეგეგმათ რესურსების პაკეტში მოცემული რესურსების გამოყენება - დიფერენცირებული სტრატეგიების დანერგვის პროცესში და თვლიან, რომ ეს ბარიერი - სწავლებაში დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტების გამოყენება დამლევადია შესაბამისი სწავლების და ამ სწავლების პრაქტიკაში დანერგვის საშუალებების ხელმისაწვდომობით.

გზამკვლევს და რესურსების პაკეტს ახლდა მარტივი კითხვარი, რომელიც ონლაინფოკუსჯგუფამდე გამოგვიგზავნეს მასწავლებლებმა. შევსებული კითხვარის შეჯამებული მონაცემები ასეთია:

	1 ნაკლებად	2 მცირედ	3 საშუალოდ	4 სრულიად
სასწავლო თვალსაჩინოების დეფიციტი			5	9
კლასის მართვა			3	11
ორ კლასზე ერთდროულად დაკვირვება და შეფასება				14
გაკვეთილის ორმაგი სასწავლო მიზანი და წყვილი აქტივობები		2	3	9

დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები.			6	8
გზამკვლევის დანართები				14

**დასკვნა** - კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარებისას მასწავლებლის ყველაზე დიდი გამოწვევაა - დაძლიოს კლასკომპლექტისთვის სპეციფიკური საგაკვეთილო ბარიერები: 1. დაძლიოს სასწავლო რესურსების დეფიციტი 2. ორი კლასის ერთდროულად მართვა 3. ორ კლასზე ერთდროულად დაკვირვება და შეფასება 4. ორი სასწავლო მიზანი და წყვილი აქტივობები 5. დანერგოს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები. ინტერვენციის შედეგებზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ამ გამოწვევის დაძლევა შესაძლებელია მასწავლებლებისთვის გაკვეთილის ბარიერების დაძლევაზე ორიენტირებული მეთოდური გზამკვლევის, გზამკვლევში აღწერილი ინტერვენციული სტრატეგიების დანერგვისთვის საჭირო სასწავლო რესურსების, და ინტერვენციების და რესურსების გამოყენების შესახებ კონსულტაციების უზრუნველყოფით.

## თავი მესამე - შეჯამება, დასკვნა, რეკომენდაცია

ამ ნაწილში მიმოვიხილავთ აღნიშნული კვლევის შედეგებს და ავხსნით გამოვლენილ ტენდენციებს. კვლევის მიზნის შესაბამისად შევისწავლეთ მონაცემები, რათა დაგვედგინა, თუ რა გამოწვევების წინაშე დგანან კლასკომპლექტის მასწავლებლები, რა ბარიერები აქვთ გაკვეთილის ჩატარებისას გადასალახი და როგორ შეიძლება ამ ბარიერების გადალახვა. ამ თავში ასევე გაანალიზებულია ჩატარებული კვლევით მიღებულ შედეგებს შორის არსებული და შესაძლო კავშირები, განვიხილავთ ინტერვენციის შედეგებს, დასკვნებს და რეკომენდაციებს.

### კვლევის ძირითადი შედეგები:

დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევები საკმაოდ მრავალფეროვანია, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია - დაძლიონ გაკვეთილის ბარიერები;

გამოიკვეთა, რომ კლასკომპლექტის მასწავლებლებისათვის მათ საჭიროებებზე - გაკვეთილის ბარიერების დაძლივაზე - მორგებული ტრენინგები არ არის ხელმისაწვდომი;

კვლევის შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ თანხვედრაში არ არის კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევები და გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების პაკეტი, განსაკუთრებით კი მასწავლებლის წიგნი;

სტატისტიკური დინამიკა მზარდია მცირეკონტინგენტის სკოლების და კლასკომპლექტების მასწავლებელთა რაოდენობის კუთხით. ანუ იმ მასწავლებელთა რაოდენობა მზარდია, რომელთაც აქვთ პრობლემები ესგს მიზნების მიღწევის გზაზე;

კლასკომპლექტის მასწავლებელთა წარმატებულმა პრაქტიკის კვლევებმა აჩვენა, რომ გარკვეული ტიპის საგაკვეთილო ბარიერების გადაჭრა შეძლეს, სხვადასხვა სახის ინტერვენციებით იმ კლასკომპლექტის მასწავლებლებმა, რომლებმაც პრაქტიკის კვლევები ჩაატარეს;

კლასკომპლექტის მასწავლებელთა ფოკუსჯგუფების, მასწავლებელთა პრაქტიკის კვლევის და კლასკომპლექტის მასწავლებელთა ინტერვიუების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მასწავლებელთა საერთო გამოწვევები და ის ბარიერები, რაც

გაკვეთილის ჩატარებისას ხვდებათ დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლებს.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდა გაკვეთილის ბარიერების დაძლევაზე ორიენტირებული კლასკომპლექტის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი.

ინტერვენციის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით შემუშავდა პრაქტიკული რეკომენდაციები: კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის, განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტისთვის, სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორებისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგების პროვაიდერების, მასწავლებლის მომზადების სამასკრედიტიანი და სამოცკრედიტიანი პროგრამის ხელმძღვანელებისთვის.

**მონაცემები გაანალიზდა, დაწყებითი კლასების გრიფირებულ სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტებზე.** მონაცემები ასახავს გრიფირებული სახელმძღვანელოების შინაარსების შესაბამისობას ესგში კლასკომპლექტებზე არსებულ ჩანაწერთან, ანუ რამდენად არის დაწყებითი კლასების სხვადასხვა საგნის გრიფირებულ სახელმძღვანელოთა კომპლექტებში კლასკომპლექტის მასწავლებელთა გამოწვევების დაძლევაზე ორიენტირებული დიფერენცირებული სწავლებისთვის საჭირო ინსტრუმენტები და სასწავლო რესურსები. გამოიკვეთა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი დაწყებითი კლასების 2018 წელს გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტების მასწავლებლის წიგნებში არ არის არანაირი რეკომენდაცია კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის. ამას აღნიშნავდნენ მასწავლებლები ფოკუსჯგუფებში, ეს გამოიკვეთა ჩაღრმავებულ ინტერვიუებშიც და ასევე დადასტურდა ჩვენი შესწავლის შედეგად. როგორც კვლევით დადასტურდა, ძალიან მწირია მასწავლებლის წიგნებში ინფორმაცია დიფერენცირებულ სწავლებაზე, რაც კლასკომპლექტებში სწავლების მთავარი მეთოდური ორიენტირია. ამას ადასტურებს, როგორც საქართველოს 6 რეგიონის 8 ფოკუსჯგუფის შედეგების ანალიზი, ასევე კლასკომპლექტის მასწავლებლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუები, ასევე ჩვენ მიერ შესწავლილი ყველა გრიფირებული სახელმძღვანელოს მასწავლებლის წიგნების ანალიზი.

**სტატისტიკური მონაცემები შეგროვდა** თითოეული რეგიონისთვის. კერძოდ, ბოლო 15 წლის განმავლობაში მოსწავლეების და სკოლების რაოდენობების ცვლილებების შესახებ. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შედგენილ გრაფიკებში კარგად ჩანს, რომ იზრდება მცირეკონტინგენტიანი სკოლების რაოდენობა და იმ სკოლების რაოდენობა, სადაც კლასკომპლექტებია. კლასკომპლექტიანი სკოლების რიცხვის ზრდა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საკვლევი თემის აქტუალობას.

**მონაცემები შეგროვდა** კლასკომპლექტის მასწავლებელთა პრაქტიკის კვლევის ნაშრომებიდან. გამოიკვეთა, რომ მკვლევარი კლასკომპლექტის მასწავლებლის მიერ ნაშრომებში აღწერილი პრობლემები და გამოწვევები იდენტურია კვლევის დაზვერვით ეტაპზე ჩატარებული ფოკუსჯგუფების დროს გამოკვეთილი გამოწვევების და პრობლემების ნუსხის. ასევე მოხდა მკვლევართა მიერ აღწერილი პრობლემების რანჟირება, ინტერვენციების და ინტერვენციების შედეგების ანალიზი, საკვლევ საკითხთან მიმართებაში.

**მონაცემები გაანალიზდა** იმ ტრენინგპროგრამების შესახებ, რომელიც 2018-2022 წლებში დაწყებითი კლასის მასწავლებლებისთვის იყო ხელმისაწვდომი. იმ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან მოდულების ჩამონათვალში, რომელიც საგნობრივ და ზოგადი ხასიათის ტრენინგებს მოიცავდა, არ აღმოჩნდა ტრენინგები: დიფერენცირებულ სწავლებზე და კლასის მართვაზე. ეს ის მოდულებია, რომელიც კლასკომპლექტის მასწავლებელთა მიერ დასახელებულ პრობლემათა ნუსხაში პირველ ადგილს იკავებს და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მიღწევისას მთავარი გამოწვევაა კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის. აღსანიშნავია, რომ კონკრეტულად კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის შემუშავებული მოდული მასწავლებელთა მცირე ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყო 2019 წელს.

**ინტერვენციის შედეგები** - კვლევის ბოლო ეტაპზე მიღებული შედეგების გათვალისწინებით შეიქმნა დაწყებითი კლასის კლასკომპლექტის მასწავლებლისთვის გაკვეთილის ბარიერების დამლევაზე ორიენტირებული მეთოდური გზამკვლევი და სასწავლო რესურსების პაკეტი, რომელიც პრაქტიკაში დანერგა პრეფოკუსჯგუფებიდან შერჩეულმა 14-მა მასწავლებელმა.

პოსტფოკუსჯგუფების შედეგების ანალიზმა დაადასტურა - ჩვენ მიერ კვლევის საწყის ეტაპზე გამოთქმული ჰიპოთეზა.

საკვლევი საკითხის სხვადასხვა კუთხით შესწავლის შედეგად მოპოვებულ მონაცემებსა და კლასკომპლექტის მასწავლებლებთან ინტერვიუების ანალიზის შედეგებს შორის გამოიკვეთა ის მიზეზშედეგობრივი კავშირები, რაც აიოლებს ძირითადი დასკვნების გაკეთებას.

## დასკვნა

კვლევის დაზვერვით ეტაპზე ჩატარებული ფოკუსჯგუფების, ლიტერატურის მიმოხილვის, მასალების შესწავლის, ჩაღრმავებული ინტერვიუების, ინტერვენციის, ინტერვენციული ფოკუსჯგუფების შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია საკვლევი საკითხის შესახებ შემდეგი ძირითადი დასკვნების გაკეთება:

კვლევის ფარგლებში შემუშავებული გზამკვლევი და სასწავლო რესურსების პაკეტი ეფექტიანია და რეკომენდებულია დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის გაკვეთილის ბარიერების დასაძლევად.

საქართველოში, ქვეყნის დემოგრაფიული და გეოგრაფიული მოცემულობის გათვალისწინებით კლასკომპლექტების რაოდენობა და კლასკომპლექტის მასწავლებელთა სტატისტიკა მზარდია.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარების ბარიერები: სასწავლო რესურსების სიმწირე, ორი კლასის ერთდროულად მართვა, ორი სასწავლო მიზანი და ორი პარალელური აქტივობა, ორ კლასზე ერთდროულად დაკვირვება და შეფასება, დიფერენცირებული სწავლების მეთოდები და აქტივობები.

დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის გაკვეთილის ბარიერების დაძლევაზე ორიენტირებული ტრენინგები არ არის ხელმისაწვდომი.

გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების პაკეტებში მოცემული მასწავლებლის წიგნის მასალა და მეთოდური რეკომენდაციები არასაკმარისია

დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის - დაძლიონ გაკვეთილის ბარიერები.

წლებია, ესგს მოთხოვნის შესაბამისად, სასწავლო პროგრამების დანერგვის პროცესში, დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლებს უწევთ მიიღონ ისეთი ტიპის გადაწყვეტილებები, რომლის შესახებაც არანაირი მეთოდური რეკომენდაცია არ მიუღიათ.

### რეკომენდაციები

მნიშვნელოვანია, საქართველოს მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლის კლასკომპლექტის მასწავლებლებმა გზამკვლევი და სასწავლო მასალები გამოიყენონ გაკვეთილის ბარიერების დასაძლევად და მას არ ჰქონდეს ერთჯერადი ხასიათი.

სასურველია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების განმახორციელებელმა ორგანიზაციებმა შექმნან დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგპროგრამები, რომელიც ორიენტირებული იქნება კლასკომპლექტში გაკვეთილის ბარიერების დაძლევაზე.

მნიშვნელოვანია, განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტმა მოამზადოს კლასკომპლექტში გაკვეთილის ბარიერების დაძლევაზე ორიენტირებული გზამკვლევები და რესურსები ესგს ზოგადი და საგნობრივი პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად.

დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების ავტორებმა გრიფირებაზე წარსადგენი სერიების მასწავლებლის წიგნებში უფრო მეტი მეთოდური რეკომენდაცია და მასალა ჩადონ სასწავლო პროცესში დიფერენცირებული სწავლების მიდგომების, მოდელების, მეთოდების შესახებ.

სასურველია, გაგრძელდეს კვლევები და შესწავლილ იქნას დაწყებითი კლასების კლასკომპლექტში მყოფი მოსწავლეებისთვის, რამდენად არის ხელმისაწვდომი ხარისხიანი განათლება.

## დანართები

### დანართი 2: ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის გეგმა

#### 1. მონაწილეებთან კომუნიკაცია დისკუსიის დაწყებამდე

- ❖ მოდერატორის წარდგენა
- ❖ კვლევის მიზნების წარდგენა

#### მიზანი:

სადოქტორო პროგრამის ფარგლებში დოქტორანტი ატარებს კვლევას რეფორმის მიმდინარეობისას დაწყებითი კლასების (კლას -კომპლექტის) მასწავლებლის გამოწვევების შესახებ.

ფოკუს ჯგუფების შედეგები გამოქვეყნდება კვლევაში, მონაწილე პირების იდენტიფიცირების გარეშე.

მონაწილეების შერჩევას გავითვალისწინეთ მათი გამოცდილება, გვანტერესებს რა გავლენა მოახდინა რეფორმამ დაწყებითი კლასების კლას-კომპლექტის მასწავლებლების საქმიანობაზე.

#### მითითებები დისკუსიაში მონაწილეებისთვის:

არ არსებობს სწორი ან მცდარი პასუხები, კვლევისთვის საინტერესოა სხვადასხვა შეხედულებები, დისკუსიას აქ გამოთქმული მოსაზრებების უკეთ გააზრების მიზნით ჩავიწერთ.

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის რიგითობა უნდა იყოს დაცული, აუცილებელი არაა დაეთანხმოდ დისკუსიაში მონაწილე მასწავლებლების მოსაზრებებს, ყველა მოსაზრება საინტერესოა.

შენიშვნა: მობილური ტელეფონები გამორთულია.

მოდერატორი არ მონაწილეობს დისკუსიაში, ის სვამს კითხვებს.

2.პირითადი კითხვები (კითხვებზე პასუხის გაცემისას მონაწილეებს ვთხოვ მოიყვანონ მაგალითები, მოყვანენ ამბებს):

1. რას ფიქრობთ განათლების რეფორმის შესახებ? რა გამოწვევების წინაშე დადევით? რა შესაძლებლობები მოგცათ? რა პრობლემების წინაშე აღმოჩნდით?

2. რას ფიქრობთ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-პროგრამების შესახებ? მიგიღიათ მონაწილეობა? გქონდათ საშუალება თქვენი საჭიროებების შესაბამისად აგერჩიათ ტრენინგი?

3. როგორ გამოიყენეთ ტრენინგზე შესწავლილი მასალა სასწავლო პროცესში? ხდება თუ არა ადგილზე ახალი მიდგომების დანერგვა? როგორ ხდება? რა შესაძლებლობები აქვს სკოლას, რომ სიახლეები დაინერგოს სკოლაში, საჭიროებიდან გამომდინარე? რას ნიშნავს თქვენთვის წარმატებული ტრენინგი?

4. რამდენად მომზადებული შეხვდით ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებებს? რაში გამოიხატება? რა გამოწვევებს გამოყოფდით?

5. რამდენად გეხმარებათ გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოების კომპლექტები (მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული) ესგ გამოწვევებისა და გაკვეთილის სასწავლო მიზნის მიღწევაში?

6. მოსწავლეების სწავლის შედეგების გაუმჯობესების რა სტრატეგიებს იყენებთ ყველაზე ხშირად და ეფექტიანად?

7. რამდენად ხშირად იყენებთ სახელმძღვანელოს გარდა დამატებით სასწავლო რესურსებს სწავლებაში? გთხოვთ დაასახელოთ ეს რესურსები და მათი გამოყენების რამდენიმე მაგალითი.

8. კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების რა საშუალებებია თქვენთვის ხელმისაწვდომი?

9. რა სპეციფიკურ პრობლემას გამოყოფდით თქვენს მუშაობაში?

10. რა ტიპის ჩარევა იქნებოდა ყველაზე ეფექტიანი თქვენს მიერ დასახელებული პრობლემის მოგვარებაში?

### 3. დასკვნითი კითხვა

ამ კითხვამ მონაწილეებს საშუალება უნდა მისცეს გაიაზრონ დისკუსია და შემოგვთავაზონ პოზიცია ან შეხედულება საკითხის შესახებ, რაც მნიშვნელოვანია კვლევისთვის

დღეს განხილული საკითხებიდან რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი?

#### **4. შემაჯამებელი კითხვა**

დისკუსიის მოკლე შეჯამების შემდეგ მოდერატორი სვამს კითხვას: ადეკვატურად შევაჯამეთ დღევანდელი შეხვედრა?

#### **5. საბოლოო კითხვა**

მოდერატორი მონაწილეებს კვლავ ახსენებს დისკუსიის მიზანს და ეკითხება: რაიმე ხომ არ გამოგვრჩა?

დანართი 3: ფოკუსჯგუფის ანგარიშზე დაყრდნობითა მომზადებული პრობლემების ნუსხა

პრობლემის დასახელება	პრობლემის აღწერა
ეროვნული სასწავლო გეგმის გზამკვლევები	ესგ არსებული ჩანაწერის შესრულებისთვის არანაირი დამხმარე გზამკვლევი/მასალა არ შეუქმნიათ ჩვენთვის; (მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ კლასებში მომუშავე მასწავლებლებისთვის არსებობს გზამკვლევები, მასწავლებლის წიგნები, სადაც ყველა გაკვეთილია გაწერილი)
გრიფირებული სახელმძღვანელოები	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასკოლო სახელმძღვანელოს მასწავლებლის წიგნები არ ითვალისწინებს ჩვენს მდგომარეობას;</li> <li>• გრიფირებული სახელმძღვანელოების მასწავლებლის წიგნებში მწირი მასალაა დიფერენცირებულ სწავლებაზე;</li> <li>• გრიფირებულ სახელმძღვანელოებში მწირი მასალაა დიფერენცირებული სწავლებისას კლასის მართვის სტრატეგიებზე;</li> <li>• ზოგიერთ კლასში გრიფირებულ სერიას არ აქვს სამუშაო რვეული, რაც კლასკომპლექტში მუშაობისას სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია;</li> </ul>
სასწავლო პროცესის ბარიერები	<ul style="list-style-type: none"> <li>• რთულია კლასის მართვა კლასკომპლექტებში;</li> <li>• რთულია წყვილი აქტივობების პარალელურად დაგეგმვა-წარმართვა;</li> <li>• რთულია ორი სასწავლო მიზნის მიღწევა ერთ გაკვეთილზე;</li> <li>• რთულია დიფერენცირებული სწავლების განხორციელება რესურსების არარსებობისას.</li> <li>• სკოლაში, სასწავლო რესურსების მწირია/არ არის;</li> <li>• ციფრული რესურსების დაბალი ხელმისაწვდომობაა;</li> <li>• თვალსაჩინოებების სიმცირე/არარსებობა;</li> <li>• თვალსაჩინოებების შექმნისათვის რესურსების სიმცირე/არარსებობა;</li> </ul>
პრობლემების ეკოლოგია	<ul style="list-style-type: none"> <li>• მშობლების ნაკლები ჩართულობა;</li> <li>• მოსწავლეთა დაბალი სასკოლო მზაობა;</li> <li>• ღარიბი თემი;</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასკოლო ბიბლიოთეკებისა და ოჯახებში ბიბლიოთეკების არარსებობა;</li> <li>• კლასკომპლექტების მზარდი ტენდენცია.</li> </ul>
<p>პროფესიული განვითარება</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ჩვენი პროფესიული განვითარების კუთხით სხვა პედაგოგებთან შედარებით არათანაბარი ხელმისაწვდომობა;</li> <li>• მეთოდური ლიტერატურის არარსებობა;</li> <li>• მიზნობრივი ტრენინგების არარსებობა;</li> <li>• ჩვენსავით კლასკომპლექტებში მომუშავე სხვა სკოლის მასწავლებლებთან თანამშრომლობა;</li> <li>• უფრო მეტი რომ ვიცოდეთ ჩვენს ქვეყანაში და სხვა ქვეყნებში არსებული პრაქტიკის შესახებ.</li> </ul>
<p>მათი პრაქტიკის შესწავლა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაკვეთილზე დასწრებისას გვეუბნებიან, რომ ერთ კლასს დავაკვირდებითო, რაც ვფიქრობთ, კლასკომპლექტში მუშაობის სპეციფიკის იგნორირებაა.</li> <li>• ჩვენი გამოცდილების, გამოწვევების, პრობლემების, მიღწეული წარმატებების შესახებ არსად არაფერი იწერება;</li> </ul>

### დანართი 3: თვისებრივი კვლევის ინტერვიუს პროტოკოლი

გამარჯობა, მე ვარ დოქტორანტი. ვატარებ კვლევას ის იქნება ჩემი სადოქტორო ნაშრომის ნაწილი. ვგეგმავ ჩაღრმავებულ ინტერვიუმს კლასკომპლექტის მასწავლებლებთან. ინტერვიუს ხანგრძლივობა იქნება დაახლოებით ერთი საათი. ინტერვიუ ჩაიწერება zoom-ის პლატფორმაზე და გაკეთდება მისი ტრანსკრიპტი. ვიდეო და ტრანსკრიპტები იქნება შენახული პირადად ჩემთან. ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ ვიდეო და აუდიო ფაილები წაიშლება. არსად არ გამოჩნდება სკოლა, თქვენი სახელი და გვარი, ან რაიმე სხვა პირადი ინფორმაცია. ნაშრომში შესაძლოა გამოვიყენო თქვენი ფრაზები.

კითხვები:

1. რას გაიხსენებდით თქვენი პროფესიული განვითარების გამოწვევებიდან?

დამაზუსტებელი კითხვები:

- ხელმისაწვდომი იყო თქვენთვის თქვენს საჭიროებაზე მორგებული ტრენინგი?
- სად მიიღეთ საჭირო გამოცდილება?
- რა დაგეხმარათ პროფესიულ წინსვლაში?

2. გაიხსენეთ ის გაკვეთილები კლასკომპლექტში, რომელიც კარგად გამოგივიდათ?

დამაზუსტებელი კითხვები:

- რა იყო სხვადასხვა კლასში თემების სასწავლო მიზანი?
- როგორ შექმენით ორივე კლასის მოსწავლეთა მოტივაცია?
- როგორ გაანაწილეთ დრო სხვადასხვა კლასებზე?
- როგორ გაუმკლავდით ორ კლასში ერთდროულ სწავლებას?
- რამდენად დაგეხმარათ ამაში მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი? მოსწავლის რვეული?
- როგორ ჩართეთ სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომები?

- როგორ შეაჯამეთ თემა?

3. როგორ ხედავთ მომავალში თქვენ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს კლასკომპლექტში?

დამაზუსტებელი კითხვები:

რა დაგჭირდებათ ამისთვის?

რას გააუმჯობესებთ და როგორ?

აქცენტებს რაზე გააკეთებთ?

4. როგორ ხედავთ თქვენს თავს მომავალში - რამდენად საინტერესო შეიძლება იყოს კლასკომპლექტში მუშაობის გამოცდილება პროფესიული საზოგადოებისათვის?

ინტერვიუს დასრულება

რამის დამატება ხომ არ გსურთ?

მადლობას გიხდით ინტერვიუსთვის.

დანართი 4: I-IV კლასის მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი ტრენინგების ნუსხა

ტრენინგის დასახელება	სთ
1. ბუნებისმეტყველების ზოგადი კურსი	16
2. ზოგადი კურსი მუსიკის მასწავლებლებისათვის	16
3. ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მამიებლობის პროგრამაში ჩართული მასწავლებლობის მამიებლებისთვის დაწყებითი საფეხურის ქართულ ენასა და ლიტერატურაში (I-IV და V –VI კლასების პედაგოგთათვის)	16
4. ზოგადი კურსი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისთვის	16
5. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მათემატიკის სწავლების დაწყებით საფეხურზე; მათემატიკის დაწყებითი საფეხურის პროგრამის ცალკეული აქტუალური საკითხები	16
6. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ზოგადი კურსი	16
7. დისტანციური სწავლება Microsoft რესურსების გამოყენებით	8
8. მშობლებთან კომუნიკაცია ინკლუზიური განათლებისათვის	16
9. თანამედროვე მიდგომები სწავლებაში	20
10. აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში	20
11. დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლების აქტუალური საკითხები	20
12. თანამედროვე მიდგომები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლებაში (ინკლუზიური განათლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	20
13. პროექტები და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მუსიკის გაკვეთილზე	20
14. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - შემოქმედებითობა და პრაქტიკა	20
15. როგორ განვაავითაროთ მოსწავლეებში პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარები	12
16. აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში	12
17. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მათემატიკის სწავლების დაწყებით საფეხურზე	12
18. მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება მუსიკის გაკვეთილზე	12

19. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლება მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით	12
20. შემაჯამებელ დავალებათა ტიპებზე მუშაობა- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	12
21. კიბერბულინგის პრევენცია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	6
22. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება ქეისებისა და დილემების გამოყენებით	6
23. განათლება მდგრადი განვითარებისთვის - ერთიანი სასკოლო მიდგომა	6

დანართი 5: 2022 წელს დაწყებითი საფეხურის უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლებისათვის შემუშავებული და შეთავაზებული 15 ტრენინგმოდული

<p><b>უფროსი</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სწავლა-სწავლების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენება ქართულის სწავლებისას დაწყებით საფეხურზე, უფროსი მასწავლებლებისთვის (20 საკონტაქტო საათი)</li> <li>2. დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლების აქტუალური საკითხები უფროსი მასწავლებლებისთვის (20 საკონტაქტო საათი)</li> <li>3. დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლების დიდაქტიკის ცალკეული საკითხები უფროსი მასწავლებლებისთვის (20 საკონტაქტო საათი)</li> <li>4. აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში უფროსი მასწავლებლებისათვის (20 საკონტაქტო საათი)</li> <li>5. ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესის დაგეგმვა, სწავლების სტრატეგიები და შეფასება უფროსი მასწავლებლებისათვის (20 საკონტაქტო საათი)</li> <li>6. შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება ბუნებისმეტყველების სწავლების დროს უფროსი მასწავლებლებისათვის (8 საკონტაქტო საათი)</li> <li>7. კომბინირებული მოდული I-IV კლასის უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებლებისათვის (20 საკონტაქტო საათი)</li> </ol>
<p><b>უფროსი/ წამყვანი</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>8. ეფექტური ონლაინსწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე უფროსი/წამყვანი მასწავლებლებისათვის (12 საკონტაქტო საათი)</li> <li>9. ელექტრონული რესურსების შექმნა და გამოყენება ქართულის სწავლებისას დაწყებით საფეხურზე, წამყვანი მასწავლებლებისთვის (12 საკონტაქტო საათი)</li> <li>10. პროექტებით სწავლება; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროექტებით სწავლების პირობებში დაწყებით საფეხურზე, წამყვანი მასწავლებლებისთვის (12 საკონტაქტო საათი)</li> </ol>

	<p>11. კვლევაზე, პრობლემაზე და პროექტზე დაფუძნებული სწავლება ბუნებისმეტყველებაში წამყვანი მასწავლებლებისათვის (12 საკონტაქტო საათი)</p> <p>12. კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა ბუნებისმეტყველების სწავლებისას წამყვანი მასწავლებლებისათვის (12 საკონტაქტო საათი)</p> <p>13. ეფექტური ონლაინსწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე უფროსი/წამყვანი მასწავლებლებისათვის (12 საკონტაქტო საათი)</p>
<p><b>მენტორი</b></p>	<p>14. ეფექტური ონლაინსწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე მენტორი მასწავლებლებისათვის (6 საკონტაქტო საათი)</p> <p>15. ღირებულებებით სწავლების ინტეგრირება დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე, მენტორი მასწავლებლებისათვის (6 საკონტაქტო საათი)</p>

დანართი 6: 2018-2022 წელს დაწყებითი საფეხურის უფროსი, წამყვანი და მენტორის სტატუსის მქონე მასწავლებლებისათვის შემუშავებული და შეთავაზებული 55 ტრენინგმოდული - TPDC

#	საგანი/ მიმართულება	ტრენინგის დასახელება	მოდულის ხანგრძლივობა (საკონტაქტო საათი)
1.	ბუნებისმეტყველება	ბუნებისმეტყველების ზოგადი კურსი	16
2.	მუსიკა	ზოგადი კურსი მუსიკის მასწავლებლებისათვის	16
3.	ქართული ენა და ლიტერატურა (I-VI კლ)	ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისა და მაძიებლობის პროგრამაში ჩართული მასწავლებლობის მაძიებლებისთვის დაწყებითი საფეხურის ქართულ ენასა და ლიტერატურაში (I-IV და V –VI კლასების პედაგოგთათვის)	16
4.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	ზოგადი კურსი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისთვის	16
5.	მათემატიკა (I-VI კლ)	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მათემატიკის სწავლების დაწყებით საფეხურზე; მათემატიკის დაწყებითი საფეხურის პროგრამის ცალკეული აქტუალური საკითხები	16
6.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ზოგადი კურსი	16
7.	დისტანციური სწავლება	დისტანციური სწავლება Microsoft რესურსების გამოყენებით	8
8.	ინკლუზიური განათლება	მშობლებთან კომუნიკაცია ინკლუზიური განათლებისათვის	16
9.	ზოგადპროფესიული უნარები	თანამედროვე მიდგომები სწავლებაში	20
10.	ბუნებისმეტყველება	აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში	20
11.	მათემატიკა (I-VI კლ)	დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლების აქტუალური საკითხები	20
12.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	თანამედროვე მიდგომები ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლებაში (ინკლუზიური განათლება და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება	20

13.	მუსიკა	პროექტები და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები მუსიკის გაკვეთილზე	20
14.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - შემოქმედებითობა და პრაქტიკა	20
15.	ზოგადპროფესიული უნარები	როგორ განვაკითხოთ მოსწავლეებში პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის უნარები	12
16.	ბუნებისმეტყველება	აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში	12
17.	მათემატიკა (I-VI კლ)	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მათემატიკის სწავლების დაწყებით საფეხურზე	12
18.	მუსიკა	მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება მუსიკის გაკვეთილზე	12
19.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლება მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით	12
20.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	შემაჯამებელ დავალებათა ტიპებზე მუშაობა-სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	12
21.	ციფრული მოქალაქეობა	კიბერბუღინგის პრევენცია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	6
22.	ზოგადპროფესიული უნარები	პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება ქეისებისა და დილემების გამოყენებით	6
23.	მდგრადი განვითარება	განათლება მდგრადი განვითარებისთვის - ერთიანი სასკოლო მიდგომა	6
24.	პროფესიული უნარები	მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები	6
25.	პროფესიული უნარები	სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისთვის	6
26.	Teams	Microsoft Teams-ის ტექნიკური გამართვა Microsoft-ის მომხმარებლის გამოყენებით	6
27.	Teams	დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით	8
28.	Teams	დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით	5
29.	Teams	დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით	8
30.	ინკლუზიური განათლება	განვითარების დარღვევები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები	6

31.	ინკლუზიური განათლება	ქცევის მართვა	6
32.	ბუნებისმეტყველება	ბუნებისმეტყველების ზოგადი კურსი	6
33.	მათემატიკა I-VI კლ	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება მათემატიკის სწავლების დაწყებით საფეხურზე.	6
34.	მუსიკა	ზოგადი კურსი მუსიკის პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის	6
35.	ქართული I-VI კლ	ქართული ენის სწავლების აქტუალური საკითხები დაწყებით საფეხურზე (I-IV და V-VI კლასები).	6
36.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ზოგადი კურსი	6
37.	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების ანალიზის სწავლება	6
38.	სპორტი	ზოგადი კურსი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისათვის	8
39.	Teams	დისტანციური სწავლება Microsoft სერვისების გამოყენებით (8 სთ)	8
40.	ქართული I-VI კლ	სწავლა-სწავლების თანამედროვე სტრატეგიების გამოყენება ქართულის სწავლებისას დაწყებით საფეხურზე, უფროსი მასწავლებლებისათვის (20 საკონტაქტო საათი)	20
41.	მათემატიკა	დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლების აქტუალური საკითხები უფროსი მასწავლებლებისათვის (20 საკონტაქტო საათი)	20
42.	მათემატიკა	დაწყებით საფეხურზე მათემატიკის სწავლების დიდაქტიკის ცალკეული საკითხები უფროსი მასწავლებლებისათვის (20 საკონტაქტო საათი)	20
43.	ბუნებისმეტყველება	აქტიური სწავლება ბუნებისმეტყველების სასწავლო პროცესში უფროსი მასწავლებლებისათვის (20 საკონტაქტო საათი)	20
44.	ბუნებისმეტყველება	ბუნებისმეტყველების სწავლების პროცესის დაგეგმვა, სწავლების სტრატეგიები და შეფასება უფროსი მასწავლებლებისათვის (20 საკონტაქტო საათი)	20
45.	ბუნებისმეტყველება	ეფექტური ონლაინსწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე უფროსი/წამყვანი მასწავლებლებისათვის (12 საკონტაქტო საათი)	12
46.	ბუნებისმეტყველება	შეფასების ინსტრუმენტების გამოყენება ბუნებისმეტყველების სწავლების დროს უფროსი მასწავლებლებისათვის (8 საკონტაქტო საათი)	8
47.	კომბინირებული	კომბინირებული მოდული I-IV კლასის უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებლებისათვის (20 საკონტაქტო საათი)	20

48.	ქართული	ელექტრონული რესურსების შექმნა და გამოყენება ქართულის სწავლებისას დაწყებით საფეხურზე, წამყვანი მასწავლებლებისთვის (12 საკონტაქტო საათი)	12
49.	პროექტული სწავლება	პროექტებით სწავლება; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროექტებით სწავლების პირობებში დაწყებით საფეხურზე, წამყვანი მასწავლებლებისთვის (12 საკონტაქტო საათი)	12
50.	ბუნებისმეტყველება	კვლევაზე, პრობლემაზე და პროექტზე დაფუძნებული სწავლება ბუნებისმეტყველებაში წამყვანი მასწავლებლებისათვის (12 საკონტაქტო საათი)	12
51.	ბუნებისმეტყველება	კვლევითი უნარების განვითარების ხელშეწყობა ბუნებისმეტყველების სწავლებისას წამყვანი მასწავლებლებისათვის (12 საკონტაქტო საათი)	12
52.	ბუნებისმეტყველება	ეფექტური ონლაინსწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე უფროსი/წამყვანი მასწავლებლებისათვის (12 საკონტაქტო საათი)	12
53.	ბუნებისმეტყველება	ეფექტური ონლაინსწავლება და ტექნოლოგიების გამოყენება ბუნებისმეტყველების გაკვეთილზე მენტორი მასწავლებლებისათვის (6 საკონტაქტო საათი)	6
54.	ქართული	ღირებულებებით სწავლების ინტეგრირება დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე, მენტორი მასწავლებლებისთვის (6 საკონტაქტო საათი)	6
55.	ზოგადპროფესიული უნარები	კლასკომპლექტში სწავლების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები	12

**დანართი 7: აჭარის განათლების ფონდის მიერ მოწოდებული მონაცემები წლების მიხედვით:**

**2018 წელი**

1. ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ბუნებისმეტყველებაში ;
2. ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის მათემატიკაში (I-VI კლ.);
3. ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის დაწყებითი საფეხურის ქართულ ენასა და ლიტერატურაში (I-VI);
4. განათლების დაწყებითი საფეხურის (I-IV კლ.) ინტეგრირებული ტრენინგი.

**2019 წელი**

**მასწავლებლის კომპეტენციის დადასტურების ტრენინგები:**

1. მოდული „ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის დაწყებითი საფეხურის ქართულ ენასა და ლიტერატურაში (I-VI);
2. მოდული „ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ბუნებისმეტყველებაში“;
3. მოდული „ზოგადი კურსი პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის მათემატიკაში (I-VI კლ.);
4. განათლების დაწყებითი საფეხურის (I-IVკლ.) ინტეგრირებული ტრენინგი.
5. მოდული - „კლასკომპლექტში მუშაობის სპეციფიკა და სასწავლო პროცესის ეფექტურად დაგეგმვა“.

**2020 წელი**

1. ტრენინგი ბუნებისმეტყველების მასწავლებლებისათვის: “სამუზეუმო მასალების გამოყენება ბუნებისმეტყველების სწავლების ეფექტიანობისათვის“;

2. **2021 წელი**

**საგნობრივი ტრენინგები**

**უსტატუსო (პრაქტიკოსი) და მაძიებელი მასწავლებლის ტრენინგები:**

3. მოდული „დაწყებითი საფეხურის ქართულ ენისა და ლიტერატურის უსტატუსო და მაძიებელი მასწავლებლისათვის (I-VI)“;

4. მოდული „დაწყებითი საფეხურის მათემატიკის უსტატუსო და მაძიებელი მასწავლებლისათვის (I-VI კლ.)“;
5. მოდული „ბუნებისმეტყველების უსტატუსო და მაძიებელი მასწავლებლისათვის“;
6. „დაწყებითი საფეხურის (I – IV კლ.) მასწავლებელთა ინტეგრირებული საგამოცდო კურსი“;
7. **სქემის სტატუსის შესაბამისი სავალდებულო ტრენინგები წამყვანი მასწავლებლებისათვის:**
8. მოდული „დაწყებითი საფეხურის მათემატიკის წამყვანი მასწავლებლისათვის (I-VI კლ.)“;
9. მოდული „ბუნებისმეტყველების წამყვანი მასწავლებლისათვის“; **სქემის სტატუსის შესაბამისი სავალდებულო ტრენინგები უფროსი მასწავლებლებისათვის:**
10. მოდული „დაწყებითი საფეხურის მათემატიკის უფროსი მასწავლებლისათვის (I-VI კლ.)“;
11. მოდული „ბუნებისმეტყველების უფროსი მასწავლებლისათვის“; **2022 წელი**  
**სქემის სტატუსის შესაბამისი სავალდებულო ტრენინგები უფროსი მასწავლებლებისათვის:**
  1. მოდული „დაწყებითი საფეხურის მათემატიკის უფროსი მასწავლებლისათვის (I-VI კლ.)“;
  2. მოდული „დაწყებითი საფეხურის ქართული ენის უფროსი მასწავლებლისათვის (I-VI კლ.)“;
  3. მოდული „ბუნებისმეტყველების უფროსი მასწავლებლისათვის“;  
**სავალდებულო ტრენინგები წამყვანი მასწავლებლებისათვის:**
1. მოდული „დაწყებითი საფეხურის მათემატიკის წამყვანი მასწავლებლისათვის (I-VI კლ.)“;
2. მოდული „ბუნებისმეტყველების წამყვანი მასწავლებლისათვის“;

დანართი 8: 2018-2019 სასწავლო წლის მდგომარეობით საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში I-IV კლასების ბაზაზე არსებული კლასკომპლექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით.

რეგიონი	რაოდენობა
აფხაზეთი	9
აჭარა	416
გურია	90
თბილისი	105
იმერეთი	270
კახეთი	119
მცხეთა-მთიანეთი	71
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	94
სამეგრელო-ზემო სვანეთი	242
სამცხე-ჯავახეთი	115
ქვემო ქართლი	217
შიდა ქართლი	114
<b>სულ</b>	<b>1862</b>

დანართი 9: სწავლება კლასკომპლექტში. გზამკვლევი

მეთოდური მასალა - კლასკომპლექტში  
გაკვეთილზე წარმოქმნილი ბარიერების  
დაძლევისთვის

(გზამკვლევს თან ახლავს რესურსების პაკეტი)

ამ გზამკვლევის შექმნის საგანმანათლებლო ინიციატივა ეყრდნობა იმ მასწავლებლის საჭიროებას, რომელიც ორ კლასს ერთდროულად უტარებს გაკვეთილს.

- რა არის კლასკომპლექტი?
- რა მნიშვნელობა აქვს ამ ტიპის კლასების არსებობას ჩვენი ქვეყნისთვის?
- რამდენად ზრუნავს საგანმანათლებლო სივრცე კლასკომპლექტის მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე?
- რა მეთოდებით და მიდგომებით უნდა მუშაობდეს მასწავლებელი, რომ მისი ჩატარებული გაკვეთილი ორივე კლასის მოსწავლეებისთვის ეფექტური იყოს?

გზამკვლევში სწორედ ამ კითხვებზე იპოვით პასუხს.

გზამკვლევი ეყრდნობა საქართველოს 6 რეგიონის 8 დაწყებითი კლასების მასწავლებლების ფოკუსჯგუფის მასალებს, რომელთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარების ბარიერები. მეთოდური სახელმძღვანელო დაეხმარება კლასკომპლექტის მასწავლებლებს დაძლიონ ეს ბარიერები.

## სარჩევი

შესავალი	171
1.კლასკომპლექტში სწავლების გამოწვევები	172
2.კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარების ბარიერების დაძლევა (რჩევები და რეკომენდაციები)	173
2.1 როგორ გავუმკლავდეთ თვალსაჩინოების დეფიციტს	173
2.2 კლასკომპლექტის კლასის მართვის პრევენციული მიდგომა	192
2.3 ორი სასწავლო მიზანი და წყვილი აქტივობები	196
<i>2.4 გაკვეთილზე დაკვირვება და მოსწავლის შეფასება</i>	197
2.5 დიფერენცირებული სწავლება და კლასკომპლექტში მუშობის სტრატეგიები	207
3.კლასკომპლექტში გაკვეთილის დაგეგმვის ნიმუშები	216
გამოყენებული ლიტერატურა	

## შესავალი

საქართველოში, ქალაქსა და სოფელს შორის მოსახლეობის არათანაბარი განაწილება ბუნებრივად აისახება სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობაზე. ქართულ რეალობაში ხუთასამდე მცირეკონტინგენტიანი სკოლაა. განათლების მკვლევრები მიუთითებენ, რომ იმ კლასებში, სადაც მოსწავლეების რაოდენობა ათს არ აღემატება, ისევე იჩენს თავს საგანმანათლებლო პრობლემები, როგორც იმ კლასებში, სადაც კლასში მოსწავლეთა რაოდენობა უპრეცედენტოდ დიდია.

2012 წლის მონაცემებით, საქართველოში მოსწავლეთა სრული რაოდენობის დაახლოებით 8% სწავლობს ისეთ კლასებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა ხუთი ან ნაკლებია. ერთი შეხედვით, ეს ციფრი დიდი არ არის, მაგრამ ეს ბავშვები ასეულობით სკოლაში არიან განაწილებული, რაც საქართველოს სკოლების თითქმის მესამედს შეადგენს. აღნიშნულ სკოლებში შეზღუდული ფინანსური და ადამიანური რესურსების გამო, რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით, ხშირად იქმნება კლას-კომპლექტები. 2015 წლის მონაცემებით საქართველოში 500-მდე კლასკომპლექტია. სტატისტიკის მიხედვით კლასკომპლექტების უმეტესობა აჭარაშია.

## 1. კლასკომპლექტში სწავლების გამოწვევები

2017-2018 წლებში, კვლევის ფარგლებში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კლასკომპლექტის მასწავლებლების ფოკუსჯგუფებთან შეხვედრებისას ისინი საუბრობდნენ სხვადასხვა გამოწვევებზე.

- ა) ყოველდღიურად ათამდე გაკვეთილისთვის მომზადება;
- ბ) ყურადღების კონცენტრირება 2 კლასზე;
- გ) მწირი რესურსები.

**რა ტიპის საქმიანობის შესრულება უწევს კლასკომპლექტში მასწავლებლებს?**

- ცხრილის შედგენა;
- გაკვეთილის გეგმების შედგენა;
- წყვილი მეთოდების შერჩევა;
- სწორი და სწრაფი რეაგირება;
- დიფერენცირებული სწავლება;
- მოსწავლეთა განვითარებაზე ზრუნვა.

**რა გამოწვევის წინაშე დგას კლასკომპლექტებში მოსწავლე?**

- კონცენტრირება მის სამუშაოზე;
- არ გადაერთოს სხვა კლასის აქტივობაზე;
- იმუშაოს დამოუკიდებლად;
- დაეხმაროს სხვას საჭიროებისას.

არის კლასკომპლექტების სხვადასხვა კომბინაციები.

**პირველი** - ერთად I-III და II-IV კლასები;

**მეორე კომბინაცია** - I-II და III – IV კლასები;

**მესამე კომბინაცია** - I-IV და II – III კლასები.

ყველა მათგანს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.

**პირველი კომბინაციისას** - მიჩნეულია, რომ კლასებს შორის ასაკობრივი სხვაობა იძლევა იმის საშუალებას, უფროსმა კლასებმა დამოუკიდებლად იმუშაონ.

**მეორე კომბინაციის დროს** - ერთწლიანი ასაკობრივი სხვაობაა მოსწავლეებს შორის და მოსწავლეებს მეტი საერთო აქვთ. თუმცა ზოგიერთი სპეციალისტი გარკვეულ საფრთხეს ხედავს ამაში.

**მესამე კომბინაცია** - წინა ორი ვარიანტის კომბინაციას წარმოადგენს.

## 2. კლასკომპლექტში გაკვეთილის ჩატარების ბარიერების დაძლევა (რჩევები და რეკომენდაციები)

კლასკომპლექტის მასწავლებლებმა 2018 წელს, საქართველოს 6 რეგიონში ჩატარებულ 8 ფოკუსჯგუფში ისაუბრეს იმ ბარიერებზე, რომელიც მათ კლასკომპლექტში გაკვეთილზე სწავლა-სწავლების დროს ექმნებათ.

ეს ბარიერებია: 1. სასწავლო რესურსების/თვალსაჩინოებების დეფიციტი 2. კლასის მართვა; 3. დაკვირვება-შეფასება; 4. ორი სასწავლო მიზანი და წყვილი აქტივობები 5. დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები.

გთავაზობთ, მეთოდურ რეკომენდაციებს და სასწავლო რესურსებს, რომლებიც ამ ბარიერების დაძლევაში დაგეხმარებათ. მასალები განკუთვნილია დაწყებითი კლასების კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის.


### 2.1 როგორ შევავსოთ თვალსაჩინოების დეფიციტი

იან ამოს კომენსკიმ (1592–1670) თავის ნაშრომში „დიდი დიდაქტიკა“ დიდაქტიკის ერთ–ერთ პრინციპს გაუკეთა ფორმულირება – თვალსაჩინოების პრინციპი: „ოქროს კანონად უნდა იქცეს პირობა: მოსწავლეებს უნდა მიეცეთ უფლება, შეიგრძნონ ყველაფერი, რაც კი შესაძლებელია შეიგრძნონ შეგრძნებების დონეზე: ხილვადი – მხედველობით, ხმა – სმენით, სუნი – ყნოსვით, გემო – გემოთი, შესახები – შეხებით“. კლასკომპლექტებში ორმაგად მნიშვნელოვანია სასწავლო თვალსაჩინოების გამოყენება. ჩვენ მიერ მომზადებული გზამკვლევის ამ ნაწილში აღვწერეთ რამდენიმე საგაკვეთილო შემთხვევა და თან დავურთეთ მზა თვალსაჩინოება ან კონკრეტული მასალა - ინსტრუქციით, რაც დაგეხმარებათ დაძლიოთ სწავლებაში თვალსაჩინოების და დამატებითი სასწავლო რესურსებით გამოწვეული ბარიერის დაძლევაში. ამავე ბლოკში მოხვდა სხვადასხვა მარტივი მანიპულატივების დამზადების ფოტოინსტრუქციებიც.

## როგორ დაძლიოს სირთულე მასწავლებელმა

### შემთხვევა 1

მინდა შემოგთავაზოთ მარტივი პედაგოგიური ხრიკი, რომელიც პირველკლასელი



მოსწავლეების ცნობისმოყვარეობის


დაძლევაში დაგეხმარებათ და ისინი მასწავლებელს კი არ მოუსმენენ, რომელიც მეორე კლასს დაფაზე გეომეტრიულ ფიგურებს აცნობს, არამედ შეასრულებენ ადაპტირებულ სამუშაოს, რომელიც იდენტურია იმისა, რაც წიგნშია, მაგრამ მასში არის მცირე ინტრიგა და სტიმული.

პირველ სვეტში მოცემულია სტანდარტული მაგალითები წიგნიდან, მეორე სვეტში იგივე მაგალითებია

განსხვავებული დიზაინით.

### შემთხვევა 2

პირველკლასელებს განსაკუთრებით არ მოსწონთ რუტინული აქტივობები (მაგალითების ამოხსნა, ზეპირი მიმატება-გამოკლება და ა.შ.), მაგრამ მცირედი ოსტატობა შეიძლება დაგვეხმაროს და პირველკლასელის რუტინული სავარჯიშო ასეთ სახალისო აქტივობად ვაქციოთ. ამისთვის მხოლოდ ფურცელი და ფანქარია საჭირო.
















ასეთ სავარჯიშოებზე მუშაობისას პირველკლასელი მოსწავლე მთელი არსებით ერთვება თამაშში და სულ არ აქვს განცდა, რომ მათემატიკაში მაგალითებს ხსნის.

ეს დიზაინი მოსწავლეს ეხმარება იმაში, რომ ყურადღება არ გაეფანტოს კლასკომპლექტში შემავალი მეორე კლასის განსხვავებული აქტივობით.

### შემთხვევა 3

მაშინ, როდესაც მასწავლებელი მეორეკლასელებისთვის დაფაზე ხსნის ახალ მასალას:

  $\frac{1}{2} > \frac{1}{3}$	  $\frac{2}{4} \square \frac{3}{4}$
  $\frac{2}{4} \square \frac{2}{3}$	  $\frac{2}{4} \square \frac{4}{8}$
  $\frac{1}{2} \square \frac{2}{4}$	  $\frac{3}{4} \square \frac{4}{5}$



მეორეკლასელების ყურადღება დაფისკენ რომ არ იყოს მიმართული, სასურველია, დამოუკიდებელი მუშაობისთვის მიეცეს თამაშის ელემენტების შემცველი აქტივობა:

სავარჯიშოს ინსტრუქცია - დააკვირდით სურათს, დათვალეთ თითოეული გეომეტრიული ფიგურა და მარჯვნივ გამოხაზულ ფიგურებს მიუწერეთ ნახატში მათი რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვი.

## შემთხვევა 4

რა მიდგომა გამოვიყენოთ მაშინ, როდესაც კლასკომპლექტის ერთმა კლასმა მათემატიკაში შემაჯამებელი უნდა დაწეროს, მეორე კლასს კი ზეპირი აქტივობები აქვს?

ანუ რამდენად არის შესაძლებელი შემაჯამებელი სამუშაოს დიზაინში ჩავდოთ სტიმული, რომელიც დაეხმარება მოსწავლეს, კონცენტრირებული იყოს მის სამუშაოზე და არ გაეფანტოს ყურადღება კლასკომპლექტში შემაჯამებელი მეორე კლასის აქტივობისკენ. გთავაზობთ რამდენიმე ვარიანტს:


<table border="1"> <tr> <td>1</td> <td>2</td> <td>3</td> <td>4</td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td> <math>3 + 5 = \_</math>  <math>8 - 8 = \_</math>  <math>1 + 6 = \_</math>  <math>4 - 3 = \_</math> </td> <td></td> </tr> <tr> <td> <math>7 + 1 = \_</math>  <math>9 - 5 = \_</math>  <math>10 - 7 = \_</math>  <math>3 + 5 = \_</math> </td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td></td> <td> <math>8 + 1 = \_</math>  <math>4 - 3 = \_</math>  <math>2 + 6 = \_</math>  <math>9 - 9 = \_</math> </td> </tr> <tr> <td></td> <td> <math>4 + 6 = \_</math>  <math>2 - 1 = \_</math>  <math>2 + 2 = \_</math>  <math>3 - 1 = \_</math> </td> <td></td> <td></td> </tr> <tr> <td></td> <td></td> <td></td> <td></td> </tr> </table>	1	2	3	4			$3 + 5 = \_$ $8 - 8 = \_$ $1 + 6 = \_$ $4 - 3 = \_$		$7 + 1 = \_$ $9 - 5 = \_$ $10 - 7 = \_$ $3 + 5 = \_$							$8 + 1 = \_$ $4 - 3 = \_$ $2 + 6 = \_$ $9 - 9 = \_$		$4 + 6 = \_$ $2 - 1 = \_$ $2 + 2 = \_$ $3 - 1 = \_$							<p>ა) ეს მრავალფეროვანი და დონეებად განაწილებული კომბინირებული შემაჯამებელი წერითი სამუშაოა, რომლის დიზაინი კლასკომპლექტის მოსწავლეში აღძრავს ინტერესს, აზარტს და მოსწავლე ნაკლებ ყურადღებას აქცევს მეორე შეწყვილებული კლასის სავარჯიშოებს.</p>
1	2	3	4																						
		$3 + 5 = \_$ $8 - 8 = \_$ $1 + 6 = \_$ $4 - 3 = \_$																							
$7 + 1 = \_$ $9 - 5 = \_$ $10 - 7 = \_$ $3 + 5 = \_$																									
			$8 + 1 = \_$ $4 - 3 = \_$ $2 + 6 = \_$ $9 - 9 = \_$																						
	$4 + 6 = \_$ $2 - 1 = \_$ $2 + 2 = \_$ $3 - 1 = \_$																								
	<p>ბ) შესაძლებელია ისეთი შემაჯამებელი შევთავაზოთ მოსწავლეებს, რომელიც სავარაუდო პასუხებს შეიცავს და პასუხები უნდა გამოსახონ არა რიცხვებით არამედ ფერებით :</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1-მწვანე</li> <li>2-ყავისფერი</li> <li>3-იასამნისფერი</li> <li>4-ყვითელი</li> <li>5-ცისფერი</li> <li>6-წითელი</li> <li>7-მწვანე</li> </ol>																								

## შემთხვევა 5

დაწყებით კლასებში ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი კოგნიტური სქემების გამოყენება, რომელიც, ერთი მხრივ, სტიმულს შეიცავს და მეორე მხრივ სქემა საშუალებას აძლევს მოსწავლეს ცოდნა გამოიყენოს, ცოდნის გამოყენებით მოახდინოს კრიტიკული ანალიზი, შექმნას ახალი ცოდნა ან შეაფასოს სიტუაცია და გადაჭრას მის წინაშე მდგარი პრობლემა. ბუნებისმეტყველების მრავალფეროვანი პროგრამა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, შექმნას და გამოიყენოს ასეთი კოგნიტური სქემები, რაც გაუიოლებს მუშაობას კლასკომპლექტში.

### მაგალითი-1

ჰორიზონტის მხარეების შესწავლის შემდეგ სასურველია, მოსწავლეებს მივცეთ არა ცოდნის შემოწმებაზე ორიენტირებული სამუშაო, არამედ ცოდნის გამოყენებაზე და შექმნაზე. ამის კარგი მაგალითია საქართველოს კუთხეების კონტურული რუკა და შემდეგი აქტივობა - დაასრულე საქართველოს ისტორიული მხარეების კონტურული რუკა. შემოსაზღვრულ, ცარიელ ადგილებში ჩაწერე შესაბამისი ისტორიული მხარე, ამ ინსტრუქციის გამოყენებით:




1. ქართლის აღმოსავლეთით მდებარეობს კახეთი;
2. ქართლის ჩრდილო- დასავლეთით მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმი;
3. რაჭა-ლეჩხუმის სამხრეთით მდებარეობს იმერეთი;
4. იმერეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს გურია;
5. გურიის სამხრეთით მდებარეობს აჭარა;
6. იმერეთის დასავლეთით მდებარეობს სამეგრელო;
7. სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს აფხაზეთი;

8. აფხაზეთის აღმოსავლეთით მდებარეობს სვანეთი;
9. გურიის სამხრეთით მდებარეობს აჭარა;
10. აჭარის აღმოსავლეთით მდებარეობს მესხეთ-ჯავახეთი.

## მაგალითი 2

შექმნაზე ორიენტირებულ სავარჯიშოებს მიეკუთვნება ე.წ ზოოლოგიურ რუკებზე მუშაობა - გარკვეული თემის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს მწირი რესურსების: წებო, ქაღალდი, მაკრატელი, მის მიერ დახატული და გამოჭრილი ცხოველების გამოყენებით შეუძლია შექმნას, მაგალითად, აფრიკის ზოოლოგიური რუკა.



## შემთხვევა 6

კლასკომპლექტში, ერთ-ერთ კლასში მოდელებზე მუშაობაც ძალიან ეფექტურია, რაც ამ კლასის მოსწავლეების ყურადღების მაქსიმალურ მობილიზებას უზრუნველყოფს. წყლის წრებრუნვის შესწავლის შემდეგ, მოსწავლეს მწირი რესურსების:



წებო, ქაღალდი, მაკრატელი, ბამბა, ფლომასტერი, ერთჯერადი თეფშის გამოყენებით შეუძლია შექმნას წრებრუნვის მარტივი მოდელი და იმსჯელოს ამ პროცესზე.

## **დამხმარე მასალები კითხვის გაკვეთილებზე კლასკომპლექტში**

ამ მასალების საგანმანათლებლო ინიციატივა იმაში მდგომარეობს, რომ წიგნიერების უნარის განსავითარებლად ხშირად გამოვიყენოთ ერთი და იმავე ტექსტის გააზრების მრავალი ხერხი. ამით მოსწავლეს შევუქმნით კითხვის განწყობას და მივალწევთ, კითხვა გახდეს არა ექსტროგენული, არამედ ინტროგენული ქცევა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ წიგნიერება გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე კითხვისა თუ წერისთვის ენის გამოყენების უნარი; თანამედროვე გაგებით, წიგნიერება არის ცვალებად კონტექსტში კითხვის, წერის, ინფორმაციის დამუშავების, იდეებისა და მოსაზრებების გამოთქმის, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის მოგვარების უნარი იმ ცოდნის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იძენს.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება მიზნად ისახავს სხვადასხვა ხასიათის ტექსტის გასააზრებლად საჭირო არალინგვისტური ხერხების ვრცელ რეპერტუარს. წიგნიერ მოსწავლეს უნდა შეეძლოს, წაკითხული ტექსტის მიხედვით რუკის, განტოლების, დიაგრამის, სქემის, ნახატის, აპლიკაციის, ნახაზის, საპრეზენტაციო მასალის, რეკლამის, მოდელის და ა.შ. შექმნა და პირიქით.

### **რას ნიშნავს „პირიქით“?**

გააშინაარსოს რუკა;

გააშინაარსოს განტოლება;

გააშინაარსოს დიაგრამა;

გააშინაარსოს ნახატი, ნახაზი, აპლიკაცია;

გააშინაარსოს საპრეზენტაციო მასალა;

გააშინაარსოს რეკლამა;

გააშინაარსოს მოდელი.

### **რა ტიპისაა გასააზრებელი ტექსტები?**

მხატვრული /ნარატიული ნაწარმოები - ლექსი, მოთხრობა, პოემა და სხვ./ ;

განმარტებითი /ტერმინი, ცნება, მახასიათებლების აღწერა /;

არგუმენტაციის შემცველი /მოსაზრებები მტკიცებულებითურთ/ ;

პრობლემის აღმოფხვრაზე ორიენტირებული /მტკიცება იმისა, რომ ესა თუ ის მოვლენა პრობლემურია/ .

#### **დიალოგებზე აგებული /ინტერვიუები, დიალოგები/**

გთავაზობთ ერთგვარ „ნარატიულ ჩარჩოებს“, რაც არის მხატვრული ნაწარმოების შეჯამების ჩარჩო. იგი მოიცავს კითხვების სერიას, რომელსაც მასწავლებელი დაუსვამს მოსწავლეებს. ეს კითხვები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეებმა ყურადღება კონკრეტულ ინფორმაციას მიაპყრონ. გთავაზობთ სხვადასხვა ტიპის ტექსტის ჩარჩოს სავარაუდო კითხვებს:

#### **განმარტებითი ტექსტის კითხვები**

- რას განვმარტავთ?
- რომელ კატეგორიას მიეკუთვნება ცნება?
- რით განსხვავდება ის... ?

#### **არგუმენტაციის შემცველი ტექსტის კითხვები**

- რა ინფორმაციას მივყავართ არგუმენტამდე?
- რომელია მთავარი მტკიცებულება?
- რა მაგალითებია მოყვანილი არგუმენტებად?

#### **პრობლემის აღმოფხვრაზე ორიენტირებული ტექსტის კითხვები**

- რაში მდგომარეობს პრობლემა?
- სად არის გამოსავალი?
- კიდევ რა გამოსავალი ისახება?
- პრობლემის მოგვარების რომელი გზაა რთული? იოლი?

#### **დიალოგზე აგებული ტექსტის კითხვები**

- როგორ შეხვდნენ ერთმანეთს მოსაუბრენი?
- რა თემას ეხება დიალოგი?
- როგორ განვითარდა იგი?
- როგორ დასრულდა?

#### **მოთხრობის ნარატიული ჩარჩოს კითხვები**

- ვინ არიან მთავარი პერსონაჟები?
- სად და როდის ხდება მოქმედება?
- რით იწყება მოქმედება ნაწარმოებში?
- როგორ გამოხატეს თავიანთი გრძნობები პერსონაჟებმა?
- რა მიზნები აქვთ პერსონაჟებს?
- როგორ ცდილობენ მიზნის მიღწევას?
- რა მოჰყვა პერსონაჟთა მცდელობას?

გთავაზობთ სქემებს, რომლებიც დაგეხმარებათ, იოლად დაძლიოთ ქართულის გაკვეთილებზე კლასკომპლექტში მუშაობისას არსებული ბარიერები, რადგან სქემები მოიცავს: წერის, კითხვის კომპონენტებს და გათვლილია I-IV კლასის სხვადასხვა ჟანრის ტექსტებზე მუშაობისთვის. ყველა სქემა ერთგვარი ხარაჩოა და გარკვეულ სტიმულებს შეიცავს, რაც გათვლილია მოსწავლეთა მოტივაციაზე. ეს სქემები განსაკუთრებით დაგეხმარებათ იმ კლასებში, რომლებშიც გრიფირებულ სერიებს არ ახლავს სამუშაო რვეული და ეს კლასკომპლექტში დამატებით ბარიერს ქმნის

**სათაური და ზღაპარი** 

**სათაურის წაკითხვის შემდეგ**



როგორ ფიქრობ, რაზე შეიძლება იყოს ეს ზღაპარი?



რატომ ღირს ამ ზღაპრის წაკითხვა?

**ზღაპრის წაკითხვის შემდეგ**



გამოგვცა შენი განწყობა ზღაპრის ბოლომდე?



რა არის ამის მიზეზი?





მოუფიქრე ამ ზღაპარს სხვა სათაური

სწავლების პირველ საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში შესასწავლ ტექსტებს შორის მრავლად გვხვდება ზღაპრები.


ეს სქემა დაგეხმარებათ, ზღაპრის წაკითხვამდე დააფიქროთ მოსწავლე ზღაპრის სათაურზე და მის სავარაუდო შინაარსზე. ზღაპრის წაკითხვის შემდეგ მოსწავლემ უნდა შეძლოს, მისი ვარაუდები და წაკითხული ერთმანეთს შეადაროს.

**ზღაპრის ჯადოსნური ლექსიკონი**







არსებითი სახელი  
საგნის აღწერილობითი სიტყვა




ზედსართავი სახელი  
ზედსართავი სახელი  
სიტყვა, რომელიც საგანს ახასიათებს



ზმნა




ზმნა




ზმნა


საგნის მოქმედების აღწერილობითი სიტყვა




ოთხსიტყვიანი ფრაზა



ზედსართავი სახელი



ზედსართავი სახელი



არსებითი სახელი

ეს სქემა ხელს შეუწყობს მოსწავლეს - მიუბრუნდეს ზღაპრის ტექსტს, შეარჩიოს მითითების მიხედვით სიტყვები და ამით გაიმდიდროს ლექსიკური მარგი.

სავარჯიშო გარკვეულ ხარაჩოს შეიცავს და მოსწავლეს არ გაუჭირდება მასზე მუშაობა, რაც ზედმეტი შეკითხვებისგან დაგიცავთ და შეძლებთ, მშვიდად იმუშაოთ კლასკომპლექტის მეორე კლასთან.

**ზღაპრის მთავარი მინიშნებები**

<b>პირველი ხაზი:</b> წაკითხული ზღაპრის სათაური	.....
<b>მეორე ხაზი:</b> მთავარი პერსონაჟი	.....
<b>მესამე ხაზი:</b> არამთავარი პერსონაჟები	..... .....
<b>მეოთხე ხაზი:</b> ამზის დასაწყისი	..... .....
<b>მეხუთე ხაზი:</b> ძირითადი ამბები	..... .....
<b>მეექვსე ხაზი:</b> დასასრული	..... .....

ეს სქემა ეხმარება მოსწავლეს, ზღაპარი გაიაზროს და საკუთარი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეს. ამისთვის მან უნდა შეარჩიოს ზღაპრის პერსონაჟი, გარკვეულ ქმედებებში დაეთანხმოს და გარკვეულ ქმედებებში არ დაეთანხმოს. ამასთანავე, გამოთქვას თავისი მოსაზრება, თვითონ როგორ მოიქცეოდა. ასეთი წაკითხვა მას დაეხმარება წაკითხულისადმი საკუთარი

პოზიციის ჩამოყალიბებაში. ზღაპარი ხომ მარტო იმისთვის არ უნდა წაიკითხოს, რომ მისი თხრობა შეძლოს?

<b>ზღაპარში</b>	<b>ჩემს გონებაში</b>
დასვი კითხვა, რომლის პასუხი ტექსტშია	დასვი კითხვა, რომლის პასუხი ტექსტში არ არის, მაგრამ იგულისხმება
..... .....	..... .....
ტექსტშივე მოიძიე პასუხი	თავად უპასუხე შენ მიერ დასმულ შეკითხვას
..... ..... .....	..... ..... .....

ეს სქემა ეხმარება მოსწავლეს, ზღაპარი გაიაზროს და საკუთარი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდეს. ამისთვის მან უნდა შეარჩიოს ზღაპრის პერსონაჟი, გარკვეულ ქმედებებში დაეთანხმოს და გარკვეულ ქმედებებში არ დაეთანხმოს, ამასთანავე გამოთქვას თავისი მოსაზრება, თვითონ როგორ მოიქცეოდა. ასეთი წაკითხვა მას დაეხმარება წაკითხულისადმი საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებაში. ზღაპარი ხომ მარტო იმისთვის არ უნდა წაიკითხოს, რომ მისი თხრობა შეძლოს?

**დისკუსია ზღაპრის გმირთან**

რამი ეთანხმები?

---

---

---

---

რამი არ ეთანხმები?

---

---

---

---


შენ როგორ მოიქცეოდი?

---

---

---

---



ყველა ზღაპარი თუ მოთხრობა რაღაც კითხვის ერთგვარი პასუხია. ეს სქემა დაეხმარება მოსწავლეს, ამოიცნოს, რა კითხვაზე იძლევა პასუხს ეს ზღაპარი. მაგრამ ამავე დროს შეუძლია დასვას ამ თემაზე კითხვა, რაზეც ეს ზღაპარი პასუხს არ იძლევა და პატარა მკითხველს თვითონ უწევს გამოიგონოს ამ კითხვაზე პასუხი. ეს კი კითხვის პროცესს ხდის სახალისოს.

**ზღაპრის (ამბის) რუკა**



სათაური:

პერსონაჟები:  
 \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_

მოქმედების ადგილი:  
 \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_

პრობლემა: \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_

ამბავი #1: \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_

ამბავი #2: \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_

ამბავი #3: \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_

შეჯამება: \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_


ეს სქემა დაეხმარება მოსწავლეს, ერთმანეთთან რუკასავით დააკავშიროს ზღაპრის სათაური, პერსონაჟები, ძირითადი ამბები და დასასრული. ზღაპრის ასეთი წაკითხვა ეხმარება მოსწავლეს, გახდეს კარგი მკითხველი.

**ზღაპრის (ამბის) პირამიდა**

**შეავსე პირამიდა:**



1. მთავარი გმირის სახელი;
2. ორი სიტყვა, რომლებიც ახასიათებს მთავარ პერსონაჟს;
3. სამი სიტყვა, რომლებიც აღწერს ფაქტს;
4. ოთხი სიტყვა, რომლებითაც აღიწერება პრობლემა/მიზანი
5. ხუთი სიტყვა, რომლებიც გამოხატავს პრობლემის შეჯამებას.



სახელი _____ _____	გარეგნობა _____ _____
--------------------------	-----------------------------

დაახასიათე _____ _____ _____	დადებიათა ეს პერსონაჟი თუ უარყოფითი? _____ _____
---------------------------------------	--


სახელი _____ _____	გარეგნობა _____ _____
--------------------------	-----------------------------

დაახასიათე _____ _____ _____	დადებიათა ეს პერსონაჟი თუ უარყოფითი? _____ _____
---------------------------------------	--

ეს სქემა ერთნაირად სასარგებლოა გააზრებული კითხვის და წერის უნარების განვითარებისთვის. პერსონაჟის, მომხდარი ფაქტის და ზღაპრის დასასრულის შესახებ მოკლე წინადადებების შედგენა მოსწავლეს დაეხმარება ტექსტის რეზიუმირებაში.

ეს სქემა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მოთხრობის პერსონაჟი დაახასიათოს და მისი თვისებები დაუკავშიროს ერთმანეთს და ისე გააკეთოს შეფასებითი დასკვნა.

**მთავარი და არამთავარი**



ეს სქემა არის კარგი საშუალება, რათა მოსწავლემ მოთხრობაში შეარჩიოს მნიშვნელოვანი აბზაცი, ეს აბზაცი დაუკავშიროს მოთხრობის ფინალს და როგორც მკითხველი, შემოქმედებითად მიუდგეს კითხვის პროცესს, წარმოიდგინოს ამ მოთხრობის სხვა დასასრული და რამდენიმე წინადადებით დაწეროს.

ამოწერე ნაწარმოების ბოლო აბზაცი.

.....

.....

.....

.....

შენ რომ ავტორი იყო, როგორ დაასრულებდი?

.....

.....

.....

**ოთხი რატომ**

<p>რატომ აქვს მოთხრობას ეს სათაური?</p> <p>.....</p> <p>.....</p> <p>.....</p>
<p>რატომ არის ეს პესონაჟი მთავარი?</p> <p>.....</p> <p>.....</p> <p>.....</p>
<p>რატომ თვლი ასე?</p> <p>.....</p> <p>.....</p> <p>.....</p>
<p>რატომ მოგეწონა ან არ მოგეწონა?</p> <p>.....</p> <p>.....</p> <p>.....</p>

ამ სქემის გამოყენებით მოსწავლე მიზანმიმართული მკითხველი ხდება, რაც გააზრებული კითხვისთვის უმნიშვნელოვანესია.


### შეკითხვების კალენდოსკოპი

ნაწარმოების მიხედვით, მოიფიქრე და დაასრულე შეკითხვები:

1. ვინ/რა? .....
2. სად? .....
3. როდის? .....
4. რატომ? .....
5. როგორ? .....
6. რამდენი? .....
7. როგორი? .....

### მოთხრობის პალიტრა

დახატე მთავარი პერსონაჟი ან დახატე ერთი ეპიზოდი.



ჩამოთვალე, რა ფერები გამოიყენე ხატვისას.


ეს სქემა საშუალებას მისცემს მოსწავლეს, წაიკითხოს და გაიაზროს მოთხრობა და ამასთან ერთად, სქემაში მოცემული კითხვითი სიტყვების გამოყენებით, შეადგინოს ლოგიკური შეკითხვები მოთხრობაში არსებული სიუჟეტების შესაბამისად.

ეს აქტივობა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, მოთხრობის სულისკვეთებაზე საკუთარი დამოკიდებულება და ემოცია გადმოსცეს ნახატის სახით.



**პირველი სტროფის სიტყვები**

1. წაიკითხე პირველი სტროფი და ამოწერე ოთხი მთავარი სიტყვა.



2. გაგვიზიარე შენი მოსაზრება - რატომ ჩათვალე ისინი მთავარ სიტყვებად?

რადგან .....

.....

.....

.....

ამიტომაც .....

.....

.....

ეს სქემა დაეხმარება მოსწავლეს, იმუშაოს ლექსზე, როგორც ლექსიკური ერთეულების - სიტყვების დონეზე, ასევე ლექსის გამინაარსების და ლექსის ქვეტექსტის დონეზე.

**მთავარი სათქმელი**



1. შენი სიტყვებით გადმოეცი ამ ლექსის შინაარსი.

.....

.....

.....

.....

2. რომელია ამ ლექსის ველაზე მნიშვნელოვანი ფრაზა?

.....

.....

3. რატომ ფიქრობ ასე?


.....

.....

ამ სქემაზე მუშაობა ლექსის გამინაარსებაში, მის გააზრებაში და აღქმაში დაეხმარება მოსწავლეს.

## ლექსის ჩარჩო

შერჩეულ ლექსს გაუკეთე ჩარჩო და გააფორმე ისე, რომ მის შინაარსს შეესაბამებოდეს.



ლექსში გადმოცემული მთავარი აზრი სიტყვებით ყალიბდება... ამ საყრდენ სიტყვებზე /საგნებზე, ღირებულებებზე / დაფიქრება არის ლექსის ავტორის მთავარი მიზანი. ეს სქემა კიდევ ერთხელ დააფიქრებს მოსწავლეს „მთავარ სიტყვებზე“ და საშუალებს მისცემს, ვიზუალურად განამტკიცოს ლექსის გააზრება.

რა ემოცია გამოიწვია შენში - სიხარული, სევდა თუ...

---

---



სიტყვა, რომელიც ყველაზე მეტად მოგეწონა

---

ფრაზა, რომელმაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა?

---

---


---




ეს სქემა დაეხმარება მოსწავლეს, „გაუშინაურდეს“ პოეზიის შემქმნელს და ჰკითხოვს, რაც უნდა... ამით მოსწავლის თავისუფალი და აბსტრაქტული აზროვნების სტიმულირება მოხდება.

ამ სქემის გამოყენება ერთგვარი ტესტია... მოსწავლეებმა სხვადასხვა ფრაზა შეიძლება ჩათვალონ მთავარ ფრაზად და სწორედ ასეთი ტიპის თავისუფლება უყალიბებთ მათ ემოციის მართვის უნარს და გულწრფელობას. პოეზიის მიზანიც ხომ ეს არის.


მანიპულაციების დამზადება-გამოყენების ფოტონსტრუქციები



სივრცითი ფიგურების დამზადება



სახალისო მიმატება და გამოკლება









აზინდის საათი

პლანეტები,

სასიცოცხლო ციკლი

### თვალსაჩინოების დამზადება

მოცემულ კონტურული რესურსებზე დაგეგმეთ ჯგუფური, სახლისო სასწავლო აქტივობები (მოსწავლეებმა, საგაკვეთილო ტექსტის მიხედვით დაიტანონ: ფერები, წარწერები, დაასათაურონ) და შედეგად მიიღებთ ფერად, მოსწავლეთა თანამონაწილეობით შექმნილ თვალსაჩინოებას, რომელიც გაალამაზებს საკლასო ოთახს.

	
<p><b>მცენარის აგებულება</b></p>	<p><b>ვამლის სასიცოცხლო ციკლი</b></p>
	
<p><b>გრძნობის ორგანოები</b></p>	<p><b>წელიწადის დროები</b></p>
	

## 2.2 კლასკომპლექტის კლასის მართვის პრევენციული მიდგომა

ტრადიციულად, წლების განმავლობაში კლასკომპლექტში მომუშავე მასწავლებლები კლასის მართვაში პრევენციას შეთანხმებული წესების დაცვით, ზეპირი და წერიტი დავალებების მონაცვლეობით აღწევდნენ და ამ დავალებების მონაცვლეობის კომბინაცია შესაძლოა ასეთივე ყოფილიყო:

IIკლ	IVკლ
ზეპირი დავალება	წერიტი დავალება
წერიტი დავალება	ზეპირი დავალება
წერიტი დავალება	წერიტი დავალება

Iკლ	IIIკლ
ზეპირი დავალება	წერიტი დავალება
წერიტი დავალება	ზეპირი დავალება
წერიტი დავალება	წერიტი დავალება

კლასის მართვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პრევენციულ ღონისძიებებს, რაც კლასის ეფექტიანად მართვას 60%-ით უზრუნველყოფს. კლასკომპლექტის შემთხვევაში პრევენციული მიდგომა მდგომარეობს წყვილი აქტივობების სწორად დაგეგმვა-შერჩევაში: სასწავლო თემის; სამიზნე კლასის; არსებული რესურსების; მოსწავლეთა თავისებურებების და ინტერესების გათვალისწინებით. კლასკომპლექტის მასწავლებელთა უმრავლესობა ფლობს სწავლების მრავალფეროვან ინტერაქტიურ მეთოდებს და შეუძლია, პრევენციული მიდგომის გამოყენებით დაგეგმოს გაკვეთილზე წყვილი სტრატეგიები. გზამკვლევი მოიცავს სარეკომენდაციო წყვილი აქტივობების ვარიანტებს II-IV და I-III კლასკომპლექტებისთვის მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

**შექმნილი სქემა - წყვილი სტრატეგიები კლასკომპლექტებში გამოსაყენებლად**

IIკლ	IVკლ	Iკლ	IIIკლ
ცხელი სკამი	პერსონაჟის რუკა	კომიქსები	ფრეიერის სქემა
სასწავლო გაჩერებები	ტექსტზე მუშაობა-მარკირებით	სასწავლო ცენტრები	დისკუსია
სასწავლო ცენტრები	სასწავლო ცენტრები	აპლიკაციის შექმნა	გაჩერებებით სწავლა

კოგნიტურ სქემაზე მუშაობა	პრეზენტაცია	ჯაჭვური თხრობა	რაფთ მეთოდი
მანიპულატივები	ლეკბუკის პრეზენტაცია	ნაწარმოების ეპიზოდის სიმულაცია	რეპორტაჟის წერა
მრავალდონიანი დავალება	მრავალდონიანი დავალება	შეკითხვები მიმანიშნებელი ნახატებით	ოთხი კუთხე



განსაკუთრებით აღსანიშნავია კლასის მართვა I-III კლასების კომბინაციისას, რადგან პირველი კლასი 10 წუთით ადრე ასრულებს გაკვეთილს და მასწავლებელს აქვს პრობლემა, რა ტიპის არასაკმარისი აქტივობა მისცეს მოსწავლეს არჩევანის სახით, თან ისეთი, რომ მესამეკლასელებს ხელი არ შეემალოთ.




გთავაზობთ რამდენიმე საინტერესო რესურსს, რომელთა გარკვეული რაოდენობა თან ახლავს გზამკვლევს.

1. ეს კოგნიტური სავარჯიშო-თავსატეხი გარკვეულ ინტრიგას შეიცავს და პირველკლასელს თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს და ისრების მიხედვით უჯრები დააკავშიროს გამუქებული ათვლის წერტილიდან და საბოლოოდ მიიღებს დასრულებულ კონტურულ ნახატს, რომლის გაფერადებაც შეუძლია.

2. სახალისო მარტივი სავარჯიშოებია. ა) პირველკლასელი თან გაზომვაში გაივარჯიშებს, თან გააფერადებს ბ) უბრალოდ წერტილებს შეაერთებს.



3. ეს სახალისო ბარათებია. ისინი სახალისო ამოცანა-თავსატეხის ტიპისაა, რაც გონებასაც გაუვარჯიშებს პირველკლასელს და თან გაართობს.



## 2.3 ორი სასწავლო მიზანი და წყვილი აქტივობები

კლასკომპლექტში გაკვეთილის სასწავლო მიზანი ორმაგია და ის ორი სხვადასხვა კლასის სასწავლო მიზანს მოიცავს.

მეორე კლასი	მეოთხე კლასი
სასწავლო მიზანი	სასწავლო მიზანი
მოსწავლეებმა შეძლონ წყლის ბინადარი ზოგიერთი ცხოველის ამოცნობა და აღწერა.	მოსწავლეებმა შეძლონ ვულკანის განმარტება, აღწერა, მსჯელობა.

მაგალითისათვის გთავაზობთ ორ მიდგომას, რომელიც მასწავლებელს სასწავლო მიზნის შესაბამისად შეუძლია გამოიყენოს ისეთი დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიისათვის, როგორცაა სასწავლო გაჩერებები. ვარიანტი -1. მასწავლებელი ორივე კლასთან იყენებს სასწავლო გაჩერებების მეთოდს, რომელიც ასე გამოიყურება:

IV კლ	II კლასი
შესაბამის საგანში მიმდინარე თემაზე მასწავლებლის მიერ შერჩეული სავარჯიშოები, რომლებიც დალაგებულია მარტივიდან რთულისკენ განთავსებულია 2,4,6 გაჩერებებზე.	შესაბამის საგანში მიმდინარე თემაზე მასწავლებლის მიერ შერჩეული სავარჯიშოები, რომლებიც დალაგებულია მარტივიდან რთულისკენ განთავსებულია 1,3,5 გაჩერებებზე.

1, 3, 5 გაჩერებებზე არის შეკითხვები ვულკანის თემაზე. 2,4,6 გაჩერებებზე არის შეკითხვები ზღვის ბინადრების თემაზე.

მეორე ვარიანტი - კლასკომპლექტში გაკვეთილზე ერთდროულად მიმდინარე აქტივობების წყვილი კი ასე გამოიყურება:

IV კლ	II კლასი
შესაბამის საგანში მიმდინარე თემაზე მასწავლებლის მიერ შერჩეული სავარჯიშოები, რომლებიც დალაგებულია მარტივიდან რთულისკენ განთავსებულია 1,2,3,4 გაჩერებებზე.	შესაბამის საგანში მიმდინარე თემაზე მასწავლებლის მიერ შერჩეულ ტექსტზე მოსწავლეები ქმნიან ინფოგრაფიკას.

**წყვილი აქტივობების წარმართვისთვის მნიშვნელოვანია, პროცესის გაცნობა მოსწავლეებისთვის:** სტრატეგიის გამოყენება იწყება მოსწავლეებისთვის სასწავლო მიზნის შესაბამისი სტრატეგიის გამოყენების პირობების გაცნობით. მასწავლებელმა ყოველი კონკრეტული აქტივობისთვის მოსწავლეებს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინსტრუქციები მასში მოცემული დავალებების შესრულების ფორმისა და გამოყოფილი დროის შესახებ. იმისათვის, რომ არ დაიკარგოს ზედმეტი დრო, დიდი მნიშვნელობა აქვს სავარჯიშოს დიზაინს და მოკლე, ნათელ ინსტრუქციას.

**პროცედურის გაცნობა კლასკომპლექტის მოსწავლეებისთვის:** მასწავლებელი კლასკომპლექტის ორივე კლასის მოსწავლეებს აწვდის დავალებებზე მუშაობისათვის ზუსტ ინსტრუქციებს - რა ევალებათ და რა დრო აქვთ ამისთვის.

**მასწავლებლის მიერ კლასკომპლექტის მოსწავლეთა მხარდაჭერა აქტივობისას:** როდესაც კლასკომპლექტის ორივე კლასის მოსწავლეები მათი სასწავლო მასალის შესაბამისად მუშაობენ, მასწავლებელი აქტიურად გადაადგილდება საკლასო ოთახში, აზუსტებს საკითხებს და პასუხობს მოსწავლეთა შეკითხვებს და ამ გზით მოსწავლეებს უჩენს განცდას, რომ ის აქტიურად აკვირდება მათ მუშაობას და მზადაა, დაეხმაროს მათ საჭიროებისას.

**ნამუშევრების შეფასება:** მასწავლებელმა გულდასმით უნდა გაანალიზოს მოსწავლეთა ნამუშევრები და მიაწოდოს მათ ამომწურავი უკუკავშირი. მოსწავლეთა შედეგების ჩანიშნისთვის და ორგანიზებისთვის შეუძლია გამოიყენოს სოლო ტექსონომიის გამოყენებით შექმნილი სქემა.

## 2.4 გაკვეთილზე დაკვირვება და მოსწავლის შეფასება

კლასკომპლექტებში ორმაგად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა დაკვირვება და მასზე დაყრდნობით განმავითარებელი შეფასების განხორციელება. გთავაზობთ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების იმ ნიმუშებს, რომელთა დანერგვა სწავლების გრძელვადიან გაუმჯობესებაზეა გათვლილი და მათი გამოყენება კლასკომპლექტებში იოლია და სასარგებლო. ესენია:

1. ერთწუთიანი პასუხები;
2. რეაქციის ბარათები;
3. საკვანძო იდეების ბარათები;
4. ახალი ცნებების განსაზღვრება ან გამოყენება;
5. შეჯამების ბარათები;

1. ერთწუთიანი პასუხები - გაკვეთილის დასრულებამდე 5 წუთით ადრე, მოსწავლეები ანონიმურად ბარათებზე აფიქსირებენ პასუხს ორ კითხვაზე:

1. რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ვისწავლე დღეს?
2. რა კითხვა მიმაჩნია ყველაზე აქტუალურად დღევანდელი გაკვეთილის დასრულების შემდეგ?

ასეთი დავალებები სასარგებლოა იმისათვის, რომ მასწავლებელი მიუბრუნდეს იმ საკითხებს, რომლებიც პრობლემური, არასწორად ან არასრულად გააზრებული დარჩა. მოსწავლისთვის კი... (სცადეთ, გამოიყენეთ თქვენს პრაქტიკაში ეს ინსტრუმენტი და დაასრულეთ ეს წინადადება მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით).

ერთწუთიანი პასუხი	
რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ვისწავლე დღეს?	რა კითხვა მიმაჩნია ყველაზე აქტუალურად დღევანდელი გაკვეთილის დასრულების შემდეგ?

**2. რეაქციის ბარათები** - მისი გამოყენების ეტაპებია: **პირველი ეტაპი** – მოსწავლეებს გაკვეთილის დასაწყისში ურიგდებათ ბარათები, ისინი აწერენ თავიანთ სახელებს.

**მეორე ეტაპი** – გაკვეთილის მსვლელობისას, ნებისმიერ დროს, აკეთებენ კომენტარს, მაგ. მასწავლებლის დასმულ კითხვაზე ან მოსწავლის კითხვებზე ან კლასში მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვებებზე და ა.შ.

**მესამე ეტაპი** – გაკვეთილის ბოლოს ბარათებს აგროვებს მასწავლებელი და მომდევნო გაკვეთილისთვის მოკლე უკუკავშირით უბრუნებს მოსწავლეებს.

<b>რეაქციის ბარათი</b>	
მოსწავლის სახელი და გვარი	
შეგიძლია ჩაწერო: 1. კომენტარი გაკვეთილის ამა თუ იმ საკითხზე. 2. შეკითხვა, რაც გაგიჩნდა	
მასწავლებლის კომენტარი	

**3. საკვანძო იდეების ბარათი** - მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლეები თემის, თავის თუ საკითხის გარშემო მასალის დასრულების შემდეგ, ავსებენ საკვანძო იდეების ბარათს, ვიდრე შემაჯამებელი დავალება მიეცემათ ამ ბარათებზე აყალიბებენ წერილობით იმ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიიჩნიეს. **ფაქტია, მასწავლებელი** იგებს, რამდენად სიღრმისეულად გაიგეს საკითხი მოსწავლეებმა და რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხი ხომ არ დარჩა მათი ყურადღების მიღმა. მოსწავლე კიდევ ერთხელ გაიაზრებს განვლილ მასალას და დაფიქრდება, ხომ არაფერი გამორჩა.

**4. ახალი ცნებების გამოყენება** - გაკვეთილის დასასრულამდე 10 წუთით ადრე, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ დებულებები, რომლებიც გაკვეთილის თემასთან არის დაკავშირებული:

1. როგორც გავიგე, დღევანდელი გაკვეთილის მთავარი საკითხი (ცნება ან იდეა) იყო...

2. ამ საკითხის / იდეის კარგი მაგალითი შეიძლება იყოს...

3. დღევანდელი გაკვეთილის მთავარი საკითხი ყველაზე მეტად დაკავშირებული იყო შემდეგ ცნებებთან, პროცესთან, მოვლენასთან ან საგნებთან...

ასეთი დავალებები სასარგებლოა იმისათვის, რომ მასწავლებელი მიუბრუნდეს იმ საკითხებს, რომლებიც პრობლემური, არასწორად ან არასრულად გააზრებული დარჩა. მოსწავლისთვის კი... (სცადეთ, გამოიყენეთ თქვენს პრაქტიკაში და დაასრულეთ ეს წინადადება).

5. შეჯამების ბარათი - ინდივიდუალურად, წყვილში ან მცირე ჯგუფში მოსწავლეები გაკვეთილის დასასრულს მოკლედ აყალიბებენ:

გაკვეთილის მთავარ საკითხებს;

წერენ ერთ კითხვას, რომელზეც პასუხის მიღების იმედიც აქვთ შემდეგი შეხვედრისათვის.

ასეთი დავალებები სასარგებლოა იმისათვის, რომ მასწავლებელი მიუბრუნდეს იმ საკითხებს, რომლებიც პრობლემური, არასწორად ან არასრულად გააზრებული დარჩა. მოსწავლისთვის კი... (სცადეთ, გამოიყენეთ თქვენს პრაქტიკაში და დაასრულეთ ეს წინადადება).

**დაკვირვება, შეფასება** - კლასკომპლექტში, სადაც ორი წყვილი აქტივობა პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს და დრო ისედაც დეფიციტურია, კლასკომპლექტის მასწავლებლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გამოიყენოს მოქნილი ინსტრუმენტები როგორც დაკვირვებისთვის, ასევე უკუკავშირისა და შეფასებისთვის. გთავაზობთ მზა დაკვირვების სქემებს და შემაჯამებელი დავალებების ანალიზის სქემებს კლასკომპლექტის მასწავლებლისათვის. სქემები ისეა შექმნილი, რომ მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, მოინიშნოს მოსწავლის აქტიურობაც და ცოდნის დონეც, რაც მასწავლებელს გაუიოლებს როგორც თითოეული მოსწავლის და კლასის პროგრესის აღრიცხვას, ასევე საშუალებას მისცემს, საკუთარი სწავლების შედეგებიც დაინახოს.

**კლასკომპლექტზე დაკვირვების ფორმა**

საგანი -----  
 სასწავლო წელი -----  
 სემესტრი -----  
 კლასი -----

მოსწავლი ს სახელი და გვარი									

კლასი -----

მოსწავ ლის სახელი და გვარი									

შეგიძლიათ სოლო ტაქსონომიის მიხედვით აღმიშენები გააკეთოთ ან რიცხვებით ან სოლოტაქსონომიის დონის აღმნიშვნელი სიტყვის შემოკლებით. ( 1-პრესტრუქტურული, 2-უნისტრუქტურული, 3-მულტისტრუქტურული, 4-მიმართებითი, 5-გაფართოებული).

განვიხილოთ დავალება, რომელიც დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, სხვადასხვა ფერის და ფორმის გეომეტრიული ფიგურებით ააწყონ აპლიკაცია თემაზე – ადამიანის საცხოვრებელი.

სოლო ტექსონომიის მიხედვით, მოსწავლის შეფასებისთვის ეს ინსტრუქცია გამოგვადგება:

პრესტრუქტურულ დონეზე – მოსწავლე ვერცერთ დეტალს ვერ იყენებს და ელოდება მასწავლებელს, დაეხმაროს...

უნისტრუქტურულ დონეზე – ფიგურებს აჯგუფებს ერთი ნიშნის (ფერის ან ფორმის) მიხედვით...

მულტისტრუქტურულ დონეზე – მოსწავლე აკავშირებს ერთმანეთთან საცხოვრებელ შენობას, კარს და ფანჯრებს...

მიმართებით დონეზე – მოსწავლე აწყობს სახლს...

გაფართოებულ დონეზე – მოსწავლე აწყობს ქალაქის დასახლებას...



განვიხილოთ ცხოვრების კონტექსტის მქონე ამოცანა და მისი შეფასების სქემა. ამოცანის პირობა შექმნილია მესამეკლასელი მოსწავლის ცოდნის დონის და სასწავლო მასალის გათვალისწინებით.

მოცემული მენიუს დახმარებით გამოთვალე, რამდენი უნდა გადაიხადოს იუბილარი გიორგის მამამ, რომელმაც თავისი შვილის 15 კლასელი დაპატიჟა მაკდონალდში. 9 ბავშვმა შეუკვეთა ჰამბურგერი, 15-მა ბავშვმა კოკა-კოლა, 8 ბავშვმა კარტოფილი ფრი, 7-მა ბავშვმა კრუსასანი, 6-მა ბავშვმა ცხელი შოკოლადი, 5-მა ბავშვმა მარწყვის ნამცხვარი. ნაყინები კი შენ შეგიძლია გადაუნაწილო, როგორც გსურს 15 ბავშვს. მენიუში სულ სამი სახის ნაყინია.

**გაითვალისწინე:**

- უნდა გამოიყენო მოცემული მენიუ, გამრავლების ტაბულის ცოდნა, გააკეთო ჩანაწერები, გამოსახე მათემატიკურად და გამოთვალე თითოეული სახის პროდუქტში, რა არის გადასახდელი და ეს ჯამში რა გამოვა?
- არ დაგავიწყდეს, ნაყინის ფასის გამოთვლისას შენ იღებ გადაწყვეტილებას, რამდენს შეხვდა შოკოლადის ნაყინი, რამდენს მარწყვის და რამდენს კარამელის?
- გამოთვალე, ეს ყველაფერი ჯამში რა გამოვა?

	დასახელება	ფასი		დასახელება	ფასი
	კარტოფილი ფრი	2 ლარი		კაკაო	5 ლარი
	კოკაკოლა	1 ლარი		კრუსასანი	6 ლარი
	ჰამბურგერი	7 ლარი		შოკოლადის ნაყინი	4 ლარი
	მარწყვის ნამცხვარი	8 ლარი		კარამელის ნაყინი	3 ლარი
	ცხელი შოკოლადი	5 ლარი		მარწყვის ნაყინი	5 ლარი

კლასკომპლექტებში მოსახერხებელია მოსწავლეთა ნაშრომების შეფასება სოლო ტაქსონომიის მიხედვით. გთავაზობთ ჰოლისტური შეფასების რუბრიკას.

პრესტრ უქტურული	უნისტრ უქტურული	მულტის ტრუქტურული	მიმარ თებიტი	გაფართ ოებული
მოსწავ ლეს არ შეუძლია: გამრავლება- გაყოფის მოქმედების შესრულება, მათი შეკრება- გამოკლების მოქმედებასთა ნ და ერთმანეთთან დაკავშირება და ამაზე დაყრდნობით ცხოვრებისეუ ლი კონტექსტის მქონე ტექსტიანი ამოცანის ამოხსნა	მოსწავ ლეს დამოუკი დებლად არ შეუძლია: გამრავლება- გაყოფის მოქმედების შესრულება, მათი შეკრება- გამოკლების მოქმედებასთა ნ და ერთმანეთთან დაკავშირება და ამაზე დაყრდნობით ცხოვრებისეუ ლი კონტექსტის მქონე ტექსტიანი ამოცანის ამოხსნა	მოსწავ ლეს გარკვეუ ლი ხარვეზებით შეუძლია: გამრავლება- გაყოფის მოქმედების შესრულება, მათი შეკრება- გამოკლების მოქმედებასთა ნ და ერთმანეთთან დაკავშირება და ამაზე დაყრდნობით ცხოვრებისეუ ლი კონტექსტის მქონე ტექსტიანი ამოცანის ამოხსნა	მოსწა ვლეს ძირითადად შეუძლია: გამრავლება- გაყოფის მოქმედების შესრულება, მათი შეკრება- გამოკლების მოქმედებას თან და ერთმანეთთ ან დაკავშირება და ამაზე დაყრდნობი თ ცხოვრებისე ული კონტექსტის მქონე ტექსტიანი ამოცანის ამოხსნა	მოსწავლ ეს წარმატებით შ ეუძლია: გამრავლება- გაყოფის მოქმედების შესრულება, მათი შეკრება- გამოკლების მოქმედებასთა ნ და ერთმანეთთან დაკავშირება და ამაზე დაყრდნობით ცხოვრებისეუ ლი კონტექსტის მქონე ტექსტიანი ამოცანის ამოხსნა

გთავაზობთ პროცესს -დავალების მიცემიდან უკუკავშირამდე.

საკითხი: ეზოპეს იგავის - „კუ და კურდღელი“ - შინაარსის (დასაწყისის, შუა ნაწილის, დასასრულის) თანამიმდევრულად გადმოცემა ნახატების მეშვეობით.

დავალება - სიუჟეტის ამსახველი ილუსტრაციების მომზადება და მათზე დაყრდნობით შინაარსის გადმოცემა.

დახატე სამი ილუსტრაცია ნაწარმოების (მაგ., ეზოპეს იგავის „კუ და კურდღელი“) მიხედვით: ერთი ილუსტრაცია უნდა ასახავდეს ამბის დასაწყისს, მეორე - შუა ნაწილს, მესამე - დასასრულს. **დაალაგე** თანამიმდევრობით ილუსტრაციები და მათზე დაყრდნობით **გადმოეცი** შინაარსი.

შეფასების კრიტერიუმი/კრიტერიუმები

ნამუშევარში/ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინე:

- რით იწყება, როგორ გრძელდება და მთავრდება იგავი, გამოიყენე ტექსტში მოცემული ახალი, ანდა საინტერესო სიტყვები (ტ. 1, 3);
- რას გვასწავლის იგავი (ტ. 1, 3);
- ტექსტის რა ინფორმაცია და მინიშნებები გამოიყენე ნახატების შესაქმნელად (ტ. 2)

ამ დავალების შეფასების ფორმა სოლო ტაქსონომიის მიხედვით

პრესტრუქტურული	უნისტრუქტურული	მულტი სტრუქტურული	მიმართებითი	გაფართოებული/აბსტრაქტული
ვერ ახერხებს ტექსტის დასაწყისის, გაგრძელების და ფინალის მიხედვით შექმნას სამი ილუსტრაცია.	ცდილობს ტექსტის დასაწყისის, გაგრძელების და ფინალის მიხედვით შექმნას სამი ილუსტრაცია.	ფრაგმენტულად ახერხებს ტექსტის დასაწყისის, გაგრძელების და ფინალის მიხედვით შექმნას სამი ილუსტრაცია.	ტექსტის დასაწყისის, გაგრძელების და ფინალის მიხედვით ქმნის სამ ილუსტრაციას.	ტექსტის დასაწყისის, გაგრძელების და ფინალის მიხედვით ქმნის სამ ილუსტრაციას, წარმატებით იყენებს ტექსტის და საკითხის მიმანიშნებლებს

ვერ აყალიბებს მსჯელობას - რას გვასწავლის იგავი?	ცდილო ბს, ისაუბროს იგავის დედააზრზე	ფრაგმენ ტულად მსჯელობს იგავის დედააზრზე	მსჯელ ობს იგავის დედააზრზე	არგუმენტირებ ულად მსჯელობს იგავის დედააზრზე და მას ცხოვრებისეულ კონტექსტთან აკავშირებს
ვერ ახერხებს ნახატების და ტექსტის მთავარი სიტყვებით თხრობას	ახერხებ ს ხარვეზებით ნახატების და ტექსტის მთავარი სიტყვებით თხრობას	ახერხებ ს ნახატების და ტექსტის მთავარი სიტყვების მიხედვით თხრობას	წარმატე ბით ახერხებს ნახატების და მთავარი სიტყვებით თხრობას	ნახატების და ტექსტის მთავარი სიტყვების მიხედვით არგუმენტირებულად და მდიდარი ლექსიკით გადმოსცემს ნაწარმოების შინაარსს.

სოლო ტექსტის რუბრიკაზე დაყრდნობით მასწავლებელი აფასებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და შეფასების შედეგების ორგანიზებას ახდენს ქვემოთ მოცემულ სქემაში. მოსწავლეთა შეფასების შედეგების ცხრილში შეტანის შემდეგ ვიღებთ შემდეგ სურათს:

სახელი და გვარი	პრესტრუქ ტურული	უნისტრუქ ტურული	მულტისტრ უქტურულ ი	მიმართები თი	გაფართობ ული
ნინო					
გიორგი					
სალომე					
საბა					
ანი					
თამარი					
ზაზა					

**რა ტიპის ანალიზი შეიძლება გააკეთოს მასწავლებელმა ამ მონაცემებზე დაყრდნობით?**

შემაჯამებელი დავალების შედეგების სქემაში შეტანის შემდეგ მასწავლებლის მიერ განხორციელებული ანალიზის ნიმუშს შესაძლოა ჰქონდეს შემდეგი სახე:

„მოსწავლეთა უმრავლესობამ სწორად შეასრულა კომპლექსური დავალება. სოლო ტაქსონომიის მიხედვით შედეგების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ:

- ერთ მოსწავლეს სჭირდება რემედიაცია და გამოვიყენებ ჩაშენებულ და დამოუკიდებელ რემედიაციულ აქტივობებს.
- ერთ მოსწავლეს სჭირდება ტექსტის მიხედვით ილუსტრაციების შექმნისას მიმანიშნებელი ინფორმაციების გათვალისწინებაზე ვარჯიში და სწავლებისას, დიფერენცირებისას ამ საკითხს გავითვალისწინებ.
- სწავლების პროცესში ხშირად გამოვიყენებ ხარაჩოს ტიპის აქტივობებს, რათა მოსწავლეებმა აქტიურ საუბარში შეძლონ ახალი ლექსიკური ერთეულების მიზანმიმართული გამოყენება. ეს დაეხმარება მათ მულტიტრუქტურული დონიდან გადავიდნენ მიმართებით დონეზე“.

ახლა კი განვიხილოთ სოლო ტაქსონომიის გამოყენებით, როგორ შეიძლება განახორციელოს უკუკავშირი მასწავლებელმა.

უნიტრუქტურული	მულტიტრუქტურული	სახელი და გვარი	პრესტრუქტურული	უნიტრუქტურული
ცდილობს ტექსტის დასაწყისის, გაგრძელების და ფინალის მიხედვით შექმნას სამი ილუსტრაცია.	ფრაგმენტულად ახერხებს ტექსტის დასაწყისის, გაგრძელების და ფინალის მიხედვით შექმნას სამი ილუსტრაცია.	ნინო		
ცდილობს ისაუბროს იგავის დედაზრზე	ფრაგმენტულად მსჯელობს იგავის დედაზრზე	გიორგი		
ახერხებს ხარვეზებით ნახატებისდა ტექსტის მთავარი სიტყვებით თხრობას	ახერხებს ნახატებისდა ტექსტის მთავარი სიტყვების მიხედვით თხრობას	სალომე		
		საბა		
		ანი		
		თამარი		
		ზაზა		

**ხარაჩო - გიორგის:** იგავის 1, 2, 3 ნაწილში შეარჩიე მთავარი სიტყვები. გადაამოწმე გაქვს თუ არა ნახატებში ასახული. ასახე, ჩაამატე, რაც გამოტოვებული გაქვს და აღწერე ნახატები თანმიმდევრობით და იმსჯელე მთავარ შეგონებაზე!

## 2.5 დიფერენცირებული სწავლება და კლასკომპლექტში მუშობის სტრატეგიები

დიფერენციაციის თეორიის საკლასო ოთახში რეალიზება კლასკომპლექტის მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა და ამ გამოწვევის გამკლავებაში მათ ძალიან გამოადგებათ ის სტრატეგიები, რაზეც ტომლინსონის, ჰოლის და ლოურენს-ბრაუნის მოდელებშია საუბარი. ტომლინსონი - აქცენტს აკეთებს შინაარსის, პროცესისა და პროდუქტის ადაპტირებაზე. ჰოლი - გვთავაზობს სხვადასხვა სასწავლო სტრატეგიას, როგორც დიფერენცირებული სწავლების პრაქტიკას. ლოურენს-ბრაუნის მოდელი - ფოკუსირებულია სასწავლო გეგმის ადაპტირებაზე იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს მიღწეული სასწავლო მიზანი.

საკმაოდ მრავალფეროვანია დიფერენცირებული სწავლებისათვის სარეკომენდაციო სტრატეგიები. განვიხილოთ რამდენიმე მათგანის კლასკომპლექტებში გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობა. (ბოჭორიშვილი, 2023)

